

114
167/3



მეტეორები

35

1967

7

გნათობი

საქართველოს
საბჭოთა კავშირის

სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურობი

წელიწადი 44-ე

№ 7

ივლისი, 1967 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შინაარსი

ალიო მირცხულავა — ასი ლექსი	3
ედმერ უიფანი — წითელი დრუმლები, რომანი, ნაწილი მეორე, გაგრძელება	17
მუხრან მაჭავარიანი — ლექსები	56
რეზო ჭეიშვილი — კინოგადაღება, მოთხრობა	59
თენგიზ გოგოლაძე — ტალღები, მოთხრობა	70
გენო კალანდია — ლექსები	79
შერტირ სარგისიანი — სიმბური ენის მორიგი გაკვეთილი, მოთხრობა, თარგმანი სომხური-დან საჰაე მანველიანისა და ლეო ასტევატუროვის	80
ელგუჯა შალვაძე — ცხოვრება გრიგოლ ორბელიანისა, მხატვრულ-ისტორიული ნარკვევი, გაგრძელება	91

ღიალი 50 წელი

ბ. გუბელიძე — ისტორიის ფალსიფიკატორები ოქტომბრის რევოლუციის შესახებ	107
შოთა რევიშვილი — ოქტომბრის რევოლუცია და ვერმანელი მწერლები	117

კრიტიკა და ხელოვნებისმცოდნეობა

გიორგი ჯიბლაძე — ქართულ ხელოვნება პორტრეტები	123
კობა იმედაშვილი — ქართული საბჭოთა პროზის გმირი	138
არჩილ ჩაჩიბაია — ქართული საბავშვო ლიტერატურის კრიტიკის ძირითადი პრობლემები	150
სოლომონ ზუციშვილი — ილია ჭავჭავაძე და სიკვდილით დასჯის საკითხი	157
აკაკი თოფურია — ქიანელის ფსევდონიმის საკითხისათვის	161

973.01



ა ს ი ღ ე მ ს ი

1. თავისუფლება

თავისუფლება სულია ხალხის,
სული ბრძოლის და არა მუდარის,
ამაღლებული ტალღების ალყით —
სიცოცხლე — კაცთა ნავსაყუდარი.

ჩაუჭრობელი, როგორც ნათელი,
დაუპყრობელი, როგორც ქაერი,
დრო სამური, დრო საწადელი
და გათენება ოქროსნაირი.

მისთვის ვიწროა ქვეყნის გალია,
სივრცე სწყურია, სივრცე მზიანი,
ხან ქარის ქროლვა და გრიგალია,
ხან — დროთა სუნთქვა მშვიდობიანი.

2. ღვაწი პირველი

სად არ ყოფილან ჩემი ღვაწიები
სად არ გაისმის მათი სახელი?
განვლეს ცხოვრების ეს დრო, ეს გზები,
ბრძოლის გმირული გადაძახილით.

მათ დავეძებდი და მიპოვია,
დგანან სამშობლოს მცველად, დარაჯად,
ღვაწი არცერთი არ მიგლოვია,
დროთა ბრძოლაში ყველა გადარჩა.

ყველგან სიმართლის რწმენა მიჰქონდათ,
სიცოცხლისათვის მტრის გამწირველი,
ახლაც ბნელს ანთებს ელვა სტრიქონთა,
ახლაც გუგუნებს ღვაწი პირველი.

3. ფანოშენი

მე ჩემს უპირველეს
მიზანს მივადწიე,

თქვენ რომ საშინელი
გვეგონათ ერესი,
და რევოლუცია
სიმღერად ვაქციე,
როგორც ფენომენი
უმშვენიერესი.

4. ჩემი სიმღერა

ჩემი სიმღერა ლხენა არ იყო,
იგი ბრძოლაა დაუძინარი,
მისი მძლავრი ხმა დრომ ვერ გარციოს,
როგორც მღელვარე ტალღა მდინარის.

მიდის, მიღელავს დაუღალავად,
წელთა სიმრავლე მას ვერ აბერებს,
მიჰყვება გულის მტკიცე გაღავანს
და ბლინდაეზად გაშლილ ნაპირებს.

5. ახალი თაობა

ჰა, მოდის თაობა
ახალი ნობათით,
დუღს მათი ცხოვრება
ღრმა და უსასრულო,
წარსულზე ხარობდეს
აწმყო და მყოზადიც,
უფესვო ნერგია
აწმყო უწარსულო.

6. გადლი და სიმოცხლე

მარად და ყველგან ნათლის მთოველი
მზე მიწას დაცქერს გაღიმებული,

უხვი ბუნების მაღლი ყოველი
მე მხოლოდ მისგან მაქვს მიღებული.

ცხოვრებავე, მაინც ნუ მაიმედებ,
ავდარს ვერ აქცევ ნეტარ ამინდად,
მხოლოდ სიცოცხლეს თუ გაიმეტებ,
მე ხომ სხვა მაღლი შენგან არ მინდა?

7. მრავალი წელი

ხარობს ლექსებით, სიტყვის ვარდებით
ჩემი ოცნების ქვეყანა ვრცელი,
დროს დაელოდეთ, ნუ აჩქარდებით,
კიდევ გავიდეს მრავალი წელი!

8. მე მიყვარს...

მე მიყვარს უსაზღვრო
ცის ლურჯი კამარა,
შორეულ სივრცეში
ლტოლვა და გაფრენა, —
ქროლვა და ნავარდი
სურვილის კმარა
და ფრთათა ჩრდილების
მიწაზე გაფენა.
ქვეშ, თითქოს ფიქრების
შფოთვარე მთებია,
სალ-კლდოვან კალთებში
მეც ბუდე მქონია, —
ყორნების ღრუბლები
შორს იფანტებიან
და თავი ამ მთების
არწივი მგონია.
მსურს ასე ვიფრინო
ცის დამორჩილებით,
მზეს მხარი ვუსწორო —
არ ძალმიძს მე განა?
ძირს მარავანდებად
გავშალო ჩრდილები
და ფრთები მოვხვიო
უსაზღვრო ქვეყანას.

9. მშობლიური ენა

ხომ შეიძლება, კალმით ომობდე,
სიცოცხლე გააქრეს, რწმენა დაიწვას,

უპირველესად გმართებს ბოლომდე
შენი მშობელი ენა დაიცვარს
ენაა კაცის აზრთა გამჩენი,
ცისა და მიწის ჰანგთა მფლობელი,
ერის დამცველი და გადამჩენი,
მისი უკვდავი საგალობელი.

10. ბრძენს უთქვამს:

ჩვენი ცხოვრება
განა უქმად სავალი გზაა?
მას გამიზნული შრომა ამშვენებს, —
უმინო კაცი
მე მაგონებს უისრო საათს,
მეშაობს, მაგრამ დროს არ აჩვენებს.

11. ბუნების თვალით

ლექსი ყოველი
სტრიქონების შუქთა მწკრივია,
ცხოვრება ვხატე,
მოვიხადე ამ ქვეყნის ვალი, —
აქ ყველაფერი
ნამდვილი და ბუნებრივია,
რადგან ცხოვრებას
მე ვუყურებ ბუნების თვალთ

12. ბთხოვთ, მკაცრიო!

მე, როგორც პოეტს, როგორც პატრიოტს,
ბევრი დიდება იქნებ მასსოვდეს,
თავმოყვარება, გთხოვთ, მაპატიოთ,
თვითდამშვიდება კი — არასოდეს!

მეც მადიდება ქვეყნის ამაგი,
ვარ ხელთუქმნელი ჩნავის მპყრობელი,
ჩემში მყინვარის კლდე დგას ამაყი
და სული მარად ჩაუქრობელი.

13. მზემ გამიღია

მზემ გამიღია...
და სხივები მაწვიმს ღვარული,
იგი უკვდავი სიცოცხლეა
და სიყვარული.

მიწის გულისთქმაც გაიგონა,
 მხურს გაცხელებით,
 მგზნებარე გულში ჩაიკონა
 შუქთა ხელებით.

14. გულის გასაღები

მე აღარ მჭირდება
 გულის გასაღები,
 ის მუდამ ღიაა,
 ნაზი და ნათელი, —
 წრფელია მისი ხმაც,
 მუდამ გასაგები,
 ანთებს და ანათებს
 აზრი დღეჯანდელი.
 დღედაღამ ეღვარე
 ცეცხლივით ანთია,
 ზღვა სისხლში მღვღვარე
 და ჩაუძირველი, —
 წუხილს თუ სიზარულს,
 მწუსრსა თუ განთიადს
 ის ხვდება გულლიად,
 ის ხვდება პირველი.

15. გაზაფხულის მოსვლა

მზე ცის კარავს გაშლის თეთრად,
 გზებზე, მთებზე ჩრდილებს აგებს,
 გაზაფხულის შესასვდრად —
 აგებს შუქთა ღიანდაგებს.

და შემოდის გაზაფხული,
 ხარობს კაცი და ბუნებაც,
 ლოცავს მიწა დაზაფრული
 გუთნისდედის დაბრუნებას.

16. ზრთები

აღიო! გახსოვს ცა გამჭვირვალე,
 ლექსთა დიდება ხომ გვიმღერია?
 გადაგვიღახავს მათათა მწვერვალი,
 ყელიც ამაყად მოგვიღერია.

ჩვენ გეიტაცებდა მუდამ სიმაღლე,
 გესურდა მერმისი ახლოს გეხილა.

მზე გვინათებდა სულს და სილაღეს,
 გზაში სიცოცხლე არ დამეხრია.

განა დამდგარა დღე დაბინდების,
 წინ კიდევ ფიქრთა თეთრი მთებია,
 შორს უსიმღეროდ ვერ გავფრინდებით,
 ვტექთო! სიმღერა ჩვენი ფრთებია!

17. მზე ოქროპირი

მზემ სხივებს გააკრა, დღე გააჩინა,
 ქვეყნად ცისფერი გახსნა კარავი,
 ცას ჭუჭრუტანა ხვრელი აჩნია,
 წვიმის წვეთწვეთად საწანწკარავი.

წვიმას გაუგო მზემ საწაღელი,
 მიწვდა კარავს და, — ხელგაწაფებით
 ნახვრეტს დაადო ერთი ნათელი
 და ამოკვსა სხივთა ძაფებით.

შრომას შეუდგა... თან მეწამული
 მხარზე მოიხსნა ღრუბლის პორფირი,
 გაღვივებულა მიწა-მამული
 და სხივებს თესავს მზე ოქროპირი.

18. გულის პოღება

ქარბუქს ვებრძოდი და მივდიოდი,
 ალბათ გესმოდათ მწარე კვილიც,
 საკუთარ გულზე მე არ ვწიოდი,
 უფრო მტკიოდა ქვეყნის ტკივილი.

ახლა დავბერდი, ფიქრმა ჩამძირა,
 დავლონდი, გულსაც მოუწყვინა,
 სულო, შენ მაინც ჯერ ნუ გამწირავ,
 ნუ ჩამიქრები, ჩემო გენია!

19. ერთი პარაკვლავი

ჩემი გულისთქმა ნუ გიკვირთ მაშინ, —
 სევდის ფიქრებმა თუ გამიტაცეს:
 ერთი ვარსკვლავი მგგულის ცაში
 და ისიც ჩემთვის ქშურთ ამ მიწაზე.

20. ბორბი

მისი თვისება ვის უნდა ჰკითხოთ?
თავად ეტყობა — ის რა კაცია,
არვის იკარებს, ვით აკაცია, —
ზღარბის ეკლები ასხია თითქოს.

გულბოროტია, ავი და ხარბი...
დრომ ყურადღება თუ მიაქცია
და აღწევებს თუ მიაღწია, —
მანაც ხარბია და მანაც ზღარბი.

21. ყოვლად ძლიერო!

დრო მზესაც დახრის,
მოვა ჩემი შემოღამებაც,
მარად ინათებს,
და იცოცხლებს წუთისოფელი...
ყოვლად ძლიერო!
მანუგეშე, მეყო წამება...
როგორ შევიცნო
ვგ სამყარო შეუცნობელი?

მე ვფურცლავ დღეებს,
ვთელი ღამეებს ვარსკვლავთ წიგნებით,
მზიბლავს მერმისი,
მიყვარს აწმყო, მახსოვს წარსული...
ბუნებამ გვშობა
და ბუნებად გარდავიქმნებით,
დროს-კი არა აქვს დასაწყისი,
არც დასასრული.

22. სკლამო ზღვიჯე

მიწას არყევდა ზეცა ზანზარით,
ნეტავ, ის ღელვა გენახათ მაშინ?
გაჩენილიყო მზეზე ხანძარი,
იძირებოდა გემივით ზღვაში.

და მიარღვედა ტალღაზე ტალღას,
მისი ამბოზი ადრევე მიქია,
ცეცხლი აქცია საღამოს თალხად,
ნელა ცხრებოდა ხარბი სტიქია.

ალბათ, ჩემსავით, მზის ეშხით მთვრალი,
იმ დღეს ფიქრებში სხვაგვ აღამებდა,

ზღვა თელემდა, — ქვეყნის მრისხანე
და მთების წარბებს ახამამებდა.

23. ნიკოს გოდება

დაბინდდა... მზე მთაში
ჩავიდა ცახცახით,
დღეს უკვე მწუხარე
ამინდად დაბინდდა,
— მშვიდობით! — მწარე ხმით
ნიავე ჩამძახის, —
ოთახში ასეთ დროს
რა მინდა, რა მინდა?

დაბინდდა! ხომ ხედავ,
მზე მთაში ჩავიდა,
აპრილის დღე იქცა
მწუხარე ამინდად,
მთას ჩავალ და მზეზე
შენს დარდებს ჩავიტან,
მე შენი ფიქრი ვარ,
მე ძილი არ მინდა!

24. მარტოხე

ხრამში დღედაღამ შფოთავს მდინარე,
ნაპირად ხე დგას, მარტო, საბრალო,
არ შეაშინო, ჭარო, მძინარე,
არ ჩაითრიო წყალში, ნაპრალო!

ტანში აერჟოლებს მისი დანახვა,
ურჩხულს აგონებს ქვეშ ჩაძირული,
აქ დედისერთა მორევს გადაჰყავა —
სიყვარულისგან ბედგანწირული.

25. მინდვრის სომალდი

გათენებიდან მზის ჩადგომამდე —
გუგუნებს, აფრთხობს ყანაში ღალღებს,
ყამირს მიარღვევს მინდვრის სომალდი
და უკან სტოვებს ბელტების ტალღებს.

26. კატარძლის ნატვრა

მოდო! ჩემი ტურფა
 ბალიც მოიარე,
 როგორ მენატრები,
 ახ, ნეტავ, იცოდე!
 სათუთად გაზრდილი
 ხე ვარ მსხმოიარე,
 შუქივით გამთბარი
 ხელი გამიწოდე!

27. გახსოვს, ძვირფასო?

გახსოვს, ძვირფასო, ჩვენი ბავშვობა,
 როგორ ვიკლებდით მაშინ ამ ბაღებს?
 გვართობდა ლხენა და თამაშობა,
 ვგავდიით ფრთაშესხმულ ცოცხალ ზამბახებს.

ახლა, სად არის ჩვენი ბავშვობა?
 სხვა ქრიაშული იპყრობს ამ ბაღებს,
 არც ლხენა გვართობს, არც თამაშობა,
 ვგავართ უდროვოდ დამჭკნარ ზამბახებს.

28. სხვა ვინ მყავს შენი სადარებელი,

სხვა ვინ მყავს შენი სადარებელი,
 კვლავ გეტრფი, თუმცა გვიან დაგეძებ —
 და ქარი, ჩემი მატარებელი,
 მიმადრენს შუქთა ლიანდაგებზე.

სად ხარ? რა გქვონდა ჩვენ დასამდური?
 წახველ და გულში დამრჩა იარა,
 ნუთუ ამ ქარმაც შენი სადგური
 განზე დასტოვა და ჩაიარა?

29. მხატვარ ქალს

ძვირფასო! შენ ხარ ჩემი ბალნარი,
 ჩემი მხატვარი თუ ხელოვანი,
 მომეცი ხელი თეთრი, ნარნარი
 და სუმბულივით სურნელოვანი.

მე მუდამ შენზე მსურს ვილადადო,
 სათნო ხატი ხარ, თუ მეჩვენება?
 მხოლოდ ამ ხელამა უნდა დახატოს
 ეს ხელთუქმნელი შენი მშვენება.

30. წარბეზის მშვილდით...

სწორედ ის არის!... ვინც მანვალეობდა,
 ვინც დამირღვია ოცნება მშვიდი,
 ახლა შორიდან მითვალთვალეობდა,
 მზერას მესროდა წარბეზის მშვილდით.

მჭვრეტდა, ჩრდილს უკან შეფარებული,
 გულს მიკოდავდა მწვავე ისარი,
 ჩემი პირველი შეყვარებული,
 სწორედ ის არი!

31. დრო სიხომსღია

უსაზღვროება,
 ცის კამარით შემოგარსული, —
 გვწამს მომავალი, გვიყვარს აწმყო,
 გვახსოვს წარსული.

დროსაც ბუნების თვისება აქვს,
 მას თუ ენება, —
 გადავიწყებაც შეუძლია
 და გახსენებაც.

წინ მიჰქრის...
 მუდამ ცოცხალია, მუდამ
 უკვდავი, —
 მას ვერ აბრკოლებს
 ეამთა სრბოლა სულთამხუთავი.

ცოტა ხნით გეტოვებს წუთისოფლად,
 თვით არ იხვენებს, —
 ვის დაივიწყებს სამუდამოდ.
 ვის გაიხსენებს?

დრო სიცოცხლეა,
 დროა ხალხი, დროა ბუნება, —
 წავალთ და...
 აღარ გვიწერია ჩვენ დაბრუნება.

32. შენ უნდა

შენ უნდა შრომა გაიზიარო,
 გატყდეს ეკლნარი და სულს დაფავდეს,
 რა გმირობაა — გზაზე იარო,
 საქმე ის არი — მას მიკაფავდე.

33. ღიღილო

ღაღად ბიბინებ, გულგაღვლილო,
გვირგვინს გიმშვენებს ოქროს მარცვალი,
ნუ გაერევი, ტურფა ღიღილო,
თავთავს ნუ ჩაგრაგ, შენ გენაცვალე!

რა ვუყოთ, რომ ხარ პირმშვენიერი,
შორით გეტრფიან და გიმღერიან,
ამკობ თაიგულს შენი იერით
და ყელი მაღლა აგიღერია?

შენი სიტურფის ამო ყვავილი
უნაყოფოა და მომაკვდავი,
სულ სხვაა — შრომით ამოყვანილი —
უბვი ნაყოფით საესე თავთავი.

34. ყაყაჩო

ფრთებს გაეშლი... თვალთა საამებელად
ვფარფატებ, უმალ ძირს დავეშვები,
ვერ გავეფრინდები, როგორც პეპელა,
რა ექნა? მიწაში მიდგას ფესვები.

ცოტახანს ვცოცხლობ და ვიფერფლები,
თითქოს მასხია ფრთა თუ ფანტელი...
თუმცა, რა არის ბედი პეპლების?
ერთი დღის ფრენა და ჟრუანტელი.

35. წყნეთის აპარაკვა

ნიაემა ჩრდილი ააბიბინა
ია-იებით ამოქარგული
და ფიანდაზად წინ დამიფინა...
ხარობს კაკლისხე — ჩემი დარგული.

ფოთლებს რომ არხეგს — წყნეთის ქარია,
ქვეშ მიფენია მწვანე ზეწარი,
ხარობს კაკლისხე და მიხარია, —
მის აღრე გაზრდას მეც მოვესწარი.

36. ბუხარი

მოვინახულე ჩემი სახლკარი,
განგებ ავანთე ძველი ბუხარი,
კვლავ აგუგუნდა ცეცხლის ალქარი,
კვამლს გავატანე ფიქრი მწუხარი.

ვდუმვარ, არაეინ არ მეფერება,
ქარია, კვნესენ სახლის კედლები,
როგორ მაგონებს ჩემს დაბურუნას
ბუხარი, ფერფლი და ნალვერდლები?

37. შამოლაკაბა მთაწმინდაზე

მზე ჩაესვენა... მთაწმინდაზე
ღრუბლის მთებია,
შავბნელი რამე —
ქვეყნად ჩრდილები ურდობად
შეერთდებიან
და მოდის ღამე.

აფეთქდებიან მამხალეები,
კლდეებს წვდებიან,
ნათდება ხრამიც, —
ცისა და მიწის ვარსკვლავები
შეერთდებიან
და სძლევენ ღამეს.

38. უსაქმო სიტყვა

უხვია საქმე, როდესაც გიყვარს,
სიტყვაც უხვია და უმართლესი,
უნაყოფოა უსაქმო სიტყვა,
როგორც მარცვალი წყალში ნათესი.

39. კოპტის შრომა

იშრომა დღით და ღამითა,
სისხლისგან დაშრა თითები
და გამოკვეთა კალმითა
სიტყვების მარგალიტები.

შუქს ძფენდა წარსულს და აწმყოს
ვარსკვლავებივით გრძნეული,
ბოლოს ლექსებად ააწყო
ფიქრებში მიმობნეული.

40. ლექსის იმედით...

გზებს მივიკვლევდი, როგორც სტრეიტონებს,
აჰა, ოცნების ბჭესთან მივედი...
ჩემი ცხოვრების ქორონიკონებს
ვწერდი კალმის და ლექსის იმედით.

დროთა უღმობელ ავდარს გადავრჩი,
მალა მივლია და მიბრძოლია,
ამიყოლია ქარმაც ავდარში
და წინ იმედად გამიძლოლია.

41. შაიქსა მუხა

ტყეში ზანზარით წაიქცა მუხა,
თრთის და სულს ღაფავს, კედება ბებური,
ირგვლივ ყრუ გმინვით ხეები სწუხან,
თქორში, ნამჭერში დგას დეკემბერი.

სწუხან, ვერ ძალუძთ მკლავის აწვევაც,
წყულულად აჩნიათ მკერდს დანაჯახი,
გრძნობენ, რომ ასე, მათ წასაქცევად,
მოვა ხისმჭრელი ხელში ნაჯახით.

42. ლექსი — შენიქსი

ფიქრი აიძღვრა მთაზე ნისლივით,
ივლება, ცაში შეხი გავარდა,
ფრთები გაშალა და ფენიქსივით
პაერში ლექსმა გაინავარდა.

დასწვა ნისლი და ფერფლად აქცია,
უკვდავ ცეცხლისგან ვინ განასხვავა?
მალა, ოცნების ცას მიადწია
და გადაიქცა მფრინავ ვარსკვლავად.

43. წყვდიადი

მე არ მალონებს, შავბნელი რამე —
წყვდიადი, ცას რომ დაბლა ეწევა,
რადგან, რაც უნდა გავრძელებს ღამე,
ვიცი, დღე მაინც მას დაეწევა.

44. კოეზიის სამყარო

ახალ ცხოვრებას
შევევებე ღია გულმკერდით,
წელთა სიმძიმემ,
აწი დროა, დაბლა დამხაროს:
მე ამ ქვეყანას,
მარტო ამ ცას კი არ ვუმღერდი,
ახლად ვაგებდი
ბოეზიის მალალ სამყაროს.

საკუნიდან გადავცქერი
მუხს დარწმუნებით,
მკერდზე ამაყად
მიდევს მთვარე, ჩანგის იერთო:
რომ საქართველო,
არა მარტო მთებით, ბუნებით,
დღესაც სულითაც მალაღია
და მშვენიერი.

45. რაჰიზიზი

ვუსმენთ რეკვიემს... და ფერმისდილი
წითლდება ქვეყნის დასალიერი,
ვზივართ პირისპირ მე და სიკვდილი,
ვითარც მოცარტი და სალიერი.

მწარედ მიღიმის... ერთი წამისთვის,
რომ სულის მოთქმაც აღარ მეძნელოს,
შხამგვსლით სავსე ჭიქას გამიწვდის
და უკვდავების ვსევამ სადღევრძელოს!

46. კოეზის ტვირთი

გვიძიმს ცხოვრების ლტოლვა და ზვირთი.
შრომა და კირთი მკლავმოუღლედი,
უფრო მიძიმა პოეტის ტვირთი, —
ჭაბანს ეწევა ცალი უღელი.

47. ლექსმა იმის პაოზება

ისევ ლექსად უნდა ვწერო
ჩემი ფიქრი და ოცნება,
იქნებ, ვედარ დაგაჯუროს,
მაგრამ იცის გაოცება.

მე ხომ არ ვწერ კითხვა-პასუხს?
ისევ გული დამიღონეს,
იქნებ, ბევრი არც კი მასსოვს?
და შენც მხოლოდ გამიგონე!

48. ვით უკლავს გული?

მე უდიდესი ტვირთი ვიკისრე,
ვით უძლებს გული ამდენ სიმძიმეს?
მიგ დგას მგზნებარე ცეცხლი ცისკრისებრ,
მარად ნათელი და მოციმციმე.

ცამდე მადლდება სული — შთისქარი,
წლებმაც მის გმირულ ხმას გაუგონეს...
და ჩემი გული, ვით შუეს ცისკარი,
მალლა ეწევა ამ საუკუნეს.

49. ძეგლი

ქვაში სიცოცხლე და ძეგლი სხვაა,
ზოგს კი სახელი ლაჭად აჩნია,
რა არის ძეგლი? ის მხოლოდ ქვაა,
თუ გულში ცეცხლი არ გააჩნია.

უნდა უძლებდეს წელთა მრავლობას,
მით ამადლებდეს დროს წინაპარი,
თავის, აწმყოს და შთამომავლობას
გზას უნათებდეს, როგორც ლამპარი.

50. უშვად ნაწერი

დაშვრება, უქმად რაც გიწერია,
და სიტყვაც, რაგინდ უხვად გეთესოს,
დრო — სარველას მკაცრი მტერია,
არჩევს კარგსა და საუკეთესოს.

51. მშობრთა სავლავხე

განვლეს ბრძოლების დრო და ადგილი,
აქ სისხლისმღვრელი ომი ყოფილა,
როგორც სიშტები ომგადახდილი, —
ციდან სხივები ძირს დარტყობილან.

აქ უკვდავების ცეცხლი ანთია,
ბრწყინავს ალამი ჩაუქრობელი
და ობელისკი გასცქერს განთიადს,
როგორც სიმამრე დაუპყრობელი.

52. ჩვენი სიმოცხლე

დროს გავყვეთ! ნულარ გავდგებით ობლად,
კიდევ ბევრია გზები სათელი,
რა უკვბ გადის ამ წუთისოფლად
ჩვენი სიცოცხლე — ვლვის ნათელი?

53. ცხოვრების ნაპო

არქონული

ერთხანს, მდინარის ნელი მდღოვნებით,
ლაღად მარწვედა, როგორც აკვანი,
ახლაც ეს არის — ჩვენი ცხოვრების
მღელვარე ზღვაზე გადასაყვანი.

ახლაც, იმედით — მოციმციმეთი,
მოჩანს მომავლის თეთრი ანრდილი,
მისკენ მიმადრენს გულის იმედიც
და სულის აფრა ფრთებად გაშლილი.

54. სურამის მიხე

მრავალჯერ დამწვევს, დამაზიანავს,
თავზე მესხმოდნენ შურისძიებით,
მტერი ჩემს გულზე ჩვენს მატინავს
წერდა სიშტებით, წერდა ტყვიებით.

მაინც ბრძოლების ვარ ფალავანი,
ქართველ ვაჟკაცთა ციხე გმირული,
მაინც ურყევად დგას გალავანი,
მათი ძვლებია შიგ ჩაკირული.

55. კოეცხ

დროს გაუძელი!
ცის ელვა — ტეხით —
ყველაზე მაღალს
უცემა მეხი.

56. რას იტყვს გული?

მე ვცოცხლობ!
და გული თვით დედამიწია,
და სუნთქვაც
აისის ხმაა თუ საარი?
შევზარი ვარენის იმ დღეს და
იმ საათს,
ვმადლდები
და სულიც ამ გულის ცა არი.

დროს ირგვლივ შემოვლით
და შემობრუნებით —
თავს მუდამ
უსაზღვრო სამყაროს ვადარებ:

მზით, ურიცხვ ვარსკვლავით,
 მთვარით და ბუნებით —
 ჩემს ცას და ქვეყანას
 ღრმა გულით ვატარებ.

57. ასი წლის შემდეგ

აჰა, ცხოვრების მწვერვალზე შევდექე,
 ძირს ხმაურია და ხალხთმრავლობა,
 აქედან ვიცი: ასი წლის შემდეგ,
 როგორ გამიგებს შთამომავლობა.

ჩემი სიცოცხლე დაუსაბამო
 იქცა შრომის და ბრძოლის ხალისად,
 მიახლოვდება არა საღამო,
 არამედ ჩრდილი მომავლისა.

58. მადლი და შრომა

ბედს ნუ ემდური!
 შებრალება არ იცის დრომაც,
 იგი ბუნების მადლს აფასებს,
 და არა — შრომას.

ხელთქმნილს, ხელოვნურს
 მოედება ყველაფერს ბოლო,
 შემოქმედება
 და ბუნება დარჩება მხოლოდ.

59. ძველ მშობსარს

უბა, გაუთეთრდი! წლებმა დამთოვეს,
 შარავანდები გზებს არ ქარგავენ,
 მაინც არ მჯერა, შენ არ დამტოვებ,
 ახლის ძებნაში ძველს არ კარგავენ.

60. გზები

გზა ცხოვრებაში არის მრავალი,
 ხან მომავალი და მიმავალი.

ხან გაიშლება და შორს გროვდება,
 მათი მიმოსვლა არ ბოლოვდება.

ერთი გზა ბედად ამირჩევია,
 გზიდან გადასხრა მე არ მჩვევია.

ის არის ჩემი სწორი მიზანი,
 წვდება ცხოვრებას, როგორც მინანქრი
 ზეგლიწონებას
 წინსვლის დევიზად ბრძოლა ვიცანი.

61. დრო სიცოცხლეა

სივრცით, სინათლით განუზომელი —
 დრო სიცოცხლეა, არა — ჭაოსი,
 მას ეწაფება წუთისოფელი
 და მზეც, — მნათობი სააქაოსი.

62. ლანდი

მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა,
 მეც მიფიქრია და მიჯავრია,
 ყველგან დამყვება... იგი თავიდან
 ჩემი ცხოვრების თანამგზავრია.

ახლაც ნარნარით შეკრდს ჩამგვონა
 და ჩაიკეცა ჩემ წინ, მუხლებთან,
 დაბოლოს გაჰქრა... მე რა მეგონა —
 ამ სიბერეში თუ მიმუხთლებდა?

63. დღე და საქმე

ცა, საადროა თუ სამაისო,
 ისევე საღამოდ იქცევა ბოლოს,
 დღე მუდამ საქმით თუ არ გაივსო,
 ის ცარიელი სივრცეა მხოლოდ.

თითქოს დღის მჭედელს მზეც მუდამ
 ჰგავსო,
 ჩვენც შრომა გემართებს განუწყვეტელი,
 თორემ, რა საქმემ უნდა გაავსოს —
 მისი უსაზღვრო ოთხი კედელი?

64. უგვირგვინო მუშა

დგას უგვირგვინო პოეტი — მეფე,
 აზრთამპყრობელი ცეცხლის გენია,
 ერთად შეყრილნი ყორნები ჰყეფენ,
 შურისგან ველარ მოუღხენიათ.

ის დრო მზიური ოცნებით მოვა, —
 საუკუნეთა გადამლახველი,

ვერას დააკლებს ყორნების ხროვა,
მისი კვერთხია კალმის მახვილი.

65. მიზნის ძიებაში

რამდენი ვინატრე,
რამდენი ვეძიე?
თვალს არ ვაშორებდი
ამ გზებს და მიდამოს...
და მეც დავივალე...
და ვერ დავეწიე...
და მიზანს ჩამოვრჩი...
ვაკმე, სამუდამოდ!

66. ჭკმთ-კლმწერალი

ფიქრთა სენაკში,
მარტოდმარტო ვარ ჩაკეტილი,
შრიალებს წიგნი,
სტრიქონებით გადასერილი, —
თვალებს მინათებს
ღრმა გულიდან აზრი კეთილი
და შრომობს მკლავი,
ამ ცხოვრების ქამთ-აღმწერელი.

67. მუხანათი

ხშირად მწვავე ისრად მხედება
შემპარავი ხმები მისი,
ციხე მართლაც შიგნით ტყდება, —
მუხანათი მეგრდში მიზის.

68. ადიდე სიხოსხლი!

ადიდე ცხოვრება,
ლალი და მზიური,
დღენი და საქმენი
მარად საგმირონი, —
მიწას გააგონე
პანგი ზეციური,
თუ გწყალობს პოეტის
მადლი და მირონი.
გახსოვდეს წარსული,
გვამდეს დღევანდელი,

მომავლის გზებია
სხივები მზისანი, —
და მარად ახალი
და მარად ნათელი —
მზესავით ერთია
სიცოცხლის მიზანი.

69. სტიქიათა ბრძოლა

წიგმს... ლანქერების დღევა-დუდილით
გააფთრებული იბრძვის აუდარი,
ატყდა ქვემების ელვა-ქუხილი...
და გაზაფხულმა სძლია ზამთარი.

სძლია... ქვეყანაც იხსნა... გადარჩა
მზე — გაზაფხულის დრომა წითელი,
და შარშანდელი თოვლიც არა ჩანს,
გამქრალა, როგორც შარშანწინდელი.

70. ზღვაური

ზღვის უდაბნოდან გუგუნით მოდის,
ირგვლივ მოარღვევს ცის მყუდროებას,
მოდის, მოკვება დღევა და შფოთი,
მისთვის ვიწროა უსაზღვროებაც.

71. მუნჯი მიმწერი

ყველგან თან მახლავს... წლებიც გავიდა...
ხან უკან რჩება, ხან სულ წინ არი, —
და მგწურობას მიწვევს თავიდან,
ლანდივით ჩუმი და უწყინარი.

მსურდა ცხოვრება ნათლად მეხილა...
და ერთად მოვევლეთ წუთისოფელი,
ხრამში რამდენჯერ გადაჩეხილა
ის ჩემი მუნჯი მეფისტოფელი.

72. სიმღერა

სიმღერა! მარად ჩემთან მყოფი
და განუყრელი,
ზოგჯერ ბასრია მახვილივით,
ზოგჯერ ფარია, —

განველე ბრძოლებით მასთან ერთად
გზა განუხრელი,
სიმღერა ჩემი
სულიერი მეგობარია.

73. წვეთები

ძნელია, როცა, ნაზი ციმციმით,
გულს მცირე დარდი ღრღნის ნაწვეტებით.
ქვას აპობს წვიმა არა სიმძიმით,
არამედ ყრუ და ხშირი წვეთებით.

74. წიგნობი

დგას წისქვილი დახატული,
სარეკელას რაკრაკია,
მორაკრაკებს ნაკადული:
რა კარგია, რა კარგია?

რაკრაკია და ბრუნავს ქვეც,
ბრუნავს წყალი და ბორბალი,
სარეკელამ რაც უნდა სთქვას.
წისქვილმა კი — ფქვას ხორბალი.

75. კმაღლება

ქარს მიაქვს ძახილი საამო
და ხმებიც წლებს გაღმა გროვდება,
ნათდება ცა დაუსაბამო,
ქვეყანას მზე უახლოვდება.

76. გაზაფხულის მოსვლა

გადიხარება ცა ნამეწყრალი,
მზეც ნელა სტოვებს ღრუბლის მადაროს,
ჩემსკენ ჭიკჭიკით მოქპირს მერცხალი.
რომ გაზაფხულის მოსვლა მახაროს.

გაზაფხულამდე არა დარჩა რა,
გადაკარგულა უკვე ზამთარი,

მისთვის ღიაა სახლის ფანჯარა
და შარშანდელი ბუდეც მზადდარეკლი
გაზაფხულისა

77. ჩხი მხოვრება

მუდამ ვიწვოდი ბრძოლის წყურვილით
და გულში მენტო ცეცხლის გენია...
და მხოლოდ ნატვრა, მხოლოდ სურვილი.
სხვა განძი მე არ შემძენია.

ბევრი ვიბრძოლე, ბევრი ვიწვალე,
გავხდი ათასთა აზრთა-მჯერობელი,
მაგრამ, თავისთვის ვერ მოვიცალე,
დამრჩა ცხოვრება მოუწყობელი.

78. სიბოხის შეხვედრა

შორი მთებიდან მტკვარს გამოვეყვებით
ჩვენ, — მგლოვიარე შავი ღრუბლები,
ჩავალთ მთაწმინდას... და მოგვებივით
შენს უკვდავ ძეგლთან ჩავიმუხლებით.

79. კეროსტრატე

კალმით ვაგებდი
ამ ხელთუქმნელ ჩემ
სამფლობელოს,
როგორც პოეტი, შემოქმედი,
სიტყვის ოსტატი, —
ო, მუზეუ ჩემო,
არტემიდის დედაც მშობელო,
არ შეიპაროს შავი ზრახვით
შეგ კეროსტრატე!

მას უნდა საქმე
საავგაცო და საძრახელი,
გულით კი არა,
ხედავ, მჯილით მიაქვს ხანძარი? —
მხოლოდ სახელი მოიხვეჭოს,
რაგინდ სახელი,
ლამის გადასწვას
პოეზიის წმინდა ტაძარი.

80. მთების კრწივი

ჰაუ, დაბერდა მთების არწივი,
ჭარი ჰქრის და წვიმს... ავი დარია,
დიდხანს ებრძოდა მტრებს თავგანწირვით,
დღეს მუხის ტოტზე ჩამომჯდარია.

ირგვლივ ყორნები თითქოსდა ჰყეფენ,
და უფრო ნანობს, უფრო ღონდება, —
სივრცეთა მპყრობელ ფრინველთა მეფეს
ქარში ნავარდი რომ აგონდება.

81. მიწისძვრა

უცებ, გული... დღისით, მუხისით
აფეთქდება ცეცხლის ალადა,
გავს მიწისძვრას დამბლა მისი, —
საშინელი ნგრევის ძალა.

82. მუზას

აჰა, მოვედი!
მხოლოდ შენ ხარ ჩემი მფარველი,
ლექსად ცხოვრების
ქებათქება შემიდგენია, —
ბედს არ ვენდობი,
შებრალებას მისგან არ ველი,
მარად მწყალობდეს
ყოვლად უხვი შენი გენია.

83. სსოვრების ეტლი

თქვენ მანქანებით უსწრებთ ეპოქას,
გსურთ სხვებზე ადრე გახსნათ ცისკარი,
მშვიდობით! არსად არ მივიჩქარი,
მე ამ ცხოვრების ეტლიც მეყოფა.

84. ჩემი სიმიდრა

მე პოეტი ვარ, უხვი, მდიდარი,
გარემოსილი ხალხის დიდებით,
ჩემი საუნჯე, — გული ზღვისდარი,
სავსეა სიტყვის მარგალიტებით.

ასე ცხოვრებაც მე დავიმკვიდრე,
გულით უხვი და სულით მდიდარი...
ვერ შეედრება ჩემს ამ სიმდიდრეს...
ქვეყნად საუნჯე ვერავითარი.

85. გულის ღაღადი

მთებს შევხარი,
სიდიადე მიყვარს მათი,
ელვას მოგავს
წყაროები მოცქრიალე, —
მიყვარს მზეზე მოჭათათეთ
ცის გუმბათი,
ზედ მერცხლები
ზარებივით მოწყრიალე.
და შევხარი
ამწვანებულ მთებს და მდელს,
შეგტრფი მარად საოცნებო
ჩემ სახატეს, —
საქართველო!
შენ ხარ ჩემი სამლოცველო,
ეს ლექსებიც
შენს ნათელ ცას შევღაღადე.

86. ყანა

ჭარმა ღონე შეალია,
მაგრამ ყანას ძლია განა?
თავთავების შრიალია
და ნიავის იაგ-ნანა.

შელამება მოდის თანაც,
სდუმს მთელემარე არე-მარე,
აფრეოლებულ ოქროს ყანას.
ნამგლისპირა დასცქერს მთვარე.

87. ხომალდები

ცის ოკეანეში
ყომრალი მთებია,
არყვეს, აზანზარებს
ტალღების თარეში, —
ღრუბლების მთებია,
თუ ხომალდებია,
რომ მიირწვიან
შორეულ მზარეში?

იელვა და მეხმა
 ღრუბლებს დაუშინა,
 სასტიკად დაღუწა
 და ზეცა გასწირა, —
 დაბომბილ ზომალდებს
 ცეცხლიც გაუჩინა
 და ყველა ჩასძირა.

88. გულის განძი

იცი, ამ გულით, ამ საგანძურით
 რა გრძნობა დამაქვს მართალკაცური?
 ეს ორი გრძნობა — განძი ფარული:
 სიყვარულია და სიხარული.

89. ჩანჩქერი

შფოთავს, მგზნებარე ელვად ქცეული,
 კავკასიონის ქედზე ჩანჩქერი,
 ღრუბლის ყორნებით შემოსეული,
 თვალჩაუწვდენელ ხეობებს ჩასცქერის.

მალა ზეიმობს მზე გამარჯვებით,
 ცეცხლის მსხნელი ჰყავს ქვეშ დაჩაგრული,
 შფოთავს ჩანჩქერი... სხივთა ჯაჭვებით
 ამირანივით კლდეზე გაქრული.

90. ცხოვრება ჩემი

აღთქმული ქვეყნის გამოჩნდა თხემი,
 ზღვა კი ბობოქრობს ტალღების ცემით,
 წყლის მთაგრესილებს მთარღვევს გემი —
 აღელვებული ცხოვრება ჩემი.

ზამთრის დარია, სუსხი და ზაფრა,
 მტკიცე იმედი ქცეულა საფრად,
 გულმკერდგაშლილი მე, როგორც აფრა,
 ვდგევარ გემზე და... ქარი ჰქრის მძაფრად.

91. რწმენადაკარგული

კაცი უგულოა
 რწმენადაკარგული,
 არც გრძნობა უბრწყინავს
 ნაზი და სპეკალი, —

მშობლიურ მიწიდან
 ხეა გადარგული, *არქონის
 ბიზნისი*
 ნაყოფის მაგიერ
 ასხია ეკალი.

სძულს კეთილშობილი
 ნერგი რტომრავალი,
 ტანთ ეკლებგამოსხმულს
 ხელს არვინ აკარებს, —
 ვერ ათბობს წარსული
 და ვერც მომავალი,
 მზით გაბრწყინებული
 ვერც აწმყო ახარებს.

92. ზრდის წყურვილი

მუდამ გვიტაცებს აღმადრენა
 და მზის იერი,
 ფრთებს ჰშლის ცხოვრება,
 განა ერთხელ გადანალახი? —
 ისე დიდია ზრდის წყურვილი,
 ისე ძლიერი,
 ქვას ამოარღვევს, თუ იზრდება,
 ნაზი ბალახიც.

93. კიკაბობლა

ცის უღაბნოდან ქარი ჰქრის მძაფრად,
 დაბლა გუგუნით გამოუქანა,
 აღმართულია მზე, როგორც აფრა,
 და წინ მიილტვის ჩემი ქვეყანა.

94. კავკასიონის ქარი

შორს განთიადის ელავს კარები,
 იქით მთებია, აქით ზღვა არი,
 ბევრი მიმოქრის ქვეყნად ქარები,
 კავკასიონის ქარი სხვა არი.

მისი უძლევი ძალაც სულ სხვაა,
 შეტრფის ქალაქი, დაბა, სოფელი,
 შიგ ამირანის ხმა და სუნთქვაა,
 თავაწყვეტილი, თავისუფალი.

95. ახალი მთვარე

მზემ დასამხოზად ცა გაიმეტა,
დაშალა ღამე, აქცია ჩრდილად
და, ნათელმოსილ ქვეყნის იმედად,
ისევ დიადი ამოჰყვა დილა.

მიწყნარდა წვიმაც, კაშკაშებზე არე,
ქვეყნად სიცოცხლის და მზის დარია,
მიწას დასცქერის ახალი მოფარე,
ცისარტყელაზე ჩამომჟღარია.

96. პირველი მარცხალი

მართო ხარ... ჭიკჭიკით
სივრცეს ვერ გასძახებ,
ვერც ბუდეს დაჰხარი,
ბარტყებსაც ვერ წყალობ,
ზიხარ ქანდარაზე,
გცივა და ცახცახებ,
რა ადრე მოფრინდი,
ლამაზო მერცხალო?
ფანჯარას გაეაღებ, —
სათუთად გაგათბო,
ჯერ ზამთრის ქარი ჰქრის,
წვიმა და წყალია,
შემოსვლას ვერ ბედავ...
რაც უნდა დაგატკბოს,
მაინც ოთახია
და მაინც გალია.

97. ჭლები და თვეები

ხან გაშლილი ცისკარავით,
ხან ვარსკვლავებ-მოჭედლილი, —
დახურული ცის კარავით,
ყოველ ღამით, ყოველ დილით, —

დრო მიილტვის ურიცხვ წლებით,
არ ჩერდება არსად გზაში,

თვიდან — თვემდე შენაცვლებით
თორმეტივე მიჰქრის რაში,

თან მიგვაფრენს, გვაიმედებს
წუთისოფლის ერთგულ მგზავრებს,
ბევრს უნდობლად გაიმეტებს,
გზას ვერასდროს ვერ ამთავრებს.

98. საკაცობრიო

ბრწყინავს პოეზია,
ლოცვად აღმართული,
მზე ხატავს ცის გუმბათს,
ზღვაც აკვარელია, —
რაც უფრო ჩვენია
და უფრო ქართული,
მით საკაცობრიო
და საყვარელია.

99. მინაწერი

აი, წიგნების მთელი სერია,
ჩემი სიცოცხლის ნამოღვაწარი,
ლექსიც იმდენი დამიწერია, —
ელვის ნათელზე რაც მოვასწარი.

მაღლა, ცანავით გაშლილ ოცნებას
ანთებს ყოველი ჩემი სტრიქონი,
ის გაელვება და გაოცებაც
ჩემი სულია და სტიქიონი.

100. უკანასკნელი ლექსი

აი, ბოლოც! რა დიდებით
ქშეენის რითმა და წერტილი?
დევს კალამი და თითები, —
სისხლისაგან დაწრეტილი.

სიბუღელოს ღრუბლები

რომანი

ნაწილი მეორე

ამგოხება

უბრალო უწყა

— გისმენთ!
მოსმა ტელეფონის ყურმილში ქა-
ლის ხმა. ჯაბა დაიძაბა:

— თუ შეიძლება, თამილას თხოვეთ!
ეგონა, კითხვად ვინ ხართ, ვინ
ბრძანდებითო, და წინასწარ გრძნობდა
უხერხულობას. მომზადებული ჰქონდა
პასუხი, უნდა ეთქვა, ამხანაგი ვარ თა-
მილასიო, და ეს ეუხერხულებოდა სწო-
რედ — თამილა ხუთი-ექვსი წლით უმ-
ცროსი იქნებოდა ჯაბაზე.

— მოითმინეთ, დავუძახებ, თუ ში-
ნაა...

— ავტომატის ყურმილი შეტად მგრძნო-
ბიარე იყო. ჯაბამ იმ ქალის შორეული
ხმაც კი გაიგონა: „თამილა!... თამი-
ლა-ა!... არ არის? სად არის? ჩამოვიდეს,
ტელეფონზე თხოვენი!“

მერე გაიარა ორმა წუთმა, თუ ორმა
წელიწადმა. ჯაბამ მკიდროდ მიიხურა
ჯიხურის კარი, მაგრამ ქუჩის ხმაური მა-
ინც შემოდინდა. „ნეტავ ისე დავემთავ-
რო ლაპარაკი, ტრამვიმ არ ჩამოიარ-
ოს“. მერე ნაბიჯების ხმა გაიგონა ტე-
ლეფონში. მერე მოესმა: „ვინ არის, დე-
იდა თეო?“... „ერთი ლამაზი ბიჭია!“ სი-
ცილი... „რომ არ იყოს ლამაზი?“ და:

— გისმენთ!

— გამარჯობა, თამილა!
— გამარჯობა, ვინ ხარ?
— უნდა მიცნოთ!
— ვერ გიცანი!
— უნდა მიცნოთ; თქვენ ყველაფერი
იცით ჩემს შესახებ.
— თენგო ხარ?
— არა... თენგოს შესახებ იცით ყვე-
ლაფერი?

— თენგო... რატომ იცვლი ხმას?!
— არა ვარ თენგო, მე ის ვარ, ვისაც
თქვენ ყოველდღე ხვდებით ქუჩაში.
— ყოველდღე?
— კი. თვითონ კი ვერასოდეს ვერ
გხვდებით.

— ეგ როგორ გავიგო?
— ერთ დროს ვერც მე გავიგე... მე-
რე ამიხსენს — იმიტომ, რომ მე თქვენ
გიცნობთ, თქვენ კი არ მიცნობთ.
დღეილი ჩამოვარდა.

— მითხარით ვინ ხართ, თორემ ყურ-
მილს ჩამოვკიდებ!

— მე ხელმეორედ დავრეკავ.
— მე აღარ მოვალ ტელეფონთან.
— ბოლოს მაინც მოხვალთ!
— როდის, ბოლოს?

— ორი წლის შემდეგ... შეიძლება
კიდევ დაგირეკოთ, — თქვა გამოკვეთი-
ლად ჯაბამ.

— ორი წლის შემდეგ?! — გაიცინა თამილამ.

„რატომ არ ახსენდება? — უკვირდა ჯაბას, — იქნებ ის არ არის?“

— ისეთი ხმა გაქვთ, თითქოს ნილაბი გვეეთოთ, — თქვა ჯაბამ და გაიტრუნა.

— თქვენ გეშლებათ, მე...

— მართლა შემეშალა, მე მინდოდა მეთქვა — ისეთი ხმა გაქვთ, თითქოს ნილაბი გადაგაძროთ ვინმემ!

შემამფოთებელი დუმილი გახანგრძლივდა.

— არ დაკიდოთ! — დაიყვირა ჯაბამ, რადგან ყურმილმა სახეფათო ხმაური გამოსცა, — არ დაკიდოთ, ბოდისის თქმა მომასწრებინეთ!

ყურმილი ისევ ყურთან მიიტანა თამილამ.

— რა ბრძანეთ?

— თამილა, მე მინდა ბოდისში მოვიხადო, მინდა ჩემი ხელითვე დაგხურო პირბადე, ისე უზრდელურად რომ გადაგხადე... თამილა, მე...

— ჯაბა?! — თქვა თამილამ.

— ჰო, ჯაბა...

— ჯაბა... შენ მე მიცნობ, ჯაბა? — თამილას ხმა აუთრთოლდა.

— თურმე გიცნობ, თამილა, თურმე გიცნობ... მე მინდა ბოდისში მოვიხადო...

— ჯაბა, შენ მე არ მიცნობ!

— როგორ არ გიცნობ, შენ თამილა ხარ, თამილა თიკანაძე!

— ჯაბა, შენ ჩემი გვარი და სახელი გაიგე, შენ გაიგე იმ გოგოს გვარი და სახელი, კარნავალზე რომ ისე სულელურად გამოგელაპარაკა.

— არა, თამილა, მე შენ გიცნობ, მე ყველაფერი გამახსენდა, სულ შემთხვევით მოხდა ეს...

— რა შემთხვევამ ვაგახსენა?

— თამილა, ახლა არ მინდა, ახლა ქუჩიდან გირეკავ... თამილა, მე ხომ ვიყავი შენი პიონერთა რაზმის ხელმძღვანელი, ხომ ვიყავი?

— იყავი, ჯაბა... მართლა ვახსოვარ?! მართლა ვახსოვარ, ჯაბა?

— თამილა, შენი ნახვა მინდა, სად განხო, როდის განხო, არ ვიცი.

— მართლა ვახსოვარ, ჯაბა? აბა, მისინ რატომ ვერ მიცანი...

— თამილა, სად განხო?

— ახლა უნივერსიტეტში მივდივარ...

— ისეთი ხმა ჰქონდა, მგონი, კიდევ ტირილს აპირებდა.

ჯაბა ელოდა, მაგრამ თამილას აღარაფერი არ უთქვამს.

— ვიცი, ნაწყენი ხარ ჩემზე, მაგრამ უნდა შეგხვდე...

— ექვს საათზე მიმთავრდება ლექციები, — თქვა სლუჟუნ-სლუჟუნით თამილამ („ვინ არის, რომ გატირებს, მოვკლავ მაგას!“ — მოისმა ყურმილში ქაილის ხმა) — არაფერი, დეიდა თუო, არაფერი, — და თამილამ გაიცინა.

— ვიცი, ეგვიტ გავიგე, რომ პირველ კურსზე ხარ, უცხო ენების ფაკულტეტზე, ყველაფერი ვიცი, ოღონდ არ ვიცი, სად შეგხვდე.

თამილა შეუცვნდა, ალბათ ფიქრობდა, რა ეთქვა. მაგრამ, ეტყობა, უკუაგლო ყველა მოსაზრება, და გაიმეორა.

— ექვს საათზე მიმთავრდება ლექციები...

„პაემანის დანიშვნა რცხვენია“.

— კარგი, თამილა, მე მოვალ... ნახვამდის... ბოდისში ვინღი თქვენს მეზობელთან... თამილა, ნახვამდის, ექვს საათზე, ხომ? — ჯაბას უჭირდა ყურმილის დაკიდება.

ჯიბურიდან გამოვიდა, არ იცოდა საით წასულიყო. მელიქიშვილის ქუჩის დასაწყისში, სკოლის გვერდზე, ძველ სახლს ანგრევდნენ. ისეთი ბული იდგა, თითქოს მთელი სახლი მტერად წასულიყო პაერში. უნივერსიტეტისკენ გაიხედა, წარმოიდგინა თავისი თავი, როგორ გამოივლიდა საღამოს ამ ქუჩაზე და როგორ დადგებოდა უნივერსიტეტთან.

„მინც როგორ იგრძნო გურამმა?.. საოცარი ყნოსვა აქვს... დაებრმავდი მაშინ? რატომ მეჩვენა თამილა ულამაზო? ალბათ ტირილმა შეუცვალა სახე, ანდა თვალი ვერც მოგკარი ხეირიანად“.

ძველი საკლასო ქურნალი ჯაბამ ხელში შეატრიალ-შემოატრიალა. იმედი ვერ

გაუმართლა ამ ეურნალმა, მაგრამ რა საშუალებები აქვს იმ ერთადერთი მოსწავლისაგან, — 206 სკოლის 10-ბ კლასის ყოფილი მოწაფეებიდან არცერთი ვაჟი აღარ არის ცოცხალი, ყველა ფრონტზე დაღუპულა, ყველა — უკლებლივ...

ექვს საათამდე ბევრი დრო იყო დარჩენილი.

„პროფესორი რურუა! — გაუელვა ჯაბას, — ბარემ ახლა მივალ, რატომ გადავდო? ისედაც მისაყვედურა ბატონმა გიორგიმ“.

გიორგიმ უთხრა — „პროფესორი რურუა ლონდონიდან ჩამოვიდა, ქირურგთა სიმპოზიუმზე იყო მიწვეული. ინტერვიუ ჩამოართვი... ერთი ფოტო და სამი-ოთხი გვერდი ტექსტისა...“

სასწრაფო დახმარების საავადმყოფოს შესასვლელში მოხუცმა კარისკაცმა შეაჩერა.

— რედაქციიდან ვარ, რურუას ნახვა მინდა! — განუმარტა ჯაბამ.

— პროფესორი დილით იყო და წავიდა. ან ინსტიტუტში იქნება ლექციებზე, ან — შინ.

— დაურეკეთ თუ შეიძლება! — ჯაბამ ტელეფონზე მიუთითა.

— მე? — შეეშინდა კარისკაცს და ორივე ხელი შეერღზე მიიგრინა.

— შე დაურეკავ.

— ოღონდ არ უთხრა, რომ ჩემგან რეკავ... შე კაი კაცო, — მოაგონდა უცებ, — აგერ ცხოვრობს, ას ნაბიჯზე, კრილოვის ორმოცდაერთში, პირდაპირ მისუღიყავი!

ჯაბა ქუჩაში გამოვიდა.

— ახლა იქნებ სადილობენ, უხერხულია. — დაწია კარისკაცმა, მერე დაუმატა, — არ უთხრა, რომ მისამართი მე მოგეცი, გესმის?

— ვეტყვი... აბა, საიდან გავიგებდი? — გაულიმა შორიდან ჯაბამ.

კარისკაცსაც გაულიმა და დამშვიდებული, საავადმყოფოში შეიშალა.

ფართო, თითქოს სტუმრების შესაგებებლად მკლავებგაშლილი თეთრი მარმარილოს საფეხურები სწრაფად აირბი-

ნა ჯაბამ. „ექიმი მ. რურუა“. მწერა ყვითელი ლითონის ფირფიტაზე: „დიდხანია აქ ცხოვრობს“, გაფიქრა ჯაბამ და ხარი დარეკა.

კარი თავსაფარწაქრულმა ხნიერმა ქალმა გააღო, ხელში „მასტიკით“ შეყვითლებული ჩვარი ეჭირა. ჯაბას ბენზინის სუნი ეცა.

— პროფესორს შევლ საათიდან აქვს მიღება.

— შინ არის? — გაეხარდა ჯაბას.

— კი, მაგრამ...

— მე პაციენტი არა ვარ, რედაქციიდან ვარ...

— არ ვიცი, — მხრები აიჩეხა ქალმა. — მოითმინეთ!

ჯაბა მარტო დარჩა. დერეფნის გასწვრივ სკამები იყო ჩარიგებული, ბოლოში მრგვალი, წითელი ზის მაგიდა იდგა, ზედ — საფერფლე, წყლით სავსე გრაფინი და ჭიქა-მოპირდაპირე კედელზე ელექტრომრიცხველი ხრიალებდა, თავქუდმოვლებული გარბოდა თეთრი ღისკო. სანამ ჯაბა ექვსნიშნა რიცხვს ამოიკითხავდა, უკანასკნელი ციფრი 3,4-ით შეიცვალა, ალბათ ყველაფერი ჩართული იყო; უთო, ელექტროლუმები, ალბათ დიდი ოჯახი ჰქონდა პროფესორს.

ჯერ ის თავსაფარწაქრული ხნიერი ქალი გამოვიდა კაბინეტიდან, მერე — მალალი, ლამაზი კაცი. გზადაგზა პიჯაკის ღილებს იკრავდა. ჯაბამ გაულიმა, გრძელი ნაბიჯი წადგა და ხელი ჩამოართვა.

— მობრძანდით, მობრძანდით, — კაბინეტის კარისკენ გზა გაუთავისუფლა პროფესორმა რურუამ. — კატია, თუ დრო გაქვთ, ჩაავდეთ ეს წერილი საფოსტო ყუთში, — მიმართა ქალს და კონვერტი გაუწოდა.

— ახლავე?

— კარგს იზამდით... მობრძანდით!

— ვერ მიცნო“, — გაფიქრა ჯაბამ და კაბინეტში შევიდა.

დიდი მაგიდა იდგა. ზედ ოთხკუთხა სვეტებზედ წიგნები იყო დახვევებული. იატაკზეც მიეყარა-მოეყარათ წიგნები, ჭერამდე ასული თაროები ნახევრად და-

ეცარიელებინათ. მაგიდის უკან, კედელზე, პროფესორის დიდი პორტრეტი ეკიდა.

— მაპატიეთ, არეულობაა, — თქვა პროფესორმა და ჯაბას სკამი დაუდგა მაგიდასთან, — გადაეწყვიტე ჩემი ბიბლიოთეკის გაცრა, ბევრი წიგნი მოძველდა. ვათვალიერებ აგერ, მაგრამ გადაყრა შენანება.

— ძველი მეგობრებივით გიყვართ! — ჩაუბრუნა ჯაბამ.

— უფრო სწორად — ძველი მასწავლებლებივით... თქვენ რომელი რედაქციიდან ხართ?

— ქურნალ „განთიადიდან“... მაპატიეთ, რომ ასე...

— ო, ეგ გამოწერილი მაქვს, კარგი ქურნალია, თქვენს რედაქტორსაც ვიცნობ, თბილისშია ბატონი ვიორგი?

— დიხ. მაპატიეთ, რომ ასე გაუფრთხილებლად მოვედი.

— მოიკითხეთ ჩემგან!

„აღარ ვახსოვარ, აღარც ის ლექსები ახსენდება“.

დერეფანში ნაბიჯების ხმას მიუგდო ყური პროფესორმა.

— ერთი წუთით! — წამოდგა და კაბინეტის კარი გააღო, — კატია, პლენარის პროსპექტზე გადი და იქ ჩააგდე, — მერე შემობრუნდა, იღიმებოდა, — ამ წიგნებს რომ ვეჭქავდი...

— დიხ, — მოსასმენად მოემზადა ჯაბა.

პროფესორი სავარძელში ჩაჯდა. მისი მალალი შუბლის ბრწყინვა წუთით ჩაქრა, როცა ხელი გადაისვა გრუზა თმაზე.

— ომამდე, 1940 წელს, შოფერი მომიყვანეს საავადმყოფოში, ოცი-ოცდაერთი წლის ბიჭი იყო. მაშინ ავლაბრის საავადმყოფოში ვმუშაობდი. თავის „ფორდიანად“ გადავარდნილიყო ხიდიდან. ელენთა ჰქონდა შენგრეული, ამოკეჭერი, — მიხეილ რურუა ისე ელაპარაკებოდა, თითქოს დიდხნის ნაცნობები იყვნენ. ყველაფერი იცოდნენ ერთმანეთზე, და ჭლივს, როგორც იქნა, ახალი ამბავი გაეგო, რომ ჯაბასთვის მი-

ეხარებინა. — დიდხანს იწვა ჩემთან/ის შოფერი. გაწერისას კაბინეტში შემოღობარა. მითხრა: „ეჭიშო, მე/შოფერზე ვარ და ახლა რომ წავალ, ისევ შოფერი ვიქნები... თუ როდისმე დაგვირდეთ ჩემი თავი და ჩემი მანქანა, შემატყობინეთ და მაშინვე თქვენთან გავჩნდები“.

მე მაგიდაზე ღია ბარათი მედო. ზედდავაწერე მისი მისამართი. ეს იყო 1940-ში, თექვსმეტი წელია მას შემდეგ, დღეს, წიგნებს რომ ვალაგებდი, უცრად გადმოცურდა ის ბარათი. დახვდეთ, გამოიკვირდა; რა არის, ვინ არის, ვისი მისამართია-მეთქი, მერე ყველაფერი გამახსენდა.

— და მისწერეთ? — დერეფნისკენ გაიშვირა ხელი ჯაბამ.

— მიეწერე! — თითები ერთმანეთში ჩახლართა და ცერები აათამაშა პროფესორმა, — ამ წუთში გავატანე. მოდი, ეცდი-მეთქი, და მიეწერე — რომ ზეგ დილით სოფელში მიმყავს ცოლ-შვილი, რთველზე მიმყავს-მეთქი, და ზუსტად ათი საათისათვის მოდი კრილოვის ორმოცდაერთში, მანქანა მჭირდება-მეთქი. ვნახოთ... — თვალები ანცი ბავშვივით აუელვარდა პროფესორს.

— თუ ისევ იქ ცხოვრობს, აუცილებლად მოვა.

— ვნახოთ. და თუ ომში არ დაიღუპა.

— ბატონო მიხეილ, შეიძლება დაგირეკოთ? ძალიან დამაინტერესა მაგ ამბავმა.

— სიამოვნებით. ან მე თვითონ დაგირეკავთ.

დუმილი ჩამოვარდა.

ჯაბამ საკორესპონდენტო ბლოკნოტი მოსინჯა ჯიბეში. წარმოიდგინა ზედ წარწერილი ტიპოგრაფიული ასოები: „ქურნალი „განთიადი“, ლიტმუშაკი“. ეუხერბულა, არ ამოვიღებო. გადაწყვიტა, შინ ჩაეწერა ყველაფერი.

— პატივცემულო მიხეილ, როდის ჩამოხვედით?

— ინგლისიდან? გუშინწინ ჩამოვფრინდი.

— ალბათ, ძალიან ნასიამოვნები ხართ.

— ძალიან... საინტერესო ქვეყანაა! შესანიშნავი ხალხია!

— მეც მიყვარს ეგ ხალხი. ინგლისის ისტორია ლიტერატურა — განსაკუთრებით...

— ძალიან საინტერესო ქვეყანაა, — გაიმეორა მიხეილ რურუამ.

— ახლა, ალბათ რა არ ვიდვათ თვალწინ, როცა მაგ სიტყვებს ამბობთ.

— ბევრი რამ. უფრო მეტი — კარგი. მაგრამ ცუდიც, სამწუხაროდ.

— ამბობენ, პოლიტიკური ინგლისი ქირურგიული ოპერაციისათვის ემზადებაო, — გაიღიმა ჯაბამ და თავისმა მაღალფარდოვნებამ გააოცა.

— რა ბრძანეთ? — სავარძლიდან წამოიწია პროფესორი.

— უნდათ, სუეცის არხი მოჰკვეთონ გეგიპტესო! — ჯაბამ იგრძნო, რომ ამ მედიცინურ ლექსიკაში იყო რაღაც ბუნდოვანი და მაიმუხი და მოკიდებულვება პროფესორის ავტორიტეტის მიმართ, თითქოს ცდილობდა, როგორმე ესაიამოვნებინა მასპინძლისთვის, მის ენაზე ელაპარაკნა.

— ჰოო, — მიხვდა რურუა და ისევ სავარძელზე გადაწევა, — უნდათ მოკვეთა, მაგრამ პაციენტი სასტიკი წინააღმდეგია ოპერაციის. ამ შემთხვევაში კი როგორც ცნობილია, ქირურგს ჩარევის არავითარი უფლება არა აქვს.

— მაინც ერევა!

— ეს ისჯება საერთაშორისო კანონით. ამას გარდა, თუ თქვენს ანალოგიებს გავყევებით, — თქვა პროფესორმა და ჯაბას შეხედა. ჯაბა უხერხულობისაგან აიწურა, — თუ გავყევებით თქვენს შედარებას, ინგლისი და საფრანგეთი, აგრეთვე, ისრაელი, აპირებენ ჯანსაღ სხეულს მოკვეთონ ჯანსაღი ორგანო და, ასე ვთქვათ, საკუთარ სხეულზე გადაინერგონ. ასეთი ცდები კი მედიცინაში, ჭერჯერობით, მარცხით მთავრდება, და მე მგონი — პოლიტიკაშიც.

— ბიოლოგიური შეუთავსებლობა! — თქვა ჯაბამ.

— დიახ. ამ შემთხვევაში კი — სოციალური შეუთავსებლობა... ბუნება ძა-

ლიან ჯიუტად იცავს თავის შემუშავებულ და დადგენილ კანონებს. ხუმრობა ხომ არ არის, მილიონი წლებში მანძილზე ერჩია, გადაერჩია, მილიარდობით ცდა ჩაეტარებინა, რომ ერთი ყველაზე რაციონალური ვარიანტი მიედო და საკუთარი უკვდავება უზრუნველყო. ახლა ასე ადვილად ვერ დათმობს! აბა, წარმოიდგინეთ, რომ ადამიანის სხეულმა ყოველგვარი წინააღმდეგობის გაუწევლად, უმტკივნეულოდ შეითვისოს სხვა ადამიანის რომელიმე ორგანო, თირკმელი იქნება ეს, კიდური, თუ რაც გნებავთ, მაშინ ხომ ასევე წინააღმდეგობის გაუწევლად შეითვისებდა ყოველგვარ ბაცილას, ვირუსს, მომავდინებელ მიკრობს, კაკობრიობას თავისი გაჩენის პირველივე წლებში გაანადგურებდა ათასგვარი სენი. ეტყობა, ასეა საზოგადოებრივ წყობილებებშიც; თუ შენ უცხო ხარ შენი ხალხისთვის, თუ მის იდეალებს არ ემსახურები, ერთი სიტყვით, თუ სხვა სოციალური სხეულიდან ხარ გადმონერგილი, ვერ გაიხარებ მის მიწაზე, ვერ აყვავდები.

— ბატონო მიხეილ, ხომ არ უნდა ვიგულისხმო, რომ თქვენ წინასწარ განწირულად თვლით ყოველგვარ ცდას, ადამიანებს შორის ბიოლოგიური შეუთავსებლობის გადალახვისკენ მიმართულს?

— არა, მე მწამს, თუ ბუნების კანონების შესწორებას ცდილობ იმისათვის, რომ ადამიანის სიცოცხლე და, საერთოდ, სიცოცხლე, გაახანგრძლივო, ბუნება ამის გამო „არ გაგიბრაზდება“ — შენ მის საქმეს აკეთებ. თუმცა შეიძლება არც არაფრით დაგეხმაროს.

— მე მგონი, „გაბრაზდება“, ბატონო მიხეილ, მან ხომ, როგორც თქვენ ბრძანეთ, მილიონი წლების მანძილზე არჩია, არჩია, რომ რაციონალური ვარიანტი ამოერჩია? ახლა-როგორღა დათმობს?

— ვის უნდა დაუთმოს, ისევ თავისთვის — ადამიანს — საკუთარ შემოქმედების უმაღლეს ქმნილებას; მაგრამ მზამზარეულ ფორმულებს როდი აძლევს. დაე, ადამიანმა იწვალოს, რადღი

იღინოს, ათასი გზა მოსინჯოს და მხოლოდ მერე ამოხსნას საიდუმლო, მაშინ თვითონაც გაიზრდება ადამიანი, კიდევ ერთი საფეხურით ამაღლდება. გონებრივი პროგრესი კი საბოლოოდ ისევ სიცოცხლის უწყვეტ მდინარებისთვის არის გამიზნული. ასეთია ბუნების მუდმივი ალგორითმი, „მოაზროვნე მანქანა“, რომელიც არა მხოლოდ ქმნის თავისთავს, ავითარებს კიდევაც. მაგრამ თუ ადამიანს, ამ უმაღლეს ქმნილებას, კეუა ელჩო და საფრთხე შეუქმნა სიცოცხლეს დედამიწაზე, მაშინ... აი, მაგალითად, ატომგული, ადამიანის გენიამ შეძლო მისი დაშლა. მაგრამ როგორც კი საზარელი ბომბები დაამზადეს...

— მაშინ? რა ქნა მაშინ ბუნებამ? — უნებურად გაეღმა ჯაბას.

— მაშინ ბუნებამ ყველა ალყაფის კარზე დახატა წრე! — პროფესორმა საჩვენებელი თითი დაატრიალა პაერში. — წრე?!

— ხომ გახსოვთ „ალი-ბაბა და ორმოცი ყაჩაღი“. ალი-ბაბას მოკვლა უნდათ. მეთაური ერთერთ ყაჩაღს გააგზავნის ქალაქში, ალი-ბაბას სახლი რომ იპოვოს და მერე ღამით თავს დაესხნენ ყველანი. კითხვა-კითხვით ყაჩაღი მიაგნებს ალი-ბაბას სახლს და სხვა მის მსგავს სახლებში რომ არ აერიოს, ალყაფის კარზე ცარცით წრეს შემოხაზავს. ალი-ბაბას ერთგული მსახური ქალი შეამჩნევს ამ წრეს, მიხვდება, საკაცოდ არ არის გაკეთებულიო, და იმ ქუჩის ყველა ალყაფის კარზე დახატავს ცარცით წრეებს. ღამით მოვარდნილი ყაჩაღები ნახავენ ამას და პირში ჩალაგამოვლებულები დარჩებიან. ვეღარცერთ სახლს ვერ დაესხმებიან თავს. ალი-ბაბა გადარჩება.

— ახლა მივხვდი, რისი თქმაც გინდოდათ, — თავი დააქნია ჯაბამ. — პატრეცემულო მიხეილ, თქვენ ბუნება და ადამიანი თითქმის გააიგივეთ. მაშინ ადამიანის შექმნილი საზოგადოებრივი ფორმაციებიც ბუნების მიერ ჩაფიქრებული უნდა ვიგულისხმოთ.

— ლოღიკით ასე გამოდის.

— გააიგივეთ... მაგრამ ადამიანები რომ სწორად არაბუნებრივად იქცევიან? — ჯაბამ ხელებზე დაიხედა, ფოტოგამაძედავენებელი ხსნარით დაყვითლებოდა თითები.

— სამწუხაროდ, ძალიან სწორად.

— თვითონ რომ კარგად იცხოვროს, სხვას ვნებს, ქურდობს, ცრუობს. — ჯაბამ სიგარეტის კოლოფი ამოიღო და პროფესორს გაუწოდა.

— გმადლობთ, არ ვიწვევი.

— არც ეწეოდით?

— ორი თვეა, თავი დავანებე, ამიკრძალეს ექიმებმა.

— ერთმანეთსაც უკრძალავთ?

— ერთმანეთსაც, სხვებსაც, — პროფესორმა თვალი ააყოლა ჭერისკენ აკლავილ თამბაქოს კვამლს, — რაღაცას ამბობდით.

— არაბუნებრივად იქცევიან-მეთქი, ადამიანები; ქურდობენ, თვალთმაქცობენ, ფიქრობენ ერთს და ამბობენ სხვას. ბუნების შვილები კი ჰქვიათ.

— ბუნებამაც იმიტომ უკარნახა ადამიანებს საზოგადოებად გაერთიანება, რომ ეგეთი უკუღმართები ალაგმონ... ბუნებას ხელს არ აძლევს ადამიანთა მხოლოდ მცირე ჯგუფის კეთილდღეობა, მისი უპირველესი მიზანია, მთელი კაცობრიობა იყოს ბედნიერი. რომ სიცოცხლე რაც შეიძლება გახანგრძლივდეს დედამიწაზე, ანუ არასოდეს არ შეწყდეს.

— მაგრამ მთელი კაცობრიობა რომ არ არის ბედნიერი?

— ესე იგი, ბუნებას თავისი იდეალისთვის ჯერ არ მიუღწევია.

— ბატონო მიხეილ, — მოკრძალებას ამხელდა ჯაბას ხმა, — სულ არ ვფიქრობდი, რომ ამ თემაზე ვისაუბრებდი თქვენთან.

— არც მე!

— ტყუილად წაგართვით დრო.

— მე ასე არ ვფიქრობ.

— თუ შეიძლება რამდენიმე შეკითხვას მოგცემთ!

— ბრძანეთ!

— თუ გახსოვთ თქვენი პირველი ოპერაცია?

— მე ლენინგრადში დავამთავრე უმაღლესი სასწავლებელი. ჩამოვედი საქართველოში, რაიონში გამანაწილეს, მე თვითონ მოვიტხოვე იქ წასვლა, ჩემს მშობლიურ სოფელში...

დერეფნიდან ბავშვის ტირილი მოისმა. პროფესორმა მიაუბრა. „მამა, მამა...“ — სლუკუნებდა ბავშვი.

— ნანა... რა დაემართა?! — წამოღვა მიხეილ რურუა, მაგრამ სანამ კარს მიაღწევდა, კაბინეტში პატარა ვოგონა შემოკუნცულდა. აწითლებული ლოყები ცრემლით ჰქონდა სველი, ცხვირს წარა-მარა ასრუტუნებდა. საჩვენებელი თითი წინ გამოეშვირა. როცა ჯაბა დაინახა, ერთბაშად შეწყვიტა ტირილი, ცნობისმოყვარეობით ათვალა იერა უცნობი, მერე ისევ მამას მიუბრუნდა, თითი მაღლა ასწია და გულდათუთქულად შესჩივლა:

— თითი გამეჭრა, თითი გამეჭრა ვა-იი! — და ჰირვეულად აბააკუნა ფეხები იატაკზე.

ვოგონას სიცილ-სიცილით შემოჰყვა სათვლიანი, შავგვრემანი ქალი, ხელში ბინტი და მაკრატელი ეჭირა.

— რა ვქნა, მიშა, გინდა თუ არა, მამამ შემხივოსო, — თქვა ქალმა, მერე ჯაბას თავი დაუბრა.

— აბა, მიჩვენე, შე უშმაკო, — მიმართა პროფესორმა. ნანას ერთ ციკქნა, კვირტივით ნორჩ თითზე სისხლის წითელი შივი კიაფობდა, — ისევ აიღე შპრიცი ხომ?

— არა-ა, გიტარაზე ვიჩხვლიტე-ე!

— არაფერია წადი და დედა შეგიხვევს, მე არ მცალია, — თავზე გადაუსვა ხელი შვილს.

— დედამ არ იცის, არ იც-იის...

ჯაბას გაეცინა.

— ძნელია პოპულარობა. — გაიხუმრა პროფესორმა.

— მიშა! — თქვა სათვლიანმა ქალმა და ჯაბას გადახედა, — წამოიყვანე სტუმარი, სადილი მზადაა. წამობრძანდით!

— გამდლობთ, — ჯაბამ საათზე დაიხედა, — მეჩქარება!

— პატარა საქმე გვაქვს და მრგვალი, — უთხრა მიხეილმა.

ქალი გავიდა.

— ჯო, რას ვამბობდი? ჩემს სოფელში დავიწყე მუშაობა-მეთქი, — პროფესორმა თითი შეუხვია ნანას — წადი ახლა, ხელს გვიშლი!

— ეეს? მარტო ეეს?! — დაიწუნა ნანამ, — აქ? — და მაჯაზე თითები შემოისალტა.

— მერე ვეღარ ითამაშებ, ხელი ვაკავებული გექნება.

— ვითამაშებ!

მიხეილმა ხელახლა გადაახვია ბინტი, მერე თითებს შორის გაუტარა და მაჯაზე შემოუჭირა, განასკვა, მაკრატლით მიაჭრა.

— ახლა?

ნანა მოხიბლული შეჰყურებდა ბინტით შეთეთრებულ ხელს, თითქოს რაიმე ახალი სათამაშო იყო. დაზრიალდა და ხელაწეული ვაგარდა დერეფანში.

— ჯერ ხომ არ გვესადილა და მერე...

— გამდლობთ ბატონო მიხეილ, მართლა მეჩქარება, — დასადასტურებლად ჯაბამ ისევ დაიხედა საათზე.

— ერთი სიტყვით, როცა სოფელში დავიწყე მუშაობა ჩემი ოცნება, ჩემი პირველი ამოცანა ის იყო, რომ ხალხს, ჩემს ხალხს, სოფლის ნაცნობ-მეგობრებს, ნათესავებს, — რომლებთანაც ბავშვობა მქონდა გატარებული, მათთან ერთად თოხით მიმუშავნია. წისქვილში წავსულვარ, ზურგზე ტომარაა-კიდებული, რომელთაც ახსოვდათ, თუ როგორ ვმწყემსავდი ღორებს, — დაეჯერათ ჩემი ექიმობა. დაწოლილიყვნენ ჩემს საოპერაციო მაგიდაზე, მოენდოთ თავიანთი სიცოცხლე ჩემთვის. ეს ძნელი მისაღწევი იყო, მაგრამ ცოდნამ და დრომ თავისი ქნა... პირველი ოპერაცია აპენდიციტი იყო უფრო რთულს დამწყებ ჩირურგს არ ანდობენ.

— ლელავდით?

— რა თქმა უნდა, თუ ექიმი გულგროლია, თუ არ ლელავს ოპერაციების

დროს. იგი ქირურგი არ არის, დანა უნდა დადოს და სხვა რამეს მოკიდოს ხელი. ლეღვა აუცილებელიცაა. თუ არ ლეღვა, არც უნდა გააკეთო ოპერაცია, ისევე, როგორც, პოეტმა არ უნდა დაწეროს ლექსი, თუ არ ალეღდა...

— რომელი იყო თქვენი ყველაზე რთული ოპერაცია? — სასწრაფოდ მივაგება ახალი შეკითხვა ჯაბამ.

— ურთულესი ოპერაციებიც კი მეტად მარტივია, რადგან მარტივი წვრილმანებლისგან შესდგება. თუ ეს წვრილმანები იცი, თუ იცი სად გაჭრა, როგორ გაჭრა, რამდენზე გაჭრა, როგორ გაკვანძო ძაფი, რა ინტერვალით ამოკერო, მაშინ ოპერაციაც გაადვილდება, რადგან ესაა სწორედ ოპერაცია. ამ წვრილმანების შეთვისება გაკეთებინებს დიდ საქმეს — სიცოცხლეს უნარჩუნებ ადამიანს... — რურუა ლაპარაკობდა და თან წიგნებს ალაგებდა მაგიდაზე.

ჯაბამ ფოტოაპარატი ამოიღო. ადგა და ფანჯრის ფარდები გადასწია.

— თქვენ განაგრძეთ, ბატონო მიხეილ, მე ვისმენთ! — და აპარატი თვალთან მიიტანა.

ჯაბა უნივერსიტეტის ბაღში იჯდა და მრგვალ ელექტროსაათს შეკუთრებდა. ექვსი სრულდებოდა. დიდი ისარი ნელ-ნელა იმართებოდა წელში, თითქოს უზარმაზარ ტვირთს ეწეოდა მალა. ბუნდოვნად ჩაესმა ხარის ხმა. ლექციის დამთავრების მაუწყებელი. შეეშინდა, ვაი, თუ ახლაც ვერ ვიცნო თამილაო. უკვე დიდიხანია გამოუტყდა თავის თავს, რომ მხოლოდ ბოდისის მოსახდელად არ უნდოდა თამილასთან შეხვედრა; რაღაც გამოუცნობ მიზეზს გაელვივებინა გადაულახავი ცნობისმოყვარეობა. ლუდანას, რა თქმა უნდა, ეტყვის, უამბობს, როგორ გაეცნო, როგორ ახადა პირბადე და მერე როგორ დაეკარგა ის გოგო. სულ არ არის გასაკვირველი, რომ ხელმეორედ მონდომებოდა იმ გოგოსთან შეხვედრა... ბოდისს მოუხდის, მით უმეტეს, ახლა,

როცა გაახსენდა და მიხვდა, რომ თამილა მისი სკოლისდროინდელი ნაცნობია. ლუდანას კი ეტყვის, როგორ უწყობდა პატარა თამილას ჯაბა... ღერეფანში ან სკოლის ეზოში რომ დაინახავდა, თამაშს თავს მიანებებდა და შორიდანვე გამოიქცეოდა, სუნთქვაშეკრული, აწითლებული. სიხარულისგან მომხიბვლელად დარცხვნილი, წელზე შემოახვევდა წვრილ მკლავებს ჯაბას და აღარ მოშორდებოდა. ხან ჯაბაც გაიქცეოდა მისკენ და ერთბაშად პაერში აიტაცებდა. „ჯაბა ხელმძღვანელო, დღეს გვაქნება შეკრება?“ „ჯაბა ხელმძღვანელო, კიდევ წავალთ ექსკურსიაზე?“

მერე აღარ ახსოვს, როდის დაიკარგა თამილა, რომელ წელს, უფრო სწორად, რომელ სასწავლო წელს. ეტყობა, ერთბაშად გაიზარდა და ვეღარ ცნობდა ჯაბა. თამილა კი ისევე მის გვერდით იყო, ისევე იმ სკოლაში, მაგრამ რცხვენოდა გამოცნაურება. ალბათ, ასე იყო, თორემ სად უნდა გამჭრალიყო ის ოქროსფერთმიანი გოგონა.

უნივერსიტეტის მალაღი, ზამბარიანი ხის კარი მიხურვას ვერ ასწრებდა. ზედიზედ გამოდიოდნენ სტუდენტები და ქუჩისკენ მოემართებოდნენ. ჯაბა თვალს აცეცებდა, თითქოს ვერ ამჩნევდა ვაეებს, მოდიოდნენ მხოლოდ გოგოები, მოკაყუნებდნენ მხოლოდ ქალის ფეხსაცმელები. „არ გამომეპაროს“, — შიშობდა ჯაბა. „შენგან დიდი კორექტორი გამოვიდოდა, რა ნიჭს ღუბავ!“ — დასციანის ბოლმე დეიდა ანიკო, რედაქციის კორექტორი, როცა ჯაბა გაპარულ შეცდომას აღმოუჩენს. „ახლა მე არ გამეპაროს შეცდომა, — ფიქრობდა ჯაბა, — აქ, სადღაც, კითხვის ნიშანმა უნდა ჩამოიაროს...“

— გამარჯობა, ჯაბა!

სანამ მოტრიალდებოდა, რაღაც სასწაულოდ, ბალმასკარადზე ყურმოკრული საცეკვაო მელოდია ჩაესმა, მებსიერებას შეენახა იგი და თორმე შესაფერწუთს ელოდებოდა. შემობრუნდა და მელოდია გაჭრა, გაჭრა ირგვლივ ხეები, შენობები. ადამიანები და ყველაფერს

გადაეფარა ჯაბას წინ ამოსული პატარა, კაშკაშა მზე, ორ ნაცრისფერ ლაქას რომ ახამხამებდა.

ეს თამილა იყო. იმხელა ბედნიერება იღდა ჯაბას წინ, არც მოსვლია ახრად შეიძლება სხვა არის ვინმეო.

— ჯაბა! — ისე თქვა თამილამ, თითქოს ჰკითხეს; აბა, თუ გამოიცნობ, ვინ არის ეს კაციო, და გამოიცნო. იგი შეპყრებდა ჯაბას, თითქოს მის თვალბეში, მის დაძაბულ ღმილში ეძებდა რაღაც დაკარგულს, მივიწყებულს, ეძებდა დაყენებით, მაგრამ ფრთხილად და შეშინარევად.

— თამილა... — წაიღუღლულა ჯაბამ, — ახლა გიცანი.

თამილამ თავი დააქნია, თითქოს დიდი სიხარულით შეუხდო დანაშაული.

— ჰგავხარ იმას... პატარა თამილას.

— მაშინ?

— მაშინ არ ჰგავდი, სიბნელე იყო... ტიროდი.

— ჰო, ვიტყვ.

— არასოდეს არ იტირო... როცა სატირლად გექნება საქმე, შემატყობინე. ისეთ რამეს გავაკეთებ, რომ...

— აღარ ავტირდები?

— ჰო, ასე გამოვისყიდი დანაშაულს.

— ყოველთვის შევატყობინო?

— არა, მხოლოდ ასი წლის მანძილზე.

— აუჰ, არ მინდა!

— გინდა იტირო?

— ასი წლის ბებერი არ მინდა ვიყო.

— როცა სულ აღარ იტირებ, აღარც დაბერდები.

როგორც თანდათან ხშირდება დიდი წვიმის წინ ჩამოვარდნილი ცალკეული წვეთები, ისე თანდათან ემატებოდა მათ საუბარს სიტყვები.

— როგორ დავბრმავდი, როგორ ვერ გიცანი მაშინ!

— ვერ მიცნობდი, ჯაბა. იმიტომ გავბედე შენთან თამამად მოსვლა, რომ დარწმუნებული ვიყავი, ვერაფრით ვერ მიცნობდი. და ვერც გიცანი.

— მაშინ რატომღა ატირდი? ხომ იმიტომ, რომ შეგეშინდა, მიცნოო.

— არა, — თვალეები მოჭუტა თამილამ. იგი ისევე ცნობისმოყვარეობით ათვალეირებდა ჯაბას. ჯაბა კი წაიჭრებოდა რა თმას ისწორებდა, — იმიტომ ვიტყვ, რომ შემეშინდა!

— ჰოდა, ხომ გეუბნები!

— იმიტომ ვიტყვ, რომ შემეშინდა...

— გაიმეორა თამილამ იმ ადამიანივით, რომელსაც ნათქვამი სწორად ვერ გაუგეს, და ჯაბას თვალი აარიდა.

ჯაბა მიხვდა.

თამილა ალაყაფის კარისკენ შეტრიალდა. ქუჩაში გავიდნენ. შემხვედრი ნიავი უბერავდა და ჯაბას ნესტოებს უამებდა თამილას მკრთალი და უცხო სურნელება. ჯაბას უკვირდა: რატომ არ მეკითხება როგორ მივაგენი, როგორ გამახსენდა ყველაფერი, ვინ მითხრა მისი ტელეფონის ნომერიო, თამილა წინ მიიბიჯებდა. თითქოს ცდილობდა გამველთათვის შეექმნა შთაბეჭდილება, რომ მარტო იყო. ანდა, იქნებ ყველა გამველს არ ეხებოდა ეს, იქნებ ვიღაც ერთი გამველის თვალისასახვევად აკეთებდა ამას.

მელიქიშვილის ქუჩა გადასტრეს და ღვინის ქარხნის გასწვრივ გაგებულ ფართო ფილაქანს გაჰყვნენ. გაჩუმებულიყვნენ. ახლა უნდა დაბადებულყო სიტყვა, ყველაზე მამაციური და ყველაზე გულწრფელი. და გაენგრია ეს უკუნი სიჩუმე, რომ დანარჩენ მორცხვ სიტყვებისთვისაც გაენათებინა გზა. ახლა დემილის ერთ ზედმეტ წამს შეეძლო ციკად დაეშორებინა ისინი. თითქოს სიჩუმის ციკ გუნდას შიგნით მოყოლილიყვნენ, გუნდა მიგორავდა და სწრაფად იზრდებოდა.

— თამილა! — ჯაბამ ხელი გამოსდო მკლავში.

ქარდაკრული ნაკვერჩხლებივით ამოანათა თამილას თვალბეში.

— ჰო...

— მოდი, იცი რა... მოდი, მე შენი მამა ვიქნები!

ეს უმეცრული სიტყვები იყო, მაგრამ ისინი გამოიწვია სკოლისდროინდელმა მოგონებამ, როცა ასაკში განსხ-

ვაგება მათ შორის ძალიან თვალსაჩინო იყო, და უხებრბულობამ, რომ ეს თვალსაჩინოება დღესაც უცვლელი რჩებოდა. ეს გამოიწვია კიდევ მფარველობის ინსტინქტმა, კაცს რომ აღეძვრება ხოლმე ლამაზ და უმწეო ქალის მიმართ.

— უჰ, რა კარგია! — გაიციინა თამილამ.

— ვითომ მე შენი მამა ვარ...

— მე კი შენი უმცროსი ქალიშვილი.

— უმცროსი?

— იმიტომ, რომ მე და მყავს, ჩემზე უფროსი.

— არა, მე მარტო შენი მამა ვიქნები, მხოლოდ შენი.

— კარგი.

— და თუ ვინმე რამეს ვაწყენინებს, მითხარი და მე ვიცი.

— კარგი, აუცილებლად გეტყვი.

— და თუ რამე დაგვირდეს, მითხარი და გიყიდი.

— რა კარგია! — ხელები გაშალა თამილამ. — რას მიყიდი?

— რა ვიცი. გიყიდი დაბურულ ტყეც, ანდა გამოქვაბულს. იქ აღარ შემრცხვება მოსვლა და შენი ნახვა.

— რატომ უნდა შეგრცხვებს?

— ხომ არაფერ არ იცის, რომ მე ამოდენა შვილი მყავს, რომ ვმალავ ამას?

— ჰო, სულ დამაფიქვია. და კინოშიც წამიყვან ხოლმე?

— წაგიყვან, თუ არ მოგებზრდება სულ მამასთან სიარული, — ისე ნაღვლიანად თქვა ჯაბამ, თითქოს მართლაც თამილას მამა იყო და გული სწყდებოდა შვილის გულგრილობის გამო.

— რა აბალავარდა მამა შეყოლება! ჩემი ამხანაგები გაგიყდებიან... აღბათ ყველას შეუყვარდები!

— არა, მე მარტო შენი მამა ვიქნები! შენ იქნები ჩემი ქალიშვილი?

— კი.

— ყველაფერს დამიჯერებ?

— რა ვიცი! — თამილამ მომხიბვლელად გადააქნია თავი და ქვემოდან ამოხედა ჯაბას, — საერთოდ, ივარგებს,

რომ ყველაფერი დაგიჯერო? აღარ ვიქნები საინტერესო შვილი.

ქუჩა თანდათან უჩინარდებოდა. საღამოს ბინდში და თანდათან ანმარტოვებდა ჯაბას და თამილას. თითქოს ყოველი მხრიდან იკუმშებოდა ქალაქი. ბოლოს სულ დაატარაჲდა და ფილაქნად იქცა. და ეს ფილაქნადქცეული ქალაქი ყოველი ნაბიჯის გადადგმასზე ფეხქვეშ ევებოდა მათ. და სწორედ ამ დროს ჩაირთო ქუჩის ყველა ლამპიონი. და ფილაქანი გაიქცა, უსახლგროდ შორს წავიდა, მომოიფანტა. და გზადაგზა დაბეჭდა თავისი შავაფეხი ფილაქნები, ქვის სახლები, ქუჩები, ტრამვაის ლაპლაბა ლიანდაგები. ქალაქი ელექტროობამ ჩაიბარა.

— ფეხით წავიდეთ?

— იცი, რა შორს ვცხოვრობ?

— ვიცი, ვოგოლის ქუჩაზე!

— ჰო, მართლა! — თამილა შეჩერდა, — რატომ არ მიამბობ, როგორ...

— ვიამბობ, — ჯაბას ესიამოვნა, მაგრამ თამილას ხმამ არ აგონობინა ის დიდი ინტერესი, რომელსაც მოელოდა, — თამილა, აი, ამ ქუჩაწლის წყალობით ვართ ახლა ერთად. ეს რომ არ ყოფილიყო...

დაწერილებით უამბო ყველაფერი — სხვენზე საკლასო ქუჩაწლის პოვნამ და თხუთმეტი წლის წინანდელი მოსწავლეების გვარებმა, როგორ გაუჩინა სურვილი მათი გაცნობისა და ნარკვევის დაწერისა. როგორ მოუწონა ეს აზრი რედაქტორმა და დიდიხნის დაყოვნების შემდეგ, როგორ მივიდა ქალაქის ცნობათა ბიუროში...

ორი დღის წინათ ჯაბამ ძველი საკლასო ქუჩაწალი აიღო და ქალაქის ცნობათა ბიუროში მივიდა. სიიდან ალაღბელზე ამოარჩია ორი მოსწავლე ვაჟის გვარი და მათი მისამართების დაძებნა მოითხოვა. ნახევარი საათის ლოდინის შემდეგ მალლა აიწია სწორკუთხა ხის საარკმელი და წითელი ლაქით შეღებილმა ხუთმა ფრჩხილმა გამოანათა.

— არცერთი არ აღმოჩნდა, გენაცვალე! — მოესმა უღარღელი ხმა. საარკ-

მელი დაიხურა, გარედ დარჩა ქალაღ-
დი, რომელზეც ყოფილი მოსწავლე-
ების გვარები მელნით იყო გადახაზული.
„არჩილ შიშნიაშვილიც ასეა გადაშლი-
ლი ეურნალში!“ — გაახსენდა და შე-
შინდა. სადღაც აქვე იყო ის შიში; ეურ-
ნალში, იმ ქალის ხმაში, თუ ხის სარკ-
მლის მიღმა, არქივის დამტვერილ თა-
როებზე. ქალადი გადმოაბრუნა, ეურ-
ნალიდან ალაღებდნენ ამორჩეული კი-
დევ ორი გვარი და სახელი დააწერა
ზედ. „თუ გაბრაზდება, გაბრაზდეს!“
— გაიფიქრა და ფრთხილად დააკაუნა
სარკმელზე.

სარკმელი მაშინვე გაიღო. წითელი
ფრჩხილები ჯერ ნაზად აიკლან-დაიკ-
ლანენ ჯაბას თვალწინ, მერე ერთბაშად
გაავდნენ, თითქოს უფრო გაწითლდნენ,
ბოლოს ისე სწრაფად გაივლეს, რომ
ერთ პატარა მუგუზულად იქცნენ.

და კიდევ ოცი წუთის ლოდინის შემ-
დეგ, ჯაბამ გაიგონა:

— არც ესენი არიან!

სარკმლის იქიდან ყრუდ ისმოდა:
„მაშის სახელები არ იცის და კიდევ
აქეთ მედავება, სულაც არა ვარ ვალ-
დებულნი...“

— სხვებზე აღარ გვიკითხავს? — თქვა
თამილამ.

— რაღას ვკითხავდი.

— მთელი სია უნდა მიგეცა.

— გამიჩიანურებდა.

— მერე რა ჰქენი?

— სამხედრო კომისარიატში მივედი,
რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატში.
თურმე პირდაპირ იქ უნდა მივსულიყა-
ვი.

— მერე?

ბიღზე შიპიჩებდნენ. ჯაბა მარცხენა
მხრიდან ამოუდგა, რომ ქარისთვის გა-
დაეღობა გზა თამილასაკენ. თამილამ
თავი ჩაღუნა და ჯაბას მიეკრო.

— მერე... არცერთი არ აღმოჩნდა
ცოცხალი, ყველა ფრონტზე დაღუპუ-
ლა... თერაპეტი ბიქი! კლასში მხოლოდ
ოთხი ვოგო ჰყავდათ... მზია გორდელა-
ძის მისამართი მომცეს. კავკასიის
ფრონტზე სანიტრად ყოფილა ომის

დროს. ძლივს გადარჩენია სიკვდილს.
დაპირილა, დამაზინებულა, მერე აღარც
ვათხოვილა.

მზია გორდელაძეს ხელები უთრთო-
და, შეუშინებლად უთრთოდა, მაგრამ
არ თითს შორის მოქცეულმა ეურნა-
ლის ყვითელმა ფურცელმა გასცა.

— ტარიელი... გაიოზი... ნოე მასწავ-
ლებელი... არჩილი, — ისე ბუტბუტებ-
და მზია, თითქოს ეურნალის სტრიქო-
ნებში ცოცხლად ზედავდა ყოველ მათ-
განს.

შუა ოთახში იღვნენ. მზიას ხის ჩოგა-
ნი შერჩენოდა ხელში. სამზარეულოში
იყო, როცა ზარის ხმა მოესმა და ჩო-
განი თან გამოჰყოლოდა. ჯაბამ ფრთხი-
ლად მოინაცვლა ადგილი და თავისი
განზრახვა რომ შეეწინა, სიგარეტი
ამოიღო, ასანთი გააჩხაკუნა, გააბოლა
და კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა — უკვე
ველარ ზედავდა მზიას ნაიარეე ლოყას,
საზარელ ღიმილივით ეურამდე არბე-
ნილ თეთრ ნაჭირილობებს. ახლა ქალის
გადარჩენილ პროფილს დასცქეროდა,
თვალის ღამაზ ჭრის, რომლის კუთ-
ხეში მსხვილი ცრემლი თრთოდა საყუ-
თარივე სიძიმისაგან.

— რას ვიფიქრებდი, — ამბობდა
მზია, — ამ ეურნალს თუ კიდევ ვნა-
ხავდი. შეხედეთ! — უეცრად გაუხალის-
და ხმა, — „მზია გორდელაძე — აღ-
გებრა — ფრ.“ მაინც საიდან მოხვდა
ეს ეურნალი თქვენთან?

— არც მე ვიცი არავად, ერთ ზაფ-
ხულს ვაგვიქირავებია ოთახი...

მზიამ ჯაბას შეხედა. მსხვილი ცრემ-
ლი გასკვდა და უპეზე ჩამოიღვარა.

— ომის დროს გერმანული ენის აზა-
ლი მასწავლებელი ჩამოვიდა ჩვენთან.
აღარ მახსოვს, რომელი ქალაქიდან
იყო. იქნებ მან დაიქირავა?

— გერმანულის მასწავლებელი? —
ჯაბამ ეურნალს ხელი წაავლო.

— ჰო, მაგრამ რატომ უნდა წაეღო
შინ ეურნალი?

ახლა ორივეს ეპირა ეურნალი, ჯაბა გამალებით ფურცლავდა.

— აი, აქ, სადღაც, მთელ კლასს, თითქმის მთელ კლასს ორიანები გაქვთ ჩამორიგებული გერმანულ ენაში. აი, აქ! რა რიცხვია? 1942 წლის 26 ოქტომბერი... რა მოხდა ისეთი, რომ...

მზიამ თავი მიაბრუნა, კაბის სახელოდან პატარა ხელსაბოცი გამოიძრო და ტუჩებზე მიიფარა.

— სულელები ვიყავით! — თითქოს თავისთავს გაუჩაგრდა, — დიდი სულელები! — მაგრამ გამომეტყველება არ ეფარდებოდა სიტყვებს; სველ სახეზე მოულოდნელად აყვავებული უადგილო ღიმილი თითქოს შორიდან შეხაროდა საოცნებო წარსულში ჩადენილ იმ „დიდ სულულეს“. ამოისლუქუნა, დამნაშავესავით ჩაიცინა: „მპატიეთ, თავს ველარ ვიყავებ“.

— ჰო... ჰოლა, ერთი ამხანაგი გვყავდა, არჩილ შიშნიაშვილი.

— ვიცი! — ჯაბამ ეურნალზე თითი დაჰკრა.

— ჩუმი, ჩუმი, ჩუმი... მაგრამ გადასარევი, ყველას ჯობდა კლასში. მოხალისედ გაიპარა.

— მოხალისედ? იმიტომ არ დადიოდა?

— კიდევ დაჰკრა თითი ეურნალს.

— და დაიღუპა...

— დაიღუპა! — სახტად დარჩა ჯაბა.

— მე მეგონა... ეურნალში რომ წაშლილი ვნახე, მეგონა, გარდაიცვალა-მეთქი.

— არა, დაიღუპა. პირველივე ბრძოლაში. და რასმა სიიდან ამოშალა! ჩუმი, ჩუმი... ყველას ჯობდა კლასში.

— რასი ვინ იყო?

— ჩვენი გერმანულის მასწავლებელი. მიხეილ რასი... და აჩიკო სიიდან ამოშალა, — კიდევ ერთი მსხვილი ცრემლი ამოიბურცა მზიას გუგიდან, — მთელმა კლასმა გაიგო. ეს. სხვა კლასელებიც აღარ სწავლობდნენ მის გაცვეთილებს. აღარც ესწრებოდნენ. პლაკატი გააქრეს დერეფანში: „მოილაღატე რასი, რასი ფაშისტი!“ მერე სკოლიდან წავიდა, თვითონ... მე მახსოვს, როგორ ჩადიოდა კიბეზე, ახლაც თვალწინ

მიდგას. ღირექტორი გაგვივებულე იყო, გვტყვიდა, გაცვეთილების შემდეგ კლასში გვტოვებდა მშვიერ-მწყურვალებს; რას შვეებით, როგორ ბედავთ, მასწავლებელია თქვენი, მართლა ფაშისტი ხომ არ არისო. მაგრამ რასი თვითონ წავიდა. საწყალს შიშმა გადმოალახვინა კავკასიონის ქედი, ჩვენ კი...

— სწორედ ამ დროს, — ჯაბა შეჩერდა, — სწორედ ამ დროს, თამილა, კარი გაიღო და მზიას უმცროსი და შემოვიდა, მარინე გორდელაძე!

— ჩემი ამხანაგია! — თქვა მშვიდად თამილამ, — მე ყველაფერი ვიცი, ჯაბა! — და გაიღიმა.

— ყველაფერი?! გიცნობთო, რო? მითხრა, თამილა თიქანაძისგან გიცნობთო, ჩემი ამხანაგისგანო, იცი?

— ვიცოდი, ჯაბა! მინდოდა შენგანაც მომესმინა, — თამილამ ვიტრინის შუქრეკლამის სწივებში გაიარა და მის თეთრ სახეზე გადაირბინა მკრთალმა, ვარდისფერმა ასოებმა, — დღეს მიაშბო მარინემ ლუქციებზე. გეწყენა?

— არა, მაგრამ...

— შენ ძალიან კარგად მიაშბე... ის მზია როგორ მეცოდებდა. იცი, რა კარგი ქალია?!

— მიგხვდები.

— დაინახე მისი სურათი კედელზე? ხომ ლამაზი ყოფილა?

— კი, დავინახე, თვითონ სულ ხელს იფარებდა ლოყახზე.

— ჩემთანაც იფარებდა პირველად, ვერც გრძნობდა ამას. მერე გადაეჩვიო. შენ რამე უნდა დაწერო მზიაზე?

— თუ შეგძელი. ეს კარგად უნდა დაიწეროს!

— როცა მზიას ვუყურებ, მგონია, ძვირფასი პორტრეტი ნახა ვიღაც გიჟმა და დაამახინჯა.

— მეც თითქმის ეგრე ვიფიქრე, სტინქის მივამსგავსე, ერთი ნახევარი რომ ომისა აქვს, მეორე — სიცოცხლის!

— აი, ეგ დაწერე!

— ეს ცოტა მაღალფარდოვანი გამოვა, პრეტენზიული.

— გამოვიდეს მერე, ცუდია პრეტენზია? თუკი ამართლებ.

— თუ ამართლებ, არ არის ცუდი. მაგრამ წინასწარ ვერ ხედები ხოლმე.

— უნდა მიხვდე!

— უფრო სწორად, ხედები, მაგრამ გეშინია, დარწმუნებული არა ხარ.

— აი, ეგ არის ცუდი! პრეტენზია კი არ უნდა იყოს ცუდი.

პლუხანოვის პროსპექტზე მიაბიჯებდნენ. თამილას უეცრად მოავონდა:

— გახსოვს სკოლის დერეფანში რომ დაეცი? გარბოდი. აპრილებულ იატაკზე ფეხი გაგიცურდა და ზურგით დაეცი. დაგეხევენენ მოსწავლეები, დიდხანს ვერ ამოისუნთქე, „დამანებეთ, დამანებეთ თავიო“, კვნესოდი, როცა შენს წამოყენებას დააპირებდნენ.

— არ მახსოვს.

— ფანქრით დაწერილი ნოტები რომ მომეცი? ჩემი გამოგონილი მუსიკააო, მითხარი. აბა, გაარჩიე შინ, თუ მოგეწონებაო.

— არ მახსოვს, თამილა, მერე რა ჰქენი, გაარჩიე? — ჯაბამ ყური მიუგდო საკუთარ ხმას, და უეცრად იგრძნო, რომ შებოჭილი იყო თამილას იდუმალი, სადღაც ღრმაღ ჩამალული მომხიბლაობით. ამ გოგოს სული ბრილიანტით მრავალწახნაგოვანი იყო, მაგრამ

რატომღაც უმაღავდა ჯაბას თვალისმომკრელ ბრწყინვას და უბრალოდ მუშად აჩვენებდა თავს.

— ჰო, გაეარჩიე, მარტივი მელოდია იყო, რალაცას ჰგავდა. დიდხანს მახსოვდა, კლიინებდი ხოლმე, მერე დამავიწყდა.

— ალბათ მაშინ გეხუმრე, ჩემი გამოგონილია-მეთქი.

— შეიძლება მეხუმრე და მე ვერ მიგხვდი, მართლა შენი მეგონა... ჯაბა, მე ახლა წავალ, — ხმა შეეცვალა უეცრად თამილას.

— სად? — გაუკვირდა ჯაბას და თამილას მზერას თვალი გააყოლა.

კინო „დამკვრელის“ წინ ბიჭები იდგნენ და მოურიდებლად იყურებოდნენ მათკენ.

— აუცილებლად უნდა წახვიდე?

— ჰო, ჯაბა.

— თუ... მე უნდა დაგმორდე აუცილებლად?

თამილა შეერთა.

— უნდა წავიდე, ჯაბა!

— იქნებ სხვას სურს, რომ...

— ვინ სხვას? — აღარ დაამთავრებინა თამილამ.

— რა ვიცი. ნახვამდის, თამილა.

— ნახვამდის, გმადლობთ, ჯაბა! — თამილა სწრაფად შებრუნდა და ხალხში გაერია.

სამსონი

სამსონი სიცილით იგუდებდა; რამ გაახსენა მაინც ეს შემთხვევა, ფატისთვისაც კი არ უამბნია. იქნებ არც დაეჭვრა ფატის.

ალიკატეში გამწვესეს რკინიგზის სადგურის მორიგედ, თბილისიდან გაემგზავრა აზერბაიჯანისკენ. ვაგონში დასაწოლი ადგილი ვერ მოიძია. დაჯდა კუთხეში, ხელებში ჭული ჩაიბლუჯა და მიეძინა. როცა გამოეღვიძა, ჭული ფულით იყო სავსე, ვერცხლისა და სპილენძის ფულით. ვისთვის დაებრუნებინა? ამდ-

გარიყო და ემტკიცებინა, რომ მათხოვარი არ იყო? უფრო სასაცილოდ გაუხდებოდა საქმე...

იცინის სამსონი, ისე ჩაბვირდა, ხმა აღარ ამოდის ყელიდან. „ამდენს რომ ვიციანი, რალაც მეწყინება“.

მართლა საწყენი ამბავი ახსენდება; 1914 წელი, და ჯარისკაცებით დატვირთული ეშელონი. ფრონტზე მიდიოდნენ საცოდავები. სამსონმა კი აღრე დაუპირა საიქიოსკენ გასტუმრება, უბრძოლველად და უტყვიოდ... რა წარმოსა-

დღეი ყმაწვილები იყვნენ, რა მოხდენი-
ლები! მათ შორის ზოგი ალბათ გადა-
ურჩებოდა იმ ომს, ამასაც. და ახლა სამ-
სონივით მიხრჩეული ბებრები იქნე-
ბიან. სამსონმა კი ყველანი კინაღამ გა-
ქუტა: სადგურის უფროსი ავად გახდა,
თანამემწე შვებულებში იყო წასული.
სამსონმა მაშინვე დებემა გაგზავნა სამ-
მართველოში, მარტო დავრჩი და თანა-
შემწე გამომიგზავნეთო. იმავე დღეს კი
არა, მეორე დღესაც ამაოდ ელოდა პა-
სუხს. კიდევ სამი დებემა გაგზავნა ზე-
დიზედ. სამმართველო დუმდა. ორმოც-
დარვა საათი ფეხზე იდგა და ფხიზლობ-
და სამსონი, იღებდა და ისტუმრებდა
მატარებლებს. ერთხელ კინაღამ შეით-
რია სადგურის წინ ჩაქროლილმა ორთქ-
ლმავალმა. ახლაც არ იცის, როგორ
ასწია ხელი კვერთხის გადასაცემად.
კანს მგრძნობელობა დაკარგვოდა, ეგო-
ნა, თანდათან ქვედებოდა და, სადაცაა,
ლოდივით დაენარცხებოდა მიწაზე.

მესამე დღეს, დილის რვა საათზე, ჩა-
ეძინა თავის მაგიდასთან, სამორიგო-
ში...

მეზობელ სადგურს დაურეკავს. აპა-
რატის გადართვას და სამხედრო ეშე-
ლონის მიღებას მოითხოვდა. სადგურის
დარაჯს, აზერბაიჯანელ მოხელეს, დათ-
ვური სამსახური გაუწევია; შესვლი-
ბია სამსონი და არ გაუღვიძებია. თეი-
თონ ულაპარაკნია მეზობელ სადგურ-
თან, თეითონ გადაურთავს აპარატი კვე-
რთხის გასათავისუფლებლად, გადაუყვან-
ნია ისრები, მესამე ლიანდაგის სემაფო-
რი გაუღია. მესამე ლიანდაგზე კი ორი
ვაგონი იდგა, ტვირთადნენ მღშეები...
ისრების წინ შეუძინებია სამხედრო ეშე-
ლონის მემანქანეს, რომ მესამეში ვა-
გონები იდგნენ... აუტეხავს განგაში.
სამსონს კი სიზმარში სახეშეშლილი
ადამიანის განწირული ყვირილი ჩაეს-
მოდა... და გამოეღვიძა. გაფთხრებულ
დარაჯს სილა გააწნა სამსონმა, მოხუცე-
ბულ კაცს გააწნა სილა... ვაგონებიდან
მხოლოდ რვა მეტრის დაშორებით შეს-
ძლო ეშელონის შეჩერება მემანქანემ.
გადმოკვიდნენ ჭარისკაცები, პოლკოვ-

ნიკი, ოფიცრები, სამორიგოში შეუ-
ვიდნენ სამსონს, ალბათ ჩაქოლაქდ-
ნენ, რა დაუშლიდათ ხელს, რა დაეც-
რად მაგიდაზე...

...იმ წუთში, რატომღაც, თვალწინ გა-
უელვა ბავშვობისდროინდელი ერთმა
სურათმა. ათი წლის იქნებოდა, შორაპ-
ნის სადგურთან სპილენძის დიდი ფული
დაუდო ლიანდაგზე მატარებელს და,
როცა შემადგენლობამ ჩაიარა, ფულზე
აღარც ორთავიანი არწივი იყო, აღარც
ნიკოლოზა. გასიფრთხანებულმა ფულ-
მა თითები დაუწვა. საოცარია, ახლაც
რომ გაახსენდა ეს შემთხვევა, ახლაც
რომ გაახსენდა, რას ფიქრობდა სამო-
რიგოს კუთხეში მიმწვედელი. გაცო-
ფებული ჭარისკაცებით გარშემორტყმუ-
ლი და შიშისგან პირგამომშრალი, რა
თქმა უნდა, ჩაქოლაქდნენ...

...რომ უეცრად მაგიდაზე რკინიგზის
ბატალიონის ოფიცერი არ შემხტარიყო
და არ ეყვირა. — Стойте, братья,
он не виноват, стойте! Я понял, что
здесь произошло!

იმ ოფიცერმა გადაარჩინა სამსონი.
ახლაც თვალწინ უდგას თუთუნის კვამ-
ლით გაყვითლებული მისი სქელი ულვა-
შები. მერე, ჭარისკაცების დახმარებით,
ჩიხში მიაგორეს ის ვაგონები... ეს კი
უამბო ფატის, ქორწინებამდე უამბო,
ჯერ ჯვარი არ ჰქონდათ დაწერილი... ეკ,
ფატი... როგორ მიატოვა სამსონი ამ სი-
ბერეში... „ფატი, გახსოვს სად ვიქორ-
წინეთ?“ „რავა არ მახსოვს, სამსონ!“
„გახსოვს ის ვაგონი?“ „თუ კაცი ხარ,
მაგი არავის უთხრა, თორემ სასაცილოდ
ავგიგდებენ“. „რატომ ფატი, რა არის
ამაში სასაცილო; ჩვეულებრივი ეკლე-
სიაა, მხოლოდ დადის აქეთ-იქით...“

ეკ, ფატი... რა დროს გამოეცალა! და-
სტოვა მარტოდმარტო ამხელა ქვეყანა-
ზე.

სამსონი თვალებს ახელს ბნელ ოთახ-
ში. უეცრად ახსენდება, რომ წუხელიც
გახილა თვალები, სიზმარში კი არა,
ნამდვილად გაახილა. და გაუკვირდა.
რომ ერთმანეთს მიდგმული, კედლების
გასწვრივ ჩამწკრივებული მაგიდები

ვერ დაინახა. „აღბათ უკანვე წაიღ-წა-
მოიღეს მეზობლებმა“.

ქუჩიდან მანქანების ხმა ისმის. გაჩი-
რალდებული უნდა იყოს ქუჩა. ასე
ცოტა ეძინა?! საღამოს შვიდ საათზე
დაბრუნდნენ სასაფლაოდან... მერე?
სულ აღარ ახსოვს სამსონს, როგორ
ავიდა კიბეზე. აღარც ჭირისუფლები
ახსოვს ამ ოთახში. რა დაემართა? ცუ-
დად შეიქნა, აღბათ, ფუჭ, სიბერეც!
უნდა გაეძლო, ფატის ხსოვნისა უნდა
დაეღლია... რა დროს მიატოვა!

„მართლა რატომ არ მახსოვს, კიბეზე
როგორ ამოვედი?“

სამსონს ქალის კისკისი ესმის. მეზო-
ბელ ოთახშია ვიღაც, აღბათ, ლიდაა.
„რა ვართ ადამიანები! ამ საღამოს გა-
ვასვენეთ და...“

ახლა კაცის სიცილიც აშკარად ესმის.
ყურების დაცობა უნდა სამსონს: რა
არის, ბოლოსდაბოლოს, მართლა მხეცე-
ბი ხომ არა ვართ, ამ დილით ჯერ კი-
დეც აქ ესვენა ფატის ცხედარი...

ახლა ლილინი წამოიწყო ქალმა.

ეს წარმოუდგენელია, ფატის ისე უყ-
ვარდა ლიდა! ეს დაუჭერებელია, იქ-
ნებ სხვა არის ვინმე. მაგრამ ვინც არ
უნდა იყოს... მოიცა, ისეე სიზმარში ხომ
არ არის სამსონი, მოიცა, აბა ვნახოთ...
ხელი ხელთან ვერ მიაქვს, ვერც ფეხებს
ანძრევს, თვალებს ახამხამებს მხოლოდ.
დამბლა ხომ არ დაეცა?! ეს ფიქრი თი-
თქოს ჩასაფრებული იყო სიბნელეში
და, როცა სამსონმა ახლოს ჩაუარა, ერ-
თბაშად შეჰყვირა, ააკანკალა ამხელა
კაცი!... მხოლოდ თვალებს ახამხამებს.
კიდევ?

სამსონი ღრმად ისუნთქავს ჰაერს, რა-
ღაც მადისაღმძვრელი ნამცხვრის სუნს
გრძნობს.

ფეხბლობს.

ამაში ეჭვის შეტანა არ შეიძლება.
სიზმარში არასოდეს არ უგრძენია რაიმე
სურნელება. უხერხულია, ახლა რომ
ლიდას დაუძახოს. შერცხვება ქალს, მი-
წაში ჩაძრომას ინატრებს. არადა, რა
უსინდისოდ ლილინებს, გაციება მაინც
ეცლია მკვდრისთვის!

— ლიდა! — ერთბაშად წამოენთო
სამსონი.

მაგრამ ყვირილის მაგივრად სიცილი-
ვი ხავილილა ამოეპარა ყელს. იქვე უნდა
მჯდარიყო ლიდა, ეს რომ გაეგონა. „სინ-
დისგარეცხილი მეც მკვდარი ხომ არ
ეგონივარ! მოვახსენებ მის ქმარს და სი-
ქას გააძრობს!“

ლილინი შეწყდა.

— ჯაბა, — თქვა ლიდამ, — შენ სა-
თს ვენდობი, იცოდე, არ დამავგიანდეს!
— მე არ მენდობი?

ეს ვილა არის? ვინაა ეს ჯაბა?

სამსონი კიდევ ერთხელ ათვალეოვებს.
ოთახს, ჰერს, კედლებს, რაღაც სურათი-
მოჩანს კედელზე, ქუჩიდან შემოსული
სინათლე ალაპლაპებს მის შუშას, სიწ-
სონი ვერ ამჩნევს სახეს, მაგრამ ხედ-
ბა, — ფატის პორტრეტია, მეზობლებმა
ჩამოკიდეს აღბათ. ორი ფანჯარა, ოი-
ვანზე გასასვლელი კარი. ეს მისი ბინაა,
მაგრამ ვინ არის ჯაბა?

თვალებს ხუჭავს. უნდა დარწმუნდეს,
რომ თვალეები ნამდვილად ღია ჰქონდა.
ურთიანშენას ამხავილებს. არაფერზე,
სულ არაფერზე არ იფიქრებს და ვნა-
ხოთ, თუ მაინც მოესმება ლაპარაკი.

— ეს სურათები არ ვარგა, ხელახლა
დაებეჭდა!

— რას ამბობ, ჯაბა, მე ძალიან მომ-
წონს!

— მართლა მოგწონს, დუდანა?

„დუდანა?“ ნამდვილად მძინავს. მე-
სიზმრება, მაგრამ ვინ იყო დუდანა?
ვინ იყო ჯაბა? რატომ არ მახსენდება
მათი სახეები? ვიცნობდი აღბათ ოდეს-
ღაც, მაგრამ როდის?“

— აი, ეს სურათი რომ მიმეტანა კი-
ნოსტულიაში, იმ მოსკოველის გადაღე-
ბული, გურამს სინჯი აღარც დასჭირდე-
ბოდა! — იცინის ლიდა.

„ლიდა კი არა, რა ჰქვია?... დუდანა!“

— დუდანა, მართლა მიდიხარ? ბიძია
ბენედიქტე გიშვებს? მე კიდევ არ მჯე-
რა, რომ მიდიხარ.

— სსუ, ბიძია ბენედიქტემ არაფერი
არ იცის, ვითომ ექსკურსიაზე მივდი-
ვართ ინსტიტუტიდან!

— ეგ არაფერი შეღავათია ჩემთვის.

— წავალ, ჯაბა, არ მინდა გურამს ვაწყენინო, რა მოხდა, თუ მართლა ერთი კვირა დასჭირდება მხოლოდ.

— „ერთ კვირაში“ არ არის საქმე!

— აბა?

— „ერთი კვირა“ არაფერ შუაშია!

— აბა, რა არის შუაში?

— მე ვარ!

დიდხანს ელოდება სამსონი ქალის პასუხს. „ალბათ ამის მეტი აღარ მახსოვს, ალბათ ოდესღაც მოვისმინე ეს ლაპარაკი, ასე ქურდულად მოვისმინე, ვერცერთს ვერ ვხედავდი ალბათ მაშინაც“

— შენ არ გინდა, რომ წაივად?

ბიჭოს! გაახსენდა სამსონს! ჰო, ასე თქვა ქალმა, შენ არ გინდა, რომ წაივადო? ფატიმ ხომ არ თქვა ეს? ნამდვილად ფატიმ თქვა.

... მე მგონი, ეგ შეკითხვა ზედმეტია, დუღანა.

— წავალ, ჯაბა, ძალიან გთხოვ...

„რა მომადუნებელი, რა ნებისყოფის მომშლელია ეს ხმა, განმთავრებელი... ამ თხოვნას კაცი ვერ გაუძლებს... ვერ გაუძლებს, თუ უყვარს...“

სამსონს ძილი იპყრობს. ერთბაშად ეხშობა სმენა. „ჰო, ოდესღაც ფატიმ თხოვა ასე; წავალო, ძალიან გთხოვ, წავალო, ფიქრობს სამსონი, მაგრამ ეს უკვე სიზმარისეული ფიქრია, სიფხიზლიდან ჩაყოლილი. ხანგრძლივ სიზმარს წუთიერი სიფხიზლე გადაება, მაგრამ ისეთი ნისლიანი, ისეთი უსიცოცხლო სიფხიზლე იყო ეს, რომ სამსონი ვერ მიხვდა ამ ქვეყნად დაბრუნებას და ისევ მოგონებების მდინარეში გადაეშვა. რა არ მოჰქონდა ამ მდინარეს; მოჰქონდა ხმები ადამიანთა და პირუტყვთა, ორთქლმავლის გრძელი შემადგენლობები და მემანქანეთა გამურული ლოყები, შოკურებდა თვითონ სამსონს, ათ, ოც, ას სამსონს. ხან ახალგაზრდას, ხან ხნიერს, გაღიმებულს, ხან განარსებულს. მიატივტივებდა ოთხწლიანი საწავლებლის წიგნებს და სემაფორის შუქით აწითლებულ ლიანდაგებს...“

ახლა ვაგონი მოაქვს, ვაგონის კარიდან საკმეველის სასიამოვნო სუნთქვამოდის..

მეზღოვნი

— დაეხვე ამ ფოტოებს! — ჯაბამ მაგიდაზე მიყრილ-მოყრილი სურათები მოხვეტა.

— რას შეეხები, ჯაბა, მეწყინება, იცოდე!

დაძაგრული, ერთი მკვეთრი მოძრაობისთვის შემართული ხელები თითქოს მჩვრად ექცა ჯაბას. დუღანამ სურათები გამოართვა.

— უჰ, აქ რა კარგად ვართ... ვინმეს ეგონება, რომ ჩვენთან მესამეც იყო ვიღაც.

— ეტყობა, მე ხელს ვეშლი აბარატს; ყველაზე კარგი ფოტო ჩემს დაუხმარებლად გადაუღია.

— არა, ესეც კარგია, ესეც, ჩანჩქერი სულ სხვანაირი ჩანს, უფრო დიდი, ვიდრე სინამდვილეშია. ეს რაღა არის? ეს როდის გადაიღე? ჯაბა, რა არის ეს?! აი, ამას მართლა დაეხვე, ვინმემ რომ ნახოს, ხომ...

ჯაბამ წაართვა ფოტოსურათი და დახედა. დუღანა თითქოს თან გადმოჰყვა წართმეულ სურათს, უნდოდა ისევე ხელთ ჩაეგდო, მაგრამ ჯაბა დაუხსლტა, სკამიდან წამოხტა.

— ჯაბა, ნუ უყურებ, ნუ უყურებ, თუ... თუ გიყვარვარ, ჯაბა, არ გრცხვენია? გთხოვ, მე ხომ გთხოვ!

— საოცარია, მე ეს არ შემომჩნევია, როცა ვებუქდავდი, — მხრები აიჩჩია ჯაბამ, — მაგრამ ნუ დახვე, შეინახე... რომ მოვინდომო კიდევ ათასს დაეებუდავ მაგისტანას. მაგრამ არ მოვინდომებ — გაჩუქდა და დაუმატა, — ეტყობა, ეს აბარატი დიდი ეშმაკის ერთია, ჩემზე მეტად აღტაცებულია მენით...

ეს სიტყვები აღწევენ ზამსონის საწოლამდე, და თითქოს ეძებენ მოხუცის ცნობისმოყვარე ურთასმენას, თითქოს ნანობენ, რომ მხოლოდ ერთი მსმენელი ჰყავთ ქვეყნად, მხოლოდ ის, ვისადმიც არიან განკუთვნილი...

სამსონს აღარ ესმის ახალგაზრდების

ხმა მეზობელ ოთახიდან, იგი გარბის ლიანდაგების გასწვრივ ფარნით ხელში და თავისთვის რაღაცას ბურღუნუნებს. ცივა. უკუნი დამეა. მხოლოდ იქ, სადგურიდან ორასი მეტრის მოშორებით, მოჩანს საფოსტო მატარებლის ბოლო ვაგონის წითელხალიანი კუდი. ისე ჩქარა ჩაიარა ამ საფოსტომ ბაქნის წინ, რომ სამსონმა კვერთხის გადაცემა ვერ შესძლო, და ახლა გარბის, რომ შემანქანეს კვერთხი გადასცეს და ერთი გულიანად შეუკურთხოს — ამ გადასარბენზე ხომ საფოსტოს ვაჩერება აკრძალულია... დიდ ბოდისებს ისდის მემანქანე, მაგრამ ბოდისი რას უშველის. მატარებელი მიდის, სამსონი უკან ბრუნდება და ხედავს დამეში სამლანდს, სამ ადამიანს, მილივლივებენ სადგურისაკენ.

სამსონის დედა აღმოჩნდა, სამსონის და და ფატი — სამსონის საცოლე. ფარანს მალლა სწევს გახარებული სამსონი, სათითაოდ ათვლიერებს ქალების სახეებს. თვალებს დაბლა ხრის ფატი, მორცხვად იღიმება.

— რა იცოდი, ამ მატარებლით რომ ჩამოვიდოდით? — ეკითხება დედა.

— არ ვიცოდი, შემთხვევით ვაჩერდა! — მრავალმნიშვნელოვნად იცინის სამსონი, იცინის ისე, რომ ხუმრობად მიიღონ სიმართლე. რა მოხდა, ბატარა ტყუილი შეიძლება ფატის გულისმოსაგებად.

— აგაშენა ღმერთმა, რომ გააჩერე, მეზობელ სადგურში უნდა გვეყურატუნა, სანამ აქეთ გამოვბრუნდებოდით, — ამბობს დედა. — მაინც რა ჭიუტი ხარ, სამსონ, ჩამოსულიყავი თვითონ სოფელში, გადავიხდიდით სანაქებო ქორწილს, ეს ქალები რომ აგვყარე და გადმოგვხვეწე ამ უცხო ქვეყანაში, მოგიწონებს ვინმე?

— არ გამომიშვეს, დედა...

— ეკლესია შორსაა აქედან? — ეკითხება და.

— ეკლესია არ არის აქ!

— აბა?!

— ბაქოშია ქრისტიანული ეკლესია, მხოლოდ ბაქოში...

— ბაქოში უნდა წავხვედეთ? — ეკითხება ფატი.

— არა. გამოვიძახებ ეკლესიას, მოგორდება და დაგიწერთ ჭეარს.

— ღმერთს ნუ ეხუმრები, სამსონ! — აფრთხილებს დედა და სამორიგეოში შედის სარძლოსთან ერთად.

— მე რას ვეხუმრები, თვითონ ხუმრობს, არასოდეს მისეირნია მატარებლით, და ახლა დასეირნობს.

— ხომ არ გათათრდი, ბიჭო, შენ?! — უცაცხანებს და.

— ზრუნავს საწყალ რკინიგზელებზე ღმერთი, აბა, რა გგონიათ!

— რომ ზრუნავდეს, გაანათებდა ამ ჯოჯოხეთს, — ჩურჩულით ამბობს ფატი.

ქალების თვალწინ და მათ გასაოცებლად სამსონი დეპეშის ტექსტს ადგენს, თხოვს რკინიგზის სამმართველოს ვაგონი-ეკლესია გამოუგზავნონ ამა და ამ დღისათვის.

დედა პირჭვარს იწერს.

— ეს რა არის, დუდანა! — წამოიძახა ჯაბამ, მას ხელში თხელი რვეული ეჭირა, შუაზე გადაშლილი, — ორიანი დაგიწერეს?

დუდანა სარკესთან იდგა, მკერდზე ჩამოშლილ თმას ივარცხნიდა. როგორც კი ჯაბას ხელში რვეული შენიშნა, მისკენ წამოვიდა.

— დაანებე თავი, ეგ ლექტორი სულ ორიანებს მიწერს, — ლათინური ენის რვეული იყო, — სულ ტყუილ-უბრალოდ...

— ტყუილ-უბრალოდ?

— პო. ნაცვალსახელები შემეშალა. ეგი მივიჩნიე რუსულ ენოდ, პირველი პირი კი არის... ვითომ დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს, ხომ უნდა მიმხედარიყო, რომ მექანიკურად მომივიდა!

— ვითომ დიდი მნიშვნელობა ჰქონდესო? — გაუკვირდა ჯაბას, — ნაცვალსახელების არეყას არაფერი მნიშვნელობა არა აქვს?

— არავითარი! — გაუღიმა დუდანამ. მიახვედრა, ჯიბრზე გეუბნები ამასო.

— „მე“ იქნება თუ „შენ“ სულერთია?

— სულერთია! — ისევ გაუღიმა დუდანამ.

ამ გულუბრყვილო წაყამათებამ უეცრად ჯაბას გონებაში რაღაც დიდი სათქმელი ააშენა. ზღაპრული კოშკით ცას ასწვდა ეს სათქმელი, და ჯაბა აღელდა, რადგან იგრძნო, რომ ამ სიტყვებისგან აშენებულ კოშკს დუდანასაც და ანახებდა ამ წუთში, ახლაც...

— თუ სულერთია, „მე“ იქნება, თუ „შენ“, მაშინ...

...ვაგონი-ეკლესია ჩიხში ჩაეყენებინათ. იღგა ღმერთი ბორბლებზე, თითქოს ეშინოდა სულ მიწაზე დაშვებულიყო, თითქოს რკინაზე ეკიდა ხელი, რომ სატანას ვერაფერი გაეზედნა. იღგა ღმერთი ბორბლებზე და ელოდა ხატად თვისად შექმნილებს.

ღიაკვანმა საკმევლით განდევნა ვაგონიდან მაზუთის სუნი, ნათესავი ჯოჯოხეთისეული კუბრისა, მღვდელმა ოლარი გადივიდა კისერზე.

სადგურის უფროსი და მემსრე იყვნენ ხელისმომკიდებელ, სხვა რკინიგზელებიც ესწრებოდნენ ჯვრისწერას. ფატი ძლივს აიყვანეს ვაგონის კიბეზე. სულ თეთრ კაბაზე იყურებოდა, ხომ არ დამესვარაო. შიგნით ყველაფერი ისე იყო მოწყობილი, როგორც ნამდვილ ეკლესიაში: ხატები, კანკელი, საკურთხეველი...

მღვდელმა დაიწყო სამმუხლიანი ექტენია:

— კურთხეულ არს ღმერთი ჩვენი, ყოვლადე, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე-ეე...

— ა-ა-მინ! — წაიმღერა ღიაკვანმა.

— თუ სულერთია „მე“ იქნება, თუ „შენ“, მაშინ მისმინე... — ჯაბა გაფითრებული იყო, იგი სარკეში ხედავდა

დუდანას, — შენ... უკვე რამდენი ხანია გიყვარვარ, დუდანა! — ჯაბას დამაბული ღიმილი ამაოდ ცდილობდა მღვდელვარების დაფარვას, — შენ არ შეგიძლია უჩემოდ ყოფნა, ერთი წუთითაც არ შეგიძლია, — დუდანა გაშეშდა სარკეში, ხელო, რომელშიც სავარცხელი ეჭირა. მხსიერებადაკარგულივით ცდილობდა მოეგონებინა, თუ რას აკეთებდა ერთი წამის წინ, — შენ ძალიან გიყვარვარ, დუდანა, მაგრამ ვერ ბედავდი თქმას, ახლაც, როცა მეუბნები, ხმა ვითრთის, — სარკეში დუდანას ზურგი გამოჩნდა, — შენ გენატრება ჩემთან ყოფნა... მაშინაც კი, როცა ჩემთან ხარ. შენ აღარ შეგიძლია, დუდანა, ამდენი სიჩუმე... არ აპირებდი ამის თქმას, გინდოდა თვითონ მივმხვდარიყავი, მაგრამ...

„ჯაბა! — დაიკენესა თითქოს დუდანას თვალებმა, — ჯაბა, აიშველე... — მერე ავივლდა თვალები, — გადამარჩინე, ჯაბა!“

მაგრამ დიდი, ლურჯი თვალები უეცრად დადუმდა, და იმ წუთშივე აღმურისმომდები კაშკაშა სინათლე იხილა დუდანას სველმა ტუჩებმა.

— მერმე და მერმე მშვიდობით, უფლისა მიმართ ვილო-ცოთი — განაგრძობდა მღვდელი.

— უ-ფა-ლო, შე-გვი-წყა-ლე! — იბოხებდა ხმას ღიაკვანი.

— შეგვეწიენ, გვაცხოვნენ და შეგვიწყალებ, და დაგვიცევ ჩვენ, ღმერთო, შენითა მადლი-თაა...

— ა-ა-მინ!

მღვდელმა ტროპარები გამოტოვა და სახელდახელო გუნდმა „ისაია მხიარული“ შემოსძახა...

და დუდანა უფროდაუფრო უთმობდა გზას ამ მწველ სინათლეს, თვითონ მიილტვოდა მისკენ... თითქოს უნდოდა ამ დამბუგველი სხივების სათავემდე მიეღწია...

...მერე, ორმოციოდე წლის შემდეგ, პენსიას რომ უნიშნავდნენ, ქორწინების მოწმობა ველარ იპოვა სამსონმა, და-კარგულიყო ბორბლებზე შემდგარი ღმერთის გაცემული ცნობა. ვისაც ცოლი კმაყოფაზე ჰყავდა, პენსიაც მეტი ენიშნებოდა. ჰოდა, სამოცდაათწელს მიღწეულმა სამსონმა წაავლო ხელი ფატის და „მმარში“ მიაჩანიალა ხელის-მოსაწერად... რამდენი იცინეს თანა-მშრომლებმა, რა მხიარულება იყო...

...დღუდანამ კიბე ჩაირბინა, ქუჩაში გავარდა. ცეცხლწაქიდებულივით გონე-ბა დაბნეოდა, ცეცხლწაქიდებულივით ექებდა ხსნას...

როცა ავტობუსი მთლიანად დაიცა-ლა, ჯაბა მხოლოდ მაშინ გამოერკვა; ლენინის მოედანამდე გამოჰყოლოდა მანქანას. ღამის თორმეტის ნახევარი იყო. დაცარიელებული ქუჩა ერთბაშად გაივსო თეატრიდან გამოსული მყუ-რებლებით.

მოულოდნელად ჯაბამ რომულის მო-ჰკრა თვალი. ჯიბეებში ხელუბრაწყობი-ლა მოედნისკენ მიფარფატებდა. „მთვრა-ლია — გაიფიქრა ჯაბამ, — აქეთ საით მიდის?“ რატომღაც მოუნდა რომულის ნახვა, ეგონა, ახალ ამბავს გაიგებდა... საათი არც იყო გასული, რაც დუდანას ღამორდა, და მაინც იმედი ჰქონდა, ახალ ამბავს გაიგებდა დუდანაზე.

რომული პარტიფუმერიის მაღაზიის წინ გაჩერდა, ზეს მიეყარნო და მოედ-ნის გადაღმა, „პასაჟის“ შენობას გახზე-და. ტაქსების გაჩერებასთან ვრძელი რიგი იდგა. კერძო მანქანების მფლობე-ლები გამაღიზიანებლად ანელებდნენ სვლას ტაქსების მოლოდინში მუხლ-მოდლილი ხალხის წინ. „გავაჩერებ მან-ქანას და შინ მივიყვან“, გაიფიქრა ჯა-ბამ.

მიუხალოვდა. მოეჩვენა, რომ ტირი-და რომული. მოპირდაპირე შენობის

ფსადისკენ აპყრობილი თვალები უცი-მციმებდა. „რას უყურებს?“ — ჯაბამ მზე-რა გააყოლა, უეცრად გულში თითქოს ჩამოწყდა მკერდს, ეს შეუძლებელი იყო, დაუჯერებელი, ალბათ ეჩვენებო-და ჯაბას — „პასაჟის“ შენობის თავზე, მწვანე შეჭრეკლამის შუშის ძაფები მომხიბლავად მიკლაკნილ-მოკლაკნილი-ყვნენ და დუდანას პროფილს ხატე-დნენ. მერე დუდანას ხელში უჩნდე-ბოდა სუნამოს ყვითელი შუშა, და თვა-ლებშიბნედილი დუდანა დიდხანს ყნო-სავდა მას. მერე ყველაფერი ერთბაშად ქრებოდა.

— რომული!

რომული შეკრთა, თითქოს დანაშა-ულზე წაასწრესო, დამფრთხალი თვა-ლებით მიაშტერდა ჯაბას.

— რომული, გამარჯობა!

— ბოდიში, ვერ გიცანით! — ჩაი-ცინა, ეტყობა, დამშვიდდა, — ვერ გი-ცანით! — კიდევ ჩაიცინა, თითქოს ამ-ბობდა, ხომ გასაგებია, რატომაც ვერ გცნობთო, — მგონი, მთვრალი ვარ.

— რომული, მე ჯაბა ვარ... შენ მაშინ ნატურმორტს ხატავდი, გახსოვს?

რომულიმ გვერდზე გაიხედა, მერე სწრაფადვე მოაბრუნა თავი ჯაბასკენ.

— მამამ რომ შემიჭამა?.. მახსოვს.

— ჰო, — გაეცინა ჯაბას, — სახლის-კენ ხომ არ მოდიხარ? — ვითომ ამი-ტომ შეჩერდა.

— არა, — შექანდა რომული, ზეს წაეპოტინა, რომ თავი შეემაგრებინა, — ჯერ არ მოვდივარ.

— კარგი საღამოა, — ცას ახედა ჯა-ბამ, — მამა როგორ არის?

— ვინ... მამა?

— მამაშენი, პატივცემული ბენედიქ-ტი.

— პატივცემული?.. პირველად მეს-მის, — ჩაიცინა რომულიმ.

— რომული, ეგ არ უნდა თქვა მა-მაზე!

— მამა გორიოზე...

— გორიო რა შუაშია... რომული, წადიდეთ, მეც...

— გორიო არაფერ შუაშია... გორიოს შუაში ზღება საინტერესო ამბები.

— წაიდეთ, გვიანა! — არ დააკვირ- და ჯაბა რომელის ნათქვამ სიტყვებს, რადგან „პასაჟის“ თავზე კვლავ მოჰყრა თვალი დუდანას მწვანე პროფილს. მერე სუნამოს ყვითელი შუშა გაჩნდა დუდანას ხელში. დუდანა თითქოს დაი- ხარა და დაყნოსა.

— არ გესმის?... მეც არ მესმოდა... — განავრძობდა რომელი, თან ადგილზე ბარბაცებდა, — ახლა ვიცი, რომ გო- რიოს შუაში... აწყვია ასმანეთიანები, ასმანეთიანები, ასმანეთიანები... ბალ- ხაჯი მაინც არ გაგვივით?

ჯაბა ერთბაშად მიხვდა ყველაფერს.

— როგორ არ გამიგია!

— ...ოცდაათნივე ტომში, ფურც- ლის გამოუტოვებლად, ასმანეთიანები და ასმანეთიანები, თუმცა საზიზღრად ვტყუი, აქა-იქ ხუთთუნიანებიც არის... როგორ არ მახსოვხართ... დუდანასთანაც ხომ შევხვდით... — რომელიმე უნებუ- რად აპხედა მწვანე რეკლამას, მერე გა- დაქარბებული მონდომებით, ჯაბა არა- ფერს მიხვდესო, ზურგი შეაქცია „პასა- ჟის“ შენობას, — ახლა დიკენსის ჯე- რია... — სახეზე ზიზღი გამოეხატა, — ინგლისის გამოჩენილი მწერლის, ჩარლზ დიკენსის ჯერი. ახლა ის იქნება შუაში... ის კი არა, მის შუაში მოხდება დიდი ამბები. — მოულოდნელად სიცი- ლი წასკდა, — რომ გამიგოს, მომკლავს!

— ვინ? — ჰკითხა ყსიდად ჯაბამ.

— არავინ... ისე ვამბობ. სამაგიე- როდ, სულ ზეპირად იცის... ფულის თვლისას ხანდახან არ უნდა შეისვენ- ნოს? ზომ არ გადაყვება ამ ფულის თვლას... შეისვენებს, სტრიქონებს თვალს გადაავლებს, მერე ისევ დათვ- ლის... ყოველთვის რომ ასე ეთვალა ხალხს... დიდი ცივილიზაცია წარმოი- შობოდა... უუღიდესი!

— რომელი, არაფერი არ მესმის!

— არც არის საჭირო, მე რაღაცეებს ვბოდავ... — მერე მოულოდნელად თქვა, — ნახე, როგორი პიჯაკი მაცვია, — ამოატრიალა პიჯაკის გაცრეცილი კალ-

თები და უცბადვე ხელი უშვა. — სიგა- რეტი არა გაქვთ?

ჯაბამ კოლოფი ამოიღო.

— ჩემს პატარა ძმას...

— მახსოვს, — გაიღმა ჯაბამ.

— საიდან გახსოვთ?

— თქვენთან ვნახე, სადილზე...

— რეში ქვია... ხომ სასაცილოა? რე- ში და რომელი... როგორ დავიკარგე- აღარ მახსოვს, ვიცი მხოლოდ, რომ მგელმა გვიპოვნა და გვზრდის, ახლა... ჯაბამ მხარზე ხელი მოკიდა და მი- იზიდა.

— სამაგიეროდ, შენ წახვალ, რომე- ლი, და დააარსებ დიდ ქალაქს, ახალ, ძლევიანოსილ ქალაქს!

— ნუ დამცინით, ისიც მეყოფა, რო- მელი რომ მქვია.

— დაცინვა არც მიფიქრია, მე მჯერა, რომ დააარსებ!

— მართლა გჯერათ?... რატომ მაინც- დამაინც — ქალაქს?

— ასე სწერია ისტორიაში!

— ახლა ისტორია არ არის... ახლა შემოდგომის ღამეა... — რომელის თვა- ლი გაეპარა მწვანე რეკლამისკენ; დუ- დანას ჯერ არ გასჩენოდა ხელში სუნა- მოს ყვითელი შუშა... გაუჩნდა. დახარა თავი, დაყნოსა. გაქრა.

რომელი სხეულის სიმძიმეს თავს ვერ უყრიდა, ახლა უფრო მთვრალი ჩანდა, წელში მოხრილი და მკლავებჩა- მოყრილი, მიწას დასცქეროდა, ადგილ- ზე დადიოდა, თითქოს საჭიდლოდ უნდა შებმოდა მიწას. უეცრად თქვა:

— მიყვარს, ძალიან მიყვარს, დუ- დანა!

— ვინ?! — სისხლი გაეყინა ჯაბას.

— დუდანა...

— ვიცი! — თქვა ჯაბამ ცივად.

— ეს არავინ არ იცის, ტყუილია, არავინ არ იცის!

— ვიცი, — ჯაბა შემოტრიალდა, — იმ რეკლამას რომ უყურებდი... — სწო- რედ ამ დროს ჩაჭრა მწვანე დუდანა, — მაშინ მიგხვდი, რომ გიყვარს, — ჯაბა გაოცებული იყო თავისი სიმშვიდით.

— მიხვდით, ბატონო ჯაბა? მართლა მიხვდით? როგორ მიყვარს, როგორ მიყვარს... — რომელიმე თვალეზზე ხელისგულეები აიფარა.

— იცის ღუღანამ?

— საიდან იცნობთ თქვენ ღუღანას?

— თვითონ თქვი: ღუღანასთან შეგხვდით.

— ჰო, ჰო... ბატონო ჯაბა, ხომ მაქვს უფლება რომ მიყვარდეს? ხომ მაქვს?

— იცის ღუღანამ?

— არ იცის და არც არის ღირსი! — უეცრად განრისხდა რომელი.

— რატომ, რა დააშავა?

— არ არის ღირსი, არ არი-ის! — ტირილი მოერია რომელის, — იმიტომ, რომ ძალიან კარგია, ძა-ლი-ან... — რომელი გაჩუმდა. საკომისიო მაღაზიის ვიტრინას მიეყრდნო, ჯაბამ ხელი წაიტანა, შუშა არ ჩაამტვრიოსო, — ჩემი ესკიზით გააკეთეს ის. — ხელი მწვანე რუკლამისკენ გაიშვირა რომელიმე, — ახლა ყველგან გაავრცელებენ, ყველგან, მთელ საქართველოში!

ჯაბამ გაიხედა, რუსთაველის პროსპექტისკენ გაწეულიყვნენ შეუმჩნეველად, აქედან მხოლოდ შუბლი და თმა მოჩანდა „პასაჟის“ სახურავიდან გადმოწყურე ღუღანასი.

— მიხვდი, სარეკლამო საამქროში მუშაობ მხატვრად, მაშინვე მიხვდი, — ჯაბას ესმოდა სისხლის ვუგუნო საფეთქლებში.

— ბატონო ჯაბა, ხომ არსად არ არის ღუღანასთანა გოგო?

— მე მგონი, არსად... ყოველ შემთხვევაში, მე არ შემხვედრია!

— ხომ არ შეგხვედრიათ? ხომ არა? არც მე შემხვედრია... ბატონო ჯაბა...

— ნუ შეძახი „ბატონოს“!

— ბატონო ჯაბა... პატივცემული, თქვენ არ იცით, რა კარგია ღუღანა, თქვენ არ იცით, არავენ არ იცის!

— მე ვიცი!

— არ მინდა ღუღანა, არ მინდა, შინ მყავს ჩაკეტილი ღუღანა!

„სურათები“! — გაუელვა ჯაბას!

— მაგრამ თუ ვინმემ გახედა და შეიყვარა, თუ ვინმემ ხელი ახლო, მოსვლა, მიწასთან გაეასწორებ! ხომ მართალი ვარ, ბატონო ჯაბა?

ეს სიტყვები რომ არ მოესმინა, იქნებ არაფერი არ ეთქვა ჯაბას. ახლა კი თითქოს სილა გააწენეს, დაამცირეს, თითქოს მართლაც მიწასთან გაასწორეს.

— რომელი, მისმინე...

— არა ვარ მართალი? არა ვარ? — სახეში შემოსცქეროდა რომელი.

— ღუღანა მე მიყვარს!

რომელს ერთხანს გამომეტყველება არ შეცვლია. თითქოს ისევ ეკითხებოდა ჯაბას: „არა ვარ მართალი? არა ვარ?“ თითქოს არ უნდოდა დაენახა ჯაბას აღსარების შემოქმედებით წარმოსახული სურათი, მაგრამ, ეტყობა, ველარ მოიშორა, ველარ განდევნა გონებიდან, ერთბაშად გაალო თვალეები, და მუშტიც თითქოს ამ თვალეებიდან გამოსხლტა.

ჯაბას ბორბში მოხედა მუშტი, სუნთქვა შეეკრა, მერე უნებური ხველება აუტყდა. აუტანელმა ტყვიელმა ერთ წამში რომელს „ცემით მოკვლის“ რამდენიმე სურათი წარმოადგენინა; თავბირდასისხლიანებული რომელი, მიმხრჩვალი რომელი, ასფალტზე დანარცხებული რომელი, მაგრამ გონებამ ყველა უარყო. ჯაბამ პიჯაკის საყელოში ჩასქიდა ხელი და მყერდზე მიიგდო, გათანგა.

— გაეთრიე, მოშშორდი, გაეთრიე! — ხრიალებდა რომელი და თვითონვე ცდილობდა, როგორმე დაძვრენოდა ჯაბას.

ჯაბამ ხელი ჰკრა. რომელი ქვის კედელს მიასკდა. როცა წამოდგა, ჯაბასკენ აღარც გამოუხედავს, შებრუნდა და მოედნისკენ წალასდა. „პასაჟის“ წინ შეჩერდა. მაღლა აიხედა, მაგრამ ადგილზე ისე ირწეოდა, თითქოს კვლავ განავრძობდა გზას.

ქუჩის ელნათურები ჩაქვრით და შენობა ბინდში მიმალულიყო. ღუღანას

მომხიბვლელი პროფილი თითქოს ცაში
ეკიდა, თითქოს საგანგებოდ შეკოწიწე-
ბულიყენენ ვარსკვლავები...

ჯაბამ დაინახა, როგორ აუცახცახდა
მზრები რომელის, ანგარიშმიუცემლად
წავიდა მისკენ.

ფელაჩის მთელი მოსახლეობა

„ძმაო ჯაბა.

მინდოდა წინასწარ შემეზადებინე
რაღაც მეტად სერიოზული ან მეტად
სულელური ამბის მოსასმენად, რადგან
ჯერ მე თვითონ არ ვიცი სისულელეა
ის, რაც უნდა შეგატყობინო, თუ სე-
რიოზული ამბავი. აქ ვერავე მეტყუ-
ვის ამას, ყოველ შემთხვევაში, ვერ
ვკითხავ ერთადერთ ადამიანს, რომელ-
მაც შეიძლება იცოდეს.

წინასწარ ვთხოვ, არ გაბრაზდე, მე-
ტიჩრობაში არ ჩამომართვა ჩემი საქ-
ციელი.

შენ ალბათ ელოდი ჩვენს დაბრუნე-
ბას. გაკვირებული იყავი; გადასაღები
ადგილების შესარჩევად წავიდნენ და
აქამდე რატომ არ ჩამოვიდნენო. მერე,
როცა დღუდანაც გამოემგზავრა, ალბათ
სულ დაიბენი, დაეჭვდი, ხომ არ მომატ-
ყუეს შეგობრებში, და ვერაფრით
ვერ მიხვდი, რატომ უნდა დაგვჭირ-
ებოდა ეს ტყუილი.

ვერც მიხვდებოდი, რადგან გუ-
რამს და მე ტყუილი არ გვიტყვამს, მაგ-
რამ აქ რომ ჩამოვედით (მერე ავიწერ
ამ სოფელს), მოულოდნელად ისეთი
თბილი ღლები დაგვხვდა, რომ გურამ-
მა გადაწყვიტა თბილისიდან გამოეძახა
ჯგუფი და გადაღება დაეწყო. წარ-
მოგიდგინა? თუ ასეთი ამინდები ვაგ-
რძელდა, შეიძლება წელსვე დაემათე-
როთ ნატურა და თბილისში პავილიონ-
ები-ღა დაგვრჩება გადასაღები. სხვა
შემთხვევაში, მომავალი წლის მზეს
უნდა დავლოდებოდით.

ამ წუთში სურვილმა მომიარა, ეს

რომელი შუბლით მიბჯნოდა ხეს.
აქეთ-იქიდან თავი მკლავებით მოგვჯე-
შნა და სლუტუნებდა: *მეზღუპრთა*

— რა სულელი ვარ... რა სულელი
ვარ... რატომ გაგარტყი... თუ კი დღუდა-
ნა გიყვარს, რატომ უნდა გაგარტყა...
ისე კარგია დღუდანა, ისე კარგია...

წერილი დამეხია და, საერთოდ, აღა-
რაფერი მომეწერა, ისე მიჭირს თქმა..
მაგრამ უნდა მოგწერო, იქნებ დიდ
უტაქტობას, ან ბოროტებას ჩავდივარ,
იქნებ ჩემი მიხეზით მეგობრები დავა-
შროო ერთმანეთს, მაგრამ უნდა მოგ-
წერო.

ჯაბა! მე არ ვიცი რამდენად ძვირ-
ფასია შენთვის დღუდანა. შენ არაფერი
ვითქვამს ამის შესახებ. შეიძლება არ
აპირებდი თქმას. მე მახსენდება შენი
მოწყენილი თვალები, შემფოთებული
თვალები, ალტაცებით სავსე თვალები,
როდესაც შენს ოთახში პირველად მო-
სულ დღუდანას შეპყურებდი ლოგინ-
ში მწოლი ავადმყოფი, მახსენდება,
რა ჯიქურ შეუტეე გურამს, დღუდანას-
თან თავაშვებული სიტყვების წარმო-
თქმისათვის. იქ კი, მოხუცი სუფლიო-
რის სარდაფში, კინალამ გაარტყი,
განსოვს? ისეთი შემართული, ხმაოდ-
მალღებული მე არასოდეს არ მინახიხარ.
და ვიფიქრე, რომ ჩემი შეგობარი, ჩემი
კარგი ჯაბა, შეყვარებულია-მეთქი...
კიდევ ბევრი რამ მაგონდება, მაგრამ
ახლა ამის დრო არ არის. ერთი სიტყ-
ვით, მე არა მაქვს საბაბი ვიფიქრო,
რომ დღუდანა შენთვის არაფერს არ
წარმოადგენს. მით უმეტეს, არ უნდა
ჰქონდეს ამის საბაბი გურამს. გურამს
უფრო მეტი რამის განსენება შეუძ-
ლია, ის უფრო მრავალჯერ დასწრებია
დღუდანასა და შენს შეხვედრას.

მე ვიცი შენი „გაბედულების“ ამბა-
ვი, ვიცი რა „თამამიც“ ხარ საერთოდ,
და, მით უმეტეს, გოგობთან. მე

კი არა, დუდანას კი არა, ალბათ, საკუთარ თავსაც არ უმხელ შენი სიყვარულის ამბავს. არ უმხელ იმიტომ, რომ ხელშეუხებელი და უწმინდესია ის შენთვის. არა მგონია, სევდიანი ცეცხლი შენს თვალებში, უბრალოდ, ლამაზი გოგონას ნახვას დაენტოს.

მე არ ვაბეზღებ გურამს. დუდანას რომ არ იცნობდე, თვალითაც რომ არ გყავდეს ნახული, ამ წერილს მაინც მოგწერდი, ისე უხამსად იქცევა შენი მეგობარი...

შენ ალბათ გახსოვს, რისთვის აირჩია გურამმა დუდანა მთავარი როლის შემსრულებლად. გახსოვს მისი შეხედულებანი და მტკიცებანი. ალბათ ჩემი სცენარის შინაარსიც არ დაგვიწყებია. დუდანა მსახიობი არ არისო, მეუბნებოდა გურამი, მაგრამ მისი მიაშიტობა, გულუბრყვილობა, მისი დამყოლი ხასიათი, მისი არაჩვეულებრივი ქალური სინაზე და, ამავე დროს, სექსუალური ინფანტილობა (დააკვირდი, ერთ რამედ ღირს ეს გამოთქმა) საარკესავით მეორდება სცენარის გმირი ქალის ხასიათშიო, ამიტომ საქმარისია, დუდანამ თავისი თავი ითამაშოსო, ეს იგივეა, თითქოს გამოცდილი მსახიობი გვეპოვნოსო. ვიცი, შენთვისაც უთქვამს ეს. მრავალჯერ გაუმეორებია და, ბოლოსდაბოლოს, იმდენჯერ თქვა, ეტყობა, ისე ჩაეჭვდა გონებაში დუდანას გულუბრყვილობა, რომ... არ ვიცი, როგორ გითხრა... თვითონ გურამის გონებაში, ფსიქიკაში, მანუბრულად მოხდა რაღაც ცვლილება, რაღაც უკუკავშირი, მისმა ქვეშეცნეულმა ლოლიკამ გამომთვლელი მანქანასავით გამოიტანა დასკვნა, პროგრამა არავის არ მიუცია, მაგრამ ფაქტების ანალიზმა მანქანას უკარნახა სრულიად ახალი ამოცანა და მისი გადაწყვეტის შესაძლებლობა: და მანქანა მოქმედებს, ჩემს თვალწინ წყვეტს ამ ამოცანას, მე არა მაქვს უფლება გამოვთიშო, ან დავამსხვრიო.

მე ახლა ვჯაშუშობ, მრცნვენია, მაგრამ რა პირით შეგხვდე თბილისში თუ ამას დაგიმაღავ. გურამი თითქოს მოს-

წყდა სინამდვილეს. აღარ ახსოვს, ვინ არის თვითონ, ვინ არიან მისი მეგობრები, აღარ ახსოვს, სად ცხოვრობს, თითქოს დედამიწის მთელი მოსახლეობა მისგან და დუდანასგან შედგებოდეს მხოლოდ. დაწმუნებული ვარ, არავითარი წინასწარი განზრახვა არ ჰქონია, არავითარი ბოროტი გეგმა არ შეუდგენია, მთელი უბედურება ის არის, რომ ქვეშეცნეულად აკეთებს ამას. მაგრამ იგივე გამოდის — თითქოს ჰქონდა წინასწარი განზრახვა და გეგმა.

დუდანას ხასიათის გურამისეული ახსნა და შეფასება ზუსტია. დუდანა მართლაც ბავშვია, გულუბრყვილო, მართლაც არაფერი არ გაეგება ამ ცხოვრებისა, მართლაც ყველას შეუძლია მისი მოტყუება, მაგრამ ამავე დროს ქალია, ლამაზი, მომხიბვლელი ქალი. და თუ ჩემი გუმიანი არ მღალატობს, გურამს გაუჩნდა ანგარიშმიუცემელი სურვილი, ასე ვთქვათ, პედაგოგიური მანია, სიყვარულის სამყარო გააცნოს და შეასწავლოს დუდანას, შეაცნობინოს საკუთარივე სხეულის სიმდიდრე, მისგან გაიგოს დუდანამ სიამოვნებათა ზღვის ყველა შენაკადის საიდუმლოება.

გურამმა თვითონ დაიწყო სცენარის გმირი კაცის, იმ ინჟინრის როლის თამაში — ოღონდ ცხოვრებაში! და იმ განსხვავებით, რომ სცენარის გმირი, მიუხედავად თავისი უკეთური განზრახვისა, აღმოაჩენს თუ არა, რომ ქალი უდიდესი ნდობით ეკიდება მას, როცა იგრძნობს, რომ გოგონას აზრადაც არ მოსდის, რა საშიშროება ელის მისგან, როცა მიხვდება, ქალს თანდაყოლილი რწმენა ჰქონია ადამიანებში მხოლოდ კეთილი საწყისების არსებობისათ, მოიხიბლება, დატყვევდება, განიარაღდება ამ უსუსური, მაგრამ უწმინდესი არსების წინაშე და თავდავიწყებით შეუყვარდება. ეს არის სცენარის აზრი — როგორ ანიარაღებს ბოროტებას დიდი სულიერი მშვენიერება. გურამს კი ყველაფერი პირუტყუ დავმართა — ქალის სწორედ ამ ღვთიურმა თვისებებმა უბიძგა უწმინდურებისაკენ. ისე აპყვა

რწმენას, ყველა მოატყუებს დუღანასო. რომ ახლა თვითონ ატყუებს. ყოველ საღამოს, გადღების დამთავრების შემდეგ...

ფოტო-ლაბორატორიის კარზე ვიღაცამ დააკაუნა. სანამ ფეხზე წამოიჭრებოდა, ჯაბამ კიდევ რამდენიმე სიტყვის წაკითხვა მოასწრო „...ჩავა თუ არა მზე, სადღაც დაიკარგებიან...“

წერილი ჯიბეში ჩაიჭმუჭნა, წითელი სინათლე აანთო, თეთრი ჩაქრო, მავთულის თოკზე ჩამოკიდებულ ახალგამშრალ ფირს მისწვდა და ჩამოხსნა. კაუნის განმეორდა.

— ვინ არის?

— ვაღე, მე ვარ!

ლაბორატორიაში ბატონი ანგია შემოიკლავნა. მაშინვე ოთახის ბნელი კუჩქულები დაჩხვლიტა ნემსივით წვრილი თვალებით.

— რას ჩაკეტილხარ აქ?!

— მე სულ ჩაკეტილი ვმუშაობ, ბატონო ანგია, უეცრად რომ არავინ შემომიღოს კარი.

— ახლა მუშაობის არაფერი გეტყობა, რას აკეთებდი?!

„მშვიდად, ჯაბა, არ ღირს, ამასთან არ ღირს“.

— წერილს ვკითხულობდი! — თქვა ჯაბამ.


„...არც ტყუილის თქმა ღირს ამასთან, იმ წუთშივე შეგატყობს, შეგეტყობა და იმიტომ...“

— რა წერილს?! — სწრაფად შემოტრიალდა ბატონი ანგია.

— ამხანაგის წერილს... ხომ არ წაკითხავთ? — ჯაბამ სინათლე ჩართო და ხელი ჯიბეში ჩაიყო.

„მაინც დავგესლე... ვერ მოვიტოვინე“.

ბატონმა ანგიამ გამომცდელად შეხედა ჯაბას. თვალებს აცეცებდა, თითქოს ჯაბას სახეზე რაღაც სიტყვები ეწერა და ვერაფრით ვერ ამოეკითხა. ბოლოს, ეტყობა, ვერ იპოვნა რასაც მოელოდა, რაც ჯაბას გამომწვევმა კილომ მოალანდა.

— სხვისი კი არა, ჩემი წერილების კითხვა მეზარება...


„რას მწერს ნოდარი? რისი თქმა უნდა?“

გული შეუფართხალდა; თითქოს მხოლოდ ახლა, ამ წუთში მიხვდა, რისი თქმაც უნდოდა ნოდარს.

— ალბათ ვახსოვს, სამშაბათს რომ პარტიის კრებაა, — თქვა ბატონმა ანგიამ და წელზე ხელები შემოიწყყო.

— მახსოვს.

— ექვსზე იწყება.

— ვიცი.

ნოდარის წერილი მოულოდნელი იყო ჯაბასთვის. მიუხედავად იმისა, რომ მოწაფეობის დროს, არდადეგებზე, ყოველ მეორე დღეს სწერდნენ ერთმანეთს. ახლა მწყურვალესავეთ დაეწაფა მეგობრის ბარათს. კითხულობდა და ნოდარის პირველი წერილი ასენდებოდა, რვაფურცლიანი. ამ ფურცლებს, უმთავრესად, ახალი ანგდოტები, ახალწაკითხული წიგნებისა და ახალი ფილმების შინაარსი ავსებდა.

— რა საკითხებია კრებაზე? — თითქოსდა, აღარ მახსოვს, გამახსენეო, ისე ჰკითხა ბატონმა ანგიამ. ხელები კვლავ წელზე ჰქონდა შემოდებული.

— პარტიურთა ვადარჩევნებია.

— თუცილებლად მოხვალ, არ გააცდენ.

— რა თქმა უნდა.

— შენ ამას წინა კრება გააცდინე — ბატონი ანგია შეჩერდა და ისევ ჩააბტერდა ჯაბას.

— ავად ვიყავი.

— რაღა კრებების დროს ხდები ავად? სამშაბათამდე, იმედია, არაფერი შეგემთხვევა.

— მოვალ!

...ნოდარი იმ პირველ, მოწაფეობის-დროინდელ ბარათში წერდა ლუდოვიკო XIII ამბავს, სადღაც წაეკითხა, თურმე რა მკაცრად ზრდიდა ჰენრიხ IV. ორი წლისა გაუწკებლავს პირველად. წკებლავდნენ ყოველი უმტკივნეულო ცელქობისა თუ ბავშვური სიჭიუტისათვის. ჰენრიხ IV სიკვდილის შემდეგ

ლუდოვიკო ტახტზე ასულა, მაგრამ სასახლის კარზე ძველ ჩვეულებას არ ღალატობდნენ, მეფედ ნაჟურთხევსაც კარგა გემრიელად წკებლავდნენ თურმე...

ეს კი ნოდარის უკანასკნელი ბარათია, ჯაბამ ვერ მოუყარა მის შინაარსს თავი, ხელი ვერ ჩასჭიდა, და მხოლოდ ახლა, ამ წუთში იგრძნო უეცრად, რომ იქ რაღაც მწყარე, შემაძრუნებელი უმეცრება ეწერა...

— როცა პარტიურის კანდიდატების დასახელება დაიწყება, — ბატონმა ანგიამ ხმას დაუწია. ჯაბას აღარ უყურებდა, გრძელი ფოტოფირი აედო და ელნათურის სინათლეში უჭკრეტდა, — როცა კანდიდატების დასახელება დაიწყება, მე არ მინდა, რომ სხვებმა დამასახელონ, სხვა რედაქციის თანამშრომლებმა, გასაგებია?

— დიახ.

— ხელს აიწვევ და შენ დამასახელებ. ბოლოსდაბოლოს, ჩვენი რედაქციის წარმომადგენელიც ხომ უნდა იყოს ბიუროს შემადგენლობაში.

„ბატონი გიორგი არის!“

— შენ ახლა მეტყვი, ბატონო გიორგი ხომ არისო, მაგრამ გიორგის აღარ უნდა; ძალიან დატვირთული ვარ, საქმეებს ვეღარ ვასწრებ, თუ კიდევ დააპირებს ჩემი არჩევა, ვთხოვ, აცალდება მომცენო, ამას გარდა, ახლა შევბუღებაშია. ასე რომ, ხელს აიწვევ, ადგები და მე დამასახელებ, გასაგებია?

„...თუ სიტყვა არ მომცეს?“ — გაუელვა ჯაბას და ისევ ნოდარის წერილი გაახსენდა. თანდათან ხვდებოდა ყველაფერს. შორეული, საბედისწერო ხმა თანდათან ახლოვდებოდა, წვეთ-წვეთობით იღვრებოდა მის სულში, და ყოველი ახალი წვეთი უფრო მძიმე, შხამიანი და უფრო სწრაფი იყო. ამავე დროს ბუნდოვნად ახსოვდა, რაზე ელაპარაკებოდა ბატონი ანგია, და გონებას მისგან თითქოს ნაბრძანები ჰქონდა, ესმინა, დაეკვებულებო, აეწონ-დაეწონა, პასუხი გაეცა. მაგრამ გონება უყურადღებოდ იყო მიტოვებული; არაეინ არ

ამოწმებდა, როგორ ასრულებდა ბრძანებას.

— თუ შეატყვე, რომ მსაჯულსაქმის გამწვევს, ხმადალა დაიყვირებ ჩემს გვარს, გასაგებია?

იმ უყურადღებოდ, თუ უპატრონოდ მიტოვებულმა გონებამ თავი დააქნეინა ჯაბას.

— შენ არ იცი, ჯაბა, როგორ ჩაგრავენ ჩვენ რედაქციას, გამომცემლობის პარტიუროში ჩვენი კაცი არ ვკვავს! აი, სად მარხია ძაღლის თავი, მერე მე ვიცი; ბინების განაწილების დროს აღარასოდეს დაავიწყდებათ ჩვენი რედაქცია...

ჯაბას უეცრად ვიტალი გაახსენდა, აჲ, ამ ფოტო-ლაბორატორიაში შემოსული — ჯაბას გადაღებულ ფოტოებს ათვლიერებს ვიტალი, მერე პორტფელში ინახავს, მიაქვს... წაიღო.

ერთი წვეთი მეორეს დაეწია, მეორე — მესამეს, ახლა წვრილ ნაკადად იქცა შხამი. მერე ლელესავით მოდიდდა, მღვრიე ლაფი დაგროვდა სულში, შორევად დატრიალდა. ძაბრივით ჩაიზნინა და შიგ ჩაითრია ნოდარის წერილი, ვიტალის წაღებული ფოტოები, მერე შოშორებით ამოატივტივა, გასვრილი, დაშლამული. შუაგულ ტბორეს ენარცხებოდა ღვლე. ამაზრზენად გუგუნებდა.

თავი ასწია. ბატონი ანგია ლაბორატორიაში აღარ იყო.

კარი ჩაკეტა. და თითქოს ტვინშიც გადაატრიალა რაღაც კლიტე, ჩარაზა ყველა ფიქრი, გარდა წერილზე ფიქრისა. იქვე, კართან გაშალა და კვლავ პირველ სტრიქონებს ეძგერა. უნდოდა თავი მოეტყუებინა, ვითომ ჯერ არაფერი იყო. ვითომ ერთხელ წაკითხვამ გერაფერი ვერ გააგებინა. მაგრამ ახლა ყოველი სიტყვა, თვითველი ასო ცალცალკე ყვიროდა, თითქოს მალა ხელდაწეული ასოები ადგილზე ხტოდნენ და ეძახდნენ ჯაბას, რაღაც საშიშროებას ანიშნებდნენ, აღრთხილვდნენ, თანაუგრძნობდნენ კიდევაც. ყოველი

მომდევნო წერტილი ახლა წინადადებას კი არა, თითქოს რაღაც დიდ ოცნებას ამთავრებდა.

როცა ხელახლა წაიკითხა ერთხელ წაიკითხული, დაჯდა და რატომღაც თეთრი სინათლე ჩააქრო, თითქოს უფრო დაიშორებოდა თავი. წითელ სინათლეს მიუშვირა წერილი. თანდათან ეჩვეოდა თვალი სიბნელეს და ქაღალდზეც სიტყვები თანდათან იკვეთებოდა:

„...ყოველ საღამოს, გადაღების დამთავრების შემდეგ, ჩავა თუ არა მზე, საღდაც დაიკარგებიან... გადამღებ ჯგუფს სკოლის ძველი შენობა დაგვითმით კოლმეურნობამ. მე და გურამი ერთ ოთახში ვცხოვრობთ. ვერაფრით ვერ ვიძინებ გურამის დაბრუნებამდე. სინათლეს არ ანთებს, ისე იხდის და წვება. ასე მგონია, განზრახ აკეთებს ამას, ეშინია, არაფერი შევატყო სახეზე.“

ჩანდახან ვფიქრობ, იქნებ მეჩვენება ყველაფერი, იქნებ ზედმეტად ერთგული ვარ შენი და ეს ერთგულება აზვიადებს ჩემს თვალში უწყინარ ამბებს? იქნებ ძალიან შორიდან ვუყურებ მთებს და ამიტომ ხრიოკი და ულამაზო მეჩვენება, იქნებ ტყითაა დაფარული ის მთები, ტყეში წყარო მოჩუხჩუხებს, ჩიტებიც საამოდ გალობენ... იქნებ უყვარს-მეთქი გურამს დუღანა, და თავს ურჩევნია. აი, ამის თქმა მინდა.

ჯაბა, ერთი წუთით...

ფანჯრიდან გურამი და დუღანა დავინახე, ეზოს კიშკარი შემოაღეს, შემეშინდა, გურამი ოთახში შემოვა-მეთქი, და ეს წერილი დავმალე, მაგიდაზე გაბნეულ სცენარის ფურცლებს დაწვდი, ვითომ ვმუშაობდი. მაგრამ არ შემოვიდნენ. მერხზე დასხდნენ ჩემი ფანჯრის წინ. სკოლის დარაჯს ელაპარაკებოდა რაღაცას. დღეს მოღრუბლული ამინდია, ყველანი თავისუფლები ვართ, დუღანას თეთრი სვიტრი აცვია. მხრებზე პიჯაკი აქვს მოხურული, გურამის პიჯაკი... გურამი მიწოდან იღებს ცაცხვის გაყვითლებულ ფოთოლს, მუშტზე იფარებს

და ზემოდან ხელისგულს არტყამს. ფოთოლი ტკაცანით სკდება. დუღანა მოხუცს უსმენს, თავს უკანტურებს ხან-გამოშვებით, „უკანტურებს“-მეთქი, და ვწერე და უხეში მომეჩვენა ეს სიტყვა, ისე უხეში, რომ წაშლა მინდა...

დუღანას სხეულს, კოხტა თავს, გრძელ მკლავებსა და თითებს მოძრაობა ერთი-ორად ალამაზებს, როგორც შეფოთლილ ხეს — ქარი. შეგვიჩნევია, როგორ შემოიწყობს ხელებს კედლთან და როგორ ისწორებს თმას? თუ მოგვირავს ამ დროს თვალი მისი მაძებარი თითებისათვის?

გურამმა კვლავ დაიღო მუშტზე ყვირთელი ფოთოლი, დაარტყა ხელისგული და გახეთქა. დუღანა შეკრთა, მისკენ მიიხედა, ალბათ, უსაყვედურა, შემაშინეო. გურამი იცინის, კმაყოფილია, რომ შეაშინა, კვლავ იხრება და იღებს ფოთოლს.

როგორ მინდა ახლა მივიდე და ყური ავუწიო, ოღონდ მაშინვე უნდა მიხედეს, რისთვის ვსჯი.

ჯაბა!!

დუღანამ დამინახა, ეზოდან მანიშნებს, გამოდიო, იქნებ იგრძნო, მის შესახებ რომ ვწერდი და ფანჯრისაკენ იმიტომ გამოიხედა. უნდა ჩავიდე, მაპატიე, საერთოდ, მაპატიე ყველაფერი!

მე წამოსვლას ვაპირებდი, მაგრამ დავრჩი. ასე მგონია, ჩემი აქ ყოფნა ოღონდ მაინც ბოჭავს გურამს. ალბათ, ასეც არის, მალე თვითონ წამოვა, თბილისში გამოგზავნა გადაღებული მასალა. ახლა უკვე დაბეჭდილი ექნებათ სტუდიაში. ნახვა უნდა. იმას გამოგყვები, ყოველ შემთხვევაში, ვეცდები, შენი დაბადების დღეს მანდ ვიყო.

დუღანა მეძახის! ხელს მიქნევს. ისე უცნაურად მესმის ჩემი სახელი, თითქოს სახელი არც იყოს.

მაპატიე.

შენი ნოღარი.“

— ლიანა?! — დერეფანში ეგებება პირველ სტუმარს ჯაბა, მხრებზე ხელს ხვევს და თავისკენ იზიდავს.

ლიანა ფეხისწვერებზე იწევა და ლოყაზე კოცნის.

— მომილოცავს, ჯაბა!

საწვიმრიდან წურწურით ჩამოსდის წყალი და იატაკზე სველი წრე იხატება. მერე ერთ ნაბიჯს უკან დგამს ლიანა და საწვიმარი ახალი წრის ხატვას იწყებს.

— გახსოვდა ჩემი დაბადების დღე, ლიანა? — ჯაბა სველ ხელისგულებს ერთმანეთზე ისრებს, ასე ცდილობს შემშრალუბას.

— მახსოვდა!

— მობრძანდი, გენაცვალე! — ისმის ნინოს ხმა.

— მერე რატომ არ მითხარი დღეს რედაქციაში?.. არაუშავს, ოთახში გაიხადე.

— იმიტომ, რომ შენც არაფერი მითხარი, — საყვედურს არ ფარავს ლიანა.

— რედაქციაში არავისთვის არ მითქვამს, მე არც ვაპირებდი დაბადების დღის გადახდას.

— შემოდი, ლიანა, შემოდი, იატაკი იმისთვისაა, რომ უნდა დაისვაროს, — ეპატივება სტუმარს ნინო.

— მაგრამ დამირეკეს; შენ თუ არ აპირებ ჩვენ ვაპირებთ და მოვდივართო! — ვინ?

— ამხანაგებმა. მოვლენ სადაცაა, დაუფაცურდით. დედაჩემმა მგონი, რაღაცას დაამსგავსა სუფრა.

— მშვენიერი სუფრაა! — ლიანა მაგიდას გარშემო უვლის და ჯდება.

ნინო ამჩნევს მისი ტუფლების სველ კვალს იატაკზე.

— შეილო, მგონი, ფეხშიც ჩაგვლია წყალი. მოიცა, ახლავე დაგიძებნი რამეს, — ნინო ნიკელის საწოლის ქვეშ იხედება.

— ნუ წუხდებით, ქალბატონო, არაფერი არ მინდა.

— შენი შესაფერისი ფეხსაცმელები

არა მაქვს, მაგრამ ვაცივებას ეს ჯობს.

— დიდი მადლობა!

— რა ამბებია რედაქციაში? — ეკითხება ჯაბა, — დღეს მე აღრე წამოვედი.

— არაფერი, ბატონ გიორგის წერილი ხომ ნახე?

— არა! მოვიდა?

— მეგონა, იცოდი.

— რას წერს?

— ღია ბარათია, მოკითხვას გვითვლის ყველას.

— ვის სახელზეა გამოგზავნილი?

— ბატონი ანგიასი! აბა, მე ხომ არ მომწერდა... ჯაბა! — ისე ხმამაღლა იძახის, თითქოს ჯაბა ძალიან შორს იჯდეს მისგან, — ჯაბა, შენ ესწრებოდი გუშინ პარტიულ კრებას?

ჯაბა თავს უქნევს, იცის, რას ეტყვის ახლა ლიანა.

— მართლა აირჩიეს ბიუროს წევრად ბატონი ანგია?

— მართლა!

— რა არის ეს, რას ჰგავს? სხვა ვერაინ ნახეს ამხელა გამომცემლობაში?

— ისე ცხარობს ლიანა, თითქოს დაბეჯითებით დაპირდნენ, არ ავირჩევთ ბატონ ანგიასო, და მოატყუეს, — ვინ დაასახელა?

— შენ რა, გძულს ბატონი ანგია?

— არა, მაგრამ არც მიყვარს.

— დაგიშავა რამე?

— არ მომწონს!

— ვინც მოგწონს, ყველა გიყვარს?

— ყველა! და ვინც არ შემეყვარდება, ამით ვხედები, რომ ცუდი აღამიანი ყოფილა.

— მაინც რატომ არის ცუდი ბატონი ანგია? — ჯაბა ღელავს, თითქოს ეშინია, ლიანას აზრი მის აზრს არ დაემთხვეს.

— არ ვიცი, ალბათ იმიტომ, რომ არავინ არ უყვარს, თავიდანვე შევატყვე; ამ კაცს არავინ არ უყვარს-მეთქი.

— შენ რა, სხვა საზომი არ გაგაჩნია? უყვარს, არ უყვარს, მიყვარს, არ მიყვარს...

— სხვა საზომი?... ვერ გავიგე რას მეკითხები.

— მე კი შენი პასუხი ვერ გავიგე — რატომ არის-მეთქი ცუდი ბატონი ანგია?

— იმიტომ, რომ არასოდეს არ სჯერა რისაც ეუბნები; შენი „ჰო“ „არად“ ეჩვენება „არა“-„ჰოდ“. ელანდება, რომ რედაქციაში ვილაცხები არიან შემოხიზნულები, და ყოველ მოთხრობაში თუ ლექსში ცდილობენ, მთავრობის სალანძღავი აზრები გააპარონ. ყველა თანამშრომელი მოლაღატე ჰგონია, — ლიანა დუმდება, მერე სწრაფად უმატებს, — ალბათ თვითონაა მოლაღატე და იმიტომ.

ჯაბა თითქოს თავის გასამართლებელ საბუთს აწყდება და რწმენა უბრუნდება.

— ბატონ ანგიას მარტო ჩვენ კი არა, ჩვენი მამებიც მოლაღატეები ჰგონია, ლიანა. და იმდენად დარწმუნებულია, რომ უბოდრიოდ გებაასება ამაზე, აქაოდა, ამ ფაქტს ხომ წყალი არ გაუვლო. თან მხოლოდ შენთან ლაპარაკობს, მოწმეს არ ისწრებს, მხოლოდ შენთან ახსენდება ეს, და ერთ მშვენიერ დღეს გეჩვენება, რომ ბატონი ანგია ვიცოდებს, გმფარველობს, იცავს შენს საშინელ საიდუმლოს, რომ სხვებმაც არ ვაიგონ და არ დაიღუბო. და თანდათან შენს უნებურად, გეპარება შიში, რაღაც საზარელი პატივისცემით იმსჯელები ბატონი ანგიასადმი, საზარელი პატივისცემით, გესმის, ლიანა? ცდილობ. არ აწყენინო, საეჭვო არაფერი მოიმოქმედო. ყურადღება არ მიიქციო არც შენი დიდი ცოდნით, არც უცოდინარობით, არც უნიჭობით, არც კარგად დაწერილი ნარკვევით. და ატყობ, რომ თანდათან სხვა ადამიანს ემსგავსები, თანდათან თლი, იშალაშინებ საკუთარ თავს, აქედან, იქიდან, ზემოდან, გვერდიდან, და თანდათან პატარავდები, აზროვნება გიჩიავდება, ნებისყოფა გიჩიუნდება.. და როცა გეტყვის ბატონი ანგია კრებას აუცილებლად დაესწარო,

ესწრები, ადექი და კანდიდატად დამა-სახელეო...

— რა, სთქვი?

— არაფერი. მეშინია მაგ კაცის, — ჯაბა ხმას იღაბლებს, — შენ გეუბნებო ამას, არავისთვის არ მიიტყვამს.

— რატომ გეშინია? — ჩურჩულებს ლიანაც და დერეფნისკენ იყურება, გრძნობს, რომ ჯაბას არ უნდა, დედამ გაიგოს ეს ლაპარაკი.

სახურავს გუგუნი გააქვს. კერში გაპრილ ფანჯრის მინებზე წყლის მოლურჯო ფარდა ლივლივებს. დაბინდებულია.

— არ ვიცი... ასე მგონია, რაღაც ხდება ჩემს გარშემო და მე ვერ ვხვდები. რაღაც კანონები არსებობს, ყველამ იცის ის კანონები და მე არ ვიცი. მეშინია, არავინ მიმიხვდეს ამას და ისე ვიქცევი, თითქოს ვიცი ის კანონები. ასე მგონია, რაღაც გამოირჩა... მეჩვენება, რომ არა მაქვს იმდენი ჰეუა, რაც ნორმალურ ადამიანს უნდა ჰქონდეს, თორემ მეც ყველაფერს მივხვდებოდი. ალბათ წიგნების, ამხანაგების, ოჯახის წყალობით ვიცი, რა არის კარგი და რა არის ცუდი. ვიცი სიკეთე რა არის. შიგნით, ჩემთვის, ყოველთვის ვკიცხავ ბოროტებას, ვუყვარი, მუშტებს უქმნევ, ფეხებით ვთელავ, და ხანდახან ისეთ გვირობასაც კი ჩავდევარ, კმაყოფილებით ვიბადარები. მაგრამ სინამდვილეში არაფერი ამის მსგავსი არ ხდება. ყვირილი ყელში იჩხირება, მუშტი ჯიბეშია დამალული. ასე მგონია, ლიანა, ჩემი სიმაართლით შეურაცხყოფას მივაყენებ სხვის, ვითომდა, სიმაართლეს, სულს შევუშფოთებ, მშვიდობას დაგურდევ და ისე გავალიზიანებ, დაუნდობელ მტრად გადავიკიდებ. პატარაობისას არ შეგშინებია სოფლის ორლობეში? მიდინარ ღამით და გეჩვენება, რომ ბუჩქებთან ვილაც ზის. ვითომ ვერ შეამჩნიე, ისე ჩაივლი, რადგან თუ აგრძნობინე, რომ შეამჩნიე, მაშინ თვითონაც ხომ უნდა გაამყვანოს თავი, გამოგობტეს. ეს კი არ ვინდა, იმიტომ ვითომ ვერ შეამჩნიე.

ვიცი, იმ ბუჩქებში არავინ არასოდეს არ იჯდა, მაგრამ...

— იქნებ ახლაც არავინ არ ზის, ჯაბა.

— ახლა ზის!

— ჯაბა, — ლიანას ეძნელება თქმა, — ჯაბა, შენ რაღაც დანაშაული გაქვს ჩადენილი.

ჯაბას სახეზე თითქოს ყვითელი შუქი მიანათეს.

— რა სისულელეა, რა უნდა მჭონდეს...

— თუ დანაშაული არ ჩაგიდენია, ქვეყნად არაფრის და არავის არ უნდა გეშინოდეს. რატომ მე არ მეჩვენება რაღაც დაუწერელი კანონები, თუ ჯანდაბა... რატომ მე არ მეშინია; იმ დღეს ისე დავეღრიალე ბატონ ანგიას რომ... ჯაბას ეღიმება.

— რატომ დაუღრიალე?

ლიანა გვერდზე იხედება.

— ღირსი იყო და დავეღრიალე.

— მაინც? მითხარი, თუ თქმა შეიძლება.

— შენი ანექტა ვნახეო. მუსიკალურ ათწლეულში გისწავლია და მეექვსე კლასიდან გამოუგდინხართო, თოთხმეტი წლისამ რა ჩაიღინე ისეთიო, თან საზიზღრად იღიმებოდა...

— შენ ორი წელიწადი იწეკი თაბაშირში, მე ასე ვიცი.

— ჰო.

— მერე რა უთხარი?

— რაც ეუთხარი!

დერეფნიდან დედა იძახის:

— ჯაბა, მოდიან, გამოდი გარეთ!

დახვეული კიბის თავზე პირველად ნოდარი ამოტივტივდება, შამპანურის ორ-ორი ბოთლი უჭირავს ხელებში. ნასვამი ჩანს.

— რა ამბავია? — ბოთლებზე ანიშნებს ჯაბა და კოცნის.

„არაფერი შეამჩნევინო“, — უჩურჩულებს ყურში ნოდარი.

ექსპედიციიდან დაბრუნების შემდეგ ნოდარი ნახა ჯაბამ. გურამსა და დუდუნას არ შეხვედრია. ქალის ფეხსაცმელების თანაბარი კაკუნი რკინის საფეხურებზე

რებზე თითქოს საათივით ითვლის შეხვედრამდე დარჩენილ წამებს: ჯაბა იბნევა. არ იცის რა ქნას, ჩაეგებოს თუ არ ჩაეგებოს, შეეხმიანოს, თუ დამუნჯდეს... (დუდუნა ხელს ართმევს, დუდუნა კოცნის, დუდუნა გამხდარა, დუდუნას ტუჩები შეუღებავს, დუდუნას თურმე არაფრად არ მიანია ჯაბა... ყველაფერი ეჩვენებოდა... „მალე უნდა წავიდე“, — ამბობს დუდუნა...)

ამოდის გურამი. მასაც ორ-ორი ბოთლი შამპანური მოაქვს. ისიც ნასვამი უნდა იყოს.

— კიბეზე კაცი უნდა მიუძღოდეს წინ ქალს, მომილოცავს! — კოცნის ჯაბას, — თუმცა არა ხარ ღირსი; რატომ არ ჩამოხვედი?

გურამის უკან დუდუნა დგას. ამ წუთში მთელი მისი ყურადღება ჯაბასკენაა მოქცეული. ამ წუთში დუდუნას თეთრი, ქათქათა ღიმილი მხოლოდ ჯაბას ეკუთვნის, პატარ-პატარა ნაღმები აფეთქებულია დუდუნას თვალებში და მთელი ცეცხლი ჯაბასთვის მოუფრქვევია.

ულოცავს დაბადების დღეს და ხელში რაღაც ნივთს აჩეჩებს მოუხერხებულად.

— რატომ წუხდებოდი! — პირი უშრება ჯაბას, საჩუქარს უნებურად შარვლის ჯიბეში იდებს და მერე ხვდება, რომ ეს ლითონის პორტსივარია.

— აჰ, რა ღმერთივით სუფრასი ხომ აღარავის ელოდებით, ჯაბა?

— არა. შემოუსხედით ბარემ.

ნინო თვალს ვეღარ აცილებს დუდუნას, პირზე ნეტარი ღიმილი უკრთის.

— რა მშრალად მოსულხართ, შვილო!

— მანქანით მოვიღრდენ... ეს ლიანაა, ჩემი კოლეგა, გაიცანით! — ხმა უკრთის ჯაბას.

ნოდარი პიანინოსთან ჯდება. სახურავს ხდის. რაღაც ძველ სიმღერას უკრავს.

— ვახსოვს ეს, ჯაბა? — თავისმოუბრუნებლად ეკითხება.

— მახსოვს, მაგრამ ახლა მაგის დრო არ არის.

— ხომ სწორად ვუკრავ?

— თვით ავტორიც სახტად დარჩებოდა — ხითხითებს გურამი.

— შენ რა გესმის?! — იგერიებს ნოდარი.

— რასაც უკრავ...

— ნოდარი ძალიან მუსიკალურია, — აცხადებს დედანა.

ნოდარს თითქოს ძალას აცლის მისი ყურადღება, დაკვრას თავს ანებებს და დგება.

ჯიბებში ხელეჩაწყობილი გურამი გამომწვევად იჭიმება ჯაბას წინ და დედანასკენ ანიშნებს.

— რატომ არ უბრუნებ ამ ქალიშვილს თავის ქაეკტს, სოფელში რომ იყინებოდა სიცივისაგან... სახსოვრად ინახავ?

— ეგ არ არის ცუდი აზრი, — ჯაბა ცდილობს არ გაღიზიანდეს.

— სულ აღარ მახსოვდა, — იცინის დედანა.

ჯაბა ამჩნევს, როგორ იბადება და იზრდება დედის თვალებში ახალი აზრი, და თვალებიც როგორ უღიდდება, თითქოს უნდა როგორმე დაიტოს უცარი სიხარული. ნინო დამნაშავესავით შეკუყურებს შვილს; პატივებს თხოვს.

— ჯაბა, მართლა... ახალი ამბავი! — თითქმის ყვირის დედანა, გაცოცხლდა, იცი, გაცოცხლდა!.. სულ დამავიწყდა, — დედანა სწრაფად უახლოვდება ჯაბას, მის წინ ჩერდება აღგზნებული, მაგრამ გზაში თითქოს ყველაფერი დაავიწყდაო, აღარ იცის საიდან დანიწყოს, როგორ უამბოს.

— ჩვენ ხომ არ გავიდეთ? — ამბობს გურამი.

— ის მოხუცი გაცოცხლდა-მეთქი, ხომ გახსოვს, ჯაბა, ჩემი მოხუცი, ავად-მყოფი... კიდევ კარგი, წუხელ იქ არ მეძინა, ალბათ შიშით მოვეცდებოდი... ამ დღით შესულა ქალბატონი ლიდა, დავხვდავო. საავადმყოფოში წასვლამდე მუდამ შემოდოდა ხოლმე, ხომ გახსოვს ლიდა? შესულა და კინალამ გული წასვლია; უღიმოდა მოხუცი... ცოცხალი ვარ, ლიდა, ნუ გეშინიაო, გაუცი-

ნია კიდევ. ლიდა ყვირილით გაგარდნილა გარეთ, მეზობლებისთვის მთუხარებია. დაურეკავთ საავადმყოფოში, რა პროფესორი მოსულა ერთად, ექიმებიც მოსულან, იშვიათი შემთხვევააო. მერე გაუფრთხილებიათ მეზობლები, ყველა გაუფრთხილებიათ, — ჯაბა, რა საოცარი ამბავია, საწყალი მოხუცი, — დედანას შუბლზე, თვალებთან, ლოყებზე ტირილის ხაზები იძერწება, — გაუფრთხილებიათ, არაფერი არ უთხრათ ახალიო, ექიმი ეტყვისო. ექიმები მიუჩენიათ, უნდა იმორიგეონ, არაფერი არ უთხრათ ახალი, არ იცის ორი თვე რომ ეძინაო, ცუდად იმოქმედებსო. საწყალს, წუხანდელი ჩაძინებული ჰგონია თავი; კიდევ კარგი, წვიმამ არ მოგვისწრო გუშინ დასაფლავებაზეო. ცოლი მოუკვდა ორი თვის წინათ, ქალბატონო ნინო. სწორედ დაკრძალვის დღეს დამართნია ეს ამბავი... წარმოგიდგენია, ჯაბა? ისე მიხარია, ისე...

— კი მაგრამ, მე რატომ არ მიამბე? — საყვედურობს გურამი.

— ხომ ვთქვი, სულ დამავიწყდა-მეთქი, შენ არც იცნობდი იმ მოხუცს.

— ჯაბას იცნობდა ის მოხუცი?

— მაგ კაცის ამბავი ხომ ერთი თვის წინათ ეწერა გაზეთებში, — ახსენდება ნოდარს.

ჯაბა ყურში უჩურჩულებს დედანას:

— ძია ბენედიქტემ გააცოცხლა ის მოხუცი! — თან ეღიმება.

დედანა გაკვირებული შემოსიქვრის.

— შენმა იქ ყოფნამ, — უმატებს ჯაბა, — შენი ამხანაგების სიცილმა და სიმღერამ, დამიჭერე!

— დასხედით ახლა, შვილებო. მშვირები არ იქნებით, მაგრამ...

— დავსხდეთ, თორემ ნოდარმა შესანსლა ყველაფერი, — გურამი პირველი ჯდება მაგიდასთან, — ოღონდ დაბლები — იმ მხარეს, მაღლები — ჩემს გვერდით, სადღეგრძელოების დროს რომ თავი არ ავარტყათ ჰერს.

მაგრამ უკვე ყველა ზის, გურამის მარჯვნივ — ლიანა, მარცხნივ — ჯაბა, მათ პირდაპირ ნოდარი და დედანა.

— სულ ესა ვართ? — ხელებს შლის გურამი, — ისეთი ყაყანი იდგა ოთახში, მეგონა... ბოდიშს ვიხდი, თქვენ არ გეხებათ ეს, — ეუბნება ლიანას.

თამადად გურამს ირჩევენ. გურამი ღგება და დიდი ჭიქით სვამს „ბავშვობის მეგობრის სადღეგრძელოს“. უსურვეებს მეტ გამბედაობას ეურნალისტურ საქმიანობაში, უჭებს პირველ მხატვრულ ნაწარმოებს და პირდება „იმ მშვენიერი ზღაპრის“ კინოში გადაღებას, თან დუდანასკენ იყურება. საზეიმოდ მიმართავს ჯაბას: ჩვენ უნდა ვიზრუნოთ ჩვენს მეგობრობაზე, უნდა გვიყვარდეს ჩვენი სიყვარული, თორემ შემწინველად ხელიდან გამოგვეცლება. შემდეგ ნოდარი ღგება.

— ჯაბა, გახსოვს ძია ნიკალა? გახსოვს რა გვითხრა? ჰოდა, იყავი ისე! — ნოდარი ჭიქას ბოლომდე ცლის, ძალიან სერიოზული სახე აქვს.

— ზა ამბავია! — იცინის გურამი, — იმდენი მაინც უნდა დატოვო, ანგელოსმა შიგ ფეხები ჩაიბანოს.

— რომელმა ანგელოსმა?

— სულერთია.

— ა, სულერთია?

— ჯაბა, იცოცხლე დიდხანს, — ეუბნება დუდანა, — და ბევრი სურათები გადაიღე. ჯაბა, მომენტარე, იცი! — დუდანას ლოყებზე ისთება მბეუტავი სიწითლე და მალე ჭრება.

— მეც ძალიან მომენტარე, დუდანა!

— ოჰო, აქ რაღაც-რაღაცეები ირკვევა, აბა, მეორე ჭიქაც, ჩქარა, და ყველაფერს ბოლომდე გავიგებთ! — გაჭაჭული მხიარულება ემჩნევა გურამს.

სიცოცხლეზე ძვირფასი არაფერია ჭვეყნად, — ფიქრობს ჯაბა, ამ სიტყვებს ვერ მოისმენდა, რომ არ გაჩენილიყო. რა უბრალო, მარტივი ჭეშმარიტებაა ეს, და რა დიადია. თითქოს ერთბაშად გამოაღეს უხილავი სარკმელები და დასუსხულ სულში სუფთა და თბილი ჰაერი შემოიჭრა, ისე თბილი, რომ შეამსუბუქა ჯაბა, გამჭვირვალე ბურთით ატივტივა. სასაცილოდ ეჩვენება

ნოდარის წერილი, მისი ფანტასტიური ეპიკები...

ლიანა თვალს არ აცილებს დუდანას რატომღაც მოიწყინა.

— ჯაბა, იცოცხლე, გისურვებ ბედნიერებას... შენ რომ არ იყო, მე იმ რედაქციაში არ გავჩერდებოდი, და ბატონი გიორგი რომ არ იყოს.

— გმადლობთ, ლიანა, გმადლობთ. ბატონო თამადა, დუდანა, ნოდარ.

ნინო ჭიქას იღებს:

— იცოცხლე, შვილო!

— რა ლამაზი დედა გყოლია, ჯაბა, — ამბობს დუდანა და ნინოს უღიძის.

— რა დროს ჩემი სილამაზეა, ჯაბას გამოერია ქალარა.

ნინო კარადასთან მიდის, უკრას აღებს, რაღაცას ჭეჭავს, პოულობს.

— ა, შვილო, ასეთი ვიყავი თქვენი ხნისა, — და დუდანას ფოტოსურათს უღებს წინ.

— უჰ, რა ლამაზი ყოფილხართ! — ხელისგულებს ლოყებზე იფარებს დუდანა.

ოდნავ შეყვითლებული, ოვალური ფორმის ფოტოა, თვალისმომკრელად ასხივებს 18-19 წლის გოგონას სახე, ფართოფარფლიანი ჩალის მრგვალი ქუდი ირიბად ჩრდილავს შუბლსა და თვალის კრილს. უძველესი, აწ გარდასული და, ერთდროულად, რაღაც მარადიული აღბეჭდილია ქალადზე.

— ვიღაც იტალიელი მექუდე იყო ჩამოსული, — მორცხვობს ნინო, — ქუჩაში უენახივარ, რეკლამას ამზადებდა თურმე თავისი სახელოსნოსთვის, მამასთან მოვიდა და თხოვა...

„ეჩიბრება დუდანას“, — გულში ეღიმება ჯაბას.

სურათი ხელიდან ხელში გადადის.

— ასეთი ქალი მე დღეს თბილისში არ მეგულება! — აცხადებს გურამი, — დეიდა ნინო, ახლაც ყველას ჯობიხართ! — ფეხზე ღგება და ხელს შლის, — გაუმარჯოს დეიდა ნინოს, წმინდა ნინოს, ჯაბასი და მისი მეგობრების მომჭრის-

ტიანებელს... დეიდა ნინო, ყოველთვის, როცა მახსენდებით, უჭიქოდ, უღვინოდ, გლოცავთ, ძალიან ხშირად მახსენდებით, დეიდა ნინო. დაქვრივებამ და ამ ოთახში დაგტანჯათ, ვიცო, მაგრამ ავერ, ჯაბა მოგესწროთ, რაღაცას მოახერხებს, მოსუცებულებას დაგვიმბობ, რძალს მოგიყვანო... ანდა, ერთი ომი და დარჩება ცარიელი სახლები, — იცინის გურამი.

— რა ფილიგრანული გონებაშია ხელობა! — თავს აქნევს ნოდარი, — ინგლისელებსაც კი შეშვრდებოდათ.

— ღმერთმა ნუ ქნას, შვილო, სახლები იყოს და ხალხი — არა, ისევ ასე გვირჩევენია მე და ჯაბას.

— კაცო, მართლა, სულ დამავიწყდა, — ჭიქას მაგიდაზე დებს გურამი, — ინგლისი და საფრანგეთი ეგვიპტეს რომ თავს დაესხა, იცით?

— როდის?!

— აქ რომ მოვდიოდი, მაშინ გამოაცხადა რადიომ, დაუნომბავთ ქაირო, პორტ-საიდბი, სუეცი...
ჯაბა სწრაფად დგება და რადიო-რეპროდუქტორს რთავს.

— აი იზრაველი დაესხაო?! — იხსენებს ლიანა.

— გათამაშებული აქვთ; ვითომ იზრავლისგან იცავენ ეგვიპტეს!

— ომის გათამაშება... თვალწარმტაცია! — „იწონებს“ ნოდარი.

რადიოდან ისმის საზეიმო, მხედრული მარში — ამაყი აკორდები მიამიჯებენ უდაბნოს მტვერში. ქარი ვერ ახშობს სიმღერის ხმას.

— „აიდა!“ — ამბობს ლიანა.

— ეტყობა, მართლა დასხმია! — თავს აქნევს ჯაბა და მაგიდისკენ მოდის.

— მუსიკის გჯერა და ჩემი — არა! — სწყინს გურამს.

— ეგ არაფერი გასაკვირია! — აწყნარებს ნოდარი.

— მე მჯერა ჩვენი რადიოკომიტეტის..

— თუ ძმა ხარ, გაშორეთ!

— იყვეს, ამაზე კარგს შენგან რას მოვისმინო! — კვლავ ისუსხება ნოდარი.

— ჩემგან თქვენ უკვე მოისმინეთ დე-

იდა ნინოს სადღეგრძელო და გთხოვთ, დალიოთ!

ნოდარი დგება.

— მოსალოდნელიც იყო, — ამბობს ჯაბა, — ჩვენი გაზეთები გრძობდნენ ამას — ევიპტოსზე გადასხეს ჯარები ინგლის-საფრანგეთში, საოკუპაციო ფულებს ბეჭდავენო, უდაბნოსფერად ღებავენ ტანკებსო...

—... საკუთარ გულებსაცო, — აგრძელებს ნოდარი, რომ ნუბიის უდაბნოს შეუხამონ გულისნადები. იცოცხლეთ, დეიდა ნინო!

ხავერდში გაბვეულ ქუხილს ჰგავს ორკესტრის ხმები. ეგვიპტის მეფე რამფისი, შურისძიებისკენ მოუწოდებს მეომრებს. ქალღმერთმა იზიდავს ქურუმებს რადამფისი დაუსახელა მხედართუფროსად. რადამფისი ღმერთებს მადლობას სწირავს ოცნების ასრულებისათვის. „ნილოსის წმინდა ნაპირებს საკუთარ მკერდით დაეცავთ“, ფიცსა სდებს ჯარი. ჯაბას ახსენდება: თბილისის ოპერის სცენაზე ამ დროს ნათდება უკანა ფარდა და თვალწინ იშლება დარაზმული შუბოსანი მეომრებით სავსე პირამიდების ველი.

ჯაბა ყურს აღარ უგდებს ნოდარს, არც სხვას არავის. ეჩვენება, რომ ახლა ეგვიპტის მთელ მიწაზე გაისმის ეს მუსიკა, ცის თაღის ოდენა რადიორეპროდუქტორი ჰკილია ეგვიპტის თავზე... ჯაბაც იქ არის, თვითონ მართავს იმ რეპროდუქტორს, უფრო და უფრო მაღლა უწევს ხმას, და მუსიკის უხილავი ტალღა მიწაზე ანარცხებს მტრის თვითმფრინავებს. ეგვიპტელები გაოცებულნი არიან ჯაბას ხელოვნებით.

ქუხილის ხმა ფიქრებს უფანტავს. დედას ტილო აუღია, სკამზე შემდგარა და ფანჯრის ღრიქოდან გამოეოწინო წვიმის წყალს იატაკზე გადმოღვრას არ ანებებს.

— რუსთავში ვიყავი დღეს, მშვენიერი ღარი იდგა, თბილისში კი იმ დროს წვიმდა თურმე, — ამბობს ნოდარი.

— ჯერ ღრუბლებმა არ იციან, რომ იქ ახალი ქალაქი გაშენდა, — იღიმება დედანა.

ელავს. ფანჯრის მინებზე წყლის ფარ-
დას წამით თეთრი ცეცხლი ეკიდება.
დაგორავს ქუხილი ცის სხევენზე, თით-
ქოს გადმოსავარდნს ეძებს.

— რა ღვთის წყრომია, — ამბობს
დეიდა ნინო, — ამ ხნის ქალი ვარ და
ოქტომბერში ქუხილს ჯერ არ მოვსწრე-
ბივარ.

— არა თუ თქვენ, მეც არ მოვსწრე-
ბივარ, — ზუმრობას ცდილობს გურა-
მი.

— სწორედ ოქტომბერსაა აღნიშნუ-
ლი ყველაზე დიდი ქუხილი ისტორია-
ში! — მორცხვად იღიმება ლიანა.

— დამწყვები ჟურნალისტისთვის არ
არის ცუდი შედარება... ამიტომ მე
ესვამ თქვენს სადღეგრძელოს.

— მე ჟურნალისტი არა ვარ.

— შით უმეტეს... ნოდარ, დუდანა,
ვაუმარჯოს ლიანას, ჩვენ ახალ შეგო-
ბარს. მადლობა ვუთხრათ ჯაბას მისი გა-
ცნობისათვის... ჯაბა, მართლა, შენ ჯერ
ჩემთვის არ გითქვამს მადლობა, დუ-
დანა რომ გაგაცანი.

— შენ გაგაცანი?! — ნიშნისმოგე-
ბით ეკრთხება დუდანა, — ჩვენ ბალ-
მასკარადზე შევხვდით ერთმანეთს!

გურამის სახეზე ჩრდილივით გადაივ-
ლის რაღაც ფიქრი.

— ჯაბა... შენ დუდანაზე მეუბნებო-
დი, ნილაბი ავხადეო? იტირაო?... ეს
არის?... — დუდანასკენ თითს იშვერს.

— ნილაბი ახადე? ვის, ჯაბა?! — გან-
ცვიფრებულია დუდანა.

— არავის...

— როგორ — „არავის“. სადარბაზო
შესასვლელში ატირდაო, მგონი, შენ
მითხარი, და თუ ის დუდანა იყო... დუ-
დანა, შენ იყავი?

— ჯაბა, მართლა გადააძვრე ვინმეს
ნილაბი? — დუდანა ხან გურამს შესც-
ქერის თვალეში, ხან ჯაბას, — თუ ჩე-
მი გათამაშება გინდათ?

— არავისთვის არ ამიხდია ნილაბი,
მაგრამ ერთ კაცს კი ავხდი, ადრე თუ
გვიან, — ჯაბა სწრაფად იხედება ნოდა-
რისკენ და თავს ხრის.

— ვის უნდა ახადო, საინტერესოა! —

— ეს გურამის ხმაა. *გურამის ხმა*

— ერთ ჩემ ახლობელს *საინტერესოა*

— მერედა რას მაღავს ის შენი ახ-
ლობელი თავისი ნილბის ქვეშ?

— მაღავს ცრუ გულს, შეიძლება —
ლალატსაც.

მოულოდნელი სიჩუმე შეფდება
ოთახში.

— ნილაბზე რაღა ახატია?

— ნილაბზე გაცვეთილი, ყალბი მხატვ-
რობაა — ერთგულება, სიყვარული,
თავდადება...

— იქნებ გეშლება; როგორც მახსოვს,
შენ მაინცდამაინც ვერ ერკვევი მხატვ-
რობაში, — გურამს ხმა უკაპასდება.

— ჰო. და ახლა ესწავლობ, მინდა გა-
ვერკვე.

— შენ ვერასოდეს გაერკვევი. ამი-
ტომ მე დამიჯერე — იმ ნილაბზე დიდი,
ნამდვილი მხატვრობაა!

— დმერთმა ქნას, მაგრამ...

— რა?!

— ნილაბი მაინც ნილაბია!
დუდანა მანდარინის კანს აქუცმა-
ცებს თეფშზე.

— იქნებ შენ ვიკეთია, ჯაბა, ნილაბი,
და სათვალთვალს ამოჭრა კი დაგვიწ-
ყებია?

— გააჰირეთ თქვენი ნილბებით საქ-
მე! — ყვრის ნოდარი, — თუ სვამთ,
დალიეთ, რა დააშავა ამ გოგომ?!

— მართალია, თუ ვსვამთ, დავლით,
რა დააშავა ამ გოგომ? ლიანა, იცოცხლე
გენაცვალე, — გურამი ქიქას მაღლა
სწევს, — მადლობას ვეუბნები ჯაბას
თქვენი გაცნობისათვის... ჰო, მართლა
ჯაბა, შენც ხომ უნდა გეთქვა ჩემთვის
მადლობა, დუდანა რომ გაგაცანი?

— გურამ!! — დუდანას წამოყვირე-
ბა სილის გარტყმისაგით ისმის, დგება,
— მე წავალ, თუ ასე გააგრძელებ!

ნოდარი ქიქას აწვდის ფეხზე წამოჭ-
რილ დუდანას:

— როცა სადღეგრძელოს ამბობ, ქი-
ქა უნდა გეჰიროს ხელში!

დუდანა ჯდება.

„მეორე მოქმედება. ამნერისის ოთა-

ბი. — ისმის რადიოდან დიქტორის ხმა.
— მონა ქალები ძვირფასი სამკაულებით რთავენ ამნერისს. შემოდის აიდა. მისი დანახვა ამნერისს კვლავ განუახლებს მტანჯველ ეჭვს — ნუთუ აიდასაც უყვარს რადამესი? აი, ახლა სცდის, და იქნებ გამოტეხოს...“

ოთახში შემოსული ნინო რადიოს აღუშვებს.

— დედა, პური!

— რას გაჩუმებულხართ? — უცრად ჩერდება ნინო.

— ახალ სადღეგრძელოზე ფიქრობს გურამი, ხელს ნუ მიშლითო, — ამბობს ნოდარი.

— მოვიფიქრე უკვე; შენ გაგიმარჯოს, ნოდარ!

— მოიცა, ჯერ დუღანა აღდგერძეულე!

— გამომართვი, გენაცვალე, — ნინო პურით სავსე ხონჩას აწვდის დუღანას, მერე უკანიდან მხრებზე ხელებს ადებს და ეკითხება, — რომელ ფაქულტეტზე სწავლობ, შვილო?

— ბიოლოგიურზე!

— ეგ სწავლობს სათნოებისმცოდნეობის ფაქულტეტზე, ამზადებს რეფერატს თემაზე: „ლამაზი თვლები და მათი უნებური გამოყენება“.

— გურამ, რა დაგემართა ამ საღამოს?!

„ამ საღამოს!“

— აბა, ნუ აწყენინებთ ამ მზეთუნახავს, მე გიკრძალავთ! — ამბობს ნინო და იღიმება.

ნოდარის სადღეგრძელოს სევამენ.

— ნოდარ, დალიე სამადლობელი!

— დავლიე უკვე.

— დაცალე.

— ხომ მითხარი; იმდენი უნდა დატოვო ანგელოსმა ფეხები ჩაიბანოსო.

— მე არ მიტყვამს, დაიხრჩოს-მეთქი, დაცალე... ვაცხადებ კონკურსს, ყველაზე კარგი სადღეგრძელოს კონკურსს, — გურამი ჩაის ჭიქას ავსებს შამპანურით.

— ო, შენ უკვე მოფიქრებული გაქვს, ალბათ.

— მოიფიქრეთ თქვენც!

— რათი დაჯილდოვდება გამარჯვებული?

— გამარჯვებულს უფლება ექნება ვისაც უნდა იმას აკოცოს!

— მე არა ვარ თანახმა, — ამბობს დუღანა.

— რატომ გგონია, რომ გამარჯვებული შენ გაკოცებს? — ნიშნისმოგებით ეუბნება გურამი.

— თვითონ რატომღა გგონია, რომ შენ გაიმარჯვებ? იქნებ მე გავიმარჯვო! არ მინდა, არც ლიანას უნდა.

— კონკურსი ჩაიშალა! — სასწრაფოდ აცხადებს ნოდარი, თითქოს ეშინია არ დააბრალონ, რომ ასეთი კონკურსის ჩატარების დიდი სურვილი ჰქონდა.

— კი მაგრამ, ვინ უნდა ყოფილიყო ჟიური? — ამბობს ლიანა, — ვინ გამოავლენდა გამარჯვებულს?

— დეიდა ნინო, რა თქმა უნდა, — ხელს იშვერს გურამი, — ხომ იქნებოდით, დეიდა ნინო? და ვიცი, რომ პირველ ადგილს მე მომანიჭებდით, იმიტომ, რომ მე ვიტყვოდი: მეგობრებო, ამ მაგიდას ორი გოგო და სამი ბიჭი ვუსხედვართ — გაუთხოვრები და უცოლოები. გაუმარჯოს იმ უცნობებს, იმ ორ ბიჭსა და სამ გოგოს, ჩვენი ცხოვრების მეგობრები რომ გახდებიან, და გაუმარჯოს ბუნების იმ სასწაულს, სრულიად უცნობ ადამიანებს რომ ერთმანეთს აპოვინინებს და სამუდამოდ დააკავშირებს-მეთქი. აი, ამას ვიტყვოდი. ხომ მომანიჭებდით პირველ ადგილს. დეიდა ნინო?

— არ ვიცი, ჯერ სხვები რას იტყვოდნენ, ხომ არ ვიცი.

— აბა, ნოდარ!

— კონკურსი რომ არ ჩაშლილიყო, მე ვიტყვოდი...

— შენ ჩაშალე, ძმაო!

— დუღანამ ჩაშალა... მე ვიტყვოდი, გაუმარჯოს იმ წუთებს, როცა ჩვენი სხვისი სიკეთისა და ბედნიერებისათვის ვფიქრობთ-მეთქი, რაც უფრო გამრავდება ეს წუთები, მით უფრო ბედნი-

ერი იქნება კაცობრიობა-მეთქი, როგორია, დეიდა ნინო?

— საუცხოოა, შეილო! აბა, ახლა, ჯაბა, არ შემარცხვინო.

ჯაბამ მაშინვე დაიწყო:

— კონკურსი რომ არ ჩაშლილიყო. მე ვიტყვოდი, რა სისულელეა-მეთქი, ეს. ამხანაგებო, რა საჭიროა ხელოვნურად შექმნილი კონკურსები, როდესაც ჩვენი ცხოვრება ისედაც კონკურსია-მეთქი, გრანდიოზული კონკურსი, რომლის ჟიური დროა და თვითონ ცხოვრება, და დავუმატებდი: მოდი, გაუმარჯოს ამ ბრძენსა და მიუკერძოებელ ჟიურის, და იმ მართალ ადამიანებს და მართალ ფიქრებს, ამ კონკურსში რომ გაიმარჯვებენ-მეთქი. და კიდევ შეიძლება მეთქვა: გაუმარჯოს მზეს, მანძილს რომ გრძნობს და ისე ძალიან არ შორდება დედამიწას, რომ გაყინოს. მოდი, მზესავით გვეგრძნოს ჩვენც ერთმანეთს შორის მანძილი!

— ჯაბამ ყველას აჯობა! — თავს ვერ იკავებს დუდანა.

— ხომ არ ნანობ, კონკურსი რომ ჩაშალე? — გამოშწვევად ეკითხება გურამი.

— არა.. არ ვნანობ! — დუდანა სწრაფად ღვება, ჯაბასთან მიდის, იხრება და კოცნის ლოყაზე.

— ო, ეს თვითნებობაა, ჩაშალე, აღადგინე, მიანიჭე...

დუდანა წითლდება, იბნევა, აღარ იცის რა გააკეთოს. იხრება და ახლა ნოდარს კოცნის, მერე მაგიდას გარშემო უვლის და კოცნის გურამს. ლიანას.

— სამართლიანობა თითქოსდა, აღდგენილია! — ამბობს ნოდარი, — მაგრამ ბოლო სამმა პრემიამ შენიღბა პირველი და ნამდვილი!

დუდანას ღიმილი უკრთის ტუჩებზე, მაგრამ ჯაბას ეჩვენება, რომ დუდანა ძლივს იკავებს ტირილს.

„საოცარია; რაღაც ხდება და მე არაფერი ვიცი, ვხვდები და არ მინდა მივხვდე... რამდენი ხანია, არ მინახავს დუდანა. იქნებ ცალკე რომ შეეხვედროდი, რამე ეგრძნობინებინა ჩემთვის, ანდა, პირდაპირ ეთქვა ყველაფერი, თუ სათ-

ქმელი აქვს... როგორ დავშორდით იმ ღამეს, როგორ ერთბაშად შეეცვალა მაშინ ჩემს თვალწინ... ის პირველი მყოფი იყო ალბათ...“

— ახლა კი ლიანას გაუმარჯოს, ლიანა...

— მე ხომ მადღეგრძელებთ?!

„...თითქოს იმ კოცნამ მანამდე მთვლემარე მანქანა ააგუგუნა დუდანას სხეულში. დაიჩხა უხილავი ფრთები, მაგრამ ჰაერი არ დახვდა, რომ აფრენილიყო. დუდანა გაიქცა...“

— რატომ სხვა არავინ მოვიდა, შეილო, რედაქციიდან?

— არ ვიცი... ალბათ არ იცოდნენ.

„ასე იყო, თუ მეჩვენება? ვაი, თუ მე ვარ მიზეზი?!.. მეც ხომ კარგა მაგრად დავრეტიანდი მაშინ.“

— იმ სურათში თვრამეტი წლისა ხართ, დეიდა ნინო?

— ჩვიდმეტი-თვრამეტი... ვიქნები.

— ჩემზე პატარა ყოფილხართ იმ სურათში.

„ასე არ შეიძლება. ხომ მიყვარს დუდანა? მე ვიცი, რომ ძალიან მიყვარს. მერე? უნდა ავღგე და ვთქვა პირდაპირ. ყველას ვუთხრა. რას ვმალავ? ასეც ვიზამ; ავღგები და ვიტყვი. მაგრამ არის რაღაც გამოუცნობი, ხელი ვერ შემივლია, ხანდახან სულ ახლოს ჩაივლის გონებასთან, მაგრამ ისე სწრაფად გაქრება, რომ გამოცნობას ვერ ვაწრებ. რაღაცით მაშინებს დუდანა, თითქოს...“

— ჯაბა, რას გაჩუმებულხარ?

— დალიე, ძმაო!

— ჯაბა ისევ კონკურსის შედეგებზე ფიქრობს!

„თითქოს ვარ დიდი ბრძენი, დიდი შორსმჭვრეტელი და, თითქოს ვიცი, რომ ამ ხმის, ასეთი თვალების, ასეთი სხეულის პატრონი ქალი... ასეთი ხმის პატრონი... რატომღაც ხმის... ათი-თხუთმეტი წლის შემდეგ გახდება აი, ასეთი და ასეთი ქალი. და აღარ მეყვარება. რატომ მოხდება ასე? არა, ასე არ მოხდება. ეს შიშია და მეტი არაფერი. პასუხისმგებლობის შიში.“

ელვა სახეგაბადრული ბავშვივით

სწრაფად შემობრბის ოთახში და, თითქოს უცხო ადამიანებს წააწყდაო, შეშინებული სწრაფადვე ქრება.

ჯაბას თვალებს ახუქვინებს და ფიქრს აწყვეტინებს კაშკაშა სინათლე.

— აუჰ, ზედ სახურავთან მაინც არ ვიყოთ! — ძიახის გურამი და თავჩაღუნული, კეფაზე ხელებს იფარებს, ელოდება ქუხილის ხმას.

ისმის ხანგრძლივი, გამაყრუებელი გრგვინვა, თითქოს უფრო დიდი პლანეტისათვის გათვალისწინებული, ვიდრე დედამიწაა. შემკრთალი ღიმილი ამშვენებს დუღანას სახეს. ჯაბასთვის ეს სულ ახალი, აქამდე შეუნიშნავი გამომეტყველებაა.

— ეს ტრაგედია, დაახლოებით, ათასი მეტრის სიმაღლეზე გათამაშდა! — ამბობს ნოდარი და მაჯის საათზე იყურება.

— მაგრამ, სადღაც, დედამიწაზე დამთავრდა!

— ისე არც დაერქმეოდა ტრაგედია. ჯაბას ორივე დამთვრალი ეჩვენება, ნოდარიც და გურამიც. თვითონაც დათვრა. თავი უბრუნის. ძალიან მალ-მალე სვამენ. მერე რამოდენა ჭიქები!.. ეჩვენება კი არა, ნამდვილად დამთვრალან, შამპანურიც გაათვებულა. ჯაბა დგება და კონიაკი მოაქვს.

— ოო, ეს შესმის! — უხარია გურამს, — თორემ სევდა მიპყრობს ხოლმე, როცა ვარსკვლავებს ვერ ვხედავ ცაზე! — კონიაკის ბოთლს მალა სწევს და ქვემოდან აწყურებს, თვალთან ხელმოჩრდილული.

— მოდრუბლული ცაა? როგორი ამინდი გველის ხეალ?

— სულ ცოტა, ნახევარ საათში გადოქმინდება! — ბოთლზე თითს უკაყუნებს გურამი.

ნოდარი სკამს ფანჯარასთან აჩოჩებს და ზედ დგება.

— მინდა ელვაში დავინახო სახურავები.

— ახლა შენ რომ იყო ლამაზი გოგო...

ნოდარი შუბლს აბჯენს ფანჯრის მი-

ნას, ხელებს სახის ირგვლივ იჩარჩოებს, რომ ოთახის სინათლე განირიდოს. ციდან მიწამდე უთვალავ, ვერცხლისფერ სიმაღ გამბეულა წვიმა, და ყოველი სიმი ერთ ხმაზე გუგუნებს, გამკვირვალე თქორი ასდის გალუმპულ თუნუქის სახურავებს.

— ქუხილი შემოდგომაზე, უთოვლო ზამთარი... ყველაფერი შეიცვალა, — ბუტბუტებს ნოდარი.

ელავს. ნოდარი სწრაფად იხედება საათის წამშვომზე. ჩუმად ითვლის:

—... ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა...

სახლს აზანზარებს ქუხილის ხმა.

— ეს ცოტა შორს მოხდა, ამხანაგებო; სამი ათას მეტრს ზემოთ.

→ ეს რაღა ენარისა გახლდათ? — დაცინებით ეკითხება გურამი, — ტრაგედია იყო, თუ კომედია?

— ბუფონადა!

— მე კი შგონია, — სკამზე უთითებს გურამი — ეს თქვენი ახალი სიტყვაა საპაერო აკრობატიკაში, ბატონო კლოუნო!

— რას ბრძანებთ, ბატონო ნახერხო! დუღანა კისკისებს.

— ვაცხადებ ახალ კონკურსს!

— დედა, ბატარა ჭიქები მოიტანე!

— ვაცხადებ ახალ კონკურსს, ამას კი აღარ ჩავაშლევინებთ.

— შენ თამადა ხარ, თუ ქადრაკის ეურნალი?

— გაიმარჯვებს ის, — გურამი ყურს არ უგდებს ნოდარს, — ვინც ყველაზე ლამაზ სადღეგრძელოს ეტყვის დუღანას და, თანაც ყველაზე ნაკლები სიტყვა დასჭირდება ამისთვის. დაიშასსოვრეთ — ყველაზე ნაკლები სიტყვა. არავითარი ჭილოდო, არავითარი პრემია, ეიური თვითონ დუღანა იქნება.

— ერთსიტყვიანი სადღეგრძელო შეიძლება?

— უსიტყვოც, თუ კი მოახერხებ.

— მაშინ ვიტყვი, — მოსწავლესავით თითს იწევს ნოდარი, იგი ისევ სკამზე დგას.

— ჭერ მე ვაპირებ, გთხოვ, დაჯდე ადგილზე, — გურამი იხრება და ჭიქას

ქიქაზე უჭახუნებს დუდანას, თითქოს აფროთხილებს, მისმინე რა ვთქვაო. სულ-განაბული უსმენენ. გურამი გამოცდილი მსახიობივით აყოვნებს, მერე ყოველი სიტყვის შემდეგ ისე ჩუმდება, თითქოს სათქმელი დაემთავრებინოს, — შენმა... ღვთიურმა სილამაზემ დუდანა... ისე დამაბუნჯა, რომ მე... ერთ სიტყვა-საც ვერ გეტყვი, — და გურამი ჯდება, თავისთავით უზომოდ კმაყოფილი, თითქოს ეს-ეს არის ტაშმა უნდა იგრილოს მის სახობტოდო.

— მშვენიერია! — მართლაც ტაშს უკრავს ლიანა.

— „ერთ სიტყვასაც...“ მაგრამ მაგის სათქმელად შენ ათი სიტყვა დაგჭირდა. — ასაჩივრებს სკამზე შემდგარი ნოდარი.

— შენ ცხრით სცადე!

— ახლა ლიანამ თქვას, სულ ჩუმადაა.

— მე? ჩემთვის ძნელია. ქალი ქალს ისე ვერ აღლეგრძელებს, როგორც...

— გავითვალისწინებთ!

— რა ვთქვა არ ვიცი. რა უნდა ვთქვა? — ლომონადით სავსე ქიქა ტუჩებთან მიაქვს ლიანას.

— ნუ სვამთ, ჯერ თქვით!

— რა ვთქვა? სადლეგრძელოების არაფერი გამეგება. კარგი, ვიტყვი: დუდანა, მშურს, რომ ასეთი ლამაზი ხარო, რადგან მეც ქალი ვარ, და მიხარია, ასეთი ლამაზი რომ ხარო, რადგან მეც ქალი ვარ. უუ, რამდენი სიტყვა გამომივიდა!

— გურამს ნამდვილად აჯობა! — ყვირის ნოდარი.

ელავს. ნოდარს თვალებთან მიაქვს საათი, ითვლის წამებს.

— გურამს შეიძლება აჯობა, მე კი შემერცხება... — ამბობს სახეშეფაქლული დუდანა.

— ჯაბა, ვისმენო, თუ ჯერ ვერაფერი მოიფიქრე?

ქუხს.

— სამი ათას ხუთასი მეტრი! — მცირე დუმილის შემდეგ აცხადებს ნოდარი, როგორც სპორტული კომენტატორი

სტადიონზე, — ჯაბა, ბოდის ვინდო...

— რამდენ მეტრს გადის ბგერა... წამში? — ეკითხება გურამი ნოდარს.

— სამასორმოცდაათს, ასე მახსოვს.

— მეც არ მიკვირდა!

— რა?

— ასე სწრაფად რატომ ვრცელდება-მეთქი, კორი... — გურამი განგებ წყვეტს ფრაზას, რომ შეკითხვა გამოსძალოს ვინმეს.

— რა კორი?!

— და კორიკანებიც! იოლი სამუშაოა; იტყვი რამე კორს და მერე შეგიძლია არხეინად იჯდე, თვითონ მოედება მთელ ქალაქს, — თვალბეში წამით რისხვა უყოვნდება გურამს.

— სხვათაშორის, ვაანგარიშებულია,

— ნოდარი, ბოლოსდაბოლოს, სკამიდან ჩამოდის, — რომ სიმართლეც იმავე სიჩქარით ვრცელდება, — და მაგიდასთან ჯდება.

— შეიძლება, მაგრამ სიმართლე რომ თქვა, ჯერ უნდა იცოდე სიმართლე.

— ალბათ იციან, — ჩურჩულებს ნოდარი ჯაბას გასაგონად, შიშობს, გურამმაც ხომ არ გაიგონაო, და ხმამაღლა უმატებს, — იქნებ იცის, ვინც ამბობს?

— „იქნებ“, — ქირჭილებს გურამი, — ზუსტი სინონიმი „სიმართლის“, ხმარობ ხოლმე შენს მოთხრობებში?

ჯაბა დგება და რადიოს აერთებს, რომ კამათი ჩაახშოს.

„...როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი კაიროდან გადმოგვეცემს, ინგლის-საფრანგეთის ავიაცია ცხრაჯერ დაესხა თავს კაიროს. სამჯერ ალექსანდრიას და თითოჯერ პორტ-საიდს, ისმილიასა და სუეცს... — ისმის დიქტორი ქალის ხმა, — ... თავს დაესხნენ, აგრეთვე, ეგვიპტის არმიის ყაზარმებსა და საწყობს ნილოსის დელტას რაიონში... დანგრეულია ფერდონის ხიდი სუეცის არხზე. ალექსანდრიაში ავიაბომბის აფეთქების შედეგად დანგრეულია ეკლესია... ინგლისის „კანბერის“ მარკის ბომბდამშენები საფრანგეთის ავიამანადგურებელთა სა-

ფართო ბომბავდნენ კაიროს რადიოსადგურს...“

მოულოდნელი სიჩუმე მყარდება, თითქოს მოკვდა ოთახი.

ნოდარი ანგარიშშიუცემლად საათზე იყურება, ძლივს ერევა სიმთვრალისაგან დამძიმებულ ქუთუთოებს.

— ეს ტრაგედია კი... — ჩურჩულებს იგი და თავს აქნევს, — გათამაშდა, დაახლოებით, სამი მილიონი მეტრის იქით...

მისი ხმა უფრო აწყველიადებს. სიჩუმეს, გურამი სწრაფად დგება და რადიოს აღუმებს.

— ახლა პანაშვიდს ნუ მომიწყობ აქ!

— ვაჟმევეინოთ ჯაბას დუდნას სადღეგრძელო, — ძლივს გასაგონად ისმის ლიანას ხმა, თითქოს თავისთავს ახსენებდეს.

— თქვას. ბრძანე, ჯაბა!

— მე ვერ ვიტყვი...

ეგ როგორ, არ ეშვებიან, ახსნას მოთხოვენ, ჯაბას არ უნდა თქმა. ბოლოს დგება. ნინო ყურებს ცქვეტს.

— არ ვიცი რა ვუთხრა დუდნას ორისამი სიტყვით...

— შესავალები არ არის საქირო!

— როცა დუდნა თბილისიდან წავიდა, მომიჩვენა, რომ ქალაქში მხოლოდ კაცები დარჩნენ, და ყოველ ნაბიჯზე...

— სდექ, კრინტი...

— კარგია!

— ...თორემ ყველაფერს გააფუჭებ! ჯაბა მორჩილად ჯდება და უცრად თამილა ახსენდება. რატომღაც სურათის ჩარჩოში ჩასმული ელანდება მისი მოციმიციმე სახე. ხან ციციანთელსავით ინთება მოლანდება, ხან ბუნდოვანდება და ჭრება. ჩარჩო ცარიელდება.

„თამილა დარჩა მაშინ ქალაქში!“

— ახლა ჩემი ჭერია! — მოუზომავად ყვირის ნოდარი, — ყურადღება, მე ვამბობ დუდნას სადღეგრძელოს, ყველას გთხოვთ, უსმინოთ და დაითვალთ. რამდენი სიტყვა დამჭირდება!

ნოდარი მოულოდნელად პიანინოსთან ჯდება და უკრავს ცნობილ არიას

რუსული ოპერიდან. ყველა მხედრის ეს სიმღერა, ალბათ სიტყვებზე უსმენენ. ჯაბა გულში ლიღინებს:

„Люблю я Вас, любовью нежной, без Вас не мыслю и дня прожить...“

უცრად რაღაც ჩააფიქრებს. ნოდარის კეთვას შესცქერის, თითქოს უნდა თვალეზით შეაღწიოს შიგნით და ყველაფერი ამოიკითხოს, მერე ნოდარის ხმელ თითებს აკვირდება, ახსენდება წერილი...

ნოდარი შუაზე წყვეტს მელოდიას და დგება.

— მე მგონი, ყველას ვაჭობე; ერთი სიტყვაც არ დამჭირვებია!

— ნოდარ! ნუ დგები, დაუკარი რა! — თხოვს დუდნა.

— ეს სადღეგრძელო კი არა, სიყვარულის ახსნა იყო! — უქარწყლებს ორიგინალობას გურამი.

— დაუკარიოთ რა, ნოდარ! — თხოვს ლიანაც.

— რა დაუკარა? — ისევ პიანინოს უბრუნდება ნოდარი.

— რაც მოგესურვება.

— ახალს არაფერს არ ვუკრავ, ყველაფერი ბავშვობაში მაქვს გარჩეული, ისიც — სმენით. — იფერებს თხოვნას ნოდარი, — თქვენ ახლა ცეკვა გინდათ, ჩარლსტონი და რალაეები... მე მხოლოდ ეს ცეკვა ვიცი, — და იწყებს „ანტირას ცეკვას“.

უცხო ხმებით საესე უღრან ტყეს აგონებს ეს მუსიკა ჯაბას, სულ უცხო სამყაროს, უცხო ადამიანებს, უცხო კანონების და ზნის მქონეთ, უცხო, უცხო... თითქოს ოდესღაც დაღუპული დიდი ცივილიზაციის დროს შექმნილს.

ნოდარი ჩქარ ნაწილს თავს ვერ ართმევს; მოუქნელი თითები დალატობს, ანელებს, მაგრამ ზუსტად უკრავს. და უცრად ჯაბას უსიამოვნოდ აყრიალებს ტანში, თითქოს ძალიან საწყენ ამბავს მოჰკრა ყური, უნებურად იწყება სკამიდან, პირს აღებს, რაღაც უნდა უთხრას ნოდარს, და ამ დროს ესმის ლიანას ჩურჩული:

— ეს სწორი არ არის! — ლიანა ბიანინოსკენ იშვერს თითს.

— მაესტრო, — მიმართავს გურამი,

— აქ ამბობენ, სწორად არ უყრავსო.

— სწორია, როგორც მზის სხივი! —

თავმოუბრუნებლად იგერიებს ნოდარი და საგანგებოდ იმეორებს ნაწყვეტს, — ასეა! აქ ერთ ნოტსაც ვერ შეცვლი.

— არ არის ეგრე! — ბიანინოსთან მიდის ჯაბა.

— როგორც მზის სხივი! — უდარდელად ამბობს ნოდარი.

ლიანა მხრებს იჩეჩავს. შერე, ვითომ — და, ამის მოსმენა შეუძლებელიაო, თავს აქნევს და თვალებს ხუჭავს. თითქოს რაღაცამ პირი გაუშწარა.

— მანიშნეთ, როცა დაამთავრებს! — ამუქებს შექმნილ ვითარებას გურამი და ყურებს ხელისგულეებით იგმინავს.

— მე ვუყრავდი მაგას, — სინანულით იხსენებს ლიანა.

— უკრავთ? — ეკითხება დუდანი.

— ძალიან ცუდად, ყველაფერი დამავიწყდა.

გურამი ყურებიდან ხელებს იშორებს, თუმცა მათი ლაპარაკი ისედაც ესმოდა.

— აბა, ლიანა, აუხსენით ერთი ნოდარს, რა არის მუსიკა!

ნოდარი უეცრად დაკვრას წყვეტს და ფეხზე დგება. ხმის ამოღებისთანავე ყველა ამჩნევს, რომ ნაწყენია:

— დაბრძანდით, ლიანა, და თუ ამ ადგილს თქვენ სხვანაირად დაუკრავთ, თავს მოვიჭირი!

— არა, მე აღარაფერი არ მახსოვს.

— დაუკარით, დაუკარით! — გურამი მკლავში წვდება ლიანას და ძალიად აყენებს სკამიდან, — დაუკარით!

ლიანა უახლოვდება შავად მოლაპლავ საკრავს, მერე ისევ მაგიდისკენ ტრიალდება, ხელებს ასავსავებს, აღარაფერი მახსოვსო. გურამი არ ეშვება, ბიანინოსთან სვამს. ლიანა ჯერ ჩუმად, კლავიატურას ათვალიერებს, თითქოს წინასწარ ცდილობს იმ კლავიშების გამოკონობას, ახლა რომ უნდა შეეხოს.

მერე გაუბედავად იწყებს. თანდათან თამამდება. „ის ადგილი“ ახლა გამშვირვანაღლეა, ლოდოკური, და იმდენად მართალი, რომ ნოდარი წითლდება.

— აი, მგონი ასე არის! — ამთავრებს ლიანა და დგება.

გურამის ნაძალადევი სიცილი თითქოს აუშნოებს იქაურობას

— აბა, დანა, ნოდარ, მოიქერი თავი... გალესილია, დეიდა ნინო? არ იწვალოს... ბიჭო, რა შენი ამხანაგია გრივი, იმეგობრე აგერ ჩვენთან, „ახ, ტიკო, ტიკო“ — ებთან.

ნოდარი გამშრალი დგას. შეურაცხყოფილი, ვიდაციისგან დაუნდობლად გაცურებულნი; მან ეს წუთია მოისმინა სიმართლე. ნელ-ნელა აბრუნებს თავს ჯაბასკენ. თითქოს რაღაც უნდა გაიხსენოს და ვერ გაუხსენებია. თითქოს ეკითხება; ამიხსენი რა მოხდა, შენ ხომ უნდა იცოდე ეს?

ჯაბას გულს უჩხვლეტს მოულოდნელი მოგონება.

„მე მოვატყუე!“

კარს აღებს და დერეფანში გადის, ვითომ რამე საქმე აქვს.

— ახლავე, არ მოიწყინოთ!

— სიით, ჯაბა?! — ესმის გურამის ძახილი.

— ახლავე, ამ წუთში!

მეხანძრეთათვის გათვალისწინებულ ვიწრო გასასვლელში უხვევს და უფანჯრო სარკმელთან ჩერდება. ცივი ჰაერი უსუსხავს გაბურბულ ლოყებს. ოზონის მათრობელა სუნი რაღაც შორეულს ახსენებს... წვიმას გადაუღია, მაგრამ აქაიქ კილდე ელავს. მკრთალად ნათდება ქალაქი. თუნუქის საბურავის ჩაღრმავებულ კიდეც წყალი უხმაუროდ მიჰყვება და იქვე, საწვიმარ მილში ქრება. მტკვარი ლაპლაპებს სანაპიროს ელექტროშუქზე.

ახსენდება ნოდარის ოთახი — დიდი ფიზპარმონია ჰქონდათ, ფართო, რეზინგადაკრულ სატერფეხიანი. სანამ უკრავდი, განუწყვეტლივ უნდა გემოძრავა ფეხებით სატერფეხები, თორემ ჰაერი შეუწყდებოდა საკრავს და დადუმდე-

ბოდა. ორივემ იმ ფიზპარონიაზე ისწავლა დაკრა. ნოდარი გაცილებით უკეთ უკრავდა. სამაგიეროდ, ჯაბას უფრო მეტი მელოდია ახსოვდა ზეპირად. იმ დღეს... თუ სადამო იყო, მგონი... ნოდარი „ანიტრას ცეკვას“ აწყობდა, რამდენჯერმე მოისმინეს რადიოთი, კონცერტზეც... ოთახში ამხანაგები იყვნენ. ჰადრას თამაშობდნენ. ახლა აღარ ახსოვს ჯაბას, ვინ იყო, მეშვიდე, თუ მერვე კლასში სწავლობდნენ მაშინ, მგონი, გოგოებიც იყვნენ... ნოდარი „ანიტრას ცეკვას“ აწყობდა... სწორედ „იმ ადგილზე“ ჰკითხა ჯაბას, როგორ არისო, როგორ გრძელდებაო. ჯაბას არ ახსოვდა! მაგრამ ოთახში ამხანაგები ისხდნენ. მგონი, გოგოებიც. და ყველამ იცოდა, რომ ჯაბას არაჩვეულებრივი სმენა ჰქონდა. რომ ზეპირად იმახსოვრებდა ერთხელ გაგონილ მელოდიას. და ხშირად ნანობდნენ და უსაყვედურებდნენ ამხანაგები, მასწავლებლებიც, ნათესაგებიც, მუსიკას რატომ არ გაჰყვივო. ასეთი სახელი ჰქონდა გავარდნილი ჯაბას.

„ის ადგილი“ კი არ იცოდა.

და იცრუა. რაღაც პრიმიტიული გაგრძელება შეთხზა და ყველას გასაგონად წაილინა. არავინ დაეჭვებულა; იმდენად სჯეროდათ ჯაბას ნიჭის და მუსიკალური მეხსიერების.

ნოდარმაც დაუჯერა და ააწყო. მას შემდეგ თურმე ასე უკრავს. ათი წელია, რაც ეს ტყუილი სიმართლე ჰგონია ნოდარს. ვინ იცის, ამ ხნის განმავლობაში რამდენჯერ გულში გასცინებია მსმენელს, მაგრამ შენიშვნა არ მიუცია, რადგან ისე ლალად და გატაცებით უკრავდა ნოდარი.

სისულელეა! ახლა მთვრალია და აზვიადებს. ასეცად გაფუებული ეჩვენება ყველაფერი. რა მოხდა. სწორად არ უკრავს მელოდიას, დაიქცა ქვეყანა. თუნდაც ამ წუთში მოაგონებს ყველაფერს, გამოუტყდება. ნოდარი გაუგებს, გაიცინებენ, ეს არაფერია...

მაგრამ მაშინ რომელმა ტყვიელმა გამოაგლო ჯაბა დერეფანში?

აღარ ახსოვდა თავისი სიცრუე! აი,

ამანი! თვითონ კი ისწავლა მერე ის მელოდია, მაგრამ თავისი სიცრუე დააგვიწყდა. ვაი, თუ კიდევ სხვა სიცრუეც აქვს ნათქვამი, მარტო ერთი და მარტო ნოდართან კი არა... და აღარცერთი აღარ ახსოვს?

თურმე საკუთარ თავს არ იცნობს ჯაბა! არ იცის, როდის რას აკეთებს და რა განზრახვით აკეთებს. ამაზე შემადრწუნებელი არაფერია!

ისე ეწამლება გუნება. ოთახში შებრუნება აღარ უნდა. სურს ერთბაშად გაიხსენოს წარსულის ყველა დღე, ყველა შეხვედრა ახლობელ, თუ უცხო ადამიანებთან. რომ იფიქროს კიდევ იმდენი წელი, რაც თავი ახსოვს, მაინც ვერ გაიხსენებს ყველაფერს, ვერ ამოგლეჯს იმ ქაოსიდან ერთმანეთზე მიყოლებულ თუნდაც ორ დღეს, ზედმიწევნით დამახსოვრებულს. მის მეხსიერებაში საპაერო ორმოცივით გაჩენილა ცარიელი კუნძულები, მხოლოდ ერთი ორმოცივის დღეს წარსულის ჰაერით და ჯაბას სული შეეხუთა, რადგან იმ ჰაერმა თან მოიყოლა წარსულის ცრუ ბგერები... სხვა ორმოცივით რომ შეივსოს?

მის უკან ვიღაც დგას. ჯაბა სწრაფად ბრუნდება.

— რა გინდა აქ, ლოცულობ?

გურამია.

— გურამ, — ძლივს არჩევს სიბნელეში ამხანაგის სახეს, — გურამ, მე დუნდანი უნდა შევიერთო, მე მიყვარს დუნდანი... უნდა შევიერთო... ხვალვე!

და გულზე ეშვება ჯაბას.

მას ახლა დაუყოვნებლივ უნდოდა ეთქვა დიდი სიმართლე. ერთი ხელისმომით გაებათილებინა წარსულის ყველა დანაშაული, მარტო „იმ დღისა“ კი არა, ყველა მივიწყებულ დღეებში ჩაბუდებული და გასუსული სიცრუე... შესაძლებელი და აწ აღუდგენელი. უნდოდა ეთქვა დიდი სიმართლე ყველაფრის გადასაფარავად და გასაბათილებლად, აქამდე გულში რომ ინახავდა და ამიტომ თითქოს არც არსებობდა. ამ წუთიდან კი არსებობს ის სიმართლე. მარტო გურამმა კი არა, თითქოს მთელმა

სამყარომ გაიგო ერთბაშად.

— მე რატომ მეუბნები? — ესმის გურამის ჩამქრალი და მღრინავი ხმა.

— რატომ? — იბნევა ჯაბა, — ამხანაგი ხარ, ხომ უნდა...

— რჩევას მეკითხები? — თითქოს ტუქსავს გურამი.

— არა...

— მე არ გირჩევდი!

— არ მესმის...

— არ ღირს!

— გურამ...

— არ არის ღირსი!

— გურამ, შენ...

— დუდანა არ არის შენი ღირსი!

— რას ამბობ, გესმის, რას ამბობ?

— ძალიან კარგად, ახლა მთვრალი ხარ. მეც... სხვა დროს ვილაპარაკოთ.

— შენ გაიგონე მე რა ვთქვი? დუდანა მიყვარს, დუდანა ჩემი ცოლი უნდა გახდეს. გაიგონე ეს?

— გაიგონე, მაგრამ ეგ არ მოხდება, არ უნდა მოხდეს.

მეხანძრეთათვის გათვალისწინებულ ვიწრო ვასასვლელში ნოდარი შემოდის. საწვიმარი ჩაუცვამს. ფეხი ეშლებს.

— ჯაბა, ხომ დაუეკარი მე სწორად? რალაც მიეშმაკეთ, გამათამაშეთ, ხომ?

— არა!

— ჩემად მოილაპარაკეთ და წაიცუ-
ლლუტეთ; რალაც სხვა მელოდია დაუეკა-
რით, მთვრალია და ვერ მიხვდებათ,
ხომ?

— არა-მეთქი!.. გურამ, შენ ამბობ,
რომ დუდანა...

— მე კი მართლა ვერაფერს მივხე-
დი, ახლაც აზრზე არა ვარ, რა ჩაუძაბა
ლიანამ.

— ნოდარ, გაჩუმდი! — ყვირის ჯა-
ბა, — არ დაუეკარი სწორად, მე მოგატყუე!
.. მაშინ, თქვენთან...

— არაფერი არ მესმის! — ნოდარი
თვალებს ისრებს, თითქოს მეხსიერების
გამოხმობა შეიძლებოდეს ამ გზით —
კარგა გამომთვრალხარ, რალაცვებს ბო-
დავ, რა უნდა მოგეტყუებინა შენ ჩემთ-
ვის? შენ მე არ მომატყუებ.

დერეფანს გოგოების ხმა აცოცხლებს.
„მიდიან?“

ჯაბა კიბესთან ჩერდება.

— ლიანა, დუდანა, რას ჰგავს ეს, ვინ
მოგცათ წასვლის ნება?

— მასპინძელმა გვანიშნა!

— დუდანა!

— გეხუმრები, — დუდანა იხრება და
დაბლიდან მაღლა წინდაზე იცურებს
ორივე ხელს, თითქოს ხელებს შორის
იბადება გრძელი ფეხი.

ლიანა კიბეზე ჩადის. ჯაბას უკან გუ-
რამი და ნოდარი დგანან. წინ — დუ-
დანა. არ იცის რა ქნას, რომელი ერთი გა-
აჩეროს. ახლა რომ მიატოვონ, ჰგონია,
უბედურება დაემართება, თითქოს რა-
ლაცაში დაადანაშაულებს და პასუხის
მოსმენას აღარ ელოდებიან, თითქოს
წინასწარ დარწმუნებულნი არიან, რომ
ჯაბა, სულერთია, თავს ვერ იმართლებს.

კიბის პირველ საფეხურზე დუდანა
დგას, უკან, სიბნელეში, — გურამი და
ნოდარი — სამი ვეებერთელა გამოცა-
ნა. აბურდულ-დაბურდული, აწეწილი.

მზრან მატაპარიანი

ვეძებ და ვეძებ

ვეძებ და ვეძებ,
რაღაცას ვეძებ.
წარსულში ვეძებ,
აწმყოში ვეძებ,
მერმისში ვეძებ,
აკვანში ვეძებ,
კუბოში ვეძებ,
პაერში ვეძებ...
ვეძებ და ვეძებ,
რაღაცას ვეძებ.

ვიცოდე მაინც,
ვიცოდე მაინც,
რა არის,
რასაც
ვეძებ და ვეძებ.

ა, კაცი! —
იცის — გასაღებს ეძებს,
ამოუვარდა ჯიბიდან წეღან.
მას ეხმარება
მეუღლე,
შვილი,
ცოლისდა,
სიძე,
სიდედრი,
დედა.

ეძებენ სკამზე...
ეძებენ სკამქვეშ...
ეძებენ ტახტზე...
ეძებენ ტახტქვეშ...
და...
იპოვნის კიდევ ერთერთი ალბათ.
მე?!

ნუთისოვადი

თენდება. ნელა,
ლამდება ნელა,
და პასუხს ელის
გარშემო ყველა.
და, ვისღა ვკითხო,

რაც უნდა ვკითხო,
რა უნდა მითხრას,
კიდევ რომ ვკითხო! —
იმ კითხვის პასუხს
თვით როცა ითხოვს.

ქ ი ნ რ გ ა ლ ე ლ ე ბ ა

მ ო თ ხ რ ო ბ ა

არსენა სირაძეს ერთ მშვენიერ დღეს მოეჩვენა, რომ შრომა, წვალემა, ფიქრი ოჯახზე, შეილებზე და მტერ-მოყვარეზე სულ სისულელე იყო. თვითონ სიცოცხლეც კიტრის ფასი არ ღირდა. რატომ, რისთვის იღწევს ადამიანი? რატომ არ ჯერდება ღვთისბოძებულს? იბრძვის, ჯახირობს, უკეთესი ცხოვრებისაკენ იქაჩება. რისგან რას გამოიღოს, როდესაც ბოლო ყველაფრისა ერთია: ყველაფერს მიწა შექვამს, ადამიანის საფლავს დაეიწყებს ბალახი და ეკალი გადამუვლის.

არსენა სირაძე ფხეკზე, კოლმეურნეობის ნაკვეთში ახლადამოწვერილ სიმინდს მარგლავდა. ვეება, პრიალა თოხს უბაყუნებდა ხმელ ბელტებს და ზევით მიიწვედა. თოხნიდა და ფიქრობდა.

„შრომას და ამავს ვინ დაგიფასებს, ცოლი თუ შვილები? ქალიშვილები დათხოვდებიან, ბიჭი ღვთისმშობლივით უბედურ ქალს მოიყვანს. არსენა ყველას დაეიწყებდა ჩემი ღვთაობის მინც ნამეტანი უმადური გამოდგა. ერთს არ მოგეფერება, ერთ ტყვილ სიტყვას არ გეტყვის... ფერი და ხორცი მინც უვარგოდეს!“

არსენამ სერელი ბოლომდე გაიტანა და თხმელის ხის ჩრდილში შეისვენა. ოფლი შეიშრალა, ეკალბარდებში საჭრილობლად ჩამალული დოქი ამოიღო, ცაგი წყალი დალია.

ცხელოდა. უკაცრიელ ფერდობზე ეპურკალები ჩხაოდნენ. ნიაგი ზანტალ უბერავდა და სიმინდის გრძელ, ნახევ-

რადჩამომქნარ ფოთლებს აქანებდა.

არსენა გაბევებული იდგა. უცნაური, დილიდანვე აკვირებული აზრი, რომ შრომა, წვალემა და ნიადაგ ოჯახზე ზრუნვა სისულელე იყო. ვერაფრით ტვინიდან ვერ ამოივდო. ამ ფიქრმა შეაწუხა, გატანჯა. შეუძლებელი იყო ამის გაძლემა.

არსენამ დოქი კალათში ჩადო, კალათი თოხის ტარს ჩამოაცვა, თოხი მხარზე გაიდვა და წავიდა. გვირგვინში გათელილ ბილიქს გაჰყვა, მერე გზაწვრილიდან შარახე გადაუხვია და ხის ქიშკარს მიადგა.

ასეთ ქიშკარებს მთავორიან ადგილებში თულა შეხვდებოდა. მოხერხებულ ადგილას ჩადგმული ქიშკარი სოფელსა და სახნავ-სათესს ერთმანეთისაგან ჰყოფს, ნათესებს საქონლისაგან იცავს.

არსენამ ურდული გადაწია, ხის დიდი ქიშკარი ჰრიალით გააღო, მაგრამ აღარ მიუხურავს, რადგან შორიდან წელში გაბრილი დედაბერი გამოჩნდა. დედაბერს ორი მოწითალო თხა მოჰყავდა. ქალს ხელში თოკები ეჭირა. თხები წინ იქაჩებოდნენ და დედაბერს ბუმბულივით მიაქანებდნენ ტყისკენ. ქალმა არსენასთან გამოლაპარაკება დააპირა, მაგრამ თხებმა არ გააჩერეს, თუცა არსენას ნმამაღლა მიესალმა და იმწამსვე იკითხა: ასე აღრე ყანიდან რატომ მოდიხარო. ეს კი თქვა, მაგრამ პასუხისათვის აღარ დაუცდია, ფხაკაფხუკით გაიარა ქიშკარი.

— ყველაფერი თავის დროზე ჯობია,

ჩემო ნათლიდედა! — მიამბა ქალს არსენამ. ამით ვითომ ისიც უთხრა: შენი ამ ქვეყნიდან წასვლის დროა მოსულიო, მაგრამ ქალს კიდევაც რომ რაზე გაეკონა, ამდენს მაინც ვერ მიხვდებოდა. არსენამ ქალს დამცინავი თვალეზი გააყოლა და კიშკარი საგულდაგულოდ დაეკრა.

არსენა არ ჩქარობდა, ყველგან ჩერდებოდა, ისე ათვალეირებდა ადგილგარემოს, თითქოს უცხო იყო. სოფლის კომპერტივშიც შეიარა, პაპაროსი იყიდა. მერე მალაზიის წინ გაჩერდა და გამვლელ-გამომვლელს გამოეხილაპარაკა. ბოლოს სასადილოში ამოჰყო თავი და დაღამებულს დაბრუნდა შინ.

— ამ თოხით და კალათით მთელი დღე მესოფლიასავით რომ დაიარები, დაგაეღა ეინმემ, თუ საქმე შემოგეღია? — უთხრა ცოლმა.

გამხდარი დედაკაცი აბრიალებულ ცეცხლთან იწვებოდა. სქელი ბამბის წინდები ეცვა და წელზე შალი ჰქონდა შემოხვეული. ბოლოებშიწვეარი ხის საკეციტ ბუნრიდან ვაგარვარებულ კეციებს იღებდა და გვერდზე ალაგებდა. კეციზე წაბლის ნეშოს აფენდა, ზედ ჭადის ცომს აკრავდა. ნეშო იმწამსვე იხრუტებოდა და პალატში დამწვარი ფოთლის სუნი იდგა.

— ბავშვები სად არიან? — იკითხა არსენამ, რათა ცოლის ყურადღება სხვა საგანზე გადაეტანა, მაგრამ ცოლმა ყუჩიცი არ ათხოვა.

— კინოში წავიდნენ... — უპასუხა უნცროსმა გოგომ, რომელიც მოწყენილი იდგა ბუნართან და დედამისს უყურებდა. ნამტრიალევ თვალეზზე ეტყობოდა, რომ ბუნართან ყოფნას კინო ერჩია.

— რა უნდათ კინოში, სულ კინოში შეიძლება ადამიანმა იაროს?! — ყასილად გაჯავრდა არსენა.

— მე არ წამიყვანეს! — ამოიხბრა პატარა.

— რა ენადღებთ, არ იკლებენ არაფერს, კინო და კინო... ოჯახში კინო მაქვს პირდაპირ!... — ჩაიბურღლუნა

არსენამ და გარეთ გასვლა დააბრია.

— ვახშამი მზადაა! — მისამბა ცოლმა.

— არ მინდა არაფერი! — უთხრა არსენამ და გავიდა.

ცოლმა თავი აწია და, რადგანაც ოთახში უკვე აღარავინ იყო, გაჯავრებული მიიჩერდა ღრეკოდ დარჩენილ კარს.

არსენა ოდის ხის კიბეს აუყვა და ოთახში შევიდა. ელექტრონის შუქი ანთო. თაროზე და მაგიდაზე ბავშვების სახელმძღვანელოები იყო მიყრილ-მოყრილი. არსენამ ქალღღების გროვაში ძლივს მოძებნა მელანი და კალმის-ტარი. ცარიელი რვეულიც აირჩია. მაგიდის ერთ კუთხეს ნიდაყვი გადაუსვა. ადგილი გაითავისუფლა, დაჭდა და ანგარიში დაიწყო. არითმეტიკა სკოლაშიაც ეხერხებოდა, ციფრებს ყოველთვის ჯამბაზივით ატრიალებდა. ეილაცას უთქვამს: რომ ესწავლა და პატრონი გამოჩენოდა არავისზე ნაკლები ბულატერი არ გამოვიდოდა.

არსენამ ზუსტად გამოთვალა, რა დღიდან დაიწყო სოფლად ნამდვილი მუშაობა- ეს რიცხვი, დაახლოებით, მის დაოჯახებას დაემთხვა. გამოიანგარიშა, რამდენი შრომადღე გამოიმუშავა ამ ხნის მანძილზე, რამდენჯერ შესხლა, დაბარა და შეწამლა თავისი ეენახი; რამდენჯერ დათესა კიტრი და პამიდორი, რამდენჯერ გამოხადა არაყი, მოკრიფა ხილი და შეტება ტარო, რამდენი ხარდანი მოჭრა, რამდენჯერ მოიტანა ტყიდან შეშა დაახლოებით, რამდენჯერ მოიქნია თობი და ნაჯახი. გვიანობამღე წერა და ამატა რიცხვები ერთმანეთს, რვეულ ფანტასტიკური ციფრებით აჭრელა. ზოგიერთ მრავალნიშნა რიცხვს თავი და ბოლო ვერ მოუძებნა, მაგრამ მიხვდა რომ გულხელდაკრეფილს არ უცხოვრია. პირველ მამლისყვილზე დაწვა, მაგრამ მაინც არ დაეძინა. გაახსენდა ზღვა.

ოცი წლის წინ, ოცი წლის ბიჭი არსენა, გემზე მუშაობდა. მართალია, სულ ერთი წელი იმსახურა, მაგრამ მაინც ყველაფერი ახსოვდა. რაც მთავარია,

ახსოვდა ზღვა, ცისფერი, წყნარი ზღვა. მაშინ არსენა არავისზე არ ზრუნავდა, თავისი თავის მეტი არავინ აწუხებდა. ის ბუნდოვანი დღეები წავიდა, სიხშირით მიილია. ავტო უკვე ოც წელზე მეტია, უღელში აქვს თავი გაყოფილი. მის მერე ერთი სიხარული არ უნახავს. რატომ? რისთვის? ვის შეაღია ახალგაზრდობა? შვილები კარგი, მაგრამ ეს ცოლი რაღად უნდოდა?...
 „...ან ფერი ქონდეს, ან ხორცი უვარგოდეს, რამ დამაბრმავა, თვალები სად მქონდა?!“

არსენამ, როგორც იქნა, ჩაეძინა და მთელი ღამე თეთრი ხომალდები ესიხმრებოდა.

ის დღეც ჩვეულებრივად გათენდა. არაფერი ახალი სოფელში არ მომხდარა. მხოლოდ არსენასთვის დადგა სხვა დღეა. იგი აღიონზე გამოვიდა სახლიდან. ილიაში ძველი ბუშლატი ჰქონდა ამოჩრილი და ჯიბეებში ხელბეჩაწყობილი, საჭმიანად მოდიოდა. ეზო-ყორეს გამოირდა თუ არა, გვერდზე მიდგა და ბეჭით ღობეს მიეყრდნო. მალე ავტობუსმაც ჩამოიარა. არსენამ ხელი აწია, ავტობუსი გაჩერდა. არსენა ავტობუსში ჩავდა და სამუდამოდ დაემშვიდობა სოფელს, თოხს და ცოლს.

ავტობუსი რბილად მიდიოდა მოასფალტებულ გზაზე. ფანჯრებიდან გორები და ჩაის პლანტაციები ჩანდა. მზე ამოდოდა, პლანტაციებში უკვე სამუშაოდ გასულიყვნენ. არსენა უყურებდა მუზობელ გლეხებს, ნაცნობებს, მოყვრებს; უკვირდა, რატომ მუშაობდნენ, რატომ აკლავდნენ თავს.

ავტობუსი თითქმის ცარიელი მიდიოდა. არსენა ბოლოში ტყავის სავარძელზე მოკუნტულიყო. მიდიოდა ავტობუსი და მიაქანებდა თავზეხელაღებულ მგზავრს. არსენამ კარგად არ უწყოდა; რას ჩაღიოდა, მაგრამ გრძნობდა, თავისუფალი იყო აწ და მარადის, და უხაროდა.

კარგი გათენებული იყო, არსენა სირაქე რომ ზათუმში ჩავიდა. დაბარებულევით მიდგა პორტს, მოსაცდელი

დარბაზი გადაურა და ნავმისადგომზე გავიდა. ზღვასთან არც უკმისულა; იქვე ჩრდილში, ზის სკამლოცხნზე მჩრქალათდა.

ბაჭანზე ხალხი ირეოდა. ეტყობოდა, სამგზავრო გემი, რომელიც პორიზონტზე ჩანდა კიდევ, ნაპირს უნდა მოდგომოდა.

არსენას ზღვა ამღვრეული მოეჩვენასხვა მხრივ, სიმშვიდე იყო. პატარა ტალღები მსუბუქად ეხლებოდა მინგრეული სანაპიროს დახორკლილ ყორეს. შორს გრძელი ტანკერი იტვირთვოდა. უფრო იქით ძველთაძველი გემების აქონხილი ანძები ჩანდა. ხელმარჯვით რანდენიმე კაცი თევზაობდა.

მზე სამხრეთისაკენ მიჩოჩავდა. არსენამ იცოდა, ნაშუადღევს მასაც დააცხუნებდა, მაგრამ ჭერჭერობით ვანძრკასაც არ ამირებდა.

პორტი კიდევ უფრო ახმაურდა. უხარმახარი, თეთრი ხომალდი ნელნელა დაუგვერდიგვერდა ბეტონის მოლს. გემიდან მსხვილი, თეთრი გვარლები გადმოყარეს და გემი დააბეს. ჯაჭვების ჩხარუნით დაუშვეს კიბე.

ხომალდიდან ათასფრად ჩაცმული, დამშვენებული, ნაბატები ხალხი ჩამოვიდა. მგზავრები მალე ჩამოთავდა. მერე ძეზღვაურებმაც დატოვეს იქაურობა. გემი თითქმის დაცარიელდა. მხოლოდ გემბანზე დარჩა რამდენიმე კაცი, რომლებმაც იქაურობის გასუფთაებას მიჰყვეს ხელი.

გემის კიჩოსთან წყალი თუხთუხებდა.

პორტი დროებით მიწყნარდა.

შორს გრძელი ტანკერი ამოძრავდა, ზანტად მოტრიალდა, პირი გაშლილი ზღვისკენ ქნა, გაიჭიმა და ნელა წავიდა.

არსენა გაუნძრევლად იჯდა. უყურებდა ზღვას, გემებს, და არ იცოდა, აწი რაღა უნდა ექნა, რა უნდა გაეკეთებინა; ფიქრიც არ უნდოდა, ფიქრიც ეზარებოდა.

* * *

ქალაქიდან მოშორებით, მახინჯაურსა და ბათუმს შუა მოუხერხებელ სანაპიროზე კინოს იღებდნენ. ბეტონის ტალღათმჭრელები და პატარა პლიაჟი ხალხით იყო სავსე. ნაპირთან, თავთხელ წყალში, გადამღები ამწე იდგა. ამწეზე ოპერატორი იყო წამომჯდარი.

ერთი მხატვრული ფილმის მასიურ სცენებს იღებდნენ და ფერად-ფერად საბანაო კოსტუმებში ჩაცმული გოგობიჭებით იყო იქაურობა აჭრელებული.

ცნობისმოყვარე ხალხი ზევით, რკინიგზის ლიანდაგთან გროვდებოდა. ყველას აინტერესებდა, როგორ იღებდნენ კინოს. სეზონი ახალი გახსნილი იყო და დამსვენებლები, ჯერჯერობით, ადგილობრივ ხალხს არ ჰკარბობდნენ. გამვლელ-გამომვლელი ლიანდაგთან ჩერდებოდა და ერთმანეთს ეკითხებოდა, რას შევბიან, კინოს ზომ არ იღებენო. ზოგიერთი ბალახით დაფარულ მიწაზე დამჯდარიყო და საათობით გასცქეროდა კინოგადაღებას.

კინოექსპედიცია ნორმალურად მუშაობდა; არაფერი უჩვეულო, უცნაური ან გაუთვალისწინებელი არ ხდებოდა.

ახალგაზრდა მსახიობები კიდევ იბრანჭებოდნენ, მაგრამ ისე არა, როგორც ადრე. ერთობოდნენ, შადღებოდნენ და დროს მზიარულად კლავდნენ. საკვირველი ის იყო, რომ ამ საქმეში ფულს იღებდნენ. პირველად გასამრჩელოს აღება შერცხვათ. ბოლოს ამჟამად შეურიგდნენ. ისინი, განსაკუთრებით ქალები, ფიქრობდნენ, მთავარი აქ გარეგნობა და სილამაზეაო, და არც ცდებოდნენ. მათი ნიჭი და უნარი, ცხადია, არავის ჰქირდებოდა. კინომსახიობები (კინომსახიობები ქვია ყველას, ვინც კინოში თამაშობს) ორ ნაწილად იყოფიან. თუ ქალი ნიჭიერია, შეუხედავი უნდა იყოს. თუ უნიჭია, აუცილებლად — ლამაზი. იმ ჭკუფში კი სრული ჰარმონია სუფევდა. თითქმის ყველა ლამაზი ჩანდა.

დილის მზე გადასული იყო. ოპერატორი შუადღეს ელოდა, რათა სხივები-

სა და ჩრდილების გამას ფერადი ფირისათვის სასურველი ტონი და შეფერილობა მიეცა.

გადაღების მონაწილენი ისვენებდნენ. რკინიგზის ლიანდაგთან და ბალახით დაფარულ მიწაყრილთან სულ რამდენიმე ცნობისმოყვარედა შემორჩენილიყო... სანაპიროს ეანგისფერი კედლის ჩრდილში გამნათებლები ისხდნენ და დომინოს თამაშობდნენ.

სიწყინარე იყო. ისმოდა, როგორ ლოკავდა გრძელი და სუსტი ტალღები ბეტონის ტალღათმჭრელების დახორჯილ გვერდებსა და პლიაჟის ქვიშას.

ამწეზე შემომჯდარი ოპერატორი კინოკამერაში იჭვრიტებოდა და კადრს აყენებდა. თავზე გრძელი წინაფრიალი საჩრდილობელი კეპი ეხურა და მზის სათვალე ეკეთა. სათვალეს წამდაუწყუშ იკეთებდა და იხსნიდა. გამხდარი კაცი იყო. ტანზე მოკლესახელოებიანი, ჭადრაკულად მოხატული პერანგი ეცვა.

დამღმელმა რეჟისორმა ოპერატორის ასისტენტებს დაუძახა. ორმა წელზევით შიშველმა ბიჭმა, რომელთაც ხაკის შარვლები და მძიმე ფეხსაცმელები ეცვათ, ამწეს თოკს მოკიდეს ხელი. ოპერატორი წამოდგა და ასისტენტის სკამზე გადაჯდა. ბიჭებმა თოკს დაქაჩეს და ამწეს ოწინარი დაუშვეს. რეჟისორი ოწინარზე შეფოფხდა და ოპერატორის გვერდით დაჯდა. ასისტენტებმა თოკი მიუშვეს. ამწე აიმაჯო და დადგა.

რეჟისორმა კინოკამერის ლინზას შუბლი და თვალეები მიაბჯინა. იგი თითქმის ყოველთვის თვითონ ამოწმებდა კადრს. არც ოპერატორს ენდობოდა, არც მხატვარს. სანამ მთავარსარდალივით არ გაჰვრეტდა ობიექტს. გადაღებას არ დაიწყებდა. ოპერატორი ბრაზობდა, თუმცა არაფერს იმჩნევდა. რეჟისორი თვითონვე ხვდებოდა, რომ მის საქმიანობას ოპერატორი ალტაცებაში არ მოყავდა, მაგრამ ბევრი ბოდიშებისა და ცერემონიალის თავი არ ჰქონდა. ბუნებით ძლიერი პიროვნება იყო.

და მის გარშემო მყოფ ხალხს იოლად იმორჩილებდა.

რეჟისორმა დაიხანს აწვალა კინოკამერა. მერე ოპერატორს უთხრა, ყველაფერი კარგადაა, თუ ვინდა ნახეო. ოპერატორმა უთხრა, იყოს მერე გავიხედავო, მაგრამ რეჟისორი ადგა და ადგილი გაათავისუფლა. ოპერატორმა თავის სკამზე დააპირა გადასვლა ამასობაში მოგრობ ტალღამ, ეტყობოდა, ამწეს ძირი მოუწყია. ამწე გადაიხარა და გვერდზე წავიდა.

ბევრმა შეხედა, როგორ მოყანყალდა ამწე, მაგრამ ახლო მისვლა ვერავინ მოასწრო. რეჟისორმა და ოპერატორმა დროზე უშველეს თავს, ტყაპან-ტყაპანით ჩაცვიდნენ წყალში. ამწე გვერდზე გაწევა, მერე ოდნავ შეტრიალდა და წყალში ცხვირით ჩაემხო.

ოპერატორის ასისტენტებმა სწრაფად მოხსნეს კინოკამერა შტატივიდან. ოპერატორიც იმწამსვე კამერას მივარდა, ახედა, დახედა და, როცა ნახა მთელი იყო, დამშვიდდა, თუმცა მაინც კარგახანი ბუზღუნებდა და სველ შარვალს იხდიდა.

წელამდე სველი რეჟისორი ერთ ადგილას იდგა და ეცილებოდა. უბრალოდ, არ იცოდა ვის უნდა გაჯავრებოდა თუ არა. მისი რისხვა ვიდაცას მწარედ დაატყდებოდა.

არც რეჟისორმა, არც ოპერატორმა ცურვა არ იცოდნენ და არც ამხელდნენ. ღრმა წყალში რომ ჩავევარდნილიყავით, რა გვეშველებოდაო, ფიქრობდა ორივე და სახეზე ადამიანის ფერი არ ელათ. მართალია, ჯგუფში ბევრი კარგი მოცურავე, სპორტსმენიც კი იყო, მაგრამ მაინც ვინ იცის, რა მოხდებოდა. პასუხისმგებლობა მათ სიცოცხლეზე ჭერ არავის ეცისრა.

ოპერატორი სულაც არ ყოფილა უკულო თავმოყვარე და რომ ეკითხათ, ცურვა თუ იციო, იტყოდა, არ ვიციო, მაგრამ არავის არაფერი უკითხავს და რა ძალა ადგა თვითონვე ეღიარებინა სიმართლე. იგი მთავლელოც იყო და, ალბათ, რაღაც მთავლელი იყო, ეგო-

ნათ, ცურვაც კარგი ეცოდინებოთ. რეჟისორი კი საქიროდ არ თვლიდა ვინმეს ცოდნოდა, რა იცოდა და *დაიხანს ვინმე* რიშს ისედაც არავის აბარებდა.

ორი კვირა აქ იყვნენ. ტანზე არც ოპერატორს გაუხდია, არც რეჟისორს. ამისათვის მართლაც არ ცხელოდათ. რაღაცა იღბლად შიანი დღეები ერთმანეთს წაეწყო და ამინდის წახლომამდე უნდოდათ მოესწროთ ნატურგადაღება.

— მე კარგი, მაგრამ, ჩემს ვარდა აქ ასი კაცია... ხომ შეიძლება, ვიდაცა დაიხრჩოს ბოლოსდაბოლოს!... — თქვა ოპერატორმა და საჩრდილობელი ქუდი მოიხადა.

ამ სიტყვების გაგონებაზე რეჟისორი გამოცოცხლდა. მოეჩვენა, რომ ჯგუფში არც ისე კარგად იყო აწყობილი საქმე, როგორც ადრე ფიქრობდა.

— ვინ უნდა დაიხრჩოს, იხვებივით დაცურავს ხალხი! — ოპერატორის გასაგონად ჩაიხიზბითა სურათის ადმინისტრატორმა.

— დაცურავს ერთი, ჩემო ძმაო, აქ სხვებიცაა... ქალბია, დამხმარე პერსონალია, ხან ზღვა დელაქს, ხან რა ხდება... ათასი შემთხვევაა მოსალოდნელი და ესეც რომ არა, ვინც ცურვა არ იცის, იმან რა ქნას!? — იკითხა გაკვირვებულმა ოპერატორმა.

მაღალი ტანის გრიმიორმა ქალმა რატომღაც ხმამაღლა ვაიციანა.

— მართალს ამბობს, რა არის აქ სასაცილო? — მიუბრუნდა რეჟისორი გრიმიორს.

მაღალი ქალი, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ რაც ახლა ხდებოდა, ყველაფერი სასაცილო იყო, რეჟისორის მუხარზე შეცბუნდა. ამ გამოხედვას ვერასოდეს ვერ უძლებდა. ეჩვენებოდა, რომ რეჟისორის თვალებიდან ელექტრონის ორი მომაკვდინებელი სხივი მოდიოდა.

— ...და საერთოდ... — რეჟისორმა ქალს თვალი მოარიდა. მონუსხულმა ქალმა თავისუფლად ამოისუთქა, რეჟისორმა განაგრძო:

— ...იხვებივით ცურავენო, რომ ლე-

პარაკობს ვიღაცა, სიტყვას დაუკვირდეს... არავისი საქმე არაა ვინ როგორ დაცურავს. აქ აღამიანებზეა ლაპარაკი და არა ინებებზე!.. ასეთ უღარდელ და უპასუხისმგებლო ხალხთან მუშაობა შეუძლებელია და არავის არ გაუკვირდეს ეს!

აღმინისტრატორი, ცხადია, მიხვდა, ვის ესროდნენ ჭოლოკს, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ თავი შეიკავა და გვერდზე გაიხედა.

— რა თქვი შენ, მოიხედე აქეთ! — დაუძახა რეჟისორმა.

— მე არაფერი არ მითქვამს, ვახტანგ იასონიჩ!

აღმინისტრატორი რეჟისორზე უფროსი მხოლოდ ასაკით იყო და ესეც რომ უთხრა, დიდი ვაჟკაცობა ეგონა.

— ხერხაძე სად არის? — ჰკითხა რეჟისორმა.

— ნომერში დავტოვე, რაღაცას ანგარიშობდა ბუღალტერთან ერთად...

— აქ რატომ არ არის?... რა ანგარიშში გაუჩნდა ამ შუადღეზე... ვაღაღებულა გადაღების დროს აქ იყოს. იცოდეთ, შენც და იმანაც, რომ სანამ აქ გამოცდილი გადამჩენი არ მეყოლება, გადაღებას არ დავიწყებ... წადი ახლა და მოეყვანე!

აღმინისტრატორმა ვერ გაიგო, „გადამჩენი“ უნდა მოეყვანა, თუ სურათის დირექტორი ხერხაძე, მაგრამ კარგად იცოდა, რეჟისორი ზედმეტ შეკითხვებს ვერ იტანდა და ამიტომ უხმოდ შეტრიალდა.

წამოდი, ბიჭო, წავიდეთ! — დაუძახა აღმინისტრატორმა ავტობუსის მძღოლს.

სქელი ბიჭი გაჩაჩხული იდგა ყორესთან, ხელები შარვლის ჯიბეებში ჩაეწყო და გულგრილად ადევნებდა ყველაფერს თვალს. როდესაც უთხრეს, წამოდიო, არც განძრეულა, თითქოს არაფერი გაუგონია. მერე უცბად შეტრიალდა, აღმინისტრატორს დაედევნა.

კინოსურათის დირექტორი ხერხაძე მართლა მალე მოვიდა. მიწაყრილთან ავტობუსი მოტრიალდა. ხერხაძე ძუნ-

ძულით ჩამოვიდა ხის ვიწრო კიბეზე და გაკვირვებული შემფოთებულნი სანახო იკითხა: რაშია საქმე, რა მოხდა, რისთვის გამომიძახეთ, ცუდი ხომ არაფერი გვეჭირსო. დირექტორმა ძალიან კარგად იცოდა, რა მოხდა და რისთვისაც ეძახდნენ. გზაშივე გაეცნო სიტუაციას და საკმაოდ კარგად იყო ინფორმირებული, მაგრამ ისეთი გულუბრყვილო სახე ჰქონდა და ისე გულწრფელად ლაპარაკობდა, გვეგონებოდათ, ამაზე უცოდველი ქვეყანაზე არა ღაღის რაო.

ხერხაძე დათვით კაცი იყო.

ზოგს დღემდე ჰგონია, დიდი ტანის აღამიანებს ეშმაკობა აკლიათ. ჩვენ ხომ ვიცით, რომ უფრო ხშირად მხოლოდ ზღაპრებშია უმცროსი ძმა ჭკვიანი, პატარა ტანის კაცი მოხერხებული, და დიდი — შტერი.

— სანამდე გადამჩენს, ან შენ რომ ეძახი, „სპასატელს“ არ მომიყვან, გადაღებას არ დავიწყებ, — მშვიდად, მაგრამ გამომწვევად უთხრა რეჟისორმა დირექტორს.

„თუ არ დავიწყებ, ამ ჩემს ფეხებს!“ — გაიფიქრა სურათის დირექტორმა, ხამაღლა კი ასე თქვა:

— კი, ბატონო, ვიზოგნი სადმე... მასეთები გავვიჩენია... დღეს დავაზუსტებ ვინ სად, როგორ, რანაირად და ხვალ უკვე აქ კაცი მეყოლება!

— ხვალ მე არ ვიცი, ამდენხანსაც უნდა გეზრუნა ამაზე... დღესხვალიობით აქ საქმე ფუჭდება... ახლა ორი საათია. ერთ საათს კიდევ დავიცდი, მერე გადაღებას მოვსწანი, გაცდენილ დღეს შენ დავაწერ და თბილისში სტუდიის დირექციას შევატყობინებ, რა დღეში ვარ!

ხერხაძემ ხელი აიჭნია, ვითომ სახიდან ბუზი მოიშორა, შეტრიალდა, სახედალრეჟილმა მიიხედ-მოიხედა, სქელ ბიჭს თვალი შეავლო და აგდებულად უთხრა:

— წამოდი, ძმაო, შენ მაინც წამოდი დროზე!

ხერხაძე უკანმოუხედავად აყუა ქვის კბეს. სქელი ტანის მძლოლი დაედევნა.

• • •

პორტში თითქმის აღარაფერს იყო. თეთრი გემიც აღარ ხმაურობდა. კინოდან ვიღაც კაცს ანკესები ვადაეგდო. თვითონ მოაჯირს გადაყრდნობოდა და ზღვის ზედაპირს დასცქეროდა. ერთი მეთევზე ნაპირზეც იდგა.

არსენა სირაძე სკამლოვინზე მიგდებულყოფა და თვლემდა. მძიმე ნაბიჯების ხმაზე თვალი გაახილა და პირდაპირ მისკენ მომავალი, უზარმაზარი კაცი დაინახა.

დიდი კაცი იმავე სკამლოვინზე დაჯდა, სადაც არსენა თვლემდა. არსენა წამოიწია, კინადამ მისაღმებაც დააბირა, მაგრამ დიდ კაცს მისკენ აღარ გამოუხედა. არსენა სკამზე გასწორდა და ისევ წათვლიდა. დიდი ტანის კაცმა რამდენჯერმე გულიანად შეივიწინა და მერე არსენასაკენ მოტრიალდა:

— ერთი, თუ ძმა ხარ, მითხარი, აქ ვისთან უნდა მივიდეს კაცი, ან და ეს საქმე ვის ეხება თუ იცი, ანდა რაშია საქმე!

— მე აქაური არა ვარ და არაფერი არ ვიცი! — მორიდებულად, ბოღიშის კილოთი უთხრა არსენამ.

დიდმა კაცმა ვეება ხელის მტვევანი კიბხვის თუ გაკვირვების ნიშნად შეატრიალ-შემოატრიალა და არსენა, რომელიც პირველად პორტის მუშა ეგონა, ხელმეორედ აათვალიერ-ჩაათვალიერა.

- ჩამოსული ხარ?
- დიას, ჩამოსული ვარ, ბატონო!
- რაზე ხარ ჩამოსული?
- გემზე მინდა მოვეწყო...
- რომელ გემზე?
- სულერთია, რა ვიცი...
- მეზღვაურად?
- რადაც იქნება...
- გიმსახურია თუ გემზე?
- აღრე კი, ფოთის გემზე ვმუშაობდი... ასე დავდიოდით ამ ახლო-მახლო...

მოსულმა ერთხელ კიდევ შეათვალიერა დამხვედური.

— ესე იგი, შენ ძველ მჭილავაური ყოფილხარ?..

არსენას ვაეცინა, მე რა მეზღვაური ვარო, უთხრა.

— შენ თუ მართლა მუშაობა ვინდა, მე ვაგიჩენ საქმეს!

— რა საქმეს? — შეეშინდა არსენას.

— ვადამჩინედ არ იმუშავებ კინოჯგუფში?

— კინოში?

— კინოში კი არა, ვადამლებ ჭგუფში... კინოს როგორ იღებენ ხომ ვინახავს...

— კი, როგორ არა... — ოღნავ გაწითლდა არსენა.

— მე თვითონ სურათის დირექტორი ვარ და თუ წამოხვალ, არ წააგებ!

არსენა უფიქრდა, არც „ვადამჩინე“ იცოდა რა იყო, ან ვინ იყო და არც კინოგადაღება ენახა ოდესმე.

— კი მაგრამ მე იქ რა უნდა გავაკეთო? — იკითხა არსენამ გლეხური სიფრთხილით.

— არაფერი... წამოკლები ხონთქარით და ხელფასს მიიღებ... სხვა ვინ რას აკეთებს, შენ რომ ვააკეთო... სასტუმროში ბინას ვაგიჩენ კიდევ, თუ ვინდა და, თუ არ ვინდა, რა ვიყო ახლა..

არსენა სულ დაიბნა. იფიქრა, აქ რაღაც სხვა ამბავია, ახლა თუ ვადავჩინა, მერე არაფერი მიჭირსო.

— რა გვარი ხარ?

— სირაძე.

— სირაძე?

— დიას, სირაძე...

— სახელი რა გქვია?

— არსენა.

— სახელი კი გქონია კარგი... წამოდი, ჩემო არსენა, ვლახას მე არაფერს არ ვირჩევ!

— ახლა ვერ წამოვალ, საქმე მაქვს, სხვა დროს ვნახოთ... — თავის დაძვრენას შეეცადა არსენა.

— წამოდი მაინც, სამუშაო ნახე, თუ

არ მოგვეწონება, უკან დაბრუნდები, იქ კი არავინ დაგაბამს!

ბერხაძე წამოდგა და არსენას მკლავში ხელი მოკიდა.

— ახლა უნდა წამოვიდე, ამ წუთას?

— აბა, გადაღებული საქმე რომ საქმედ არ ითვლება, არ იცი შენ?

— შორს თუა, მაშინ სხვა დროს...

— შორს კი არა, აქვეა... თანაც მანქანი ვარ!

არსენა წამოდგა. იფიქრა, რაც მოსახდენია, ისედაც მოხდება, წავალ, იქნება ბედსაც ვეწიო.

ბერხაძე და არსენა პლიაჟზე გამოცხადდნენ.

არავის უფიქრია, თუ ასე მალე მოვიდოდნენ.

რეჟისორი ეგონა, ბერხაძე დღეს საერთოდ არ გამოჩნდებაო და გადაღების გადადებასაც აპირებდა. პლიაჟზე უკვე ანეგდორტებს ყვებოდნენ. რეჟისორი გამზიარულბულიყო და ყველაფერზე ეციინებოდა.

— გაიცანით, არსენა სირაძე, ძველი მეზღვაური, ზღვის მგელი! — თქვა ბერხაძემ და ექსპედიციას არსენა წარუდგინა.

არსენამ ქული მოიხადა. რეჟისორმა გაუღიმა და ხელი ჩამოართვა. მოსულმა ეს დიდ პატივისცემად ჩათვალა და უბერხულად შეიშუშუნა. რეჟისორი ისევ ილიმებოდა და არსენას მიჩერებოდა. არსენა დაიბნა და ოპერატორს გაუწოდა მკლავი. მერე ადმინისტრატორსაც მიესალმა და ბოლოს იმ ახლომახლო ყველას ხელი ჩამოართვა. როცა ამ საქმეს მორჩა, ქული უა ხელები მუცელზე დაილაგა და მორჩილად გაჩერდა...

— რა გვარი ბრძანდებით? — ჰკითხა რეჟისორმა.

— სირაძე.

— ფხალაძე?

— არა, ბატონო, სირაძე...

— სახელი რა გქვიათ, უკაცრავად!

— არსენა! — დაასწრო ბერხაძემ.

— არსენა... — დაუმოწმა არსენამაც. რეჟისორს ისევ გაეცინა. სხვებიც

ილიმებოდნენ. ყველა მიხვდა, რომ რეჟისორმა კარგი თვალით შეხედდა ახალმოსულს.

— ალბათ ყველაფერი იცით, რა გვეალებათ და რა უნდა გააკეთოთ? — უთხრა რეჟისორმა არსენას.

— კი, ბატონო!.. — უნებურად დაეთანხმა არსენა.

— ყველაფერი იცის, ამაზე საიმედო კაცი ახლა ძნელი საშოვნელია! — სახეზე ხელი ჩამოისვა კმაყოფილმა დირექტორმა და თანამშრომლებს ნიშნისმოგებით გადახედა.

— ძალიან კარგი, მაშინ ვიწყებთ გადაღებას! — ხმამალა თქვა რეჟისორმა.

ყველანი წამოიშალნენ.

— ერთი-ორი რეპეტიცია დაგვიჭირდება და მერე პირდაპირ გადაღებას დაიწყებთ. ყურადღებით იყავით, დრო ცოტა უაგერჩა! — დაიძახა რეჟისორმა და გაბედულად მიადგა ამწეს.

ყველანი აწიოდნენ, ახმაურდნენ, მოფანტ-მოფანტდნენ.

არსენას რალაცის შეეშინდა, უკან უკან დაიხია და დირექტორს საწყალი თვლებით შეხედა.

— ყველაფერი ისეა, შენ რომ გინდა! — დაამწვიდა ბერხაძემ.

— შე მანაც ვერ გავიგე, რა უნდა გავაკეთო! — ხმადამლა იკითხა არსენამ.

— აი, ამ ხალხს რომ უყურებ: ყველას გონია, რალაცას აკეთებს და შენ რასი გეშინია... გაიარ-გამოიარე... ხან დაქექი, ხან ადექი... უყურე, რაც ხდება. არ გაინტერესებს მანაც?... თუ ვინმეს გაუჭირდეს, ხელი გაუწოდე და წყლიდან ამოსვლაში მოეხმარე... ესა სულ შენი საქმე... მზის ჩასვლამდე იქ იყავი და დანარჩენზე სასტუმროში მოვილაპარაკებთ...

სურათის დირექტორს ამაზე უკეთესი ახსნა-განმარტების მიცემა წყლის ნაცვად მოეჩვენა. ღრმად იყო დარწმუნებული, რომ დღისით, მზისით, ამდენ მოცურავეებთან არავის გაუჭირდებოდა.

„მართალია, ნახევარი ისედაც წყალ-წყალბულია, მაგრამ დასახრობად თავს არავენ გაიმეტებს!“ — ფიქრობდა იგი.

არსენამ ფრთხილად გადაალაჯ-გად-მოალაჯა ბეტონის კუბებს. ქურდულად შეათვალიერა აპარატურა, ამწეზე შემომჭდარი ოპერატორი, რომელიც მალ-ლა იჯდა და ამიტომ ყველაზე უფროსი ეგონა, ნახევრადმიშველი ქაღმწილე-ბი და მოეჩვენა, რომ პირდაპირ ზღა-პარში ამოყო თავი.

არსენას აღარავენ უყურებდა. ყველა თავისი საქმით იყო გართული. ახალ-გაზრდები ერთმანეთის მიყოლებით, წკაპწკუპით ეშვებოდნენ წყალში.

— ნომერი! — დაიძახა რეჟისორმა.

მემონტაჟე ქალმა ფანერზე დაწერი-ლი კადრის ნომერი აწია კინოკამერის წინ.

— მოტორი, დავიწყეთ! — იყვრა რეჟისორმა.

აბუულიდა კინოკამერა.

მემონტაჟე ქალმა საკადრე ფანერს ხელი ჰკრა. ფანერი ტყაცანით ჩაქდა ბუღეში. გადაღება დაიწყო.

— ძირითადად მაინც სად უნდა ვიდ-გე?... — ჩუჩნულით ჰკითხა არსენამ სუ-რათის დირექტორს.

— სადაც გინდა იქ იდექი, მხოლოდ აპარატის წინ არ გაჩერდე და, რაც მთა-ვარია, გადაღების დამთავრებამდე არ-სად წახვიდე! — უკანასკნელი რჩევა-დარიგება მისცა ხერხაძემ არსენას და წავიდა. არსენა მარტო მიატოვა იმ რი-აში.

— ვინაა, ბიჭო, ის კაცი? — ჰკითხა აღმინისტრატორმა ხერხაძეს.

— უბედური ყავს გამჩენს ვიღაცაა, რომ მიუშვა, აქედან ტრაპიზონამდე გა-ცურავს... ასი მეტრის სიღრმის წყალში ბეჭედი რომ ჩაუვლო, დაყვინთავს და ამოიღებს!

— აბა, მაგ ყოფილა! — ჩილაპარაკა აღმინისტრატორმა.

არსენა სირაძე მალე შეეჩვია ახალ თანამდებობას. თითქმის ყველაზე ადრე ცხადდებოდა გადაღების ადგილას და ყველაზე გვიან ბრუნდებოდა უკან.

ავტობუსშიც სულ ბოლო სკამზე დაჯ-დებოდა ხოლმე. არაფერს აცალბდნენ, მაგრამ დილით და საღამოს აპარატურას და ელექტროლიგებს დაათრევდა. სხვა დროს თავისუფალი იყო. დასეირ-ნობდა ზღვის ნაპირას. ანდა მეზღვეუ-რის ზოლებიანი პერანგით იჯდა ქვაზე და თამბაქოს აბოლებდა. მართალია, ისევე ვერ ვაიგო, რა მოხეღე იყო, მაგ-რამ ხედებოდა, რომ საჭირო კაცად თვლიდნენ და აფასებდნენ. რეჟისორი ყველა გადაღებას ასე იწყებდა:

— არსენა არის აქ?

— აქა ვარ, ბატონო!

— მაშინ დავიწყეთ!

ხანდახან არსენა უადგილო ადგილზე გააბოტებდა. კრანზე შემომჭდარი მო-კლეშარვლიანი ოპერატორი იყვირებდა:

— არსენა ჩოლოყაშვილია კადრში.

ოპერატორი არსენას ჩოლოყაშვილს ეძახდა. ეს გვარი პირველად წამოცლა, მერე აეკვიტა და ვერაფრით ვერ მი-იწიარა. ამ გვარის გაგონება არსენას თავზარს სცემდა.

— ჩოლოყაშვილია კადრში! — ყვი-როდა ოპერატორი.

არსენა არასოდეს ჩოლოყაშვილი არ ყოფილა. მაგრამ კარგად იცოდა ამ ფაქტს ოპერატორისათვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა და კისრისტე-ხით გამოზობოდა უკან. მორბოდა ცხენი-ვით თავდახრილი. ეგონა, თუ თავს და-ვზრი, აღარ გამოვჩნდებით.

დღეები ნელა მიყვებოდნენ ერთმა-ნეთს.

ძირსმორთხმული, ქვაზე ზურგით მი-ყრდნობილი არსენა ხშირად იხსენებდა სოფელს, ეზოს, თოხს, ცოლს და ოთხ შვილს. ენატრებოდა შვილები, მაგრამ უკან დაბრუნება მაინც არ უნდოდა.

„როცა იქნება, გამოვიტან ჩემ წილ ქონებას.. ორ შვილს მე წამოვიყვან, ორს დედამისს დაეუტოვებ... შევირთავ ქალაქულ ქალს და ვიცხოვრებ ბედნიე-რად!“ — ფიქრობდა არსენა. იგი თვლიდა, რომ ეს ნებიერი და უდარდე-ლი ცხოვრება ბედმა მორჩილი და უსა-მართლო შრომის საფასურად არგუნა.

ტყუილად კი არ უთქვამთ, ხარი საიქი-
ოს ცხონდებო.

არსენას ძალიან მოსწონდა ზღვათა
სამეფო. მოსწონდა ხალხი, ადგილი,
ძზე და ზღვა. ეგონა, ამ ყოფას ბოლო
არ ექნებოდა. ნახევრადშიშველ ქალი-
შვილებსაც შეაჩვია თვალი. ახლა ისე
ალარ ღელავდა, როგორც პირველად.
ზოგჯერ ამ ქალებს თავის გოგონებსაც
აღარებდა.

„ჩემი შვილები ჩაიში მუშაობენ, თან
სწავლობენ, ოჯახშიც სულ საქმეა...
ესენი სულ სხვანაირად არიან დაზრდი-
ლი. ყველაფერი პირობებზეა. ქალაქი
სულ სხვა ამბავია. ვისაც ქუა აქვს,
სოფელში რა გააჩერებს. მითუმეტეს,
ჩემი ცოლის შემხედვარეს... რას გავს
ის უპატრონო, ერთბაშად ამ გოგოებს
არ მიედაროს!“ — მსჯელობდა არსენა
და ორ გახურებულ ბეტონის ქვას შო-
რის მოკალათებული თვლემდა.

დღეები მაინც მიდიოდა და მიდიოდა.

— არსენა აქ არის? — იკითხავდა
რეჟისორი გადაღების დაწყებამდე.

— აქა ვარ, ბატონო! — დაიძახებდა
არსენა.

— მაშინ დავიწყეთ! — დაწყნარდე-
ბოდა რეჟისორი.

არსენა ერთ დღეს ნაპირიდან ოციო-
დე მეტრის მოშორებით ნავით დატუ-
რავდა. საკმაოდ უხეიროდ, მაგრამ ჯა-
ნაჩი ხელებით ღონივრად უსვამდა
ნიჩბებს. ნავში ერთი ოყლოყი ბიჭი წა-
შოწოლილიყო. ბიჭს წითელი საბანაო
კოსტუმი ეცვა და დაკუნთული, გაშავე-
ბული კანი ფოლადივით უპრაილებდა.
ალიგატორივით წამოწოლილი ბიჭი ნა-
პირზე გოგონებს უთვალთვალებდა.
ბოლოსდაბოლოს, ქალიშვილებმაც შე-
ამჩნიეს და რაღაც დაუძახეს კიდევ. ბი-
ჭი მთასავით წამოიშარა. ნავზე შე-
კუნტრულმა, ნავის გვერდს ფეხი დაკრა
და მოხდენილად გადაეშვა ზღვაში. ნავი
ზის ჯამივით აყირავდა და თავდაღმა
დაეძნო. არსენა, როგორ და რანაირად,
თვისონაც ვერ გაიგო, ზღვაში აღმოჩნ-
და. ოყლოყი ბიჭი კროლით მიცურავდა

ნაპირისაკენ და ზღვის წყალს ნაჯახივით
მიპობდა.

პატარა ხნის შემდეგ ვიღაცამ დიახა
ხა, არსენა იხრჩობოდა. ეს ამბავი მოწმენ-
დილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა.

თავდაღმა დამხობილი ნავის გვერ-
დით ვიღაც სასაცილო ფართხალბოდა.
არსენას ქაღარა თავი ხან გამოჩნდებო-
და, ხან წყალში ჩაიმალებოდა. ერთი-
ორჯერ განწირული სახეც გამოუჩნდა
და ყველა მიხვდა, რომ „სასატელი“
არ ხუმრობდა.

ათამდე ბიჭი გადაეშვა ზღვაში. გონე-
ბადაკარგული არსენა ნაპირზე ამოათ-
რიეს.

სანაპიროზე, იქ სადაც კინოს ილე-
დნენ, დიდი ჟრიამული და წივილ-კი-
ვილი ატყდა. არსენა ფეხებით დაკიდეს
და კირგახანი ასე გააჩერეს.

რკინიგზის ლიანდაგთან შეჭვლუფ-
ლი დამსვენებლები, გამეღელი და გა-
მოძვლელი უყურებდნენ, როგორ ეკი-
და კაცი თავდაღმა. ბევრმა ვერ გაიგო.
რა ხდებოდა, ზოგს ესეც კინოვადღე
ბა ეგონა.

...არსენას ეჩვენებოდა, რომ უკიდე-
განო ზეცაში თვითმფრინავი მიყავდა.
ზევითაც ცა იყო, ქვევითაც ცა იყო, წი-
ნაც ცა იყო, უკანაც ცა იყო. არსენა
თავაწყვეტილი მიეჭანებოდა სიცილი-
ლეში. უკვირდა, როგორ მართავდა
თვითმფრინავს. სად, როდის ისწავლა
ეს ხელობა? ამ თანამდებობაზე ვინ
დანიშნა, ან ხელფასი ვინ გამოუწერა?
არც ის იცოდა, სად მიჰქროდა, მაგრამ
ბედად, ქვევით მიწა დაინახა. მიწა კი
არა, უთავო და უბოლოო, უსახურავო
და უკარო უდაბნო იყო. არსენა ქვევით
დაეშვა. შხუილით მიდიოდა ძირს და
მიწას უთანდათანდებოდა. უდაბნოს
მიწა იზრდებოდა, იზრდებოდა და არსე-
ნასაკენ საშინელი სისწრაფით მოდიო-
და. შეშინებულმა არსენამ თვალი გაა-
ხილა და თავქვეშ მართლა მიწა დაინა-
ხა. მხოლოდ ქვიშიანი მიწა, რომელიც
შვი ზღვის სანაპიროს უფრო ჰგავდა,
ვადრე უდაბნოს. არსენამ მაინც ვერა-
ფერი გაარკვია, მაგრამ რატომღაც სულ

უმინჯოლ ცოლი მოენატრა. გაახსენდა, რომ მისი ცოლი ახალგაზრდობაში სილამაზით ტოლს არავის დაუდებდა. ის კი არა, სულ აგერ. ვაზის ფურცლობის დროს, ცოლი ვენახში ჩამოვიდა. თეთრი, კოპლებიანი კაბა ეცვა და ისე მიადიოდა, თითქოს აყვავებული ხეაო.

მალე სასწრაფო დახმარების მანქანა გამოჩნდა. არსენა ადგილზევე მოასუღიერეს და სასტუმროში წაიყვანეს.

იმ დღეს გადაღება ჩაიშალა.

სურათის დირექტორი ხერხადე მთელი დღე გაოგნებული დადიოდა ბათუმის „ინტურისტის“ წინ და ვეებერთელა ხელის მტევანს აქეთ-იქით ატრიალებდა. იცოდა, ჯობი ვის თავზეც გადატყუდებოდა.

რეჟისორი იმ დღეს არავის დალაპარაკებია. მხოლოდ ერთხელ იკითხა, აუადმყოფი რას შევბაო, როცა გაიგო, აღარაფერი უჭირდა, დამშვიდდა და ხომერში ჩაიკეტა.

არსენა იწვა და ჯავრისაგან კვდებოდა. მიხვდა, რომ თავი შეირცხვინა და პატიოსანი საზოგადოება დაალაღატიანა. არ იცოდა, თუ მოცურავედ ითვლებოდა, თუ არა თავს უფრო გაუფრთხილდებოდა, ან რაღაცას იღონებდა.

არასოდეს არსენა ღრმა წყალში არ ჩასულა. მისი სოფლის მდინარე მუხლებამდე თუ შეწვდებოდა კაცს. სამაგიეროდ ისეთი ჩქარი იყო, რომ საპალნიან ტენს წააქცევდა. აბა, იქ ცურვა როგორ უნდა ესწავლა? გემზე მართლა მუშაობდა, მაგრამ გემბანზე ცურვას ვინ სწავლობს. რატომღაც გონიათ, რომ მეზღვაურებმა ცურვა უნდა იცოდნენ, კინორეჟისორმა — კინოს გადაღება, დრამატურგმა — პიესის დაწერა. ექიმი არ უნდა კვდებოდეს და სხვა.

ყველაფერ სიკეთესთან ერთად რეჟისორი ნიჭიერი კაცი იყო და მიხვდა, რომ, მიუხედავად იმ მოულოდნელი კურიოზისა, არსენა სირაძე ყველაზე ერთგული და წესიერი ადამიანი იყო ჯგუფში.

კინოგადღეობა ისედაც მთავრდებოდა და ექსპედიცია მალე თბილისში გაემგზავრა. წასვლისას რეჟისორმა არსენას ერთგული და უანგარო სამსახურისათვის საკუთარი ტრანზისტორი, „სპილოლა“ აჩუქა.

იმავე დღეს არსენა სოფელში დაბრუნდა. დარცხენილი და თავდაბრილი იღვა ცოლშვილის წინ და უხეიროდ იკრიჭებოდა.

ცოლი და შვილები მღუპარედ უყურებდნენ გზაბნეულ ოჯახის მამას.

ბილოსდაბოლოს, ზედმეტი ცერემონიისა და გადაბრანჭვის გარეშე, არსენას ყველაფერი აბატიეს.

არსენამაც იგრძნო, რომ ძველ ბუდეში მოხვდა და გაუხარდა. ოჯახში ყველაფერს დაწვრილებით მოყვა. ის კი აღარ უთქვამს, როგორ ეკიდა ფეხებით ხალხის თვალწინ ზღვის ნაპირას.

უცნაურ თავგადასავალს არსენა შეზობელ გლეხებსაც უყვებოდა. შესვენების დროს ხის ქვეშ, ჩრდილში დასხდებოდნენ. არსენა ხეს მიეყრდნობოდა, თითქოს ზღვის ნაპირას იყო წამოწოლილი, და ლაპარაკობდა. გლეხები, განსაკუთრებით, ახალგაზრდები, სულგანაბულნი უსმენდნენ. არსენა ისე იქცეოდა, ვითომ ფრონტიდან იყო ჩამოსული.

დროს მაინც თავისი მიჰქონდა; დრო თავისი წესისა და რიგის მიხედვით მიდიოდა. არსენა უკვე სიზმარივით იგონებდა კინოგადღეობას, ზღვას, მზეს და ნახევრადშიშველ, ლამაზ ქალებს.

რეჟისორის ნაჩუქარ „სპილოლას“, როგორც გარდასულ დღეთა მოსაგონარს, დღედაღამე არ იშორებდა.

როდესაც კოლმეურნეობის ნაკეთში, ფხეკიან ფერდზე ყანას მარგლავედა, ანდა ამორედებდა, ტრანზისტორიც მასთან იყო. „სპილოლას“ სვრელის ბოლოში დადგამდა, ჯაზურ მუსიკას დაიჭერდა და სვრელის თავიდან თოხნას დაიწყებდა.

თოხნიდა არსენა სირაძე და მუსიკის ხმაზე მიიწევდა წინ და წინ.

თანხი პომოლაძე

ბ ა ლ ე ბ ი

მ ო თ ხ რ ბ ა

სამი წელი ამ პატარა, ზღვისპირა ქალაქში გავატარე. სამხედრო ქალაქს, სადაც იმ ხანად რიგით ჯარისკაცად ვმსახურობდი, კარგი პლიაჟი ჰქონდა. ფართოდ გაშლილი ქვიშიანი ნაპირი დიდ მანძილზე გასდევდა ზღვას.

ზაფხულობით ზღვისპირა ქალაქს უამრავი დამსვენებელი აწყდებოდა. სამხედროთა ქალაქში არც ერთ მოქალაქეს არ ვუშვებდით და თავისთავად ცხადია, ვერც ჩვენი პლიაჟით ისარგებლებდნენ. კატერით საკმაოდ შორს მიდიოდნენ. ერთი კატერი ვერ აღუდგინა იმდენ ხალხს და მთელი დღე უზარმაზარი რიგი იდგა ნავსადგურის ფირფიცრის საღაროსთან.

ზვერ კი, ჯარისკაცები, თავისუფალ წუთებს განცხრომაში ვატარებდით. ძველ, ნიკოლოზისდროინდელ ყაზარმებს ვიდევით. ყაზარმებს ხშირად ვათუთრებდით და ეს შენობები ღამითაც ქათქათებდა.

ნავსადგურის მახლობლად, ერთ ძველ ნასახლარსა, თუ დაუმთავრებელ ქვითკირის სახლში, ცხოვრობდა სამი უშვილო ძმა: არკადი, ვასილი და იური ბელეცკები. სამივენი მხატვრები იყვნენ.

ვინაიდან მე სამხედრო ნაწილის კლუბში ვმუშაობდი, მხატვრებთან ხშირად მიზღებოდა ისარული. ვუკვეთავდი პლაკატებს, დიაგრამებს, სურათებს, ყველაფერს, რაც კი ყაზარმებსა და კლუბს დაგვიმშვენებდა, რაც კი სწავლაში გვჭირდებოდა. მეძვირე ხალხი არ

იყო და არც ისე დიდი თანხა გვეხარჯებოდა.

უფროსი ძმა, არკადი, თავის წლოვანებაზე უფრო ხნიერი გამოიყურებოდა. ჭუჭყიანი ჭალარა თმა დედაკაცივით მოეშვა, გაზინტლული კისერა ძლივს უჩანდა. ნაცრისფერი წვერ-ულვაში ტუჩების გარშემო სიგარეტის კვამლით შეკეცილებოდა. ასეთივე იყო საშუალო ძმა. ორივეს საკერებლებით აჭრებულ ხალათ-შარვალი ეცვა. საკერებლებს გარდა მათ სამოსელს უხვად აჩნდა მრავალნაირი საღებავი: ოხრა და თეთრა, ალისფერი და ნარინჯისფერი წინწყლები, ულტრამარინისა და კინოვარის ზოლები.

უმცროსსაც მუშაობისას ძმებივით ეცვა, მაგრამ საგარეოდ ერთი ხელი სუფთა სამოსელი ჰქონდა. ფერადწინკლებიან ფეხსაცმელს კი არ იცვლიდა. ტანად მძალი იყო და ქერა წვერულვამა.

სამივენი თუთუმს ბლომად ეწეოდნენ. მათ ბინაში სიგარეტის ნამწვავები ყველგან ეყარა, იატაკზე, განჯინის თაროებზე, მშრალ თუ წყლიან კოლოფებში.

ოთახები შიგნიდანაც შეუღესავი იყო. ძმებს ორი ოთახი ეჭირათ, ორივე სავსე... საღებავებით, მოლბერტებით, ყუთებით, ჩარჩოებით, ჭუჭყითა და ნაგავით. ედგათ სამი ტახტი. დღისით ამ ტახტებზე დაგებულ, თხელ, სიფრიფანა ლოგინზე ეყარათ ზეთის საღებავიანა დაჭუჭყილი ტუბები, ქილები, ჩარჩოები,

ქალღმის გრაგნილები, ბაზრიდან მო-
ტანილი სანოვაგე.

ხილს ბლომად ყიდულობდნენ. ერ-
თადერთ ნავთქურაზე ხან სადურგლო
წებოს ხარშავდნენ, ხან თავიანთი ღაბუა
კატისთვის რძეს ადუღებდნენ. აუღუ-
ლარ რძეს არ ასმევდნენ. რძეს თვითონაც
გემრიელად ხვრიავდნენ. ცხელ კერძს
იშვიათად იყეთებდნენ. გამზადებული
კერძი მათთვის ერთ ჭუჭა, ქოსა კაცს
მოჰქონდა ქვაბუნით.

ეს ჭუჭა კაცი შეკედლებულივით იყო
ბელეცებთან, თუმცა ღამ-ღამობით
მათთან არ რჩებოდა. ნიადავ მხატვრებ-
თან ტრიალებდა, ხან ჩარჩოებს ჰკრავ-
და, გულდაგულ რადაცას აჭედებდა, ტი-
ლოებს სჭიმავდა, ხან ბელეცების კატას
აპურებდა, ხან ქალაქში გარბოდა და
ძმების საქმეს აგვარებდა, შეკვეთები
მოჰქონდა სხვადასხვა დაწესებულებე-
ბიდან. ძმებს ჩუქდებოდა ხოლმე ამ
ქუჭყსა და ნავაგში, ჩარჩოებსა და სა-
ლებავებში. სამივეს ისეთი თვალებით
შეჰფოფინებდა, თითქოს სხვა სიხარუ-
ლი, სხვა ბედნიერება მისთვის არც არ-
სებობდა.

ბელეცები გატაცებით და საოცრად
ფაქიზად ხატავდნენ. რასაც აკეთებდნენ,
აკეთებდნენ სიყვარულით, მონდომებით.
უმეტესად ცოცხალ ფერებს. ულტრა-
მარინს, თუთიის თეთრას, ფირუზისფერ-
სა და ნარინჯოვანს ხმარობდნენ. შავს
ნაკლებ ეტანებოდნენ. ეს ალბათ იმი-
ტომ, რომ ისინი მზის, ყვავილებისა და
ზღვის ქალაქში ცხოვრობდნენ. ამ ქა-
ლაქში ზამთარ-ზაფხულ უხვად იყო ყვავი-
ვლები. მხატვრების სახლის კედელთან
მუდამ დგაფუნობდა და ხანდახან იღუ-
მალად ჩურჩულებდა ზღვა. ტალღები
ხან იქვე, კედელთან იწყებდნენ გორვას,
ხან უფრო ზემოდან ჩამოივლიდნენ.

ძმების თვალი მუდამ სინათლის, ცის-
ფერის ჰერეტას იყო მიჩვეული.

არც ერთ მათგანს ცოლი არ ყოლია.
არ მახსოვს, რომ საიტყვა წამოსცდნენ-
დეთ ქალზე. იურიც კი, ეს ახალგაზრდა

კაცი, მთელი არსებით მხატვრობაზე
იყო გადაგებული.

უფროსი ძმა აკადემიის მცოდნე კულტ-
სიდან გამოსულა, ხოლო შუათანას ტექ-
ნიკუმში უსწავლია. უმცროსი აკადემია-
ზე ოცნებობდა და ძმები საამისოდ გულ-
დაგულ ამზადებდნენ.

ბელეცები ბევრს მუშაობდნენ. ჭუ-
ჭას საიდან და ვიღაცგან არ მოჰქონდა
შეკვეთები. აღებული ფულით საქმელს,
სამხატვრო მასალასა და საღებავებს ყი-
დულობდნენ.

მათ ბინაში არ იგრძნობოდა ზღვის
სალი ჰაერის სიმსუბუქე. აქაურობა
წებოს და ზეთის შერეულ სუნს მოეცვა.
საღებავების ნახშირი ქილებიც კი, ახლა
სივარეტის ნამწვავებით რომ იყო საფხე,
ფეხებში ედებოდათ და ცადასაყრელად
არ ემეტებოდათ.

ჭამდნენ და ლაპარაკობდნენ ცოტას,
ხატავდნენ ბევრს. იღიმებოდნენ და იცი-
ნოდნენ იშვიათად. ვერ ვაგიგე, რატომ
იყვნენ ასეთნი, უცნაურნი და ამავე
ღროს მიმზიდველნიც.

მათი ფერწერა მაინცდამაინც დიდ აღ-
ტაცებას არ იწვევდა. არავისგან მათი
ქება არ მსმენია. ამ მხატვრებს კლასი-
კური განათლება არ ჰქონდათ და ერთ-
ნაირი გატაცებით ხატავდნენ რეპინის
სურათის რეპროდუქციას და ხუთწლე-
დებში ქვანახშირის ამოღების დიაგრამას.
არა მგონია, რომ ფულს საღმე ინა-
ხავდნენ. ფულისა და სიმდიდრის მქონე-
ბელი ცოტას მაინც დაიმჩნევდა რაიმეს.

უფროსი ძმების მთელი იმედი იურრ
იყო. მათი ფიქრით იგი დიდი მხატვარი
უნდა დამდგარიყო. რაც უფროსებს და-
გვავალდა და ვერ შევისრულებთ, ის იუ-
რიმ უნდა შესძლოსო, ამბობდნენ ისინი.
ძმას ბევრს ამუშავებდნენ და ასწავლი-
დნენ.

სამი წლის განმავლობაში, სანამ მე
ამ საზღვაო ქალაქში ვმსახურობდი, მხა-
ტვრების ცხოვრებაში არაფერი შეცვ-
ლილა.

ცხრა წლის შემდეგ ისევ ამ ქალაქში მოვხვდი. სანატორიუმში „განთიადი“, სადაც უნდა დამესვენა, ზღვიდან მოშორებით, გორაკზე იყო. პლიაქზე რომ მოვხვედრილიყავი მთელი ქალაქი უნდა გამეცლო.

სადაც იყო ჩვენი ჯარისკაცული პლიაქი აღარც ყაზარმები ახლა იმ ადგილას სულ სხვა შენობები ქათქათებდა თეთრად, და ეზოში ჯარისკაცების მავივრად დამსვენებლები დაიარებოდნენ.

ოდესღაც ამ პლიაქზე არავის ვუშვებდით. ერთი-ორი თუ ვინმე შემოგვეპარებოდა, კინწისკვრით ვაძევებდით.

„მხოლოდ ვიბანავებ, ძმებო, მეგობრებო!“ — გვეხვეწებოდა ზოგიერთი.

„არ შეიძლება!“

„მხოლოდ ერთხელ ჩაეყვინთავ, რა იქნება!“

„გაუტოე! გაუტოე!“

ქალების მოძალეზაც იყო. ამ დროს კი, რასაკვირველია, ქალს დანატრებული და დამშუული ჯარისკაცის თვალი „ვერ ხედავდა“ დამნაშავეთ. პლიაქზე კი ამ შემთპარულთ ზოგ-ზოგნი ემსუნაგებოდნენ, მიუჩოჩდებოდნენ და ნაცნობობაც ინასკვებოდა, რაც ხშირად მიჯნურობით თავდებოდა.

მთვარიან ღამითაც ბანაობდნენ. პლიაქს იქით, სანაპიროს გასამაგრებლად დაყრილ რკინა-ბეტონის დიდრონ ლოდებში ერთმანეთში ჩაგრებილი ლანდეები კოცნით ბრუედებოდნენ. ეს ყველაფერი ჩუმად, მალულად ხდებოდა. და მოპარული ტკბილი წუთები, ახალგაზრდული, თავბრუდამხვევი ნეტარება, ბევრს სამუდამო ტკბილმოსაგონარ საგზლად გაჰყვა.

სადაც არიან ის ბიჭები! ეამმა მირეკ-მორეკა თავ-თავიანთ ბუდეებში.

ნაჭირავები ნავით საქამოდ შორს გავედი ზღვაში. ზღვა წყნარად იწვა. საყვარელი ადამიანის ჩურჩულს მოჰგავდა ზღვაურის ქროლვა. იალქნიანი ნაეები აქა-იქ თეთრი გედებივით ყელყელაობდნენ.

ვერძნობდი უზარმაზარი წყლის სიძინებს. ნიჩბებს აუჩქარებლად ვადგაფუნებდი. წყალი თაფლივით სქელი მეჩვენებოდა.

უზომოდ კარგია ატორტმანება ზღვაზე, როცა სიმკვრივის მავივრად სილბოს გრძნობ. სილბო გარწევს და განანავებს. მერედა, რა ფერებსა სკვრეტ! ერთმანეთში ირევა ლურჯი და ნარინჯოვანი, ფიურუხი და მწვანე. რალაც უსახელო ფერებიც კი მოჩანან, რომლის მსგავსს ხმელეთზე ვერ ჰპოვებ. ეს ფერები მხოლოდ ზღვის საყუთრებაა.

საიბუცენლაც მიიჩქარიან თევზთა ქარაენები. ტორტმანებენ მეღუზებო და ყივიან თოლიები.

თვალთავან დამეკარგა ქალაქი, ზღვის სანაპირო ზოლი. წყალში ჩაიძირა ჩვენი გორაკი, მის კორტოხზე გამენებული სანატორიუმში „განთიადი“. ჰორიზონტს მხოლოდ ცისფერი მთები შემორჩა. უფრო შორს ველარ გავბედე შესვლა, რომ მთებიც არ ჩაძირულიყვენ. მთები კი თითქოს მე მიყურებდნენ, ისევე, როგორც ღობეზე მიმდგარი შშობელი თავის მოთამაშე პირშშოს უყურებს ეზოში. ზღვასთან თამაში კი სახიფათოა.

აქამდე მობანავენი ვერ ბედავენ გამოსვლას. ვინმე გულმაგარი თუ გამოჰკრავს, ისიც იშვიათად.

ვენებვირობ. ასეთი დიდი სიციცხლე მე ჯერ არსად არ დამინახავს, არ მიგრძენია. ზღვა ხომ ერთი დიდი არსებაა, ცოცხალი, მოძრავი, ხან შშვიდი და გონიერი, ხან კი შშავი და დაუოკებელი!

უცებ ტაროსი შეიცვალა. ზღვა შეიარწა. ზღვაურმა მეტი სიძლიერით დაიქროლა. დავინახე, რომ იალქნიანმა ნაეებმა ნაპირისაკენ ჰქნეს პირი.

ჩემს განცხრომას ბოლო მოეღო. მავრად ჩავეჭიდე ნიჩბებს და მეც ნაპირისაკენ მოვუსვი. მთები თანდათან მალდებოდნენ და როგორც შუქურა, შორს ჩვენი სანატორიუმის თეთრი შენობაც შეენიშნე მალად გორაკზე.

აღარც ერთი მობანავე არ იყო ზღვა-

ში. ყველანი ნაპირზე გაკრეფილიყვნენ. სანატორიუმის პლიაჟი დაკლილიყო, ხოლო ქალაქის პლიაჟზე ხალხი ჩოჩქოლებდა. ისინი ზღვისაკენ იხედებოდნენ და ხელებს იქნევდნენ. ჩემს დანახვაზე ყვირილს უმატეს, მაგრამ მე არაფერი მესმოდა მათი. ზღვაური საშუალებას არ მაძლევდა თუნდაც ერთი სიტყვა გამეგონა.

ხალხს ვანიშნე, არაფერი მესმის-მეთქი. მაშინ ვილაყამ ქვიშაზე მიტოვებული ტანსაცმელი აიტაცა და მანიშნა, ამისი პატრონი არა სჩანსო. ხალხი ღელავდა და ზღვის სიღრმეს თვალს არ აშორებდა. ზღვა კი თანდათან უფრო და უფრო ბოზოქრებდა. ცაზე ღრუბლები გროვდებოდა. ზღვის დასაკარგავ პორიზონტზე უკვე გაწოლილიყო ყომრალი ფერი და დროდადრო ელვით იკვეთებოდა.

ცხადი იყო, ვილაყამ ვერ მოასწრო ნაპირზე დაბრუნება.

ნავი შეეპარუნე და ნაპირისაკენ დაძრულ ზვირთებს შეეუტოე.

ზვირთი ზვირთზე მოგორავს. ნავი ხან აღმა აღის, ხან შეიშართება და ახლა დაღმართზე ეშვება. ასე მგონია, რომ ძალზე სწრაფად მივქანები ზღვის შეაგულისაკენ, მაგრამ საემარისია მოვიხედო ნაპირისაკენ და უმალ ვრწმუნდები ჩემს უძლურებაში.

ვხედავდი ჩემს თვალწინ როგორ იბადებოდა ზვირთი, აიფოფრიდა თეთრ ქოჩორს და წამოვიდოდა, ნავს მძლე ფალავანივით შეუვარდებოდა, მოგვერდით წამოიღებდა, გამოეცლებოდა და ახლა მეორე ზვირთს შეუდებდა ქეჩოზე.

ვილაყ იხრჩობა! იქნებ დაიხრჩო კიდეც? ნაპირზე ალბათ კიდეც ყვირიან, კიდეც ვილაყას იხმობენ საშველად. ვილაყ გაიქცა ნავსადგურში მამველის დასაძახებლად. იქნებ არც არავის არ დაუძახეს. იქნებ ხიფათმა ისე დააბნია, რომ ყვირილშია ჰპოვებენ შვებას?

ზვირთებთან ბრძოლაში რამდენმა ხანმა განვლო. არ ვიცი. საკმაოდ გავ-

ცილდი ნაპირს, ის ჩემი ნაცნობი მთები მიცქერდნენ და მამხნეებდნენ. ვეძებ. ვეძებ მას, ზღვაში წვეთს, ასოციტბლის განწირულ წვეთს. ვის? მეც არ ვიცი — ვის. საშინელება კია ასე შორს მარტოღმარტო ყოფნა და სიკვდილთან საბედისწერო თამაში.

ალბათ მარჯვე მოცურავე იყო, რომ ასე შორს გამობედა. ალბათ მერე არაქათი მიელოა და კიდეც აჯობა ზღვამ. ვილაყ შთანთქა. შთანთქა და ხარხარებს ბოროტად. ტალღები მთებისაკენ მიიჩქარიან მუქარით.

შრ, შრ, შრ! ტყესავით შრიალებს ზღვა.

მთები დგანან და მიყურებენ ძალზე შორიდან. თანდათან ისინიც ნისლით იბურებიან და ვილაყ იღუმალი ხმით მაჩქარებს. ვყვირი, ვუხმობ ვილაყ განწირულს... ჩემი სიტყვები მე ძლივს მესმის და ამ უსასრულო სივრცეში ვის რას გაევაგონებ!

და უკვებ დავიანახე წითელი რაღაც საგანი. დავიანახე ზღვა მუქ ლურჯსა და მწვანე გამჭვირვალე ზეწარში წამს როგორ გაახვევდა ამ წითელ საგანთან ერთად ადამიანის რაღაც უფორმო სხეულს, შეათამაშებდა, მერე ზეწარს მოაძრობდა, ფერთა თამაშში მკვეთრად ჩანდა წითელი საბანაო კოსტუმი.

ის ზღვას არ ნებდებოდა. არც იბრძოდა. ალბათ ბუნების ამ უზარმაზარ აკვანში წოლით ნეტარებდა.

ნიჩბები გამალბებით მოვუსვი და მივუახლოვდი. სწორედ ამ დროს ზღვამ კიდეც შემოახვია ლურჯი ზეწარი და როცა შემოაყალა და გააშინვლა, მე დავინახე ქალი.

რეზინის თავსაკრავში ყურებიც შეემალა. სახე ვაფთიორებოდა. დამინახა. ერთი უძლურად და სასოებით შემხედდა და გამიღიმა. მინახავს ბევრი ღიმილი, მაგრამ ასეთი მეტყველი კი არა. „მიშველ!“ — მევედრებოდა ამ ღიმილით და მაღლობასაც გამოხატავდა. ეს იყო ამედეგადაწვეტილი და ტალღებ-

თან ბრძოლით მოქანცული ადამიანის სიხარულის პირველი ნიშანი.

ქალი შეტრიალდა და ორივე ხელით ნავის კიჩოს ჩაეჭიდა.

ნიჩბებს ხელი შევეშვი და მისკენ გადავიხარე.

— ამოდით ნავში!

ნავი შეტორტმანდა.

— მოჰკიდეთ ხელი ნიჩბებს! — შემძახა ქალმა. მე უსიტყვოდ დავემორჩილე, რადგან ნავი ლამის გადაავებოდა.

— ახლა აღარაფერია საშინი, — მითხრა ქალმა და შევბამიციემული ადამიანის სახე მიეცა.

რამდენჯერმე გავუმეორე ამოსულიყო ნავში, მაგრამ წიუტობდა. ვხედავდი მის ლამაზ ზელებს, ნავს რომ ჩასჭიდებოდა, რეზინის ქუდით დაბატარავებულ სახეს. კუნაქტი თვალები ბროლის ცეცხლით უელავდნენ. ახლა ამ თვალებში უკვე გამჭრალიყო შიში. მისი დამოკლებული, გაფარჩხული სხეული კი წყალში არეულ-დარეული, ჭავლში ჩაგრებილი ჩანდა. ნავს ცურვით მოჰყვებოდა.

ნიჩბებს ვეძალებოდე.

ტალღამ შემოგვიტია და ქალი ლამის მოსწყვიტა ნავს. სახეზე თქვენი მიესხურა, მაგრამ ნავს მაინც არ შეუშვა ხელი. მაშინ მე კიდევ ერთხელ გავუმეორე ამოსულიყო ნავში. თავი უარის ნიშნად გააქნია.

მოტორის გუგუნის შემომესმა. შორიხლო კატერი შევნიშნე. ეტყობა ნავსადგურიდან მაშველი გამოგზავნათ.

„რა დროზე მოუსწრებდნენ!“ — გავივლე გუნებაში.

კატერი პირდაპირ ჩემი ნავისაკენ მოისწრაფოდა. ერთი მეზღვაური საჭეს უჭდა, მეორე წამოწეულიყო. როცა მოგვიახლოვდნენ და ნავის ბოლოში ადამიანი დაინახეს, მანიშნეს, რატომ ნავში არ ავყავსო.

მე ჩემებურად, ხელით ავუსხენი, საჭმე კარგად არის-შეთქი. არ ვიცი ჩემი ნიშანი როგორ ვაიგვს. კატერმა გარ-

ემო შემოგვიარა. ის წამოწეულ-მეზღვაური კიდევ მანიშნებდა. ქალმა ნავში ამეყვანა.

კატერი მალე მოგვეშორდა.

— ახლა გემებს გამოგზავნიან, — თქვა ქალმა, — ესენი ალბათ დამხრჩვალს მომისწრებდნენ. გთხოვთ პირდაპირ პლიაჟზე ნუ მიმიყვანთ, სადმე ქვემოთ ამოვალ...

თხოვნა შევესრულე. ნაპირს რომ მივუახლოვდით, ნავს ტალღები უარესად არწევდა. განზრახული მქონდა ტალღას გადავყოლოდი ქვიშაზე. სანამ რამეს მოვიპოვებდი, ქალმა ერთი კი შემძახა, გმადლობთ, და უცებ დამეკარგა თვალიდან. გული შემიქანდა.

ავორებულმა ტალღამ მშუილით ჩაიარა ქვიშაზე და როცა ზღვამ ახალი შეტევისათვის უკან დაიხია, სწორედ ამ დროს სველსა და ჩამორეცხილ ნაპირზე დავინახე ის ქალი. წამოიმართა, წელში შესწორდა, თავიდან რეზინის ქუდი მოიძრო და მხრები ერთბაშად დაუბურა წაბლისფერი თმების ქარიშხალმა. თავი გააქნია, რომ თმები უკეთ გადაეყარა მხრებზე და მერე ზღვისაკენ შემოტრიალდა.

ის იღვა უკაცრიელ ნაპირზე მარტოდ-მარტო, მიყურებდა და არაფერს ამბობდა. ზღვა შრიალებდა. ზღვაური თმებს უწეწავდა. პირისახეს ისე ხარბად უშვერდა ნაკადს, თითქოს მთელი ქვეყნის სამყოფი ჰაერი მას ერთს არ ჰყოფნიდა.

სველი იყო და პრილა. წითელი საბანაო კოსტუმი ტანზე გასტევეოდა. მაღალი იყო აზიდული თეძოებით. ხორბლისფერ სველ კანზე წითელი კოსტუმის ათინათი დაჰკრავდა, მოწითალო ფერი აბურცულ მკერდზედაც ეფინა.

სულ სხვა ყოფილა ზღვიდან გამოსული სველი და მკვრივი ქალი!

მისმა მშვენებამ დამაბნია და ველარ გადაეყვებ.

ხელი დამიქნია და სანაპიროს ვაჰყვა. მიდიოდა ფრთხილად, ეტყობოდა შიშველ ფეხებს სტეენდა ქვიშა. ისე ზვია-

დად, ისეთი კდემამოსილებით მიდიო-
და, როგორც ქვეყნის ბატონ-პატრონი.
ნავით მივლევდი. სევდიოთა და გამოუც-
ნობი კაქწნით მავსებდა ეს თამაში, თუ-
კი ამას თამაში დაერქმეოდა.

რატომღაც მეგონა, რომ იქ, შორს,
ზღვის ბობოქარ ტალღებში ვიპოვნე
იგი, არაამქვეყნიური ფერია, ვიპოვნე და
ასე უცებ დავკარგე.

მალე იგი პლიაქს მიუახლოვდა. პლი-
აქზე დარჩენილი აღტაცებით მივგებ-
ნენ. ალბათ არც არავის შეუშინებია იქ-
ვე შორიახლო ჩავლილი ჩემი ნავი.

ნავი რომ დავაბინავე, მაშინვე პლია-
ქისაკენ გავიქეცი. პლიაქზე უკვე აღა-
რავინ იყო. ეყარა დამსვენებელთა ნა-
მუსრვეი და ზღვა ნაპირს რეცხავდა.

მეორე დღეს დილიდანვე წვიმდა. ისე
გულდაჭერებით და სულისწამლებად
კრიდა, რომ ასეთი უამინდობა ალბათ
მთელი კვირა გასტანდა. გამოდარებას
ამოდ ველოდით. ბელურებივით ვიყა-
ვით შეყუჟულნი ფანჩატურებში. ერთ
ხანს წიგნს გადავავოლე გული, მერე
კი გუშინდელ ამბავს ვიგონებდი და
გულს მიფორიაქებდა ის მშვენიერი ქა-
ლი.

ფანჩატურა, სადაც მე ვიჯექი, სანა-
ტორიუმის სასადილოს გადასწვრივ იყო.
ეზოში სასურსათო მანქანა შემოვიდა
და სამზარეულოსთან გაჩერდა, როცა
შოფერმა მანქანის უკანა კარები გახს-
ნა, იქიდან ბავშვივით მარდად გადმოხტა
ერთი პატარა კაცი, მაშინვე ცას შეუ-
კრთხა და მერე მანქანიდან მომტრო
ტომარა დაითრია. ტომარა სამზარეუ-
ლოში შეარბენინა და ისევ მანქანას
დაუბრუნდა.

რა დამავიწყებდა იმ ჭუჭა კაცს, ხში-
რად რომ მინახავს ბელუცებთან. ვიცა-
ნი და უმალ გამახსენდა მხატვრებიც,
მათი უცნაური უწყისვრო ბინა, მათი
ნაღმევერები.

წვიმას აღარ მოვერიდე, ფანჩატური-
დან პირდაპირ სამზარეულოსაკენ გა-
ვიქეცი, ჭუჭას ჩქურ მივადექი და მი-

ვესალმე. მესიამოვნა მისი შეხედრა,
იმედი მქონდა, რომ მხატვრებზე ორიო-
დე სიტყვას მეტყოდა, სად იყვნენ, რას
აკეთებდნენ.

ჭუჭამ ყურადღება არ მომაქცია, ზე-
დაც არ შემხედა, სალამი ცივად მომი-
გლო და ისევ მანქანასთან მიცუნცულდა.
ახლა ყუთი დაითრია. ხელი მივაშველე,
შემომხედა.

გაისარჯეთ, გაისარჯეთ, არაფერი გი-
ჭიროთ!.. — ჩაიბურტყუნა მან. ვერ მიც-
ნო. როცა ყუთი შევიტანეთ და დავ-
დეთ, ჭუჭას თავი გავახსენე, მე ისა ვარ,
გახსოვთ, ჭარისკაცი რომ მოდიოდა ბე-
ლუცებთან-მეთქი. დაფიქრდა, მაგრამ
ვერ გამიხსენა, გულახდილად გამომიტყ-
და, არ მახსოვხარ და რა ვქნაო..

— ბელუცების სახლი აუღიათ სანა-
პიროზე. ახლა სად არიან?

— არიან რა! — ხელი ჩაიჭნია ჭუჭამ.

— რამე უბედურება ხომ არ დაემარ-
თათ?

— იური ხომ გახსოვს?

— როგორ არა. მე სამივენი კარგად
მახსოვს. იმათ რა დამავიწყებს!

— ვერ აეწყო იმათი საქმე. ეშმაკმა
დალახვროს! ძმები თან გადაჰყვენენ იუ-
რის, აჯადემია დაამთავრებინეს. იური
აქ ერთი სურათი დახატა...

ჭუჭას შოფერი უხმობდა. გვაგვიან-
დებოა.

— ის სურათი მუზეუმში ჰკიდია, —
აჩქარებით მითხრა ჭუჭამ, — ნახეთ,
კარგი რამეაო, ამბობენ. ბოდიშს ვიხ-
დი, ახლა მეორე სანატორიუმში მაკა-
რონი გვაქვს მისატანი.

ჭუჭა გამექცა და მანქანაში შერგო
თავი.

ველარ მოვისვენე. წვიმას არ მოვერი-
დე, ჩემს ოთახში შევირბინე, ლაბადა
მოვიხურე და გორაკიდან ქალაქისა-
კენ მიმავალ გზას დავადექი. მინდოდა
იური ბელუცის ის სურათი მენახა. თან
ჭუჭას სიტყვები ღრმად მაფიქრებდა,
„ვერ აეწყო მათი საქმეო“. რა დაემარ-
თათ ისეთი?

წვიმა სტრიდა და სტრიდა. არავინ

ჩანდა. მოსარკულ ქუჩებში მანქანებიც კი კანტიკუნტად გაიშლივინებდნენ. შორიდან ზღვის ხმა ისმოდა. ტალღები სანაპირო ქუჩის კედელს ენარცხებოდნენ და ზღვის ბობოქრება ერთ დიდ ვაებას და ოხერას ჰგავდა.

მუზეუმს არავინ ეკარებოდა. თანამშრომლები ერთ ოთახში მოგროვილიყვნენ. ჩემი მისვლა გაუკვირდათ. ერთმა გიღობაც შემომთავაზა, მაგრამ უარი ვუთხარი და მარტო შევედი მუზეუმის დაცარიელებულ დარბაზში.

ელდანაკრავივით შევედექი. ჩემს წინ, კედელზე ეკიდა მოზრდილი სურათი. ამოზოქრებულ ზღვას გამოჰქცევია ქალი. ქალი მაღალი, წაბლსფერთმიანი, წითელ-კოსტუმიანი. წითელი ფერი მთელ სხეულს უნათებს. არის სველი, ტალღასავით მოქნილი და მძლავრი, მძლავრი, სინატიფით, კლემითა და ქალური ქალობის ეშვით გაშუქებული. მორბის და თან მოსდევს ზღვა.

თვალი არ მღალატობდა. ეს ის ქალი იყო, ტალღებს რომ გამოვტაცე.

და მე მაშინ პირველად ვიგრძენი, რა იყო შური. უზომოდ შემშურდა ბელეცკისა.

სავარძელში ჩავექეი და აღლვებულ დიდხანს ვტყებოდი სურათის ჰერეტით. ახლა თუ წვიმის გამო ჩემს გარდა არავინ შეჰყურებდა, დარწმუნებული ვიყავი, სხვა დროს აქ უამრავი მნახველი ჩოჩქოლებდა.

გარეთ კვლავ წვიმდა. ისმოდა ზღვის ღმუილი. ისე მეჩვენებოდა, თითქოს სურათიდან ოხრავდა ზღვა.

როცა ჯუჯას შევხვდი. ჩემი აღტაცება ვერ დავუმალე.

ჯუჯამ სევდიანად ჩაიციინა, შემომხვდა და მითხრა:

— გრძელი ამბავია, მაგრამ მოკლედ გიამბობ. ხომ გახსოვს, ძმები თავს როგორ ევლებოდნენ იურის. ლენინგრადის სამხატვრო აკადემია დაამთავრებინეს. გვერდიდან არ შორდებოდნენ. როცა აქაურობას დაუმბრუნდნენ, სახლი დანგრეული დახვდათ. ქალაქგარეთ,

ზღვის პირას, თვითონვე შეხონხლეს ქონხაზი და ისევ ძველებურად განაგრძეს ცხოვრება. მე სანატორიუმებს ვემსახურებოდი და მათთვის ცოტა დროლა მრჩებოდა, მაგრამ, რაც შემეძლო, კვლავინდებურად ყურადღებას არ ვაკლებდი. კარგი ხალხია, ღმერთმანი. ჰოდა, ერთ დღეს, არკადი, ვასილი და მე ზღვის პირას ვისხედით. იური თავისი საკუთარი ნავით სათევზაოდ იყო წასული. იგვიანებდა. ზღვა წყნარი იყო, ოდნავადაც არ ირწყოდა, მენავეს არავითარი ზიფათი არ ემუქრებოდა, მაგრამ ძმები მაინც ღელავდნენ. უნდა გენახა ჩვენი განცვიფრება, როცა ნავი ნაპირს მოადგა და იმ ნავიდან იურიმ ირის ქალი გამოიყვანა... იმ დღიდანვე დაიწყო ხატვა. იმ დღიდან სულ სხვანირად ეცვათ ძმებს, სულ სხვა პეწი დაედო მათ ქობს. ჟუჯე ათასი მნახველი მოდიოდა ჯერ კიდევ დაუმთავრებელი სურათის სანახავად. როცა მუზეუმში გამოჰფინეს, მთელი ქალაქი იქ იყო. ძმების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მაგრამ რა! ბედნიერება სულ ცოტა ხნით ეღირსათ. ქალს თურმე ბედნიერებასთან ერთად უბედურებაც მოჰქონდა იურისათვის. ბალღივით ატირდა ჩვენი ბიჭი, როცა ქალმა უარი უთხრა ცოლობაზე, და მერე რა დროს! ირა ნაზად, ო, რა თბილად ექცეოდა ეს ქალი იურის. მეც კი არ მერიდებოდა, ისე ეფერებოდა დეკონინდა ვაეს. გააგოჟა და გადარია ჰაბუკი. არ ვიცი, ამ ტანჯვას როგორ გადაიტანს იურის გული! ქალი ერთხელაც არ მივიდა სანუგეშებლად. უმადური!

— თუ კი არ უყვარს! — ვცადე ქალის გამოსარჩლება. გული მატკინა ჯუჯას სიტყვებმა.

ჯუჯამ ზიზღით გადააფურთხა:

— ვილას რად უნდა მისი სიყვარული! აღამიანმა ყოველ თავის ნაბიჯზე უნდა იფაქროს. ცეცხლს გონება არა აქვს, როცა თივას წაეკიდება, მაგრამ ქალს კი უნდა ჰქონდეს იმის განსჯის უნარი, რომ იგიც ცეცხლია და შეიძლება დას-

წვას კაცის გული. თამაშობდა? ერთობოდა? იქნებ მარტო იურის არ ათამაშებდა ასე?!

თვალიდან არ შშორდებოდა ზღვიდან ამოსული მშვენიერი ქალი და გულს უკვე მღრღნიდა ის საწყენი ამბავი, რაც ჟუჯამ მითხრა. „იქნებ მარტო იურის არ ათამაშებდა ასე?“ ეს ალბათ განგებ დაუმატა, რომ თავისი ზიზღი იმ ქალის მიმართ უფრო გაემძაფრებინა.

ჟუჯას მიეჩერებოდა. მას არსად არ მიეჩქარებოდა.

— ის ქალი ორი დღის წინ დახრჩობას გადავარჩინე... სულზე მივუსწარი.

— საკვირველია, როგორ იხრჩობოდა. ის ხომ ჩინებული მოცურავეა... ისე, კარგი კი იქნებოდა, ცოტა რომ დაგვევიანა! მისი გული არავის გამოადგება. ხოლო სილამაზე... თურმე ხომ სამარადისოდ უკვდავყო. ესეც საკმარისია.

— ცოცხალ ადამიანზე მაგას ნუ ამბობთ.

— ადამიანიც არის და ადამიანიც! — მრავალმნიშვნელოვნად თქვა ჟუჯამ და მაშინვე გამომემშვიდობა, ალბათ იმიტომ, რომ მისი სიტყვები სადაო არ გამეხადა.

აი ზღვის სანაპირო ქალაქკარეთ, ქობნი, სადაც მხატვარი ძმები ცხოვრობენ.

უფროსი ძმები ქობის კართან იხდნენ ისე, თითქოს ვინმეს ელოდებინათ. არკადი გათეთრებულიყო, უფრო მეტად მოტეხილიყო ვასილი.

ქობის კართან ჩრდილი იწვა. ზღვაური საამურად უბერავდა. ზღვა ტალღებს ატლამუნებდა.

არკადი თვალების წყურვით მიყურებდა, როგორც მხატვრებს სჩვევიათ. ცივად მომჩერებოდა ვასილი. და ვერც ერთი ვერ მცნობდა.

— გამარჯობათ.

უხალისოდ მიპასუხეს, გაგიმარჯოსო. გამოვემცნაურე. ორივეს მოვავონდი, მაგრამ ოდნეადაც არ გამოუხატავთ აღტაცება. მოვიკითხე. უფროსმა ძმამ

ხელები გაშალა, მხრები აწურა და მიპასუხა:

— ვარსებობთ, სული გვედგას!

— იური სადღაა?

— შინაა. წევს.

— ვინახულებ? შეიძლება?

— რა საჭიროა! — ცივად მითხრა ვასილმა. გულში თითქოს მდულარე ჩამახსესო, თავი უხერხულად ვიკრძენი და გულდამძარბული მაშინვე გამოვბრუნდი. მთელი დღე მარტოდმარტო დავებეტებოდი და სულ ბელეცკებზე ვფიქრობდი. მაგრამ ფიქრი მეტად ბუნდოვანი და არეული იყო.

ზღვას კიდევ არ დაეშოშმინებინა ფული, ისევ ჭაფმორეული ესეთქებოდა ნაპირს და ზღვის მთელი ზედაპირი ბატკანა ზვირთებით იყო სავსე.

მზემ წყლით გათეთრებული ქვიშა შეაშრო და შეათბო.

პლიაქს უამრავი ხალხი მოეფინა.

ჟუჯას სიტყვები გულს მიფორიაქებდა, მაგრამ მაინც ჭიუტად მეწადა იმ ქალთან შეხვედრა.

რატომ არა სჩანს? იქნებ ზღვას უფროსის, შეშინდა და აღარ ეკარება?

იმ დღეს მაინც, იმედი ვადამიწყდა, რომ გამოჩნდებოდა.

ის იყო ავერიფე ჩემი მკირე საბანაო ბარგი-ბარხანა და სანატორიუმში დაბრუნებას ვაპირებდი, რომ პლიაქის კიბეზე დავინახე იგი. ისიც შევნიშნე, ზღვის პირას მყოფნი მაშინვე როგორ მიაჩერდნენ. მაგრამ უცქერდნენ არა ისე, უბრალო ცნობისმოყვარეობით, არამედ სასოებით, ტკბობით, ისევე როგორც უცბო რამ სანახავს.

მას არავისთვის არ შეუხედავს, კიბე ჩამოირბინა. მე იქვე მახლობლად ვიყავი. ერთი კი შემავლო თვალი, სალამი ჩურჩულთ მითხრა და ჩამიარა. მოხდენილად გადასჭრა პლიაქი. გზადაგზა მოირგო რეზინის თავსაქრავი, ხელის ერთი სწრაფი მოქნევით მოიძრო მოსასხამი და თვალი ვერ შევასწარი მის მოხდე-

ნილ სხეულს, იგი უმაღ ზღვაში გადა-
ეშვა.

ტალღები ნაპირს ეხეტებოდნენ და
იმ ქალის გარდა ვერავინ ბედავდა ზღვა-
ში შესვლას, ზვირთებთან თამაშს.

ნაპირს არ ეშორებოდი. ვხედავდი
მას ტალღებში ჩახვეულს, ლალად და
მსუბუქად რომ დაკურავდა. შერე გა-
მოექცა ზღვას და თვალწინ დამიდგა
ბელეცის გაცოცხლებული სურათი.

უცახედად შემეფეთა.

— ო, როგორი მადლობელი ვარ
თქვენი! — მითხრა და თავსაკრავი მო-
იძრო. წაბლისფერი მშრალი თმები
სველ მხრებზე დაეფინა. თვალი ვერ
გაუღწერე. მაშინვე ჭუჭია და მისი ზიზ-
ლით ანთებული ქროლა თვალეები გა-
მახსენდა. „ნუთუ ასეთი ხარ, დაუნდო-
ბელი და უგულო?“

გულისფეთქვა ყელში მომებჩინა.
თვალი თვალში გავუსწორე და უნებუ-
რად გაუღიმე, რადგან იგიც იღიმე-
ბოდა.

ქვიშაზე დავსხედით. ქალმა თავის მო-
ხრილ ფეხებს ხელები შემოხვია. მოხ-
შირებით სუნთქავდა, დაღლილობა კი
ღევ არ დაეცრო.

— მე თქვენი სურათი მუზეუმში ვნა-
ხე. — წამოვიწყე ხმადაბლა.

ქალმა ზღვის სიღრმეს გახედა.

— ბრწყინვალე სურათია, — დავუმა-
ტე მაშინვე.

— ჰო, არა უშავს, — ნაძალადევი

გულგრილობით თქვა ქალმა და სიტყვა
მაშინვე ბანზე ამიგდო, უდასვენებ-
ლად ხართ ჩამოსული

— დასასვენებლად. ცხრა წლის წინ
აქ ჯარში ვმსახურობდი. აი ამ სანატო-
რიუმის ადგილას ჩვენი ყაზარმები იდ-
ვა. მაშინ გავიცანი მხატვარი ძმები...

ქალმა შემომხედა. რალაც უნდა ეთქ-
ვა, მაგრამ მე დავასწარი:

— ნუთუ თქვენ... — მღელვარებისა-
ვან სიტყვა გამიწყდა, აზრის დამთავ-
რება ვერ მოვახერხე.

ის თითქმის ყურს არც კი მივადებდა,
თავისას ამბობდა ჩურჩულით:

— იქნებ უფრო ალელდეს ზღვა... წა-
მოვიდეს ძლიერი ტალღები!

— ორი დღის წინ ვინახულე... გული
დამეწვა... — განვაგრძობდი ჩემ სათ-
ქმელს.

— ზვალ უფრო შორს გავცურავ...
იმაზე უფრო შორს, თქვენ რომ შეგხვ-
დით.

შემომხედა. ვნებიანად ინაბებოდნენ
მისი თვალეები. ჭუჭია კი მთელი ხმით
ჩამძახოდა: უგულოა, უგულო!

— ნუთუ არ გებრალებათ იური? მას
ხომ უყვარდით...

შეკრთა, თავი შემართა და მითხრა:

— თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ
შეცოდებდა... მეც მიყვარდა გავიყებით,
მაგრამ... — სიტყვა გაუწყდა, ზღვას გა-
ხედა და ალტაცებით დაიძახა, — ნახეთ,
რა ტალღა მოდის, აი, ეს კი იქნება
ძლიერი ტალღა!



თ ა თ ი ა

ასე იზრდება სუნთქვა ჭარისა,
ასე ბალახი გვწვდება მუხლამდის,
ასე ვგებულობთ ღალატს ქალისას,
სიყმაწვილისას ჩვენ რომ ვუყვარდით.

ასე ჩამოდის თოვლი პირველი
და ცა ფიქალი ასე ანთია,
ასე უეცრად და შეუმჩნევლად
მიდიან წლები, ჩემო თათია.

• • •

რამ გამახსენა შენი ღიმილი,
ღამე, ბავშვობა, გზა და ურმული,
და წეროების მძაფრი ყვივილით
მთები შემკრთალი და გატრუნული.
როგორ გამჭრალან, როგორ გამჭრალან
ძველი გზები და ძველი სიზმრები,

და ახლა სულში ჩუმად დამსხდარან
წვერდაბლაგული თეთრი ისრებით.
რამ გამახსენა შენი ღიმილი,
ღამე, ბავშვობა, გზა და ურმული,
და წეროების მძაფრი ყვივილით
მთები შემკრთალი და გატრუნული.

სიზონ ჩიქოვანს

ფერგადასული, ღონემიხდილი
და გაძარცვული, ვით შემოდგომა
სელის გაცრეცილ საგარძელში
თელემდა პოეტი
და ტყვიისფერი მძიმე წყვედიანი
ტბასავით ჩუმად იდგა ოთახში.
ფერგადასული, ღონემიხდილი
სიზმრის იმედით ცხოვრობდა მხოლოდ,
რომ ღამეულ მდუმარებაში

ეხილა:
მთვარე-არაგვის მკვიდრი
და ტირიფონზე მბრუნავი ჭარი.

ეხილა:
თოვლი — სვანეთის მკვიდრი
და გატრუნული ზეცაში მთები.

ეხილა:
წვიმა — აჭარის მკვიდრი
და წვიმის მწვანე გაშლილი თმები.

ეხილა:

მწუსრი — ლაზების ცრემლი
და ზღვაზე ღრუბლის გაშლილი
ბოლო.

ეხილა:
ქარი კოლხეთის მკვიდრი
და ხარის რქები — სანთელი
წყვილი.

ეხილა:
წყარო — მესხეთის მკვიდრი
და ტბზე ღერწმის მთრთოლვარე
ჩრდილი.

ეხილა:
ნისლი — ლიახვის მკვიდრი
და ანანურში საღამოს ღოცვა.
მაგრამ სიზმარი იყო ხანმოკლე
და გათანგული ტკივილით და აგვისტოს
სიციხით

სელის გაცრეცილ საგარძელში
თელემდა პოეტი.



სომხური ენის მორიგი გაკვეთილი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

გზა დასაწყისში იმდენად სწორია, მიწის პატარა ბელტიც კი ბორცვის შთაბეჭდილებას ტოვებს, იმდენად მოტიტვლებულია, რომ აქა-იქ შემთხვევით შეხვედრილი ეკალ-ბარდი მდელს მოგაგონებთ, ისეთი აუტანელი სიციხეა, რომ ადამიანები თავიანთ ჩრდილს შურის თვალთ უყურებენ.

უტყვი და ყრუა დაუძლურებული უდაბნო. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე სუფევს. ცაზე ონბაში¹ ომარისით გახელებული და შეუბრალებელი მზეა, ქვევით, მიწაზე კი — ონბაში ომარი თავისი თავხეხილადებული მოხელებებით და სიკვდილის კარამდე მისულ სომეხ ტყვეთა უსასრულო ქარავანი. შიმშილი და წყურვილი ადამიანებს სხეულს უღრღნის, მზე და მათარაბი კი — სხეულსაც და სულსაც.

ცაში ძეგა დანავარდობს და ბებიის კალთას ჩაბლატვებული ათი წლის ვარდანიკა ეს არის, აპირებს შეევედროს: „ჩვენ გადაგვიფრინე, ჩვენ, მე გადამიფრინე, გვიხსენი მზის სხივებისაგან, ცოცხალი გავგვაროლე, გვედარები!...“

მზე უმოწყალოდ იკბინება, აწამებს ადამიანებს, დაუნდობლად ურტყამს თავშიშველებს, სისხლს სწოვს და გონებადაკარგულთ მიწაზე ანარცხებს. ნეტა ქარი ამოვარდებოდეს, თუმცა უდაბნოს ეს შევიდთავა ვეშაბი, მზეზე უფრო საშიშია! თუ ღმერთმა ინება და მოულოდნელად დაჰბერა, იქაურობას შეაზანზარებს, ქვიშის ოკეანეს ააბობოქრებს, ქვიშის ბორცვებსა და მთელ მთებს წარმოქმნის, ერთმანეთს მიახეთქებს და

თვალს დახამხამებზე ყოველივეს და ყველას შთანთქავს.

გეგონებათ ადამიანების სხეულზე ფეხები მიუჯაჭვავთ, თავები მხრებზე მოურგიათ, დაუქოქავთ და სასიარულოდ გაუშვიათ. ისინიც მიაბიჯებენ, ერთი კვირაა გზაში არიან. ვინ მოსთვლის, რამდენი ჩამორჩა და მტაცებელთა ლუკმად იქცა. დანარჩენები ჯერ ისევ გზას მიჰყვებიან...

თუ ჯერ კიდევ ცოცხლები არიან, მხოლოდ ერთი მიზანი ამოქმედებთ: ეგებ როგორმე იგემონ წყალი, პური, დასვენება. ვარდანიკი ბებიას კალთაზე ებლაუშება:

— ჩვენს სახლში მინდა, შინ მინდა, სად არის ჩვენი სახლი, ბებიო!...

ვარდანიკმა კარგად იცის, რომ ამქვეყნად სადღაც არის პური. არის წყალიც, რომლის ჩუხჩუხი მხოლოდ ახლა ესმის, წინათ არ გაუგონია. პური ცეცხლწაკიდებულ ბელლებში დარჩა, თონე ჩაქრა, სათონე კი გადაიწვა. სახლი ცეცხლმა შთანთქა, ოჯახის კერაც ჩაიფერფლა.

— პური მინდა, ბებიო!...

— ხვალ, ვარიერაქზე, ლოცვის დაწყებამდე გულადი ანდრანიკი მოგვიტანს პურს, ჩემო ვარდანიკო...

— მე ახლა მინდა...

აუჩქარებლად, შავი თოკით გაიჭიმა გველი და შორს გასრიდა. მართალია თვალები ონბაში ომარის ავ თვალებს უგავს, თავი მაინც საოცრად ლამაზი აქვს. ის შხამიანია. შხამი თუ არ ექნება, გველი აქ ვერ იბოგინებს. მაგრამ, ეტყობა, ონბაშმა თვალი მოჰკრა ქვემბრომს და თოფი მოიმარჯვა მისკენ. უდაბნოში

¹ ონბაში — ათისთავი. (თურქულად).

მყუდროება დაირღვა. ტყვიისგან ბუნ-
ტივით გასკდა ერთი მუტა ქვიშა, მაგრამ
ყურადღება არავენ მიიქცია. ომარის ხე-
ლობა ყველასთვის კარგად ცნობილია,
მაგრამ მასწავლებელი სედრაკიანი მაინც
წუხს, ვერ უბატობია ეს უსულგულო-
ბა: „როგორ გაბედე შენისთანა ბილწის
ხელყოფა, შე ქვემძრომოს!...“ ომარი
კმაყოფილებით წელში გაიმართა უნაგი-
რზე. ის ადამიანებსაც ასეთი კმაყოფი-
ლებით ჰკლავს. კმაყოფილებას გრძნობს,
ოღონდ კი ხალხი დახოცოს. ხელი რომ
მიუწვდებოდეს, გაანადგურებს, მტერად
აქცევს მზესაც, ღედამიწასაც. ყველა-
ფერს...

შორს გამოჩნდა ერთი მოყვითალო
ქონი, პატარა ბორცვი და ჰის ოწინარი.
მოჩანს მწვანით დაფარული ვიწრო ზო-
ლიც. წინ მიმავალმა ტყვეებმა უცებ
არაადამიანური ხმით წამოიყვირეს:

— წყა...ალი! წყა...ალი!

ერთ წამში ყველა გამოცოცხლდა, სი-
ამოვნებისაგან ტუჩები დაეხეთქათ და
დაუსისხლიანდათ. მოეჩვენათ, რომ ფე-
ხები თითქოს კვლავ სხეულის ქეშმარიტ
ნაწილებად იქცნენ. თავმა ჩვეულებისა-
მებრ თავისი ადგილი მონახა.

— შეჩერდით, წყალს არ გაეკაროთ!

— ბრძანებს ომარი.

თოფის ცივი ლულები ადამიანებისა-
კენ არის მიმართული. ისინი კი წყურ-
ვილისაგან ტუჩებს ილოკავენ. გამხმარი
და ეკლიანი ენა თითქოს ნალვერდალით
უსერავს ტუჩებს.

— ვინც ჰას გაეკარება, სიკვდილი არ
ასცდება...

მაგრამ რაღაც დაუჩერებელი ამბავი
ზოხდა. როგორც კი ჰას მიუახლოვდნენ,
ტყვეთა პირველი რიგები ერთბაშად ად-
გილს მოსწყდა და ვედროსკენ გაექანა.
ვედროზე ხელის მოკიდება ვერც კი მო-
ასწრო, რომ პირველივე გულადი ტყვე
ადგილზე გააქვავა ტყვამ. მაგრამ სიკვ-
დილი უძღური აღმოჩნდა წყლის სურ-
ნელებას ნახიარევ ადამიანთა ნებისყო-
ფის წინაშე. დაიწყო ტყვეთა ხოცვა-
ქლეტა. ერთი გასროლით სამი კაცი წა-
წვინეს. ცოცხალ-მკვდრებმა უკან დაი-

ხიეს. ჩაფრებმა ვედროწამოცმული ჰის
ოწინარი ძირს ჩაუშვეს. რაქვედნივე წუ-
თიც და სუფთა, ანკარა წყალად გაიჭიმე-
ბელი რაკრაკით გადაეშვა პოლიციელთა
ყანყარატობებში.

შემდეგ ონბაში დიდხანს, ძალიან დი-
დხანს არწყულებდა თავის ცხენს. ცხენ-
მა კმაყოფილი ფრუტუნით თავი ვედ-
როში ჩაყო, ხოლო როცა თავი ასწია და
შავი ღრუნჩიდან წვეთ-წვეთად წამოე-
დინა წყალი, ვარდანიკს ის დაფანტულ
მძივებდა მოეჩვენა. ცხენის დაჩუტული
მუცელი ვარდანიკის თვალწინ ნელნელა
გაიბერა, ამოივსო, შემდეგ ცხენმა უკა-
ნასკენლად გააქნია თავი, ვედრო გადა-
ბრუნა და აჭიხვინდა. ცხენის ჰიხვინი
ვარდანიკის გულს ეცა. მაგრამ ეს ბედ-
ნიერი ჰიხვინი როდი იყო. ცხენი მაძღა-
რი კი არის, მაგრამ უბედურია, ჩანს,
ომარს მოპარული ჰყავს, მასაც ამწვანე-
ბული მთები ენატრება. ვარდანიკს თა-
ვისი შორეული სოფელი გაახსენდა.
თვალწინ დაუდგა ღრუბლებში აზიდუ-
ლი მთების მწვანე ფერდობებს შეფენი-
ლი რემა, ცხენები, აღვირახსნილი რომ
მიჰქრიან და უკან გადადგებულო, მზეზე
მოლაპლაპე ფაფრებით რემად შეკრულ
ციცხლის ალებს ემსგავსებოან.

მზე დასავლეთისკენ გადაიხარა. გაი-
ლეიდა ონგარმა ნიავმა, ბედკრულ ად-
მიანებს ლოკებზე მოუთათუნა და შორს
გაინავარდა.

წყვდიადმა დაისადგურა. თურქები
კვლავ წყალს იმარაგებდნენ ღამისათვის.
ომარი უკანასკნელ განკარგულებებს იძ-
ლეოდა. პოლიციელები არნახული აღ-
ტაცებით შეუღდნენ საქმეს, ათვალთ-
რებდნენ დედაკაცებსა და ქალიშვილებს,
ამოირჩევდნენ შედარებით ახალგაზრდე-
ბსა და ღამაზებს და ყველას თვალწინ
ციმით აიძულებდნენ პირი დაებანათ.
ციმითვე „ფერზე მოჰყავდათ“, ციმითვე
ასმევე-აჰმევედნენ. ქალები თავზარდაცე-
მულნი და დარცხვენილნი შეეჭეოვდნენ
საკმელს.

როცა ომარმა თავისი „გოზალი“,¹

¹ გოზალი — ღამაში ასული. (თურქულად).

ამორჩია, დანარჩენი პოლიციელები, ხანჯლის ტარს ხელჩაქდობილი ერთ-ნაწილის რომ უბღვეროდნენ, ერთმანეთს დაერჩენენ, დიტიცეს და აქეთ-იქით წაიყვანეს ქალები.

— ეზნიკ, ჩემო უბედურო ეზნიკ! — დაიქვილა უცებ ომარის ამორჩეულმა „გოზალმა“, — არ ინაღვლო, მოვკვდები და ძაღლის საჯიჯგნი არ გავხდები!... — და მის ხელში გაიქცა ომარის ხანჯალმა.

— ზარუპი, შენი ჭირიმე, ზარუპი!... ზარუპი კი უკვე სისხლის მორევში გორავდა, მკერდით პირქვე დასცემოდა ხანჯალს. ომარმა სიბრაზისაგან რევოლვრის ტყვია დააყარა უბედურ ქალს. სიმწრით გაგიყვამდე მისული ეზნიკი ღმუხილით ქალისკენ გაიქცა, მაგრამ ტყვია საფეთქელში მოხვდა და განგმირული ცოლის წინ ჩაიჩოქა. სულთმობრძავი მიწას ებღაუჭებოდა, ბლუჯა-ბლუჯა მიწას იყრია ნატყვიარ თავზე. სიცილისაგან დაოსებული ომარი კი უკვე ახალ მსხვერპლს ეძებდა.

განაწამები ქალების კვნესა და გულშემზარავი გოდება წყვილიადა შთანთქმ. პოლიციელები ქვიშარიან ბორცვებს იქით მიათრევდნენ მათ, თუმცა სანამ წაიყვანდნენ, არ ავიწყლებოდათ დახოცილთა ჭაში ჩაგდება, რათა აღარავის გაეხედა იქიდან წყლის ამოდება. როცა დარაჯები თვალს მიეფარებოდნენ, ცოცხალმკვდარი, დასახინჩრებული ადამიანები თავიანთი უძლურობისა და ადამიანებად წოდებულთა არაადამიანური საქციელის გამო ტირილს მორთავდნენ ხოლმე, ტიროდნენ სლუკუნ-სლუკუნით, ტიროდნენ პატარა ბავშვებივით.

ირგვლივ ბინდი ჩამოწვა. განსაცვიფრებლად უსასრულო იყო ვარსკვლავებით მოჭედილი უღაბნო, ცა შავი იყო, მნათობები კი — მოელვარე. სიცივემ პირველად სიამოვნება მოჰგვარა ტყვეებს, ნიაგმა ოფლი შეუშრო. მწველ სიცხეს ცივი ღამე მოჰყვა და მანამდე სანატრელი სიცივე უღმობლად მკვეთა დასუსტებულ ადამიანთა სხეულებს. ისინი ერთმანეთს ეკვროდნენ, იქნებ რო-

გორმე გავთბეთო. ფხიზლობდა მხოლოდ წყლის ნატერა. არ თვლემდს მხოლოდ წყურვილი, ის ხომ ყველაფერს ამორჩილებს.

უცებ ჩრდილი გამოჩნდა, ის ნელნელა წინ მოდიოდა.

— ანა! ანა!..!

ვინ იყო? — ვინ და თურქთა ყარაული.

— რა გინდა? — შეეცითხა რეჰანი. ჯარისკაცმა ბებიისა და შვილიშვილის წინ ჩაიჩოქა.

— წყალი აიღეთ. — სიბნელეში მისი სახე არ ჩანდა, მოხუცმა არ დაუჯერა: „სისხლი სწყურია, მეხი კი დავეყარე თავზე“.

— მოდით, აიღეთ წყალი, მე ვითომ ვერ შეგამჩნიეთ, ანა!...

— რას ამბობს? — კითხულობენ სიბნელეში.

— მეუბნება, ვითომ მე ვერ დაგინახეთ, წყალი აიღეთ, დალიეთო.

მყისვე გამოცოცლდნენ ადამიანები, უკუნეთში თითქოს მიწის სიღრმიდან ამოძვრნენ აჩრდილები.

— ხომ არ გვესვრი, შვილო?

— არა, ანა, არ გვესვრით, — უპასუხა თურქმა ყარაულმა. ადამიანებმაც დაუჯერეს, ჭისკენ გაცოცდნენ. თურქი ჯარისკაცი ხმაამოუღებლივ სიბნელეში გაუჩინარდა.

სასუნელმა ვარდომ ვედროს ხელი მოჰკიდა და ჭაში ჩაუშვა. ვედრო ჭის ფსკერს შეეხო, მაგრამ წყლის ხმაურს ყური ვერ მოჰკერეს, ვედრო დახოცილ თანამორწმუნეთა გემებს მოხვდა... ბიჭებმა შეშფოთებით, მაგრამ ფრთხილად ამოსწიეს თოკი. ჭის ფსკერიდან მოისმა წყლის ხმაური, წყლით სავსე ვედრო ნელ-ნელა მძლავრ იწევდა.

— თავი შეიკავეთ, რიგრიგობით დალიეთ...

ვიდრე ყარაული გამოიცვლებოდა, ყველამ მოიკლა წყურვილი.

ჯარისკაცი კვლავ გამოჩნდა, მაგრამ ამჯერად მას უკვე ამხანაგი ახლდა.

— გეყოფათ, მორჩით, უკვე დროა, უნდა შეგვეცვალონ...

ქობიდან მოისმა ონბაშის ბოხი ბრძანება:

— ჰასან, ვალი, ჰაიდა!

ცაზე ვარსკვლავები ციმციმებენ. რეჰანი, რომლის კალთაში თავი ჩაურგავს შვილიშვილს, ვარსკვლავებს შესცქერის და სინანულით ფიქრობს, რომ ისინი წამდვილად მშობლიური ვასპურაკაინის¹ ვარსკვლავებია: „ნეტა ახლა თუ ხედავენ ეს ვარსკვლავები ჩვენს სახლ-კარს, ჩვენს კერას“. გული უკვდება, თვითონ ხომ ველარ იხილავს, გულიც და სხეულიც დამსხვრეული აქვს. „ვარდანკასთვის უნდა ვიცოცხოლო, თორემ ჩემი სიცოცხლე შეურადაც აღარ ფასობს...“

...პატარა, სულ პატარა იყო. ეს ქვეყანა რეჰანის თვალში ერთ მხარეს მთას, მეორე მხარეს კი წყალს წარმოადგენდა, შუაში კი მათი სახლი იდგა. შორს ლურჯკალთებიანი და თეთრქუდიანი მთა სიფანი იყო აღმართული, სოფლის წინ კი ვანის ზღვა ლივლივებდა. ბალი წელიწადში ოთხჯერ იცვლიდა სამოსელს. თონეში რომ ცეცხლს გააჩაღებდნენ, ლავაშს ჩააკრავდნენ და როგორც კი ცეცხლის ფერი მოეკიდებოდა, ტაშტზე აწყობდნენ. დიდი ოჯახი ჰქონდათ, მთელი მათი მოდგმა იქ ცხოვრობდა. ხშირად სოფლიდან შორს გაინავარდებდნენ, დედამიწის კიდეს ეძებდნენ და, რაკი ვერ მიაგნებდნენ, ისევ შინ ბრუნდებოდნენ.

— სად არის დედამიწის ბოლო?...

— დედამიწის ბოლო არა აქვს, — ეტყოდა ხოლმე პაპა. — დედამიწის ბოლო ისევ დედამიწია...

— მაშ ბოლო არა აქვს?

შემდეგ ისევ ივიწყებდნენ ამქვეყნიურ ამბებს, ლავაშს და ხიწიწს იპარავდნენ და კვლავ ბალ-ვენახებისკენ გარბოდნენ. საღამოობით, როცა ვანის კოპწია მთვარე თვალს ვახელდა და ცის კამარაზე წისკვილის ქვასავით დატრიალდებოდა, ხეები სქელ ჩრდილებს

წარმოქმნიდნენ, ბაღში მთვარის უღვევი სხივები კი სიბნელეს ელამუნებოდნენ. ახალგაზრდები წამოიწყებდნენ ხოლმე სიმღერა „მთა ბინგიოლს“. გვიან შეიტყო, რომ ამ სიმღერაში მისდამი სიყვარული იყო ჩაქსოვილი:

მთა ბინგიოლ, ჭვიანო,
საძოვარი გჭვიანო,
რეჰან, გული შენ ვალის,
ნუ მომიხვალ გვიანო.

ჰამბარცუმმა მოიტაცა და თავის სახლში წაიყვანა.

— დამინახა თუ არა, მაშინვე შეგუყვარდი და მომიტაცა, — სიამაყის გრძნობით უამბობდა მუდამ თავისიანებს. — გული ამიჩქოვდა, მაშინვე მივხვდი, რომ ჩემი გული გალიაში დამწყვდეული ფრინველივით დატყვევებული იყო.

ერთ დღესაც ჰამბარცუმი ჩვენს ბაღში შემოვიდა, ვხედავ ხის ქვეშ დგას. პირჯვარი გადავიწერე.

— ეშმაკი ხომ არ გეგონე, რეჰანჯან. შენ შემოგველე...

— ვაიმე, ჰამბარცუმ, — ვეუბნები. — მომკლავენ, წადი, გამეცალე...

— მოდი, რაც იქნება, სახლში წამომყევი, რეჰან. ჩვენს სახლს სიტკბო აქლია, მოდი, დაატკბე, მშვენება აქლია, მოდი, დაამშვენე, სიყვარული აქლია, სიყვარულის სუნთქვა მოჰფინე ჩვენს ოჯახს...

მე ხმა არ ამომიღია, ლამის გაქვევდი. თვითონ კი ფრთხილად მომიახლოვდა, ხელი ხელში მტაცა და გულთან მიიტანა.

— ვინ გიყვარს, რეჰან?..

წავიდა და ჩემი გული თან გაიყოლა. ერთ მშვენიერ დღესაც მოვიდა, ხელი მომიკიდა და ამ ჩვენმა სულელმა ჰამბარცუმმა თავისთან წამიყვანა.

დაქორწინდნენ, შვილები გააჩინეს და დაზარდეს. გაუჩნდათ შვილიშვილები. ოჯახმა ფრთები გაშალა, პაპამ და ბებიათ გაიხარეს. სახლში ბევრი აკვანი დაიარწა, სათონეში კი — სადღეებლები სახლს ჟივილივით ბავშვები იკლებ-

¹ ვასპურაკანი ოლქის სახელია.

დნენ, გომურებს კი — ბატყები და ხბოები. ბაღში ყვავილები იფურჩქნებოდა, სახლში კი — ქალიშვილები. თუ ოდესმე სახლს გაჭირვება მიადგებოდა, სიცილი-ხარხართა და სიმღერით გაისტუმრებდნენ ხოლმე.

ამ გაზაფხულის დამდეგს კი პირველ ჭექა-ქუხილს თან მოჰყვა თავზარდამცემი ამბავი:

— ომი ვანს უახლოვდება, თალიათს სომხის სისხლი სწყურია, მთის ნიაღვარს უნდა შეუერთოს სომხის სისხლი...

— ბებიკო, რა უნდა ჩვენგან თალიათ-ფაშას?

— სისხლი.

— რაში ჭირდება, ბებიკო, სისხლი? ბებიას ენა ებმებოდა. არ იცოდა, რა ეთქვა. მაგრამ პასუხმა არ დაიგვიანა. სოფელს ლტოლვილები მოადგნენ. მათ ვერ მოესწროთ სხვა სოფლებთან ერთად რუსეთის სომხეთისაკენ გახიზვნა, და თავით-ფეხებამდე შეიარაღებული მტერი სოფელში შეიჭრა. ჰამბარცუმში იქვე, თავისი სახლის წინ მოკლეს. რეჰანმა დაინახა მისი თეთრი ფაფახი და ვარდანიკის თეთრი, სისხლში ამოსვრილი ბატყანი, რომლის კისერზე შებმული ზანზალაკი უკანასკნელად აწკარუნდა და საშუღამოდ დადუმდა. რაც კი თეთრი და ნათელი იყო, ყველაფერი მიწასთან გაასწორეს. რეჰანმა ხეირიანად ვერც კი გაიგო, რა დაემართათ ვაჟი-შვილებს, რძლებს, შვილიშვილებს. შვილიშვილთაგან მხოლოდ ორს — ჰერქინესა და ვარდანიკას რაღაც სასწაულით სათივეში მიაგნო, ხელი ჩასჭიდა და ლტოლვილებთან ერთად უცნობ გზას გაუდგა.

მთის ფერდობიდან ცეცხლში გახვეულ თავიანთ სოფელს გადახედეს. უშველებელ მაშხალასავით გიზგიზებდა მათ ბაღში დარაჯივით აღმართული ალვის ხე, რომლის ვეება გავარვარებული სვეტი ცას სწვდებოდა. „ვაი! ვაი!“.

— ბებიკო, — ტიროდა ჰერქინე, — ჩემი დედოფალა ყარყატის ბუღეშია!..

— ბებიკო, ჩვენი ყარყატის ბუღე იწვის, ბლარტებს რა ეშველებათ!..

— არც ერთი ბუღე აღარ დარჩენილა ამ ქვეყნად, ჰერქინე, არცერთი სახლი აღარ დარჩენილა... ვაი ჩვენს ბლარტებს, ვაი ჩვენს ბაღებს!..

გარიყრაჟის ნისლი და გადაბუგულ-გადამწვარი სახლებს კვამლი ვეშაპივით ზღვისკენ ეშვებოდნენ და ტალღების მზიარულ ლივლავს ახშობდნენ. რეჰანმა ჩაიჩოქა.

— შენს ნათელ კართან გვედრები, უფალო ჩემო, ჩვენი მიწა-წყალი ჩვენვე დაგვიტოვე, ერთი მუჭა მშობლიური მიწა აღირსე ჩვენს ძვლებს...

დღე დღეს მისდევდა, ისინი კი მიდიოდნენ და მიდიოდნენ. სისხლიანი დღეები იყო. დილდილობით იღვიძებდა სისხლგამოლეული მზე, რომელიც ველარ ათბობდა მშვიერსა და ტანჯულ ბრბოს. ლტოლვილები ღმერთს ევედრებოდნენ, რომ ღამეები ბნელი ყოფილიყო, რათა ბრმა ტყვიას არ მიეგნო მათთვის. ბორცვების, ხეებისა და კლდეების მიღმა ცივი და ბასრი ნამგალა მთვარე გამოჩნდებოდა ხოლმე, რომელიც გველივით ფრთხილად ზვერავედა იჭაურობას, მიაგნებდა და სააშკარაოზე გამოჰყავდა ჩრდილებთან შერწყმული ადამიანები. შემდეგ კი ყოველ ბუჩქთან, ქვასთან თუ ხესთან ცეცხლის ალი ჩნდებოდა.

თმახუჭუჭა ჰერქინე შიმშილს ველარ უძლებდა.

— ბებიკო, ღმერთი ზედავს ამ ზოცვა-ქელტას?

— ზედავს, ჩემო კარგო...

— მაშ რატომ არ გვესარჩლება, ბები?...

— მის ძლიერებას ვენაცვალე, ჩვენი რჯულის სიმტკიცეს, ჩვენი სულის ძალას ცდის...

— ცუდი კაცი ყოფილა ღმერთი, ბებიკო, — შეწუხდა გოგონა, — ღმერთმა ახლა თურქის რჯული გამოსცაღოს, ჩვენ უკვე გვეყოფა...

შეშინებულმა ბებიამ პირჯვარი გადაიწერა:

— ეგ რა თქვი, შვილო ჰერტინ, ახლავე შეწყალემა თხოვე უფალს, რომ ჩვენი გზა მშვიდობით დავლიოთ, საშინელი არაფერი დაგვემართოს...

ბავშვს შეეშინდა. ის „მამაო ჩვენოს“ ჩურჩულებდა, განთიადისას ე მითს ყაყაჩოებში თავჩარგულს მშვიდად ეძინა. შუბლზე ერთი წითელი ყაყაჩო დასთამაშებდა, მაგრამ არა, ეს ყაყაჩო არ იყო...

— ვაჰ! ვაჰ!... — ოხრავდა ბებიაც, ის ველარც ხმას იღებდა, ველარც ცრემლს ღვრიდა, — ვაჰ!

რეჰანის ძველსა თუ ახალს, მხიარულსა თუ ნაღვლიან მოგონებებთან ერთად ილეოდა უდაბნოს ღამეც, ცას შუტი ეფინებოდა.

დილით მშემ ბებიასა და შვილიშვილს სომხური ენის მორიგ გაკვეთილზე წაასწრო. ვარდანიკი ნარშავის ღეროთი ქვიშაზე მესროფის ასოებით თავის სახელს წერდა.

— ვინ! ან! რაე! დონ!... ბავშვი ხმამალა წარმოთქვამდა ასოების სახელებს.

— ჩემი გიქმაეი ბლარტი, ჩემი ვარდანიკი, — უხაროდა რეჰანს.

დიდი აურზაურით გამოიღვიძა ონბაშმა. ის ლანძღვა-გინებითა და მათრახით უმასპინძლებოდა თავის პოლიციელებს. მალე ქოზიდან იარაღაყრილი და სისხლში ამოსვრილი ყურბანი და ჰასანი გამოიყვანეს.

— გიჟებთან ერთად უნდა აგყუწოთ, ჯვრით უნდა დაგმარხოთ, თქვე ითოლიებო!, ჯვრით უნდა დაგმარხოთ, ჰა!

... ჯარისკაცების ზურგზე სისინით დანავარდობდა ონბაშის მათრახი.

— ითოლიებო!...

— ონბაშო! — დასაბიჩრებულ თვალს აპაჭუნებდა ყურბანი, — ალაჰს შეხედე, მეც ხომ ადამიანი ვარ, ველარ გავუძელი...

— ველარ გაუძელი, არა? აბა ახლა გაუძელი! — სისინებდა მათრახი, —

რამდენ კაცს მიეცი წყალი, მითხარი ჩქარა!...

— უშაგი! იყო, გულმს ველარ! გამომძლო და მიეცი, მეც ხომ ბავშვის პატრონი ვარ, სხვა არავისთვის მიმიცია. — ეუბნებოდა ყურბანი.

— ბრუციანო ჯამალ! აბა შენა თქვი...

— ყველას მისცა, ონბაშო, ყველას, — ავ ჯამალს დაეხეზდებინა ყურბანი, ის ხომ გიჟურებს გველივით ელაჭუცებოდა...

— სულ ყველას დაგხოცავ, სულ ყველას, — ღრიალებდა გაცეცხლებული ონბაში.

— ვინ! ან! რაე! დონ! ან! ნარ! — ისმოდა ვარდანიკის ხმა, ბავშვი თამამად წერდა ქვიშაზე თავის სახელს.

ყურბანი და ჰასანი სომეხ ტყვეებში შეურთეს... დილით ტყვეთა ბრბოს წყალი არ მისცეს. ონბაშმა ყველას დასანახად წყლის დოჭი მოიყუდა, მაგრამ ამით ხალხზე შთაბეჭდილება ვერ მოახდინა, რადგან ჯერ კიდევ არ წყუროდათ.

— ვაიმე, ბებიეო, — მწარედ წამოიყვირა ვარდანიკმა. დედაბერი შედრჯა ქვიშაზე შაგი მათრახივით მიიკლაკნებოდა გველი და ვარდანიკის სახელის ამსახველ ასოებს შლიდა.

— ვაიმე! უქბინა! მიშველეთ, ხალხო!

ბებიამ შვილიშვილი გულში ჩაიხუტა, მწუხარებისაგან გაგიჟებული თვალებით მის საჩვენებელ თითს დახედა. ჭრილობა უბოვა და სისხლი ამოუწყწნა.

ქარავანი დაიძრა. ღონემიხილი ვარდანიკი კენესოდა, ხელის მტევანი უსივდებოდა, ტყვილი უმატებდა და უმატებდა. ბებიამ სცადა ბიჭუნა ხელში აეყვანა, მაგრამ ვერ მოახერხა. ერთმა მამაკაცმა აიტაცა ბავშვი, მაგრამ როცა დალილიმა მიწაზე დაუშვა, ვარდანიკი თითქმის აღარ სუნთქავდა. შუბლზე ცივი ოფლის წვეთები აჩნდა,

გალურჯებული ტუჩები სუსტად უცახ-
ცახებდა.

ბებიამ იგრძნო ბავშვის აღსასრული.
რაც მის აღსასრულსაც ნიშნავდა. მან
ვარდანიკი ხელში აიყვანა და გზის
პირად ჩამოჭდა:

— ახ, ნანა, ნანა იაენანა,

ჩემს ბიჭს უნდა ტკბილი ნანა...

წამოიწყო სიმღერა რეჰანმა და უდა-
ბნოს მყუდროება შუშსავით დაიმსხვ-
რა. სიმღერის გაგონებასა და დედაბე-
რის გამომეტყველების დანახვაზე ადა-
შიანებს ტანში გააყრფოლა. სიმღერა
უეცრად სიცილმა შესცვალა.

— ...ჰი, ჰი, ჰი!

გვერდით მიმავალმა ჯარისკაცმა დე-
დაბერს მათრახი უთავაზა. რეჰანმა
დარტყმა ვერ იგრძნო. პოლიციელმა
თოფი ჩამოიხსნა, მაგრამ ონბაშმა ლუ-
ლაში სტაცა ხელი.

— თავი გაანებე, ტანჯვით ჩაძალ-
დეს...

— ჰი, ჰი, ჰი! — ხარხარებდა გაბე-
ლებული უდაბნო.

• • •

ონბაშ ომარის ცხენმა უეცრად, უმი-
ზეზოდ თქვენი ჰირი წაიღო. წაიქცა,
ფეხები გაფშოკა, ჩაიფრუტუნა და თავი
ქვიშაზე მიაგდო. თვალბში ნალღელი
ედგა, მთების ნატვრა-ნალღელი. ეს ხა-
ლღელი მის ჩამქრალ თვალბში ჩაიძი-
რა და გაქვავდა. ონბაშმა რატომღაც
ტყვია დააყარა უკვე უსულოდ მიგდე-
ბულ ცხოველს. შემდეგ აბუტბუტდა,
საქირა მალე მოვულოთ ბოლო ურ-
ჯულოებს, თორემ, ვინ იცის იქნებ მეც
მალე ფეხები გავეჭიმო. ყურბანი
და ჰასანი სედრაქიანის გვერდით მი-
ბიჯებდნენ. როცა შეიტყვეს, რომ მას-
წავლებელი იყო, უფრო მეტი პატივი-
სციემით ექცეოდნენ მას.

— მაპლუმ, — ეხვეწებოდა ყურბა-
ნი, — შესაძლოა, ჩვენ უფრო ადრე
მოგვედეთ, ამიტომ თუ ქრისტე-ღმერ-

თი გიყვართ, ნამდვილი მუსულმანები-
ვით დაგვმარხეთ, ჩვენი დღამის მოხედ-
ვით..

— ჩვენ აქ, ამ უდაბნოში ყველაზე
დაუმარხავი დავრჩებით, ყარდაშლარ!..

— მაპლუმ, — ევედრებოდა ყურ-
ბანი, — ჩვენს საფლავზე ჯვრის აღმარ-
თვის ნუ დაანებებთ, ჩვენ ხომ თურქე-
ბი ვართ, თქვენს ღმერთსაც ეწყინება
და ჩვენს ალაჰსაც...

— კარგი, ყურბანი, კარგი!..

— მაპლუმ, ნაბრძანებია სომხები
უსმელ-უტმელი ატარონ უდაბნოში,
ეადრე შიმშილით, წყურვილითა და
ტანჯვა-ვაებით ყველას სული არ ამოხ-
დება. ჩვენ თურქები ვართ, მაპლუმ.
მაგრამ, ღმერთია მოწამე, არც ჩვენ
მოგვწონს ეს ამბავი...

... სასუნელ ვარდოს შუბლი შეხვე-
ული ჰქონდა. სისხლს, მზეს და ოფლს
ისე შეეფერადებინათ სახვევი, რომ მი-
სი პირვანდელი ფერისაგან აღარაფერი
ღარჩენილიყო. არზრუმის საქალაქო
სასწავლებლის დამთავრების შემდეგ
მშობლიური სოფლის ამბასარის ბავ-
შვებს წერა-კითხვას და ისტორიას
ასწავლიდა. თურქთა შემოსევის დღე-
ებში გლეხები დარაზმა, მტერს შეებრ-
ძოლა თავისი სოფლის, თავისი მოწა-
ფეებისა და საყვარელი სატრფოს და-
საცავად. ვაჟკაცურად იბრძოლეს, მაგ-
რამ ზარბაზნის წინაშე უძღურნი აღმო-
ჩნდნენ. მითუმეტეს, რომ სოფელი ნა-
ცარ-ტუტად, ქვათა გროვად იქცა. უკან
დაიხიეს გაუვალი გზებით, ველად ჩავი-
დნენ და... ონბაშ ომარს ჩაუვარდ-
ნენ კლანჭებში. მიდის ვარდო, მას გვე-
რდით მიჰყვება ნანარი, სოფელ ამბასა-
რის ეს „ამქვეყნიური სასწაული“.

ვარდო ამაყად მიბიჯებს, თუმცა ცე-
მისაგან თავი უხურს და ძვლები სტე-
ხავს. ვერ წარმოიდგენთ, როგორ წყუ-
რია მას სიცოცხლე! თავი ვასისბლიანე-
ბული სახვევით აქვს შეხვეული, მია
თვალწინ ჯალათივით ატუზულა სიკვ-
დილი, მაგრამ ქუთუთობის ქვეშ სა-
ქორწილო იალქნის წმინდა, თეთრ

ზმანებას დაესადგურა... ვარდოს სიცოცხლე წყურია, მზე კი თავის ხორთუმს კრილობაში უყრის. ტყვილისაგან თვალი უზნელდება, ფეხები გონებას აღარ ემორჩილება და ის გულში წყევლის მზეს: „უსინდისოვ, უსულგულოვ. ონბაშო!“

მაგრამ ვარდოს მინც ამყად უჭირავს თავი, ქედს არ იხრის სიკვდილის წინაშე, მტრისგან მინც არ ელის დიდსულოვნებას. მის ამ სიამაყეში რაღაც არტისტულიც არის. მტერმა არ უნდა ნახოს ის თავჩაქინდრული, ვედრებით აღსავსე თვალებით. ვარდოს სიამაყე და გულმშვიდობა ძალას შემატებს, გაამზნევენს მის მშვენიერ სატრფოს ნანარს. მაგრამ ძნელია გულმშვიდად მოაჩვენო თავი მაშინ, როცა უფრო იოლია მკვდრად მოეჩვენო, მითუმეტეს, რომ სხეული მართლაც კვდება და მხოლოდ სული ჩაუქრობელი ძალით წინ ეწევა მის განუზომელ სიძიმეს. არც ისე იოლად ახერხებს ვარდო სიამაყის გამოხატვას. ისევე, როგორც ბუღებს წითელი ჩვარი, ონბაშა და ბრუციან ჯამალსაც ცოფს ჰვერის ვარდოს მტკიცე ნაბიჯები. სისინებს, ნავარდობს მათრახი, ვარდო კი თვალსაც არ ახაზხამებს, თუმცა სისხლის ახალმა ნაქადმა სახე დაუმახინჯა. ნანარი შესტკერის მას, მაგრამ თავს იკავებს, არ ყვირის, ცრემლს არ ღვრის. მის სილამაზეზე თვალებილა მეტყველებენ, რომლებიც უფრო ღრმად ჩაძირულან გუგებში და თითქოს შორეული ბურუსიდან იხედებიან. სახე წაგრძელებია, მიწის ფერი დასდებია. უდაბნოსა და მზეს ისე „დაუშვენიებით“, რომ მის სახეზე თურქების ცბიერი თვალებიც კი სილამაზის ნიშანწყალსაც ველარ ამჩნევენ და სწორედ ეს შევლის, ეს იფარავს მას.

ნანარი დაღლილობისაგან ლასლასებს, ვარდო კი ცდილობს სახეზე ღიმილი აათამაშოს. გაცინებასაც კი ლამობს, მაგრამ ტუჩები უსკდება და უსისხლიანდება.

— რატომ იღიმები? — ეკითხება ნანარი. — ეგ ხომ ძალიან ძნელია.

— გაღიმება საჭიროა, ნანარ...

ვარდო ფიქრებშია წასტლი. — ძგი სასუნის მთებში მშობლიურ... სოფელში, თავის სახლშია. დიდიღლიბით, სწორედ ამ დროს იღვიძებს მათი ოჯახი, თონეს ახურებენ და დედა საფაფეს დგამს ცეცხლზე. როცა ცეცხლი შენელებდა, ლავაშს აკრავენ. ლავაშის სურნელება მთის ნიავს უერთდება, სოფელში დაფარფატებს და მაძლარსაც კი შიშობის წყურვილს უღვიძებს. ვარდოს სახლს წინ ჩაუბრბის გეგმაეი ნაკადული და დაბერებულ ტირიფს შიშველ ფესვებს ურეცხავს.

ნანარი ამ დროს სახლის ზღურბლთან ზის ხოლმე და თმებს ივარცხნის, ოან თვალი ვარდოს სახლისკენ გაუბრბის. მზისებრ ოქროსფერი, ოქროსავით მძიმე, მძიმე თმები აქვს, თვალწარბი კი შავი. ვარდოს რომ ჰკითხოთ, ლამაზმანი ნანარისთანა უნდა იყოს — ქერა და შავთვალა. ეჰ, რომ იცოდეთ, როგორ სურს ახლა ვარდოს შეხედოს ნანარს, ნახოს, როგორ იწნავს იგი თმას.

...— ყარდაშ! — გაისმა ყურბანის ხმა. — ყარდაშ, მე ჯანდაბას იქით მქონია გზა, თუ ომარი საფლავზე ჯვარს დამადგამს, ეს ხომ ცოდვა იქნება თქვენი ღმერთისათვისაც და ჩვენი ალაჰისათვისაც...

ამ დროს სროლის ხმა გაისმა. ონბაში ომარი მხიარული წამოძახილით მახლობელი ბუჩქისაკენ გაეჭანა. მოყვითალო მკერდიანი და აღისფერ ფრთებიანი ფრინველი ტყვიანაკრავი მზის ნაშხვრევს ჰგავდა. ფრინველი ხელში ის ნელი ნაბიჯით, მსუნავი ღიმილით ნანარს მიუახლოვდა.

— გოზალ ერმანი?, — მიაჩერდა ნანარს, — ეს ფრინველი შენს ერთ კოცნაში მიჩუქებია.

— უსირცხვილო!

— უსაჩუქროდაც ჩემი იქნები, — მკერდში სწვდა ომარი.

1 ყარდაშ — მძა (თურქულად).

2 გოზალ ერმანი — სომხის ლამაზი ასული (თურქულად).

— უ, შე, ძაღლო! — გაათრებით ეძგერა ვარდო ონბაშს.

— იავაშ, იავაშ, ერმანის ქალიშვილი ჩემია. — მათ შორის ჩავარდა ბრუციანი ჯამალი და იმ წამსვე ტყვია დაახლა ონბაშს. მოჩხუბარნი მიწას გაერთხნენ. შემდეგ კი ყველას გასაკვარად უდაბნოს მოედო ბრუციანი ჯამალის უწნო ხარხარი. მან დიდი გულმოდგინებით გაძარცვა თავისი უფროსი, ჯიბეები ამოუტარიელა და გაუცვეთავი ტანისამოსიც გახადა. ტანსაცმელი სწრაფად გამოიცვალა, მკედარი გზიდან შორს გადაავდო და ქარავანიც გზას გაუდგა...

ნანარი მოწყენილია, ის შეურაცხევს. ონბაშ ომარის ცბიერმა თვალებმა ბოლოსდაბოლოს ბოშა ქალივით მზემოკიდებულ სომხის ასულში ლამაზი ქალიშვილი ამოიხსნეს. ახლა კი ბორცვზე შემდგარი ბრუციანი ჯამალი თავისი ერთადერთი ავი თვალით უთვალთვალებს ასულს, რომელმაც მოხიზლა ონბაში და მისივე სიკვდილის მიზეზი გახდა.

პასანი ზედაც არ უყურებს ბრუციან ჯამალს და თავისთვის ბუტბუტებს:

— ქოფოლო¹, დამსმენი, თავისი თანამორწმუნის დამარხვაც კი არ ისურვავ, შეითანის ძაღლი... შენ ნუ გეშინია, ბაჯი.²

ვარდოს გულში ცეცხლოვანი სიტყვები ბობოქრობენ. ტუჩებამდე აღწევენ და იფერფლებიან. „ჩვენ სიკვდილისაკენ მივემართებით, ნანარ, თუმცა მეზმანება ჩვენი ქორწილი, რომელსაც ველარ მოვესწარით. ჩვენი სახლი კლდის თავზეა, ტყის პირად, ტყე მწყურვალე ფარასავით მდინარესთან წყალზე ჩამოსულა, შემდეგ კი ისევ მწვერვალებისაკენ აცოცებულა. ტყე წიწვოვანია და როცა ღამლამობით მთვარე ოზნასარი³ წიწვოვან თხემს

გადაეგლება, ზღარბის ზურგზე წამოცმულ ვაშლს მოგაგონებს...“⁴ ვეფხვი, აკრე ზღაპარია, არა?..“⁵ ვეფხვი აღგურდეთ, ნანარ, მაგრამ მე მაინც ვხედავ ჩვენს ქორწილს, აგერ, ჩვენი ქორწილი! ჩვეიდან ბილიკები მოცოცავენ მთებს გარშემო ევლებიან, აქეთ-იქით იცლაენებიან, ხან სცილდებიან. მთები დაფარულია ღრუბლებით, რომლებიც ბამბასავით თბილი გეჩვენება. ნამდვილად კი თოვლივით ცივია. აქ ხარობს ყვავილებიც, რომელთა სურნელებით დამთვრალი ქალიშვილები სიყვარულზე ოცნებობენ. წყაროებიც არის, რომელთა სუსხით თვალის დახამხამებზე ფერს იცვლის წითელი ყაყაჩო. აქ არის მდინარეებიც, რომლებიც ვეფხვისებრ გადაეგლებიან ხოლმე ნაპრალებს და უფსკრულებზე ცისარტყელას ხიდებს აგებენ. ეს ჩვენი საშობლოა, ნანარ, სადაც ქალიშვილები ან თვინათი კეკლუცი შავი თვალებით სიყვარულის შრილობებს უშუშებენ ჭაბუკებს ან კი ცივი უარით გულებს უდალავენ და უსნეულებენ. აქ ჭაბუკებიც არიან, რომლებიც დათვებს ერკინებიან და სირბილში ვეფხსაც კი ასწრებენ. ეს ჩვენი მშობელი მიწაა ნანარ...

მე ჩვენს ქორწილს ვხედავ, ჩვენს ქორწილს... ის აღარ შედგება, ნანარ, შენ ველარ ნახვ ამპასარს, ველარც ამპასარი იხილავს თავის საპატარძლოს. მაგრამ მე მაინც ვხედავ ფერხულში ჩაბმულ ქალებსა და ქალიშვილებს და სასუნის გიჟმაე ჭაბუკებს, რომელთა ფეხქვეშ მთებიც კი ზანზარებენ...”

ქარავანს წინ მიუძღვიან რძალი და ბამამთილი. რას გაიგებ, რომელი დიდი ოჯახის ნამსხვრევები არიან ისინი. რძალს გულში ჩაუხუტებია ძუძუშროვარი ბავშვი. მას მშვიდად სძინავს და ედაბნოს მზე ვერაფერს აკლებს. დედას პირმშოსთვის შალი გადაუფარებია სახეზე. დედის ხელში ბავშვი ირწევა და ისიც ტბილად აგრძელებს ძილს. ბაწაწინა ცხვირზე ოფლის მძივები დაპყრია... უკან მიმავალი ვარდომ თვალის პოკკრა ბავშვის ქერა თმას და შავ წამ-

¹ იავაშ — მოიცადე (თურქულად).

² ქოფოლო — შამაძალი (თურქულად).

³ ბაჯი — და (თურქულად).

⁴ ოზნასარი — მთის სახელწოდება, სიტყვა-სიტყვით ზღარბს ნიშნავს.

წამებს: „ამ ბავშვისთანა ბიჭუნებსა და გოგონებს მაჩუქებდა ნანარი...“

ახალგაზრდა დედა უცნაურად ირხევა. გამართულად ვერ დგამს ნაბიჯებს. დეხები ებმება. მოხუცმა მკლავში ხელი ჩოკვიდა.

— მუშან, მომეცი ბავშვი. ახლა მე ვატარებ...

— შენ როგორ ატარებ, მამა, შენ შენ ი თავი ატარე, ეგეც გეყოფა...

„...მდინარის პირას ახალ სახლს ავაგებდი, — კვლავ ოცნებობს ვარდო, — კედლები ტალღებს ჩაეკონებოდნენ, სარკმელიდან ოთახში წყლის ჩუხჩუხივით მხიარულად შემოიჭრებოდა „დილა ნათელი“ გარიტრაჟზე, ვით „ივნანა“ სალამო ქამს... ბავშვები...“

— ქალი წაიქცა, — თითქოს შორს წყლის ჩუხჩუხში გაისმა ნანარის შემზარავი ხმა, — დედა დაეცა, ვარდო, უშველე რამე!

ახალგაზრდა დედამ ნელნელა ჩაიჩოქა და ღონემიხილ მკლავებიდან ატირებული ბავშვი გაუვარდა. მოხუცმა სცადა ბავშვის აყვანა, მაგრამ თვითონაც წაიქცა. ვარდომ სწრაფად აიტაცა ხელში ბავშვი, ჰასანმა მოხუცი წამოაყვანა. ჩაფარმა წაქცეული ქალი რომ დაინახა, არც აცია, არც აცხელა ზურგში ხიშტი ჩასცა და სტყენით გზა განაგრძო.

შეჩერება აკრძალულია, ტყვეებიც გზას აგრძელებენ, ბავშვი კი ჩხავის: „აა...ა...უუ!“

— ჩვენ ავიყვანოთ ბავშვი, ნანარ, ჩვენ გაუწიოთ მას დედობაც და მამობაც, — ეუბნება ვარდო. ნანარს ჰგონია, რომ ბავშვი დაარწმუნა ტირილი არ შეიძლებოა.

— ვარდო, მომეცი, მე დავაძინებ. მართლაც, ნანართან ბავშვი უმალ გაჩუმიდა. ამჯერად ნანარს უკვე ძალდაუტანებლად. მშობელ დედასავით ეღიმიება.

მოსახვევთან ბრუციანი ჯამალი დგას, ხელები ზურგზე შემოუწყვია და ცალი თვალით დედამიწას უბღვერის. ხელში აყვანილი ბავშვით რომ დაინახა ნანარი, გაეღიმა და ჩაქანგული კბილები გამოა-

ჩინა, რომლებითაც გვეგონებათ ბზე ექამოს. ის ნანარისაკენ გვეშუროს.

— შენია ბავშვი, ვოხანო? — მკითხა ჯამალმა და მათრახის ტარით ბავშვს საბანი გადახადა.

— ჩემია, — არც შეუხედავს ისე უპასუხა ნანარმა.

— არა, შენი არ არის! — დაუყვირა ბრუციანმა ჯამალმა. ნანარს ცივმა ყრუ-ანტელმა დაუარა. ბრუციანი ჯამალის ხმამ შიშის ზარი დასცა. ნანარს მოეჩვენა, თითქოს ცალთვალა ჯამალი თვალთ უყვიროდა და მის ჩასისხლიანებულ გუგაში რაღაც არაადამიანურ, მხეცური გადაწყვეტილება აღისახებოდა. ნანარმა არაფერი უპასუხა.

— მე მოგიკლავ მაგ ლეცეს! — მახვილივით აელესა და გაუშვდა ბრუციან ჯამალს ერთადერთი თვალი.

— ჯამალ, ალაჰს ერიდე, ჯამალ! — წამოიძახა ჰასანმა.

— ხმა ჩაიწყვიტე, თორემ ნაწლავებს გამოგაყრევიანებ, — რევოლვერი დააძრო ჯამალმა.

ნანარი ბრუციან ჯამალისაკენ აღარ იხედებოდა. ბავშვს ხელს აფარებდა და აწეული მხრებით თითქოს ტყვიის აცდენას ცდილობდა.

— უნდა მოველა!...

გაისმა სროლის ხმა, ბღვილი, ბრუციანმა ჯამალმა ბავშვს ტყვია თავში დაახალა. ბრაზითა და სიმწრით გახელებულმა ვარდომ თმები დაიგლიჯა. მან, ამ ახალგაზრდა მეოცნებე მასწავლებელმა, რომელიც ეს-ეს იყო მამა გახდა, აგერ უკვე საკუთარი შვილი დაქარვა.

— არამზადავ, შე ძაღო, — დაიქუხა ვარდომ და ბრუციან ჯამალს ეძვერა, — ძმებო, ჩააძალღეთ მკვლელები, სულ ერთია, ხსნა არ გველის...

თვალის დახამხამებაზე ტახტულთარიგები დაიქსაქსა. ტყვეთა ბრბოლაც არაადამიანური ძალით გამლდა და ნიაღვარივით თავს ქალათებს. ყველაფერი ეჩ

აირია... მომაცვდავნი მკვლელებს ებრძოდნენ...

• • •

დახოცილთ მიწას აბარებდნენ, დაჭრილ-დაშავებულებს ჭრილობებს უხევედნენ. ნანარი ქვითინებდა, აღარა ჰყავს ვარდო, მტერთან ბრძოლამ შეიწირა ის. მაგრამ ტყვეებს მხრებიდან მოსწყდა უდაბნოს მძიმე ტვირთი. ათეულობით დაეცა ბრძოლის ველზე, სამაგიეროდ ასეულები გადაარჩა.

ცოტა მოშორებით ბავშვებს შორის

ჩამჯდარა სედრაკიანი, სომხური ენის მორიგი გაკვეთილი აქვს... მტრელების დროს მისი სათვალის მარჯვენა შუშა გატყდა, ახლა სათვალის ცალი შუშით ცერად იხედება და ბავშვებს ჰგონიათ, რომ მათს ნაწერს ის თვალებით კი არა, ყურით კითხულობს. ბავშვები ხმამაღლა წარმოთქვამენ ასოების სახელებს და ქვიშაზე წერენ:

— ჰე! ან! ინი! ანი! სანი! ტარ! ანი! ნარ!

1 ქაიასტან — სომხეთი.

სომხურიდან თარგმნეს **საპაპ მანველიანმა**
და **ლევ ასტვანიანურმა**.



სსრკ-ის ბრიგადის მდიანის

საბჭოთა-ისტორიული ნარკვევი

დიდი გვარის ავტორი

„ესე ყოველი ცხოვრება, ვითარცა ყუაილი
ველთა წარმავალ არს“

იაკობ ცურტაველი

„მახლავ, რა ვაუწყობა, ჩემი სიცოცხლე ამ
ვაი-ვაგლახში ვავიდა“.

გ. ორბელიანი

27 აგვისტო, 1856

— რას აპირებ ამ საბერძენი, გრიგოლ? შამილი
აღარაა.

— ახრ, აღარა ჩემი ძველი ყონალი მეც ვევიბ-
ტემი ვაპირებ წასვლას, ჩემს მეგობარ ფადევსავით.

— ვევიბტემი რა უნდა ვავეყო?

— მთავარსარდლობა მომელის, ჩემო ჭეყენან! ამ
ადგილს წელს ფადევს სთავაზობდნენ ვევიბტემი,
მაგრამ მუნდირზე ვერ შეთანხმდნენ: ვევიბტურად
უნდა შეიშოსო, ფადევმა ამაზე შორს დაიჭირა და
დაიღუპა ვევიბტის არმია.

— შერე, შენ ჩაიცივამ?

— მე ქართული ჩოხა-ახალუხი ვამისდია და
სულერთი არ არის, რასაც ჩაქიცვამ?

ასეთი მწარე საუბრები ხშირად იმართება მოხუც
ვევიბტე-პოეტსა და მის მეგობრებს შორის.

მაგრამ გულგატეხილი პოეტი მაინც მწიფობს და
მონაწილეობს ქვეყნის ცხოვრებაში.

1876 წლის 10 მაისს, თბილისის თავად-აზნაურ-
თა მარშლების ამორჩევისას, კრებაზე სიტყვით გამო-
დის ორბელიანიც, კრებას სამოცდაათამდე კაცი ესწ-
რებოდა. უმრავლესობას სერთუებში ეცემა, მხოლოდ
აქა-იქ თუ ნახავდით ჩოხა-ახალუხსა და ქართულ კა-
ბეშს. ლაპარაკიც უმთავრესად რუსული ან ალკული
რუსულ-ქართული ისმოდა, ორსავე ენაზე ერთნაირად
ჩიოდნენ, რომ ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ
თავად-აზნაურთა ვალეებში ჩავარდა, მამულებს ყი-
დის, კატრდება და ღატკადება... თავადები ელის
ვადანდის ვადების გაგრძელებას ითხოვდნენ. შოქო
30 წლით, და მამინაც უპროცენტოდ გადავიხდითო.
ჯალი ორ მილიონს აღწევდა.

გ. ორბელიანი გიორგი ანდრონიკაშვილის შემ-
დეგ გამოვიდა. თავისი „შეწინიერი, გრწობითა და
გონიერებით სასვე სიტყვით“, რომლის აზრი იყო
თავი შეცვალებინათ ისეთი თხოვნისაგან, რასაც მთავ-
რობა მაინც არ შესარულებდა: რანაირად ვადეთან-
შებათ პრიკაზი, რომ ამდენი წელიწადი ვალი არ გა-
დაიხადოთ და შერვე უსარგებლოდ მისცეთ, როცა
ამაზე მცირე სასოფარიც არასოდეს არ შევესრუ-
ლათ არც კომისიის შედგენა მიაჩნდა სწორად. მთე-
ლი რუსეთის თავადაზნაურობა ჩვენსავით ვაჭირე-
ბაშია და სახლვარგაერთ გარბის, ხაზინა ყველას სად
აუვაო!

ამის შემდეგ ორბელიანი გადადის თავადაზნაურო-
ბის გაღარიბების მიზეზებზე და ამბობს:

„ბატონ-ყმობის მოსპობამ დაგვლუპაო, ეს მართა-
ლი არ არის: ჯერ ბატონ-ყმობა სად იყო მოსპობილი,
რომ ჩვენ ვალეები გვექონდა და ვაჭირვებაში ვიყა-
ვით? ბატონ-ყმობის მოსპობა კი არა, თვითონ ჩვენა-
ვართ, ბატონებო, ამაში დამწამვე, აი, მოგახსენებო:
რა ერთო მამაჩემი? ჭირის სანთელი. ტანთ რას იყვამ-
და მამაჩემი? უხრლო ლეკურ შალს. სულ ვევაღუ-
რი იაფი და უხრლო იყოდნენ მამაჩვენებმა. ჩვენ
კი? თქვენც კარგად იცით, თითოეულ ახლანდელ
თავად-აზნაურს რამდენად უკადება ცხოვრება“.

აქ კიდევ ურისხულ სიტყვა, ნუ შევირცხვენო
თავსო!

ამ საყურადღებო სიტყვის მიუხედავად, კრებამ
შეადგინა კომისია, რომელშიაც მარშლების გარდა
შევიდნენ: დიმიტრი აკაძე, კონსტ. მამაკაშვილი, ილია
ჭავჭავაძე და სხვები...

1877 წელს რუსეთ-თურქეთის ომი დაიწყო და ბრძოლის ველზე მიმავალ ქართულ მილიციას გზა დაულოცა. შინ დაბრუნებულთ კიდევ ხალში გაუმართა წვედლება და სიტყვით მიმართა.

საერთოდ, გრიგოლს სძაგს უაზრო ომი, სისხლის ღწრა. რუსეთ-თურქეთის ახალი ომის მოლოდინში პოეტის სიმწიფე ვერ პოულობს. თურქეთი სფრბიას ახრბობს. რუსეთი ომის შეწყვეტას იბრბებს. პორტბა ჟიუტობს.

„ველით, სულით ვსწუბვარ, დამე არ მიბინებს ეს წველი ბაზრი და ახში გამაცთა კიდევ გუშინ-წინ, — სწერს პოეტი 1877 წლის 5 აპრილს ნიკო ჭავჭავაძეს. — რუსეთსა უნდა არა ომიანობა, არამედ შინაგანის საქმის კეთილად დაწყობა; სჯულსა მისცეს ძალი კეთილად მოვლისათვის ხალხის ურბიჭეთა მილიონებთა; განჯრედედეს სწავლა, ვაჭრობა, ხელოსნობა; გზებზე მშეიდობიანობა; საყოფრებით შეუბებლობა; ამოკვეთა დამავჯრისა, უსამართლობისა; აღმორბედე დირსველთა ხალხის მოვლისათვის და მათის ბედნიერების და კეთილდღეობისათვის; მეტად დამორბეულის სამშღერების დაახლოებბა რკინის გზების გაბმირებითა და სხვანი და სხვანი მრავალნი, რომელთა რიცხვი მილიარდი საქმეებბა საყოფილდღელად ვებბა იმბრბინის... თორემ ახლა ვერ მეტად ნაკლებოვანებბა რუსეთი“.

ნათელი და ბრძნული რბევბა! იმბერატორს რომ ყურბადღყო პოეტის რბევა, კვედნა უფრო სწრაფბად წაეიდღბა წინ. მაგრამ მბრბანებლები სისხლიან ბრომებს აფრბალებენ მბინს, როცა ჭკვანი ადამიანები საყოფილო ბედნიერებბაზე ოცნებობენ.

საგულიხბნობა, რომ გრიგოლმა ჟერ კიდევ მბინს, 1877 წელს იწინასწარმეტკველა. სლავბანები თვი-თონეე მოვლენ მობე რუსებბანთ.

მაგრამ ომი გარდღეული იყო. თურქეთში სისხლში ჩაბრბო ამბობებელი სერბბა. მოლაპარაკებბას შედეგი არ მიჟყოლიბა. გრიგოლს რბდაც საწარგლი ამბების მოლოდინი სულს უფრბობებს, გაურკვევლობბა გული გბადულიბა. მაგრამ აი, 1877 წლის 12 აპრილის დეკლარბკით რუსეთში პორტბას ომი გამოუტბბდა. ზედი-ზედ ბილეს რუსებბა სუბობანი, ბბაიხეთი...

ძველი ჯარისკაცი, სარბალი და გენერბლი გამბნე-და. გულბა გაიწიბ, ბრბოლის ქარცეცხლბა მიბიბდა ისევ ბაუწყო მამობრბობი დბმბარბბა ჩვენს მყედრობბას სიტკვეთბა და სკქმით.

5 მბის არბგვანი ბილეს, თბილბი ზეიმობბდა. მაგრამ ცრბსბძირბან რუსებბა მარცბი განიცბადეს. ბღლისტბანი ბბმბლა. ზეიწმში 800 მებრბოლი ბბბ-ღუბბა. წინმგლა შეფრბნბდა. ყარბის ბლყა მობბნბ. გრიგოლ ორბბლბანი ოვლობების უღობყვბს ცინბნ-ბრბინბდბნ გამბრბლბას, ამ „ქბკეთის ცრბბდბნ“, სბბდე ჭვავბბთ თურმე შეპყრობილი „ვეფხისტყბოსნის“ გბრბი!

როგორც მბსბლოდნელი იყო, თურქეთის ფრბნტზე ბრობბობი მარცბი სბკმარბის გბბბა იბსბბებს, რბმ ისევ ბმლიდიყო ბღლისტბანი. გრიგოლ, ამ მბარბის ყოფელი მმბრბთელი და სარბალი, გარბად იცნობბდა ლევბს და სბფრბლბბანად შემფობბდა: ვბი თუ ისევ

კბეთში შემბობტბნო, და ჯარებს ღლის, რბმ ამ სბ-ბერბში ისევ ბღლისტბანს მბმბურბს, ისევ ბრბინბნ იწყებბა და, ვბნ იცბს, რბდის ბბღლენ, ბბღლენ, ისევ სბკმარბთელი ბბზბრბლბბბა, თორემ სხვბნ რბ უბრბბნ!

1877 წლის ზბვბსლის ბოლის გრიგოლ გბნვის გუბერნბტორს, ნიკო ჭავჭავაძეს, ფრბად გონიერულ ბბრბიებებბს ბბღლეს, რბმ ტბრბლბბბა ნუბბა და მბნბ-ჩბური არ ბუობზრონ.

მაგრამ ჩვენს ბრმბამ მუბბბარ-ფბმბის ჯარბ გბბბბ-გურბ და „მთელს სბკმბსტბბნო სბკმარბთელბს“ ბდიი სბზბბრბული მობგვბრა. თბილბის ისევ ზეიმობბდა. ამ ზეიწმის გული ისევ ორბბლბბბბა. პოეტი ბარბბარე ორბბლბბბანს ბაუწერილბბით ბუწერს ამ ზეიწმს (1878 წლის 24 აგვისტოს წერილში).

ზედიზედ ბბღენენ მერე ბზიის ბბღბი ყარბსი (6 ნოემბერს) და ბღევბა (28 ნოემბერს). ფილიბპოლბბან დამარცხბდა სულეიმბნ ფბმბის ჯარბ, რუს-ბრბთველბბა მხედრობბ სტამბოლის მბზბლბლბდა. ბბწ-რბის ბბზბწყბსში ფილიბპოლბი და ბდრბბნობოლი რუსებბის ბღლში იყო. სტამბოლის ბღლბას ბღლი მუ-უშბლა მბრბბარბლის ზღვბში შემბსული ბნღლბბის ფილბტბს მუქბრბამ, 1878 წლის 19 თებერვბს სბნ-სტეფბნბში ბბბთი ზბგი, რბმლის ძბლიბბეც რუსეთის შემბურთბდა მბბთუბი, ბკბბა, ყარბი, არბბგვბნი, ბბბ-ზეობ, მბგი ზღვბს მბტკველი სბნბბბრო, ბმბს გბრ-ბა, თურქბბს ბბგვისრბ 110 მილიონბ მბნბთ; კონტ-რბბუბკბა.

„ბსე, ჩემბ სოფბი, — სწერბდა ბღფრბთბბბბბული პოეტი სოფბი ორბბლბბბნსბს 1878 წლის 24 აგვისტოს, — უკვე ბბლბ—მბბბურეს ბბდის იმბურბტორბს ბლიერებბამ ბბბსყბ სბუკუნბდ მბმბბბბბბბბ, ბბუბბ-ნებელი მტერი ქრბსტბბბნობბს, ბბ ჩეწბი ძმბნი, ბველბნი ბბრბთველბნი, გბბნბბვისუფლეს თბბბბის წლის ტკვეკობბდბმ ბბ შეუერბბბა ბღბბ-სბკმარბთელბს, ბბ ბლსრბულბბ იგბ სბსწბული, რბყბ არბ გვევრბნბ! ბლსრბულბბ ბდიი სბსტბრბიი სბქმე სბსბოგრბდ სბუ-კუნწბბბბბბ...“

მილიონბნი ტრბსტბბბნბნი გბბნბბვისუფლდნენ!

სბკმარბთელბს სისხლის ზღვვბით ფრბბშეხბმული მბბუბი გენერბლი 1877 წლის 12 ოქტობმბერს სბლი-მე მბურბტბსაც სწერბდა:

„...შეიმბურსა მტერი ქრბსტბბბნობბს ბბ სბყოფრბე ჩეწბი, ჩეწბის სბკმარბთელბს, რბმბისბ სისხლი ჟერ კბდევ ბვერბ ბწვეს ოსმბლსბ ბბ მბრბო ბმ ბმბმარცხბბთ ვერ გბბბბბბის ჩეწბს სისხლის ვბლსბ! ბბბსბი წელიწბბდი გბრბბდნენ მბმბბბბბბნი ბბტბრბ სბ-ბბრბთველბს. რბბბ? რბს გბრბმედიბო? მბრბბბლი, რბგერ გბგვბობზრეს, მბგრბმ ბბყბ თეობორ გბბბბრეს! ბი, მბგრბმ ბვერფრბბბბ სბკმარბთელბბის წმბნბბბ სბსხლბ!“

გრიგოლბ მიესწრო ბედნიერ ბღვს. როცა ოსმბლ-ეობის სბკმარბთელიბბნ მბბგბრბსმმბრბთველბში ჩამო-ვიდნენ ბღბუტბტბები — ბბმბბბბბბბბ, ბბმბბბბბბბ, ბეგბბბბბბბბ — ბბ ბბბბ-ბზნბურბბბმ მბთ სბბლიი გუმბრბბა პოეტბმ ბმ სბბლიზე თქვბ:

„ბბტბრბნობ! რბს მბსწყბბბბს ბღვს ჩეწბი ბმ მვერბ-ლბბბ? რბ გეიბბრბბნ? რბბბ ბღღლესბსწბულობბ? ერბბ ესე წბრბმრბგეიბბბბბ სბსბბბრბულბს მბს სბნბბბ-“

სა, როდესაც ერთი დღისა შეიღწე, შავის ბედის გამო განშორებულნი, დიდხანს ერთმანეთისათვის დაგარეულნი, ანაზღვეულად, მოულოდნელად შეხვდნენ, იცნეს ერთმანეთი და გადახვდნენ გულთადასა სიყვარულით... ბევრი ვიტანე მტერთაგან, ბევრი გაიხრება გამოვარდით, მაგრამ მინერკი არ დაგვიწყება და მორბულნი ჩვენი ძმები, თვალთ, გული გვეჭირა თქვენგან, პატრებო, და ვინატირდით, როდის აღმოვა ჩვენი მზე შეერთებისა... შეერთება ჩვენი ესე იყოს უკანთი უკუნისამდე შეურყვანად! და დღის იქით ღმერთი, კითხვიც უნდა ვიყენო ჩვენ ერთად, ვითარცა შეიღწე დედა საქართველოსა!"

მუხარამოვი ტანით აწვეტირებდა სიტყვას ხალხს საქართველოს დიდ მესტიყვეს. თვისტომი ყველას უყვარს, მაგრამ გამოჩენილი პოეტისა და პატრიოტის ავტორიტეტულ სიტყვას სხვა ელერა და მინიშნულობა კქონდა.

მუდამ შორსმჭვრეტელ გრიგოლს ამ ზემოთე გულს კუწმუხობდა: ვის თუ შემოფრთხილავ აჭარაში ჩვენი ახლებურნი მმართველობის წესები შემოიღონ და ხალხს თავი მოაძულონ! ამ შემთხვევაში მოსახლეობას უფლება ეძლეოდა აყრისა და თანაღმერთი დამარცხებისა. გრიგოლს მიზანშეწონილად მიაჩნდა მმართველობის იმ ფორმის შემოღება, რაც დაღმართში იყო.

გარკუდი გამართლდა. მალე თითქმის მთელი ფარსის ოლქი — 200000 სულზე მეტი — ისევ თანაღმერთის დაუბრუნდა: ქრისტიანულ ბოიკოტებს ისევ თურქული კაპანი ამჯობინეს. მერე აჭარლებზე მიყვინდა: „ვით ჭირიანებს გაგვიანებს ხალხთი“, — სწერდა გრიგოლი თანამოკალმებს, მარსკის.

რასაც კი, მარსკის, უმეტესი გულისტყვილია შესწავი:

„თავადი ლეანი ბათუმის ოლქის დასახედავად წავიდა, სადაზნაყ თითქმის მთელი ხალხი აპირებს გადასახლებასა. ასე გაურბიან ჩვენს მართვა-გამგეობას ცველიანი: ყირიმი დიდინანი და ცაქარა, აფხაზე-ოლი, აჭარავე; და ცაქარავე და ცაქარავე ფარსის ოლქი; რიცე ახლა აჭარაზე მიდგა, ამ უძველესს საქართველოს ნაწილზე, რომელშიაც დღემდე არის წმიდად ქართული ენა შემონახული, სადაც დღემდის არ მოსპობილა ნაღვსაბორივი, მუხომღური და მგლობრული კავშირი საქართველოს და იმერეთის მცხოვრებლებსა; ძველი ქართული გვარები ისევ მოიპოვება, ძველს ველსივებს, სადაც განისვენებენ ჭეშენი მრავალნი მუხენი, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანია მამაღის სარწმუნოება მიიღეს, ხალხი ღრმად პატრება სცემს“.

მეფის რუსეთის მართვა-გამგეობა, რაც პრიორიტეტს სარეცელზე აწევდა დამორჩილებულ ხალხებს, აფრთხობდა ყველას და გარბოდა ყველა, ვისაც გაქცევა შეეძლო. ამ სამწუხარო ფაქტს არც ერთგული ჰუმანდობი, ინფანტრიის გენერალი გრიგოლ ორბელიანი ფარავს. ნუგეზად რჩებოდა ის, რომ თამარის სამეფოს ხალხურები აღდგა, ტერიტორია მანაც შემოურთა მიამე რუსეთის ჯარისკაცთა მახელმა საქართველოს.

„რა გაეწოება, სხვა უკეთესი სისტემა ხალხის მოვლისა რომ ვერ მოგვიფიქრა, მაშინ რა გუნდა, რა გავაღლოთ!“ — სარკატულად შენიშნავს პოეტი ლეანს შეღწევილისადმი წერილში ჩანანთა ომანღმერთი გაქცევის გამო. ასევე ხალი, თანმიმდევრული და გონივრულია გრიგოლის აზრი ოსთა, აფხაზთა, აჭარელთა, სვანთა, გეორგიელთა და სხვა თავისუფლების მოყვარეთა შეურაცხყოფელ კანონ-წყევლის დამკვიდრებაზე.

„მეოთხმოც წელიც მოსალოება, ის დალოცვილი მეთხმომეც წელი, რომელსაც წინასწარმეტყველი სხდებს ვაცის სიციქელის სამზღერად, — წერს პოეტის ბიოგრაფი. — მაგრამ ორბელიანი ვაგვაცურად გასცილდა ამ ფსალმუნისაგან და დღემდის ვადასაყ“. ასე სწერდა პოეტის ბიოგრაფი, თუმცა ორბელიანს, სინამდვილეში თხმზოცი წელი არ უცოცხლია.

წინასწარმეტყველის მიერ დადგენილ ზღვრულ ასაკს პოეტი შეხვდა სრული მეფური აღმურავლობით, როგორც ოლიმპიელი ზევსი — ხორცსაყვე, მანე და ასაკი. ეს სიამავე განსაკუთრებით გამოიწინა მამინ, როცა „დროებაში“ მისი თხმზოცი წლისთავის აღნიშვნა გადაწყვიტა. არაო, თქვა ორბელიანმა, და ყველამ იფრთხი ამ არს აზრი: ახალი თანა ღმერთის გადახვდიდა არა გენერალ-პოეტ ორბელიანს, არამედ მოხუც მგოსანს, ჩვეულებრივს მოღვაწეს — თი, ასეთ გადახდას ის ამჯობინა, რომ სულაც არ აღენიშნათ თხმზოცი წლისთავი.

მუდამ ენერგიული გრიგოლი სიმერეში თითქმის უფრო გააქტურდა კიდევ. არა დღეშია, ზეიმა, გრილთა, სხდომი, თათიანი არ გამომართებოდა უმისოდ. ყველგან პირველი თავაკაცი, ორატორი და მომღვინი იყო. დიდი მთაფრის გაცილება იყო, არქეოლოგიური კონგრესის წევრებისათვის გამართული სადილი, თუ საჯარო მანიფესტაციები, ყველგან მისი ღრმანროვანი სიტყვის იმედით ქმნდით და არცა ცდებოდნენ.

ზედნულ ომეტიდნენ პოეტის ნათესავები, ნაცინობ-მეგობრები, თანამოლაშქრეები. გარდაიცვალა „შვიდთა ივლითა მპყრობელი“ მეფე, მისი ნაცვლი, „რუმინაწყვის მსავაგება“ ბარიატინივი, „კავკასიის მმედრობის საუკეთესო გენერალი“ ლახარევი, ოგულუბო, დიმიტრი და სისული ორბელიანები, ვაფლანი, დიმიტრი გურული, „კულთი წმინდა და გონებით ნათლი“ გიორგი მუხრან-პატონი, „წინანდლის ვარი“ ეკატერინე დადიანი, კეთილი, მამაცი და „მტერზე გულდაგულ მიმსვლელი“ მირსკი, ვრცელე პატონიშვილი... ყველა სათითაოდ გულწრფელად დაიგლოვა, როგორც აღამანა და მიღვაწე.

იგივე არ ითქმის უღირს ადამიანებზე. მაგალითად, ვინმე კლემინს „პარონას-ფებს“ უწოდებს, რომლის გამოცვლა და გარდაქმნა უკვე გვიანაა. სერეთოდ, იშვიათად ამბობს ადამიანებზე ძვირს, და თუ ამბობს, ნამდვილად იმზე, ვინც ღირსია.

არ უყვარდა არც მურავიგო. მის ჩამოსვლასაც დასცილიდა და გაბრუნებდასაც. მხოლოდ ივან მთაწმ მირსოვენი ახლდა, ისიც მხოლოდ ანანურამდის, „სათქმელადაც კი სირცხვლიანი“.

გრიგოლის ნაწერებში დიდი ადგილზე უჭირავს მასთან ურთიერთობაში მყოფ ან ნამყოფ ადამიანთა დახასიათებას. ადამიანში, უპირველეს ყოვლისა, ის აფასებდა საქმეს, ღვაწლს, მამულიშვილობას, სულიერ სისამართს, გონების სინათლეს, სიმამაცესა და პირდაპირობას. ამ აზრით საგულანხმითა მისი მოსახრებები ბარიატრისაგან, გოთრგი მუხრან-ბატონზე, დონდუკოვ-კორსაკოვზე, მირსკიზე, ლაზარევიზე, ნიკო ქაჭავაძეზე...

„რა ფოაღია ნიკო! — სწერს ბარბარე ორბელიანს 1877 წლის 26 იანვარს. — მიხარიათ, მაგრამ ჩემს სინარულს საზღვარი არა აქვს, ის ხომ ჩემი ქმნილებაა!“ — და შემდეგ ლაპარაკობს „მისი ქმნილება“ სიმამაცეზე. უბრალოდ რომ შეგრიბა 7 ათასი ლკი, აჯანყებული მხარე რამდენიმე დღეში დაიწყებდა, მათი გამაგრებული სოფელი კი „მიანგრია და მოანგრია“...

„თავის სკოლაზე“ გრიგოლი ეკატერინე დედინოსადმი მიამართულ წერილშიც ლაპარაკობს, 1879 წლის 24 აგვისტოს:

„გაფრთხილდეთ და დაეცივენ, რომ ვინც გაიარეს ჩემს სკოლაში, ყველანი გამოვიდნენ განსხვავებით გამოჩენილნი: რადეკი, ტერ-დუკასოვი, ლაზარევი, დიმიტრი ჯორჯაძე, ლენერ. სატაგვიე, დევიზის ნაჩალიკო ალექსანდრე თუმაშვილი, უდროლო მკვდარი ივანე ბაგრატიონი, ცერეთევი სოსიკო ორბელიანი და ალექსანდრე ორბელიანი, ლენერ. ბრუსილოვი, დამულად დაქვებული ლენერ. ლეიტ. დობე, აკოლინი და თვით ცოტა ოდენად დრავი ლორის-მელიქოვიცა, რომელიცა პირველად მე დაგინიშნე დერბენდის გრანდინანალიკოვსად, და სულ ჩემი საკუთარი ნიკო ქაჭავაძე, ელნივეტპოლის დუბინატიორი, რომლისა მსგავსი არავინა გვაყავს დუბინატიორებში“.

თვით შთავარსარდალი დონდუკოვიც ხომ მის სკოლაში გაიარა!

ეს, მართლაც, მკაცრი სამხედრო სკოლა იყო და ჭარბად გენერალს უფლება ჰქონდა გამყნა თავისა აღსრულებით.

დიდი შთავრის წასვლასაც მოესწრო გრიგოლი. მიხელო ნიკოლოზის ძეს ეტლში ჩვენი პოეტი ეწადა, ასე გაეშარათა სადგურზე გრიგოლი თითქოს წუბდა „ქვეშარატად იმპერატორის შვილის“ წასვლაზე, მაგრამ მკარ დღეს მზიარულად შესძახა: „იგი წავა და სხვა მოვა ტრუფისა საბადნაროსა!“ მართლაც, გრიგოლის ხსოვნაში ეს შეათე თუ შეთერთმეტე შთავარსარტებელი იყო, „ტრუფა საბადნარო“ კი იყო და რჩება ერთი, ერთადერთი.

ორბელიანთა უბანში მდგარი ძველებური სასახლე ისევ ისე იდგა, როგორც გრიგოლის ბავშვობაში. ფართო ვსილი ჯარისკაცი შევხვდებოდით, მაგრამ არ შეგაგრებდით. შეხვედოდი, პალატოს კედელზე დაპკიდებდი და ნახავდი დიდ დარბაზს, სადაც სკამების შეტი არაფერი იყო, იქიდან კი — თუ მოსამსახურე ვერ გაიგონებდა ღების ხმას — შეაღებდი თვით პოეტის კამარტის კარს. ექვც ძველებური, ნამდვილი ქართული დარბაზი იყო, სასვე წიკნებით, სურათებით, რკეებით, ქალადებით. კედ-

ლებზე ყიდა ბარიკაინიკის, ვორონოვის, შამილის, ეკატერინეს პორტრეტები. ეს უკანასკნელი იყო ოჯახში ერთადერთი ქალი. მაგრამ ეს იყო სურათი ამიტომ ქალის ხელი არავფრს ეტკობრდა.

წიგნის გიბეზში გართული პოეტი გახარებული წამოვფელობა, შემოვხვდებოდით, ხელს ჩაეჯელებდით, მიგვიყნადით და პატარა შრევალი მავიდის პირდაპირ დაეჭვებდით, თავის პირისპირ.

— აბა, ბატონო, სადა ხართ? — უნაყვედურებდა სტუმარს. — ასე დაეწევა იქნება? ქუჩაში ვინ არის, მიხელო ერისთავისა და საგინოვის გარდა?

პოეტის პირადი საუბარი! იონა მუწარავას მოწმობით, ეს იყო თურმე უმაგალითი, საამური, ღრმბაზროვანი, ტუბლი თანამოსაუბრე „მისთან ლაპარაკის დროს, როდესაც თავის მოსაუბრეს მადლიანად შეხედავდა და გულიდან გარდმოფენილს ნათელში გახვევდა, რწმუნდებოდა კაცო, რა გამოუღვევლი, წმინდა, მოკამყამე წყარო იყო ეს კაცი კეთილგონიერებისა და მაღალი გრნობისა, არც ერთი საგანი, არც ერთი გიბეზა არ იყო კავასიში, რომელზედაც მას არ შესძლებოდა ლაპარაკი, არც ერთი კაციობის გონების მადლებელი საკითხი არ იყო, რომელზედაც იმას არ შეეღვინა თავისი, ქართული, აღმოსავლეთის ქრისტიანის აზრი“.

შეუღლებსელი ხედებოდა პოეტი საყვარელ მეგობრებსაც და აბეზარ მოლატებებსაც, რაც მის მაღალ შინაგან კულტურაზე მეტყველებს



წელთა სიმრავლით დაშიშებული პოეტი დღითიდღე უფრო მწკვედრად განიედის თავისი გვარის შშის ჩასვენებას. რაც უფრო ახლოვდება სიცოცხლის დაისი, მით უფრო შშიშდება მისი განწყობილება, უნაც, ორთოგრაფიაც თითქოს დროს უპირისპირებას თავს და დაღისტნის შფოთიანი დღეების გახსენებში ვებებს სწევს ხანდახმული გენერალი. გუნის ტლებში შიპ-ქრემს და მოკონებათა ავარდლით მტვერი ფარავს განახლებების ტლებების სრბოლას სადღაც, პორიზონტზე.

უკანასკნელი მოპიანის ვოდებას მოგვაგონებს 1878 წლის ერთ-ერთი წერილი ივანე ორბელიანისადმი:

„ეზლა მოვიდეთ საზოგადოდ საქართველოსთან და განაკუთრებთ ჩვენს გვართან — არც ერთს საუკუნეში, როდესაც ჩინლისები და ლანკაფიურები, არაბები და ოსმალ-სპარსები შეუძლიოდნენ და აიხრებდნენ ჩვენს მზარესა, მონია, ჩვენი საბრლო საქართველო არ იქნებოდა ისეთ განწარულს შფო-მარეობაში, როგორც ვართ ერთობ ჩვენი ამ დროს და მეტადრე ჩვენი გვარი! უწინ მტრისაგან დამწყარს სასლსა ვამწვენდით ნელ-ნელა, რადგანაც შიწა გერჩებოდა გაობრებისაგან და მოველოდით მომავალში უკეთესობას; ახლა ამწუნებულის სახლიდამ გვერეკებიან გარეთ და აღარ ვიცით, საით მივეფარნეთ, რადგან ფსქვემიდამ გვევლება შიწა, და მომავალიც“

ღმრთის მეტყველოა, მჭადველებია, — შერწმუნე, ჩემო სალომე, ქართული ენა არ არის ისე დავრდომილი, როგორც ჰგონიათ ვხლანდელთა ინსტიტუტებსა, და ამისათვის დაგვიტყვი შეზღბა, რომ შენ ხარ პირველი მგალითი ქართულის ენისა სურვილით სწავლისა“.

ეს არაა უბრალო პირადული ბარათი, ამ წერილის უკან დგას დიდი მწერალი, პატრიოტი, ფესვებგაზარდული ბერძენი, რომელსაც ანაღვლებს მშობლიური ენისა და კულტურის ზედი. დგას, როგორც ბურჯი, რომელიც ენაჭირივითა ზღვანს ქვეყანას, და ენაჭირთა ახლაც, როცა ანალოგიური თავპირიანული დამოკიდებულების მგალითებს უხვად გვაძლევს ჩვენი დროის „ინსტიტუტები“.

პოეტი იცნობს ჩვენი წარსულის დიდ ორატორებს, ბატონიშვილებს, ქეთევანს, მარიაშა, თელეს, ახლანდელგმა კი „აღარ იციან, ვისი მადლით და წყალობით ანუ გულმისვენებით, ეკლესიებით სიერისობენ გოლოგისას პრისპეტზე შეიფიქრებამილინი... უბადრუკებმა აღარ იციან, რომ იმათი დედები იყვნენ დედოფლები ზრდილობისა, სილამაზისა, მგალას გო-

ნებისა და ამისთან ხასიათით მამაცნი თავგანწირულნი მამულისათვის...“

შემდეგ გრიგოლი მადლობას სწირავს ხალხებს და დედას — ეკატერინეს, რომ მოსწონებით მისი ლექსი „თამარის საზე ბუთონის გულსიაში“: უზახენის შას მილიანად, რადგან ცენზურამ შეამარა, და მივის, რომ „სიბერემ წაართვა პოეზიის ძალი“, მოუთხრობს, რომ ხშირად ჩადის ანატასია ორბელიანისას, გენერალ ივანე ოკოლობის მფულესთან. მარჩივლობენ იმაზე, გაიმარჯვებენ თუ ვერა მუხტარ-ფაშაზე, რომელიც იმ დროს უფრო კიდევ არ დაეპარებებოდა „შთავსარდალს მიხილ ნიკოლოზის ძეს ერთბელავ... არ გამოხდით გამარჯვება“, და ხშირად მოსდის იმაზე ჩხუბი ტასოსთან.

ბევრი რამ აწუხებს დავალობის პოეტსა და პატრიოტს: მარტოობა, ენის წახდენა, მასლობელითა დეკარგვა, ახალი თაობის გადინერება... მარამ ყველაზე მეტად მაინც ანაღვლებს ჯამბაყურიანთა დიდი გვარის დაქვეითება და, საერთოდ, არისტოკრატიული დიდკაცობის უსამელო აგრობა.

„უა თუ რაც წახდეს ველარა აღსადგეს...“

უანანასქმელი წლები

„განგეშორდნენ გულის ნაცნობნი,
ვირცა ვუღობა გუევიარდნენ,
თვალთ მიგვეფარნენ, წაეიდნენ...
ძველთაგან დავქმითი მე და შენ“.

გ. ორბელიანი

სიყოცლის ბოლო წლებში გრიგოლი განსაკუთრებულ ზრუნვას იჩენს ქართული მწერლობისა თუ მუსიკისადმი. კერძოდ, ქართული გალობისადმი. 1878 წლის 3 სექტემბერს ორბელიანთა ეკლესიაში რამდენიმე დახელოებული მგალობელი მოიწვიეს. გრიგოლის გარდა, გალობას ესწრებოდნენ გენერალი იოსებ ორბელიანი, არქიმანდრიტი მაკარი, დეკანოზი ზედგენიძე... გალობა საამო მოსამყენი იყო, შეტადრე თავი ისახელა გურულმა ჩხატარაშვილმა. გრიგოლმა მგალობლებს სადილი გაუმართა და დახმარება აღუთქვა.¹

1878 წლის 22 იანვარს იყო. აღუქანდრეს ბაღში ოთხ რიგად ჩამწყრივებულა სახეს მგადელები, მხედართა და სამოქალაქო მოხელეთა საოთხი ერთიმეორეს აცუგებს და საზეიმო იერს აძლევს შეხვედრას. ვის ხედვებთან? დალისტინიდან გამარჯვებით დაბრუნებული მამაც ქართველ მოდიანის რაზმელებს და კავასიის მაროლელთა მკორე ბატალიონის მკომრებს.

ქალაქის მდიდრებს გაუმართავთ ეს საზეიმო სადილი და მოთავსნიც თვითონ არიან. საპატიო პირები ბაშის კარავში სხედან. ზღს ეფინება სამხედრო მუსიკის, ზურნისა და თარის ზღა, აღმოსავლური და დასავლური მფლოდები ერთიმეორეს ცვლიან.

პირველად ხელმწიფე იმპერატორის სადღევრებ-

ლოს სვამენ, მერე მისი ნაცვლისას. დიდი ნადირი იწვიბა.

დარბაისლურად დედა ფეხზე მსოგანა გენერალ-პოეტი, აზარფუშას იღებს და იწვიებს „მაროლელთ ბატალიონის დირცეული აფიერებისა და კამანდიობის“ სადღევრებლოს, მერე მილიციას მიმართავს:

— ძმებო! მოგილოცავთ მშვიდობით და გამარჯვებით დაბრუნებას! მოგილოცავთ დაბრუნებას იმ საშინელ ბრძოლიდანა, სადაც თქვენი ძველი მამა-პაპების მხეხობა და სიზარვე გამოიჩინა.

ვინ უბრძოდა ძველად საქართველოს? ოთხივე კუთხივ მტერნი იყვნენ შემოსეულნი. არაბნი, სპარსელები, ლეკები, თათრები ანასოდეს მოხვენებას არ გვაშლედნენ. მუდამ დღე იძულებული ვიყავით იმათგან დავეცვა ჩვენი სარწმუნოება და სამშობლო. მუდამ ხელში ამოღებულნი ხმალი გქონდა. და ჩვენ ვიგერივებდით ამ მტერებს.

აქ გრიგოლმა შეისვენა, უღვაშები შეისწორა და აზარფუშა უფრო მადლა ასწია:

— სიზარულით ვხედავ, რომ თქვენ იმ ძველი მამა-პაპის ხისხლი გიდგათ ძარღვებში. ვხედავ, რომ მამა-პაპათ გარდემოცათ თქვენთვის თავიანთი მხეხობა, თავდადება სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის. ეყავით, ძმებო, რომ ვე მხეხობა, თავდადება, თქვენს შეილებს, ძმებსა და მუხობლებს გადასცეთ,

თეატრის დაარსებაზე კი სანუგეშოს ვერაფერს ამბობს.

„მე არ მესმის, როგორ უნდა დამეხაროს თეატრი, რომელსაც არა აქვს თავისი შინაბა, რომელსა არა ჰქვას გამწვანებული აქტიორები, რომელსა არ შეეძლოს შენახვა თავისი თავისი?.. არა მერია, ჩვენი ხანა იხე იყოს გასუქებული, რომ სამასის თუნუნი უსარგებლოდ დახარჯა არაფრად მიამჩნევს.“

ბანკის მოვალეობად გრაფობის ისევე სწავლა-აღწერის სატყეში შეწყენა მიანიდა და ამაზე სკოლებისა და თეატრის ხარჯების დამატების ზედმეტ ფუფუნებად თვლის. არ ამბობს, რომ ეს ზედმეტი საქმეა, მაგრამ შენახვის იმედი არა აქვს და სწორედ აქ ირეს თავს მამათა მდროშის დაქანტვლითა, ახალ ვითარებაში გაუკრეველობა, ახალი თაობის შეზნება, შეუპოვარი მდროშის იმედიან მოწოდებათთან შედარებით.

ამას ამჟამად იბნა თავი იმავე წერტილის დასახარულს:

„პირველები ვართ ბუნებით ვულსწრაფნი. გვინდა სვალზე იყოს შიდა ყოველი, რაცა გვსურს. ჰაობს ნელ-ნელა წავიდეთ წინა, ვიდრე სიჩქარით დაგრძობთ შუა გზაზე დაღაბდეთ.“

აი, ეს ნელ-ნელა წასვლა არ ვეუბოდა თერგ-დალეულთა ბუნებას, და ისტორიულად ისინი იყვნენ მართლნი. არბილიანი უკვე უფროსს „ბურთივითი მრგვალი“ ლიბერალს და მხოლოდ ვარაუდებით განაყოფილებდა: გაგვიჭირდებათ.

1879 წელს გრიგოლი ისევ მოიგონებს ეკატერინე ჰუბტაიანს და წერალებსა სწერს.¹

პირველი, 1879 წლის 16 ივნისის თარიღით:

„უგანათლებლებსო კეთილად, ჩემი მოწყალეობა და ეკატერინე ჰუბტაიანის სიხარულით მოვალეობა თქვენის საყვარელის ნიკოს მშვიდობით მიმობრძნებას ცოლ-შვილითა. ღმერთიან ჰქონს ბედნიერად... ახლა კი დროა, რომ მოხელის თავს ქვეყნისა და დაბნეუდეს მამა-პაპისეულას შამულსა, ზეგარდმო ნაკურთხისა ნაკურთხეობითა, მშვენიერად შემეობილს მღებარეობითა, საზაფხულად გარდითა, საზამთროდ ზუგდიდითა. შთა, ზღვა, ტყე, ვარშემო ნათესაობა, ხალხი, რომელთაწყა ხართ დაკავშირებული საუკუნოების განმავლობითა... შინა ვინ უნდა იყოს შერუნული მგათ კეთილდღეობისათვის? ვისა შესტივა გული მგათ ზედღურებაში, თუ არა თქვენზე? სამეგრეო და თქვენი კეთილი ღმერთის და ხართ განუწყრელი. კენახში ნიკოს ახლავ, ვიდრე ყმაწვილი კაცია, უნდა დაჰყარას ბარი და მკვიდრად, შეურყვევლად აღაშენოს ოჯახი თავისი... თორემ, როცა ჩემს სიბიით მოხუცდება, შამინ ვეღარა ამუნდება რა, ზუგდიდი უწიონის პეტერბურგსა. მან დათქვას ყოველზე კეთილი და მით დროზე აღადგინოს დაცემული თავისი ქვეყნა.“

¹ „ბისტრონიც“, 1922, № 21, გვ. 2.

² „დროცხა“, 1885, № 190, 1-2 გვ.

შემდეგ გრიგოლი თავის ოდინდელ სატრფოს, აქ კი დას, ატყობინებს თბილისის ამჟამინდელ ქალის ღრუბლის გამოჩენას, რაც განუთისკენ გემართაო მას შემდეგ, რაც მოჰამა ქვეყანა. მაგრამ ქვეყნის შესვერთ მიმშობილი არ აწუხებთ, არიან ღრუბობისა და ცვეცა-თამაშის გართობი. თბილისში ისევ ჰორწობობია, ჯენტლმენი ონიკოვი ვეწასა და პარონში წავიდა, დარჩა „დაფარეული“ პეტეტი მარტო.

ბოლოს ნიკოს ცოლსა და ანდრიას მოიკითხავს და, სხვათა შორის, უგზავნის უმთავრესს ლექსს — „ვინ-ღა აღვიდეს მაღალსა მას მთასა წმინდასა...“

როგორც ცნობილია, გრიგოლის რჩევათ არ გაჰყრა. ნიკო დადიანმა საშვერელის ტასტი გაიკადა. მილიონი მანეთი მიიღო და პეტერბურგში სეირნობა ამჯობინა ოდინის ბაღნარში გულმთა აწითყებას.

ივანე მუხრანსკომ სარდლობაზე ზელი აიღო და შამპანურის დაყენებას მიჰყო ზელი, ღვინის დაღერა ამჯობინა სისხლის დაღერას.

გენერალი ლაზარევი რაღაც მუწუკმა მოგლა 1879 წელს... ყველას თავისი ზედი აქვს.

1879 წლის 24 აგვისტოს გრიგოლი, უკვე კარგა ხნის „მეზიას“, ეკატერინის, ულოცავს საყვარელი ასულის სალომეს მშვიდობით გადამჩენას, ქალის შექმნას. შხოლოდ დას სწუხს, რომ წყველს სიბერეზე ზელი დამარია, ვეღარ მააქვენებს ცხენს, ვეღარ ვახლავს, რომ ძველებურად ძეობა გემართათ და ქუდა ჰერისათვის ეკრათ.

ახალშობილს ანტუანეტა დაარქვეს.

იმავე წერალებში გრიგოლი მწუნარებით აუწევს ეკატერინეს, რომ გარდაიცვალა გენერალი ლაზარევი, მისი ძველი მეზობარი, „საკურველი კაცი, უბრალო შვერვალის შვილი, ყარაბაღელი, უსწავლეული, „გაუხრდელი“, რომელიც შეიქმნა ბოლოს გამოჩენილი ღვინური კაცებისათვის“. პირველად გრიგოლს აიფანა ჯერაც შერაგის პოლკის კაპიტანი, და შემად ხალაფა მისი ვაჟეკობა, გამჭრანობა, ახლა კი იმასაც ეწმეოდობება... ბოლო ხანებში დიდხანს იყო ბაქოში მიეწეული და ისევ უხმეს მესტარ-ფამასთან ომში... ერთ-ერთი ლაშქრობის წინის გარდაიცვალა.

მეორე წერალი 17 იანვარსაა დაწერილი. პეტეტი პატეების ითხოვს დაგვიანებისათვის, წერალებზე პასუნის გაუცემლობისათვის. მიზეზად ასახელებს სიბერეს, ძვირფასი ადამიანების — ყაულანის და სოციკოს დაკარგვას; ყაულანი „მმა, მფლობარი, ამანა-გა“, მართლაც, დიდი დანაკარგი იყო მისევი ორბელიანისათვის. გამოყრდნე ორბელიანთა უბანი და არის გრიგოლი მარტო ქუბში, „ეთარევი ვიღაც უცნობი“. ძველთაგან ორნი დაჩინენ — გრიგოლი და ეკატერინე! აქ ერთხელ კიდევ ითხოვს, ნიკო ზუგდიდში დაბრუნდეთ, პეტერბურგს რად უნდა დადიანიო!

მოხუცს სანუგეშოდ ის დარჩენია, რომ თბილისი მტად გადიდა, გამარჯვდა, მთელილის ხიდი ძლიერ იტყვს გამწვლელ-გამოშვლელსო, ვრთი თეატრი აღარ გვევინისო.

ამას მოხდევს ისევ ვებდა: ჩვენი თავადობა დაევა-

გალატკა, გაწყალდაო! თემურ-ლენგისა და შაჰ-აბასის შემოსევების შემდეგ ხალხი გაოდიოდა ტყე-ებიდან, ხოლებიდან, ისევ აშენებდა ქოხებს, ჩვენს თავადობას კი აღარსად ვუჩნებთ თავისუფალი, „ჩვენი მიწაგალი მეტად დაბნელებულია და არსიდან მხანის ნათელი ნუგეშისა“.

სხვა ყველაფერი ჩვეულებრივად მიდის. თოვს. ტა-სო, გაგარინის ქვრივი, და ელენე კარგად არიან. არც ნიკო ჭაჭვაძეაქვს უკირს რა, უწინდელი გიგი ნიკო ასლა განჯის გამორჩენილი გუბერნატორია...



1879 წელს გრიგოლ ორბელიანის მეგობართა მრავალრიცხოვან წრეს ემატება საფრანგეთიდან ახ-ლად დაბრუნებული, ტყეიანი, მსოფლივ და ცნობი-სიყოფიერ ლიტერატორი იონა მუნარჯია, რომელსაც ბედმა პოეტის პირველი ბიოგრაფობა არღუნა. მათი ხშირი შეხვედრები ცოცხალი მასალით ამდიდრებენ ერთადერთ ბიოგრაფიულ ნაშრომს, რაც ელაწლი-სილ პოეტზე შექმნილა თვით პოეტის სიყოფიერში.

შუქთან ერთად ადგებოდა დილადრინი, მახარა-წამოსხმული დადიოდა აივანზე დიდხანს, მუდამ გარ-კვეული დროის განმავლობაში, და გადასცქეროდა კავ-კასიონს, თავის სულიერ სადგურს.

ღლით დიდხანს მინიარე აღმიაწებს ვერ ენუ-ებოდა. თავისი დის ასულის, ვაკატრინას შვილს, ნი-კოლოზ ბარათაშვილის დისშვილს, ნიკოლოზ ერის-თავს, რომელიც კლუბიდან შინ ღამის სამ-თხს სა-ათზე ბრუნდებოდა, მინც უთინია აღუთქმება თურმე:

— დიდი ერისთავო, ადექ, ნუ გძინავს! გამოიხე-დე, ღმერთო ქადაპურს არივებსო! — აკუნებდა. თი-თონ კი ბოლოს ცემას ვანაგრძობდა.

ჩაის და სადილს რომ შორიგებოდა, აიღებდა კა-ლენდარს ან „დროებას“, ფერადი ფანქრით აღ-ჭურვილი დაიწყებდა კითხვას, არცებზე წერდა ცნო-ბებს ამინდზე, წინა დღის ამბებზე, „ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, და გახუთის ასეთი შენიშვნებით აჭ-რებლბდა: „ეს რა ქართულია?“, „თუ ეს ქართულია, მე არა მყოფდია რა“, და ა. შ.

ლიც დროებითი მთავრობისა და მენშევიკ-ესერთა ლიდერების თანხმობით პეტროგრაღში გაიმართა, ცხადყო, ბოლშევიკების გავლენისა და ავტორიტეტის ზრდა დედაქალაქის პროლეტარიატსა და გარნიზონში. დემონსტრანტების დიდი უმრავლესობა ბოლშევიკური ლოზუნგებით გამოვიდა, რაც დროებითი მთავრობისა და მასთან ბლოკში მყოფი მენშევიკ-ესერების პოლიტიკის აღსასრულის დასაწყისს ნიშნავდა.

ბოლშევიკები, ვ. ი. ლენინის მეთაურობით, ყოველთვის დიდი სიფრთხილით ეკიდებოდნენ აჯანყების საკითხს. ტუქსავდნენ მათ, ვინც ზერევედ ეკიდებოდა ამ დიდმნიშვნელოვან საკითხს და მიიჩნდა იგი უზრალო გასეირნებად. სწორედ ვ. ი. ლენინმა მოითხოვა ცენტრალური კომიტეტის 22 აპრილის სხდომაზე დაეგმოთ ავანტურისტული გამოსვლა ს. ბაგდატიევის ჯგუფისა, რომელმაც აპრილის კრიზისთან დაკავშირებით, ვითარებისათვის ანგარიშის გაუწევლად, მოითხოვა დროებითი მთავრობის ძალდატანებით დაშობა.

ვლადიმერ ილიას ძე ყოველთვის კიცხავდა ბლანკიზმს, მიიჩნდა ის მარქსიზმისადმი უცხო მიმდინარეობად. სასტიკად ამითარხებდა მათ, ვინც მარქსისტებს ბლანკიზმში სდებდნენ ბრალს და მულამ იმას ქადაგებდა, რომ აჯანყებას ისე მოპყრობოდნენ, როგორც ხელოვნებას, რომ აჯანყებას მაშინ ექნებოდა წარმატება, თუ ის დაეყარდნობოდა 1) არა შეთქმულებას, არა პარტიას, არამედ მოწინავე კლასს, 2) ხალხის რევოლუციურ აღმავლობას და 3) ისეთ გარდატეხის პუნქტს, როცა ხალხის მოწინავე რიგების აქტიურობა უაღრესად დიდი, როცა უაღრესად ძლიერია მერყეობა მტრის რიგებში და რევოლუციის სუსტი, ორჭოფი, გაუბედავი მეგობრების რიგებში.¹

ანალიზს უკეთებდა რა ივლისში პეტროგრაღში მომხდარ ამბებს, ვ. ი. ლენინი წერდა: „3-4 ივლისს შეიძლებოდა,

¹ В. В. Лебедев, А. О. Чубарьян, დასახ. ნაშრომი, გვ. 12.

² В. В. Лебедев, А. О. Чубарьян, დასახ. ნაშრომი გვ. 12.

³ ი ა მ ე .

1 ვ. ი. ლენინი, ტ. 26, გვ. 6.

გარდის უმრავლესობა.¹ განსაკუთრებით ეს ორივე დედაქალაქში — პეტროგრადსა და მოსკოვში იგრძნობოდა, სადაც რევოლუციის ბედი წყდებოდა. დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს პეტროგრადსა და მოსკოვში მიცემული იქნა 1765,1 ათასი ხმა. აქედან ესერებმა მიიღეს 218,0 ათასი, ბოლშევიკებმა 837 ათასი, კადეტებმა კი 515,4 ათასი.² მენშევიკებისათვის მიცემული ხმების რაოდენობა იმდენად უმნიშვნელო იყო არამარტო პეტროგრადსა და მოსკოვში, არამედ მთელ რუსეთში, რომ მის შესახებ ცნობებიც კი არ მოაქვს ნ. ვ. სვიატიცკის თავის სტატიაში „სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნების შედეგები“, საიდანაც ვ. ი. ლენინს აღებული აქვს ეს სტატისტიკური მონაცემები.

მსგავსი მდგომარეობა იყო არმიაშიც. ბოლშევიკებს ემხრობოდნენ ჩრდილოეთისა და დასავლეთის ფრონტის ჯარისკაცთა უმრავლესობა, სადაც 1 მილიონ 700 ათასზე მეტი ჯარისკაცი იყო. ყველა სათადარიგო პოლკი (ასეთი კი 100-ზე მეტი იყო) მხარს უჭერდა ბოლშევიკებს. გარნიზონების უმრავლესობა მთელ ქვეყანაში ბოლშევიკების მხარეზე დადგა. ბალტიის ფლოტის მეზღვაურები ბოლშევიკებს უჭერდნენ მხარს მთლიანად.

აჯანყების დღეს პეტროგრადის თითქმის ყველა მუშას მიცემული ჰქონდა დავალება და ყველამ იცოდა, თუ რა

უნდა გაეკეთებინა და რა წვლილი უნდა შეეტანა აჯანყების წარმატებით დაგვირგვინების საქმეში.

მართლაც, ოქტომბრის რევოლუცია ორგანიზებულად ჩატარდა.

განა შეიძლებოდა ასე სწრაფად, ასე ორგანიზებულად მტრის დამარცხება და ხელისუფლების ხელში აღება, რომ ხალხის ფართო მასების მხარდაჭერა არ ყოფილიყო? თვით ოქტომბრის რევოლუციის ტრიუმფალური მსვლელობა ჩვენი ქვეყნის ვრცელ ტერიტორიაზე, განა ეს მშრომელი მასების სურვილების საწინააღმდეგოდ ხდებოდა, განა მას თვით მშრომელი მასები არ აკეთებდნენ? ყოველივე ამის შემდეგ, აქვთ კი რაიმე საფუძველი ისტორიის ბურჟუაზიულ ფალსიფიკატორებს ამტკიცონ, რომ ოქტომბრის რევოლუცია ბოლშევიკთა შეთქმულება იყო, რომ მშრომელი მასები მას მხარს არ უჭერდნენ და ა. შ.?

წინააღმდეგ ისტორიის ფალსიფიკატორების მტკიცებისა, ოქტომბრის რევოლუცია ხალხური რევოლუცია იყო. მან დაამსხვრია ექსპლოატატორთა უღელი და მოსპო ყოველგვარი სახის ექსპლოატაცია. მან დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო, რომელიც უღარიბესი გლეხობის მხარდაჭერით შეუდგა კომუნისტური საზოგადოების საფუძვლების შექმნას. ოქტომბრის რევოლუციამ დასაბამი მისცა ახალ ერის კაცობრიობის ისტორიაში, სოციალიზმისა და კომუნისმის გამარჯვების ერას.

¹ ვ. ი. ლენინი, ტ. 26, გვ. 8.

² ვ. ი. ლენინი, ტ. 30, გვ. 301.

მოთა ჩაიხვილი

ოქტომბრის ჩაქოვები და გერმანული მხარეები

1917 წელს დაიწერა იოჰან რობერტ ბეხერის ლექსი „გერმანული პოეტის საღამო რუსეთის ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკისადმი“. ეს იყო ოქტომბრის რევოლუციისადმი უცხოელი მწერლების ერთი პირველი გამოხატულება-თაგანი. ლექსის სტრიქონებში ეღერს აღიარება იმისა, რომ ამ რევოლუციით ბოლო მოეღო ბატონყმობის ნაშთებს, ერთვულ-კოლონიურ ჩაგვრას, დემოხ ბოროტების — ბურჟუაზიისა და მემამულეთა — მეფეება, და პირველად ისტორიაში შეიქმნა მუშათა კლასის დიქტატურა. ბეხერი გმობს ბურჟუაზიული დემოკრატიის სიკრულს და მარადი ერთგულების ფიცით ჰაელსა და საბჭოთა რესპუბლიკას.

და მართლაც: ოქტომბრის რევოლუციამ უდიდესი გავლენა მოახდინა გერმანიაში რევოლუციური მოძრაობის განვითარებაზე; გერმანულ ხალხს უჩვენა საკუთარი იმპერიალიზმის დამახობის გზები და საშუალებანი, გააძლიერა მუშების რევოლუციური ბრძოლა მშობლიური ქვეყნის იმპერიალისტებისა და მილიტარისტების წინააღმდეგ. თავიანთი მხრივ გერმანიის რევოლუციის ბელადები დახმარების ძმურ ხელს უწვდოდნენ რუს ბოლშევიკებს. კარლ ლიბკნეხტი, როგორც ლექსმწებრივი და ფრანც მერინგი მისაღმებოდნენ ამ რევოლუციას, აღიარებდნენ მის მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობას და მოუწოდებდნენ საბჭოების განმტკიცებისაკენ.

თავის მისასაღმებელ ლექსში ბეხერმა გამოხატა ღრმა რწმენა, რომ ჭაღბთა ოცნება ახალ ერსაზე დაკავშირებულდა რუსეთისა და საბჭოთა რევოლუციის იდეასთან. რომანში „დამშვიდობება“ ასეთი რევოლუციის სიმბოლურ სახედ მან დახატა ჯავშნოსანი „პოტიომკინი“, რომელიც მთავარი გმირის, ჰანსის, წარმოდგენაში იქცა ხალხთა ბედნიერების ზღაპრულ გემად. თავისუფლებაზე ოცნების განხორციელებად. ბეხერმა იცის, რომ დიდი ოქტომბრის რევოლუციით დაიწყო ცხოვრების საყოველთაო განახლება, რომ იგა, როგორც საერთაშორისო მოვლენა, სახეს შეუცვლის მთელ ქვეყნიერებას. საბჭოთა კავშირის

შექმნით ოქტომბრის რევოლუციამ სასიკვდილო ლახვარი ჩასვა მსოფლიო კაპიტალიზმს, გააღრმავა კაპიტალისტური სისტემის საყოველთაო კრიზისი.

ლექსების ერთ ჯგუფში „მან ქვეყანა ძალასაგან გამოაფხიზლა“, „ლენინის საფლავთან“, „ათასწლოვანი ლენინი“ და სხვა, ბეხერმა სწორედ ის აზრი ჩააქოვა, რომ ოქტომბრის რევოლუციის მომზადებულა და მოხდენის საქმეში უდიდესი დამსახურება ეკუთვნის ბოლშევიკურ პარტიას და კერძოდ ლენინს. ბეხერს შეგნებული ჰქონდა აგრეთვე ისიც, რომ მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვება ფაშისტურ გერმანიისა და იმპერიალისტურ იაპონიაზე შედეგი იყო იმ წყობისა, რომელიც შეიქმნა ოქტომბრის რევოლუციის შედეგად რუსეთსა და მის ფარგლებში შეშავალ ქვეყნებში. დიდი სამაჟლო ომის წარმატებით დამთავრებამ ცხადყო, რომ ოქტომბრის რევოლუციით შექმნილი საბჭოთა კავშირი არის კამიტალიზმისა და ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლია საიმედო დასაყრდენი. ყოველზე ამის შეგნებით ბეხერი სიხარულით უმღერის დიდ მშენებლობას ჩვენს ქვეყანაში, ამ მშენებლობის ორგანიზატორს — კომუნისტურ პარტიას. „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სახელმწიფო პრემიის მიღებასთან დაკავშირებით 1952 წელს ბეხერმა განაცხადა: „მადლობას გიძღვრით თქვენ, საბჭოთა იდეამაინებს, რომლებზეც ვაათავსუფლეთ ჩემი სამშობლო, ჩემი გერმანული სამშობლო პატრულული ფაშიზმის აუტანელი სამარცხვინო უღალბოვანად. პატივი და დიდება ყველა იმას, ვინც დაეცა სამაჟლო ომში საბჭოთა კავშირის დასაცავად. ვინც თავისი სიცოცხლე შესწირა ახალ გერმანიას, მთელი მსოფლიოს მშვიდობას!“

გერმანული პოეტების პოლიტიკურსა და შემოქმედებით განვითარებაზე უდიდესი გავლენა მოახდინა საბჭოთა კავშირის სოციალისტურმა წყობილებამ, მისმა კულტურამ და ლიტერატურამ. დემოკრატიული გერმანიის მწერალთა შემოქმედება გამსჭვალულია საბჭოთა კავშირის

რის უდიდესი საკაცობრიო პროგრესული როლის დროა შეგნებით. ოქტომბრის რევოლუციის იდეებით და შედეგებით ერთნაირად არიან აღფრთოვანებულნი ერთი ვანერტი და ბერძნ-პარდ კელტმანი, ვილი ბრედელი და ანა ზეგერსი, პანინის მანი და ლიონ ფობოტანგერი, ბერტოლდ ბრეტტი და არნოლდ ცვაიგი, ფროდრიხ ვოლფი და ედუარდ კლაუდუსი; სტეფან პერმლინი და სხვები. ამიტომაც თავიანთ შემოქმედებაში მხატვრული სიტყვის ეს ოსტატები ხშირად ლაპარაკობენ ოქტომბრის რევოლუციის მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობაზე, ლენინზე, როგორც მის ორგანიზატორზე, საბჭოთა კავშირის დიდ გამანათესი ფელტებელ მისიანზე, მის როლზე ფაშისტური მოძობიდან გერმანული ხალხის განათვის ფელტებასა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნაში.

ოქტომბრის რევოლუციის მიუძღვნა ერთი ვანერტის აღრიწდელი ერთაქტიანი პიესა „პატარა ნერდება ზეთი წითით“. პიესის მოქმედება სწარმოებს გერმანიის რავითი პატარა ქალაქის ვაგზალზე 1917 წლის აპრილის დასაწყისში, როდესაც ლენინმა და მისმა თანამოაზრეებმა საშობლობა დაბრუნების მიზნით სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ უნდა გადასვრონ გერმანიის ტერიტორია, რათა შემდეგ ფინეთზე გავლით მოაღწიონ რუსეთამდე. პიესაში ნაჩვენებია თუ როგორ „ცხმარებიან“ გერმანელი ფილისტერები „მთავარ ტერიტორიებს“ და „ნამდვილ მეფისკაცებს“ (მათივე სიტყვებით) რომ ემიგრაციიდან შინ დაბრუნდნენ. გერმანელი მეშინები ვარაუდობენ, რომ მათთვის უფრო ხელსაყრელია ამ ხალხის დაბრუნება მეფის რუსეთში. გზად მიმავალი რუსების შესახვედრად ვაგზალზე მოსულა სენსაციების მძიებელი ქურხანალისტი, მოსულა ბერკოვისტრი, რომელსაც ვანზრახელი აქვს, საჭიროების შემთხვევაში, ჩაშალოს მოსალოდნელი დემონსტრაცია: ხოლო, რაცა მატარებელი ჩამოადგა ბაქანზე, მათ ვერც კი გააგეს, თუ მგზავრთაგან რომელი იყო ლენინი. მხოლოდ ომის ხეიბარი, დაკოქლებული კლანერი, შეიკრძობს ლენინს და მეტად კმაყოფილი რჩება იმით, რომ ლენინმა იგი ამხანაგად მოიხსენა.

ვანერტი, საერთოდ, დიდად არის დავალებული საბჭოთა კავშირისაკენ. ამ ქვეყანამ მისიკა თავშესაფარი პირტის, როცა მას ვმუქრებოდა სიკვდილი ფაშისტურ გერმანიიში. ვანერტი მხარდამხარ იბრძოდა ჩვენი ქარისკაცებთან ერთად პიტლერული ურდობის წინააღმდეგ და წერდა გალესალ მოწოდებებს გერმანელი ქარისკაცების იდეური გათვითცობიერებასათვის. საბჭოთა სინამდვილის ცალკეული მხარეები აისახა ვანერტის ლექსების ციკლში „მსოფლიო ისტორიის მკერთი თავი“, აგრეთვე, ლექსში „სიმდერა სტალინგრაღზე“.

ვილი ბრედელს გეტყვის წერილი: „ოქტო-

მბრის რევოლუციის 30 წლისთავისთვის“. აეტორი მისში ლაპარაკობს საბჭოთა კავშირის ბრძნულ პოლიტიკაზე, მის ეთიკურ-რევილი-დღევანდელ, რისთვისაც მას უნდა უმადლოდებოდეს ხალხები, პირველ რიგში — გერმანელები. იგი მიმს უმღერის მშვიდობისა და დემოკრატიის დიდ ბერტს — სოკალისმის ქვეყანას. პიტლერული ციხეებისა და საკონცენტრაციო ბანაკებში ყოფნისას მწერალს და მის ციხას მეგობრებს გზას უნათებდა და პატიმრობის სიძნელეს უმსუბუქებდა ფიქრი ომის შესახებ, რომ „და, ძლიერ ქვეყანაში გაიმარჯვა სოკალისმმა, რომ დედამიწის მეექვსედ ნაწილზე ფრიალებს წითელი დროშა, რომ იქ კაბიტლიაში ქვეყნისა ნამსხვერველად და ძლიერა წითელი არმიის იცავს პროლეტარული თავისუფლების ქვეყანას“. ამ პატიმრებმა იცოდნენ, გვამცნობს ბრედელი, რომ შეიძლებოდა მათი დახოცვა, მაგრამ მარქსიზმის მოსაბოძა კი ყოველად შეუძლებელი იყო.

რომანში „შენი უცნობი ძმა“ მთავარი გმირი კარლ ვანერი, ასრულებს რა პარტიულ დავალებას, ოქტომბრის რევოლუციის ზეიმის წინა დღეს ფაბრიკის საკვამურის მუხამრადზე ამაგრებს წითელი დროშას. მეტიც: ძირს დაშვერისას საბნაინ წყალს უსვამს კიბის საფეხებზე, რათა დიდი პოლიციამ ვერ შესძლოს მისი ასვლა მოფთიარად დროშის ჩამოსახსნელად. ქარხნის საკვამურზე აღმართული პატარა ალაში ოქტომბრის დღეების ზეიმის წინ გერმანელ მუშებს მოაგონებს რუსეთში პროლეტარიატის ძღვეამოსილ გამარჯვებას და მათ გულს სსსრ-ბით ადაცებს.

ტრილოგიაში „ნათესავეები და ნაცობები“, განსაკუთრებით, „ვეიშვილების“ მეორე რედაქციაში ბრედელმა გვაჩვენა დიდი ოქტომბრის სოკიალისტური რევოლუციის გავლენა გერმანიის რევოლუციის განვითარებაზე. აეტორს და მის დადებით გმირებს შეგნებელი აქვთ ამ რევოლუციის დიდი ისტორიული მნიშვნელობა, ცილიტების ისწავლიან რუსი ამხანაგებისაკენ, მისიღონ მათ კეთილშობილურ მავალით.

რომანში „ახალი თავი“ პოლკოვნიკი ბოიზენი, ლაპარაკობს რა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიურსა და პოლიტიკურ მიღწევებზე, იხსენებს მოსკოვს და ფრონტის იმ მონაკვეთს, სადაც თვითონ იბრძოდა. ისენებს უფროსი თაობის ათეული ათასობით რუს კომუნისტს, რომლებიც ჩეიდმეტი წლის ოქტომბერში ბარიალებზე იბრძოდნენ, ხოლო, მიაკოვის დაცვის მიმე დღეებში ისინი ომობდნენ. ფრონტზე თავიანთი მშობლიური დედაქალაქის დასაარჩუნად; იხსენებს საბჭოთა ქვეყნის ადამიანთა ტანჯვას და გმირულ ვეკაცობას წერ რევოლუციის დღეებში და შემდეგ — სამამული ომის წლებში. 1917 წლის ოქტომბერში, გვამცნობს ბოიზენის პირით ბრედელი, და-

წყობა ახალი თავი ეკობრობის ისტორიაში. მაგრამ ეს თავი არაა დამამთავრებელი და მის ბოლოში წერია: გაგრძელება იქნება ამ თავს აგრძელებენ და ახალ პერიოდებს ქმნიან ყველგან, მთავალით, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ასეთია თანამედროვე ეპოქის დიდი ეპიტაფა და როცა ჩვენი დიდი იდეები გაიმარჯვებენ მთელ ქვეყანაზე, ამ თავის დასასრულსაც ძველებზეად კვლავ მიეწერება: „გაგრძელება იქნება“. დადგება გონივრებისა და სიყვითის ერა. ბოიზენის პარით ბრედელმა ცხადყო მსოფლიოს საზღვებისათვის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მნიშვნელობა და მიუთითა, რომ გერმანელ მშრომელთა ყოველი ახალი მონაბოგარი ამ რევოლუციის გამარჯვებით იქნება გაპრობებული. თავის დასაბამს კომუნისმი იღებს ოქტომბრის ქარაშხლიან დღეებში.

საბჭოთა საქართველოს მიღწევებით ვერ კიდევ 1932 წელს მოიხიბლა ვილი ბრედელი, როცა იგი საგანგებოდ თბილისში ჩამოვიდა, რათა დასწრებოდა ვოტეს ვარდაცვალების ასი წლისთავის აღსანიშნავად გამართულ სხდომას. ბრედელმა გაეცნო ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკურ და კულტურულ მიღწევებს, თავისი აღფრთოვანება მან გამოთქვა პირადად საუბარში „სალიტერატურო განათის“ რედაქციის თანამშრომლებთან. ვილი ბრედელმა განაცხადა: „რაც ენახე მოსკოვსა, დონბასსა და ბაქოში, რისი ნახვაც მოვაქსაჩი თბილისში, შაოკეებს და მხარებს, თანაც შიორკეებს იმეღს. რომ საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის ბრძოლისა და შრომის მაგალითზე მსოფლიო პროლეტარიატი უსათუოდ შესძლებს ბურჟუაზიისაგან დამოუკიდებლად, მისი განადგურების შექმნას. თუ დრო მეყო, შევეცდები განსაკუთრებით ახლო გაეცნო საქართველოში წარმოებულ სოციალისტური მშენებლობა, რომ ფაქტებით გავაბათილო ემიგრაციის ჭორები საქართველოზე“¹.

ფრთხილ საინტერესოა ჰაინრიხ მანის დამოკიდებულება ოქტომბრის რევოლუციისად და, საერთოდ, საბჭოთა კავშირისადმი. 1935 წლამდე ამ ქვეყანას იგი ნაკლებად იცნობდა, თუმცა ვაიმარის რესპუბლიკის წლებში იყო საბჭოთა კავშირთან უცხოელთა მეგობრობის საზოგადოების წევრი. ოცდაათიან წლებში თანდათან დაუახლოვდა საბჭოთა კავშირს, ახლო გაეცნო მის ეკონომიკურსა და კულტურულ მიღწევებს, მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის მსოფლიო ისტორიულ მნიშვნელობას და კულტურის დაცვის ბირველ კონგრესზე პარიზში წარმოთქვა სიტყვა საბჭოთა კავშირის დასაცავად. კო-

ნგრესის შემდეგ, კიდევ უფრო მეტად დაუახლოვდა ჩვენს ქვეყანას, მოემართა საყვარელი და პატივისცემა ჩვენი სახელმწიფოსადმი. თავისი დამოკიდებულება საბჭოთა კავშირისადმი პ. მანმა განსაკუთრებით კარგად ჩამოაყალიბა ბუბლიცისტურ სტატებში, რომელთა თვით სახელწოდებანიც კი ამკარად მტყუყულებენ ავტორისებულ კონცეფციას: „ქვეყანა, სადაც ყველადფერი სხეანაირადაა“ (1936) „ცხოვრებაში განხორციელებული იდეა“ (1937); „საბჭოთა კავშირის სახე დიდია“ (1937); „საბჭოთა კავშირი — მოწინავე ეკობრობის იმედი“ (1938) და სხვა...

პირველი იმპერიალისტური ომის წლებში ჰაინრიხ მანს თანამედროველი ანტიმილიტარისტული პოზიცია უკავია. სწორედ ამიტომ სიხარულით მიიღო ცნობა რუსეთში ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისა და გერმანიაში ვაიმარის რესპუბლიკის შექმნის შესახებ. მწერალი იმედოვნებს, რომ ახალი რეჟიმი დიდ დემოკრატიულ გარდაქმნებს მოახდენს. 1937 წელს პ. მანმა სტატია უძღვნა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ოცი წლისთავს, იგი წერდა: „კონტინენტის ყველაზე უფრო დიდ ქვეყანაში სოციალიზმმა ვაიმარკა და თავისი სასიცოცხლო ძალა დაამტკიცა. ამიო ვადაწყდა სოციალიზმის საკითხი... არსებითად ევროპას თავისი მყობადი, თუ კი მას საერთოდ სურს გააზღვის მყობადი, — გააზრებული აქვს, როგორც სოციალისტური“.

საბჭოთა კავშირში, პ. მანის აზრით, მოცემული დასაყლებით მშრომელებსათვის გამარეყოლუციონერებელი მაგალითი. მომავალი სოციალური გარდაქმნების შედეგად, ევროპაში ყველადფერი იქნება ისე, როგორც არის 30-40-იანი წლებში საბჭოთა კავშირში. რეაქციულ ძალთა თარეში და თვით ფაშისმის მზარდი ძალა ჰაინრიხ მანს ეერ უწყვეტ მომადლის რწმენას, სოციალიზმის გარდღევა გამარჯვების რწმენას. წინააღმდეგობის ფრონტის მეგრძობლებს იმეზად იგი წერდა: „რაც შემეხება მე, თქვენთანა ვარ, ვარ იმათთან, ვინცა მწერს: „საბჭოთა კავშირის გარეშე ვერ იქნება მშვიდობა, ვერ იქნება გერმანული სახალხო სახელმწიფო“. საბჭოთა კავშირი, მანის აზრით, არის მთელი ქვეყნის მშრომელებს სულიერი სამშობლო და მისში ცხოვრებად აღმანიისათვის უდიდესი ბედნიერება. საბჭოთა კავშირის შეუძლია გაავითვის გერმია მსოფლიოს ახალი თაობებისათვის, განსაკუთრებით, ევროპისათვის. მას შეუძლია გააზხვევოს ისინი და აიძროლოს ეზიონ ბედნიერება. ეს აღეა არის მთავარი მოტივი სტატიისა— „ქვეყანა, სადაც ყველადფერი სხეანაირადაა“ (1936). ზოლო მეორე სტატიაში: „საბჭოთა კავშირის სახე დიდია“, მანი აღნიშნავს: „დეე იყოღვის საბჭოთა კავშირში როგორი ქუმნისტური მაგალითი მისცა მან მსოფლიოს.“

1. „ლიტერატურული განთეი“, 1932, № 8, 1 პარალი.

დღემიწინა, სადაც არ უნდა იბრძოდნენ ადამიანები თავიანთი თავისუფლებისა, უფლებებისათვის თერთონ აჯანჯ ბედნიერება — მათ გვერდით უველგან ღვს საბჭოთა კავშირი“. სტატიაში: „საბჭოთა კავშირი — მოწინავე კაცობრიობის იმედია, მანი წერდა: „საბჭოთა კავშირი მშვიდობისმოყვარე ქვეყანაა. იგი არასოდეს მიემხრობა აგრესორებს, რადგანაც ეს მხოლოდ ზიანს მოუტანდა მის ნალხს. საბჭოთა კავშირი ძწრაფდის თავისა ზალხის სულიერი განვითარებისა და მატერიალური კეთილდღეობის ამღლებლისაკენ“. ხოლო სტატიაში „ცხოვრებაში განხორციელებული იდეა“ ავტორი წერს: „საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარეობა ორგანულად გააბიძგებულა თვით მისი ბუნებით, რადგანაც იგი შექმნილია ცოცხალი ადამიანებისათვის და არა ჭიმეკებისათვის, მთელი საზოგადოებისათვის და არა უმნიშვნელო ხროვისათვის, რომელიც აძულებს მასას ემსახუროს მას“.

ჭერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის წლებში პაირიბ მინმა საბჭოთა კავშირში დაინახა დიდი ეკონომიური და სამხედრო პოტენცილის შემოქვეყანა. მისი შეიარაღებული ძალები სამართლიანად მიიჩნია ძლიერ ფაქტორად პიტლერის დანაშაულებრივი გეგმების განხორციელების საწინააღმდეგოდ. იგი ჩვენ ქვეყანაში ზედავდა მთელი მსოფლიოს, იმედს და გამოსთქვამდა რწმენას, რომ საბჭოთა ადამიანებმა, რა მხოლოდ დაიცვენ ბრძოლით მოპოვებულ საკუთარ დამოუკიდებლობას, არამედ დაამთბენ კიდევაც ფაშისტს ევროპის ქვეყნებში და თვით გერმანიაში. პიტლერელთა დროებით წარმატებას მიუხედავად, არამედ ანტიფაშისტური ძალების დამაპყრობლობასა და სისუსტეში. საბჭოთა კავშირზე პიტლერელთა თავდასხმამდე ბევრად ადრე მანი წერდა: „საბჭოთა კავშირი მე მიმჩინია დიდ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოდ, მაგრამ თუ ოდესმე დადგება ფაშისტთან შეჯახების საათი, მაშინ ჩემი რწმენით, საბჭოთა კავშირი აღმოჩნდება უდიდეს სამხედრო სახელმწიფოდ“. ხოლო შემდეგ, როდესაც პიტლერული გერმანია მუხანათურად თავს დაესხა ჩვენს ქვეყანას, საკუთარი პოზიცია პ. მანმა ჩამოაყალიბა „განცხადებაში საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმასთან დაკავშირებით“ და „წერილში საბჭოთა მწერლებისადმი“. ამ დოკუმენტებში იგი გამოთქვამდა გერმანულ ფაშისტებზე საბჭოთა ხალხის გარდუილი გამარჯვების ურყევე რწმენას. „წერილში“ პ. მანი აღნიშნავდა: „საბჭოთა კავშირი არასოდეს არ იქცევა რამეღამე პიტლერის ამ მისი დაჭირვებულ დამქვამს მსხვერპლად. ამ ომის პირველვე დღიდან მე ვიცოდი და ვაძტოვებდა, თუ როგორი იქნება მისი დასასრული, შეჭრილი გარეები იქნებან ვაშაქაშული და ვაშაღებულნი და ერთელი არმია დაიწყებს შერტევას გერმანიის წინააღმდეგ“.

ოქტომბრის რევოლუციის პირველივე დღეებდანვე ბერმარდ კელერმა, რომელიც განიხილავდა საბჭოთა კავშირს, რუსეთში კელერმანი იყო ჭერ კიდევ 1907 წელს; საბჭოთა ქვეყანაში იგი პირველად ჩამოვიდა 1928 წელს ლეე ტოლსტოის დაბადების ასი წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად, ხოლო მეორედ — 1948 წელს, საბჭოთა კავშირში მეორედ ყოფნის შემდეგ ბერმარდ კელერმანმა დაწერა აღფრთოვანებით აღსაცხე ნორვეეების წიგნი „ჩვენ დაებრუნდით საბჭოთა რუსეთთან“. საბჭოთა კავშირში არა ერთგზის სტუმრობას შედეგად კელერმანი დატყმუნდა ოქტომბრის რევოლუციის მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობაში. ამ რევოლუციის XXX წლისთავთან დაკავშირებით მან განაცხადა: „ოქტომბრის რევოლუცია ისტორიულად ნიშნავს განთიადს იმ დღისა, რომელიც იქნება ახალი ქვეყნის შექმნის დასაწყისი... ოქტომბრის რევოლუცია ახავს ციავს, რომელიც ანათებს მსოფლიოს ყველა ხალხს ბედს“.

ოქტომბრის რევოლუციას კელერმანი თავისებურად გამოეხმაურა ჭერ კიდევ 1920 წელს რომანში „9 ნოემბერი“, რევოლუციაში მან დაინახა არა მხოლოდ ყოველვე დამოუკიდებლობის მწვერველი ძალა, არამედ ამ ძალის ჭემაწერი საფუძვლები. რომანის შთავარი გმირის — ავერმანის — პირით (სამწუხაროდ, ექსპრესიონისტული ტირადებით) ავტორი ლამარაკობს, სიწართლეს სოციალიზმზე და საზოგადოებრივი განვითარების ნამდვილ ისტორიულ ბერსექტრეებზე.

კელერმანი ებრძოდა იმპერიალისტურ ბანაკს და ორენტაციას იღებდა საბჭოთა კავშირზე. ამ ქვეყნის საწინაო და საგარეო პოლიტიკის ჭემაწერი სახითავე ზედავდა გერმანიის დემოკრატიის სიმტკიცისა და ეროვნული გავითიანების საწინადარს, საბჭოთა კავშირში პოვლებდა თავისი ქვეყნის მომავალი ცხოვრების სუხათს. ნარკვევების კრებულში „ჩვენ დაებრუნდით საბჭოთა რუსეთთან“ კელერმანი აღტაცებით ლამარაკობს საბჭოთა კავშირის ეკონომიკურსა და პოლიტიკურ მიღწევებზე და თანამემამულეებს ურწმუნა შეისწავლონ ჩვენს ქვეყნის მიღწევები, შეიქმნან ზეალინდელი დღისადმი ისტორიე ღრმა რწმენა, პეროიკული და ობტიმისტური სულიკვეთება, როგორიც აქვთ საბჭოთა მოქალაქეებს.

კელერმანი ვაოცებულა ლამარაკობს იმ წინსვლაზე, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების იმ დონეზე, რომელსაც საბჭოთა კავშირმა მიაღწია არა მარტო რევოლუციამდელ მდგომარეობასთან შედარებით არამედ, 1928 წლის ვითარებასთან შედარებით.

საბჭოთა ქვეყნის გერმანულ მეგობართა შორის გამსაკუთრებულა ადგილი უჭირავს ბერტოლტ ბრეჰტს. ლექსში „დიდი ოქტომბერი“ (1937) პოეტმა ამაზს, რევოლუციის შედეგად

წელში გასწორდნენ საუკუნოებით ქედმობრძლი ადამიანებით, ჯარისკაცებმა შაშანები დაუმიზნეს ნამდვილ მტერს: თუ გულის გახაფხულზე და ზაფხულში მძიმე შრომით ამუშავებდა მიწას, ხოლო შემოდგომისას მოწვეული მოსავლით აუსებდა ბატონის ბედლოს, სამაგიეროდ ახლა — ოქტომბრის თვეში პური უკვე ღირსეული და პატიოსანი ადამიანების ხელშია. მას შემდეგ მთელი მსოფლიო ამდგამა გააცისკროვნა და მთელი ქვეყნის მშრომლებმა იციან, რომ ამ ქვეყნად არის ოქტომბერი.

ბრეტაი იმთავითვე ადევნებდა თვალყურს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებას. ლექსში „უძველესი წარწერა“ მან უძლიერა ლენინს და მის უკვდავ საქმეს. იგი სწავლობდა მარქსიზმ-ლენინიზმს, „დიად მოაზრებებს, რომელიც იზიდავს ადამიანთა უმარბე მსახურს“. ბრეტაიმა გულსტიკივლით განაცხადა საბჭოთა კავშირზე ფანისტური გერმანიის მუხანათური თავდასხმა. დემოკრატიული გერმანიის მშენებლობის საქმეში ბრეტაი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საბჭოთა კავშირის კეთილისმყოფელ მფალოსს, ხატავს რიგითი საბჭოთა ადამიანის შრომით მამაცობას. აჩვენებს კოლმეურნეების ბრძოლას ბუნების გარდაქმნისათვის.

საბჭოთა სინამდვილეს ასახავს აგრეთვე ბრეტაის პიესა „კავკასიის ცარცის წრე“, რომელიც აჩვენებს, კერძოდ, საქართველოს სინამდვილეს, როგორც თანამედროვე, ასევე მის ისტორიულ წარსულს. პიესის პრალოგში მოთხრობილია, რომ ორ კოლმეურნეობას ვერაფრით ვერ გადაუწყვეტია სადღო საკითხი — რომელშია მთავანმა დღია აამწონს კახალი ეკლს მოსარწყავად. ელვის გადაწყვეტა შეიძლება მედიატორული გზით, მაგრამ აშუღლ მიმართავს სხვა ბერის, რომლითაც სურს მოავჯაროს სადღო საკითხი: იგი მსმენელებს მოუთხრობს გმირულ ამბებს საქართველოს წარსულიდან, და მთელი პიესა აგებულია ამ ამბების გასცენიერებაზე.

არსოდ ცვაივმა საბჭოთა კავშირის მეგობრად საყუთარი თავი მოიხსენია 1937 წელს ოქტომბრის რევოლუციის ოცი წლისთავის საზეიმო დღეებში. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ უცხოეთიდან სამშობლოში დაბრუნებული არსოდ ცვაივი ცვაივი ძალღონის დაუზოგად იღწვის გერმანიელი და საბჭოთა ადამიანების მეგობრობის განმტკიცებისათვის. ცვაივს ასარებს საბჭოთა კავშირის ეკონომიური, პოლიტიკური და მეცნიერული მიღწევები. ჩვენში ყოფნის დროს მან განაცხადა: „ბედნიერი ვარ იმით, რომ ვარ სოციალიზმის ეპოქის, კომუნისმის ეპოქის თვითმშობელი“. ჩვენი ქვეყნის ყოველ მიღწევაში ცვაივი ხედავს ოქტომბრის რევოლუციის იდეების გამარჯვებას. მან სიხარულით მიიღო ცნობა პირველი საბჭოთა საპლანეტო-შოპროს რაკეტის გამშვების შესახებ (1959 წლის 2 იანვარს). ამ ფაქტმა გადააჭარბა ყოველივე

იმას, რაც ყმაწვილობის ეპის წაყვითხ არსოდ ცვაივს თოელ ვერნის და პერბერტ ტელქსის მეცნიერულ-ფანტასტიკურ რომანებში წესს/სტატი, მწერლის შეფასებით, დასაწყისია იმ ახალი ერისა, რომელსაც საფუძველს უყრიან საბჭოთა კავშირის მოქალაქენი.

საბჭოთა კავშირის შესახებ საყუთარ აზრებს არსოდ ცვაივი გადმოგვცემს აგრეთვე სტატიაში „იალტა 1952 წელს“. მწერალი განსაკუთრებით ბევრს ლაპარაკობს შავ ზღვაზე, რომელთანაც კავშირობის ისტორიის მრავალი ფაქტი დაყვანილია, არგონავტების შემოქრით დაწყებული ფანისტური ურდოების უკუგდებათ და განადგურებით დამთავრებული. ლაპარაკობს რა ჩვენი ქვეყნის უდიდეს მიღწევებზე, დიდ მშენებლობებზე, ცვაივი დასძენს: ლენინს რომ შეეძლოს გალიმება, ეთოოდ სიხარულით ვილიმება მეკოლუეში, რადგანაც მის მიერ შექმნილია სოციალისტურმა საზოგადოებამ ღირსეულად მოიხდა ვალი მთელი კავშირობის წინაშე.

საბჭოთა კავშირის თემას ხეხა ლიონ ფოიბტ-ვენგერის წიგნი „მოსკოვი 1937 წელს“, რომელიც დაიწერა ჩვენი ქვეყანაში მწერლის მოგზაურობის შთაბეჭდილებით. ავტორი ცდილობს შეაფასოს ჩვენი ქვეყნის იმდროინდელი პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ცხოვრება. მთელი რიგი სერიოზული შეცდომების მიუხედავად, ფოიბტ-ვენგერის წიგნი საინტერესოა მოვლენა, რადგანაც ავტორი ცდილობს გარკვეოს ობიექტური სინამდვილე საბჭოთა კავშირის მიმართ და გაიგოს ამ ქვეყნის თავისებურებანი. საბჭოთა კავშირისადმი იმთავითვე სიმპათიურად განწყობილი, ფოიბტ-ვენგერი ჩვენში დაწმუნდა, რომ საბჭოთა კავშირი არსოდებს ბრძოლას ბევრ მტერთან, და რომ მოკავშირეები სუსტად ეხმარებოდნენ მის. ფოიბტ-ვენგერი აღნიშნავს საბჭოთა კავშირში ცხოვრების პირობების ყოველდღიურ გაუმჯობესებას, ადამიანთა შორის ურთიერთგაგებასა და სოლიდარობას, შრომისა და დასვენების უფლების დამკვიდრებას, უზრუნველყოფილ სიხარეს; უმეშვრობისა და ექსპლოატაციის არსებობას და ა. შ. „ახლაზარდა ხალხმა, — წერს ფოიბტ-ვენგერი, — გაუგანარი მსხვერპლი ფხად შექმნა უარესად დიდი რამ, და, აი, ღვას იგი თვისი ქმნილების წინაშე მიღწეულით გახარებული და ელის, რომ სხვადაც დაუდასტუროს, რამდენად მშვენიერი და გრანდიოზულია ეს მონაპოვარი“.

ყურადსაღებია ჩვენი ქვეყნისადმი პაინარის გრაიფის, კუბას, სტეფან პერმონის და ედუარდ კაულოდიუსის დამოკიდებულება. ამათგან პაინარის გრაიფი საბჭოთა კავშირში ხედავს მსოფლიოს მომავალ სახეს, კუბა (ერტ ბარტელი) ლექსში „რა შორს განივარცო თვალწარმტაცი შექი აისს“ ლაპარაკობს იმ დიდ

ვავლენაზე, რომელიც იქონია საბჭოთა კავშირ-
მა მისი საშობლოს აღორძინების საქმეში.

„ოქტომბერმა მოგვცა საშობლო“ — ასე ეწე-
ოდება სტეფან პერმლინის ერთ ლექსს. რევოლუციის ქარიშხალმა — ნათქვამია ამ ლექსში,
წალკა ძველი უსამართლობა, სიღუბნიერე და
ცრურწმენები და შეჭმნა ისეთი ახალი ყოფა,
რომელზედაც ბევრს წინათ ოცნებაც კი არ
შეძლო. სიმართლის ცეცხლით გამოიარმა ლე-
ნინის ღვრეტებმა გამოაღვიძა ადამიანი. ადამიანები
ბრძოლით დაეფუღენ ზამთრის სასახ-
ლეს და მასთან ერთად შეცნირებამა და პოე-
ზიას. ლექსში „ავრორა“ პოეტი ავითარებს იმ
აზრს, რომ კრესტერ „ავრორას“ ვასროლამ ბო-
ლო შოულო ადამიანთა დამცირებას, სუენო-
ვან შიშს, ჟამსწლოვან შონობას და მსოფლიო
ინკვიზიციის კოცონებს. საბჭოებმა მიიღეს
მთელი ძალაუფლება. პერმლინის ლექსში „წინ“
ეკითხულობთ, რომ მეორე მსოფლიო ომით
შერცხვერილო და ტანჯულ-წამებული გერმანე-
ლთა ქვეყანა იხსნა დიდმა საბჭოეთმა, მის-
მა დამხმარებმა და ნამდვილმა მეგობარმა. ელუ-
არდ კლაუდიუსმა, 1948 წელს საბჭოთა კავშირ-
ში მოგზაურობის შედეგად, დაწერა „შენიშე-
ნები სხვათა შორის“, აქ სიყვარულითაა აღ-
წერილი სოციალიზმის ქვეყნის სურათები.
კლაუდიუსი გამოიღის სოციალიზმის ქვეყნის
მგზნებარე დამცველად და სოციალისტური რე-
ლტურის მიღწევების პროპაგანდისტად.

ფრიდრიხ ვოლფი, ჯერ კიდევ სიჭაბუკის
დროიდან ოცნებობდა ეხილა სტეფან რაზინისა
და ტარას ბუღბას საშობლო, ეხილა რევოლუ-
ციური იატაკქვეშეთის გმირთა ქვეყანა, ვასც-
ნობობა ხალხს, რომლის გულშიც, მისივე თქმით,
ცხოვრობს „სიძლიერე და სინაზე, თავისუფლე-
ბის სიყვარული და დიდი სიამაყე“. საბჭოთა
ქვეყანას და მის ხალხს ვოლფმა მიუძღვნა საუ-
კეთესო ლექსები. „გოლიათური ბრძოლა, რომე-
ლიც გაიმალა საბჭოთა კავშირის ველზეზე, წერ-

და ვოლფი 1941 წლის აგვისტოს მარტოვე დღეებში.
გონებადაკარგული დამპყრობლებისაგან ცაიწუ-
ვისუფლებს არა მხოლოდ საბჭოთა მიწაწყალს,
არამედ ფაშისტური ბარბაროსებისაგან იხსნის
მთელ გერმანიას და მთელ ევროპას.“

მსოფლიო რევოლუციური მოძრაობაში საბ-
ჭოთა კავშირის დიდ როლს შეეხო ანა ზეგერსი
რომან „თანამგზავრებში“. სადაც დაბატულია
უცხოელი მშრომელების სიყვარული საბჭოთა
კავშირისადმი. ეს ქვეყანა მათთვის არის ნათელ
ცხოვრებაზე ოცნების განსახიერება. ფაშისტურ
დილაგებში გამოშწყვედული ადამიანები სიყვარ-
ულით იხსენიებენ საბჭოთა კავშირს და მის
შემქმნელს — ლენინს. ბურჟუაზიის მიერ დევ-
ნილი უცხო ქვეყნების რევოლუციონერებისათ-
ვის საბჭოთა კავშირი, კერპოდ, მისკოვი, არის
საიმედო თავშესაფარი და იდეური წრთობის
სკოლა, რომელშიც სწავლობენ რევოლუციურ
სიბრძნეს.

ანა ზეგერსი არის საბჭოთა კავშირის ერთგუ-
ლი და თანმიმდევარი მეგობარი. მისი ბევრი ნა-
წარმოები, სტატია და სიტყვა გამსჭვალულია
ღრმა სიყვარულის გრძნობით საბჭოთა კავშირი-
სადმი. გერმანელი ახალგაზრდობის უკეთ აღზრ-
დის ერთ-ერთ სიშუალებად ანა ზეგერსს მიაჩნია
ამ ახალგაზრდობისათვის საბჭოთა სინამდვილის
გაცნობა. კრებულში: „ხახი“ და „საბჭოთა ადამიანები“,
ზეგერსი შეთხვეულს აცნობს საბ-
ჭოთა კავშირის დიდ იდეურ მონაპოვრებსა და
ისტორიულ გარდაქმნებს.

გამოხატავენ რა თავიანთი ხალხის სანუკვარ
აზრებს, გერმანიის მწერლებს, ღრმადა სწამთ
ოქტომბრის რევოლუციის განსაკუთრებით დიდი
მნიშვნელობა გერმანიისათვის. გერმანელ ხალხს
მან უჩვენა საკუთარი იმპერიალიზმის დამხობის
გზები და სიშუალებანი; გააძლიერა მშრომელე-
ბის რევოლუციური აქტიურობა იმპერიალიზმი-
სა და მილიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ქართულ ხელოვნებას აპრობატორები

ხელოვნების ისტორიისა და თეორიის პრობლემათა კვლევის პარალელურად, ჩვენ გვიხდებოდა დაკვირვება გვეწარმოებინა თანამედროვე ქართული ოსტატების შემოქმედების ნიმუშებზე. გვიანტერესებდა, თუ რა საეყოფიერო ნიშნებით გამოიარება დღევანდელი ქართული სახეობით ხელოვნება, მისი თვითრეული წარმონაღვრელი ფერწერისა და ქანდაკებაში, ჩვენს მიზანს ისიც შეადგენდა, რომ

ყველაფერი დაგვეჩვენა ლიტერატორის თვალით, ვინაიდან, როგორც მხატვარი, ისე მოქანდაკე პოეტური სულით არის დაჯილდოებული და მწერლობის ჟანრს ამითვე ენათსაუბრა.

საჭიროა ისიც გავეთვალისწინოთ, რომ სახეობით ხელოვნების გამოჩენილ წარმომადგენლებთან პირადად კონტაქტში, ატელოვებსა და გამოფენებზე მათი შედეგების ხილვამ აგრეთვე შეაგვაფიქრა ის სტრიქონები, რომლებსაც შეითხველები ქვემოთ გაგვინებინ.

1. იაკობ ნიკოლაძე

ქართული ქანდაკება ისევე უნესია, როგორც ქართული ფერწერა. არც არის საჭირო ვეძიოთ, თუ რომელი უსწრებდა წინ—ფერწერა, თუ ქანდაკება. მგონი ორივე დარგში ხელოვნებისა ქართული კაცი ერთნაირი ძალით ახერხებდა თავისი შემოქმედებითი სული ადგენებურად გამოხატა.

ქანდაკებაში ამტკვევლებული ჩვენი წინაპრების შემოქმედებითა გვინა თითქმის კონდენსირებულად განსახიერდა იაკობ ნიკოლაძის შედეგების სახით. შესაბღოა არც ის არის შემთხვევითი, რომ იაკობ ნიკოლაძემ თავიდანვე ორივე—მიმართა—ფერწერასა და ქანდაკებას, მაგრამ მისი ტრანსკისათვის უფრო შესაფერ ფორმად მიიღო უკანასკნელი გადაიქცა.

ვინც ერთხელ მიიხედავდა იაკობ ნიკოლაძის ატელიეში, ან უნახავს მისი შედეგების გამოფენა, შეუძლებელია ეთეტტიკურ სიმოვნებასთან ერთად, სიხარული და სიამაფე არ ეგრძნო ყოველივე იმით, რასაც იხილავდა. იაკობ ნიკოლაძე მართლაც დიდი შემოქმედი, შთაგონებული ხელოვანია, რომლის ნატიფი გემოვნება ყოველთვის ორგანულად ერთიანდება ოსტატობასთან. შემოქმედებაში მას ყველაფერი ოსტატობისადმი ქმნა და დამორჩილებული. იაკობ ნიკოლაძე ნამდვილად არის თანამედროვე ქართული საბჭოთა ქანდაკების დიდი ფუძემდებელი, რომანტიკულად ამბობებული რეალისტი ხელოვანი და მარტო ეს კმარა მისი სახელის უკდებესყოფად.

მეტი ხელოვანი რაღაც ვერცა წილად სიცოცხლე-შივე ღარსულად იყოს დაფასებული თანამედროვე-

თაგან. საფრანგეთსა და იტალიაში ყოფნა, როდენთან მუშაობის ერთი წელი, საქართველოსკენ გამოგზავრება და მთელი შემდგომი ხანის გატარება მშობლიურა ცის ქვეშ—ყველაფერი ეს აღბეჭდა ქართულმა პერიოდისამ, ისიც არ დათვიწყა აღვინა, რომ იაკობ ნიკოლაძე ნამდვილად დიდი შემოქმედებით ტრანსკტა.

შემთხვევითი არც ის იყო, როცა იაკობ ნიკოლაძის შემოქმედებას წერილები უძღვეს ქართული კულტურის ისეთმა გამოჩენილმა მოღვაწეებმა, როგორც არიან გალაკტიონ ტაბიძე და გიორგი ლვინაძე, კონსტანტინე გამსახურდია და გერონტი ქიქოძე, მაროლი იაშვილი და ტიციან ტაბიძე, მისე გოგინაძე და შალვა ამირანაშვილი, ლეო ქიანელი და ლევან ასათიანი, ნიკო კურდულაშვილი და დავით კასრაძე. იაკობ ნიკოლაძე მონორაფულად შეისწავლეს მამა დუდუჩავამ, ისევე ორუნიძემ. აღარ შევქებოი მრავალრიცხოვან წერილებს ქართულ პერიოდისამ. იაკობ ნიკოლაძის გარდაცვალება მთელმა საბჭოთა ხელოვნებამ იტლოვა, ვინაიდან მისი სახით წავიდა ოსტატი-ფეტვარი, რომლის საჭრეელმა ასე აგვიმალა შემოქმედებითი პირისონტები და ღრმად განვადგინა პოეტური თვალთ აღქმული სინამდვილე.

იაკობ ნიკოლაძე, ცხოვრებისეული დიდი სიმძვლეების მიუხედავად, ზედინური ხელოვანი იყო. ქაბუკობის ღრს-მისი მუშაობა ქანდაკების ისეთ ბუნებრივთან როგორც ოგიუსტ როდენია, მრავალმხრივ არის საგულისხმი. მისი საინტერესო მოგონებანი როდენზე

ნაოლად მიწმობენ, თუ რა მოსწონდა ახალგაზრდა ზელოვანს დიდი ფრანგი ოსტატისაგან და რას არ ღებულობდა. როდენის ტექნიკასთან, თავისებურად გაგებულ რეალიზმთან იაკობ ნიკოლაძეს უკვეყვალა ქაინდა საერთო, მაგრამ მეორე პერიოდისათვის დამსასიბებელ ამპრაქიანობას ვერ შეეწყო, იმდენად ძლიერი იყო მისი ლტოლვა ხანაშვილის ბუნებრივი ესთეტიკური აღქმისადმი. ცხოვრებისეული ფუნოქციონში იაკობ ნიკოლაძის ძლიერი ფანტაზია მწვენიერისა და ლამაზის კონკრეტულ სახეებს ეძებდა. იმდენად ესთეტიკური თვალთ ხედავდა ყოველივეს, რომ მუტაჟი-ზიას წამყვლებს აღარ საჭიროებდა. არც ურთის ცდუნებას ასკოლია, მსგავსად იმდროინდელი ახალგაზრდა ევროპელი ოსტატებისა. ყველაზე ულამაზეს ქვეყნად მიწიერი ველებიზადა, ხოლო ზეციერს მარტოოდენ განჭვრეტის ფორმაში უცუქროდა. მთელი მისი შემოქმედება საოცრად პარამონიულია და პოეტური წარმოსახვით ხასიათდება. ნატიფი გრძობა აესებს რაფინირებულ გააზრებას და თვით ქანდაკება მუსიკალურ ელვადობამდე მალდება.

ეს არის მიზეზი, რომ იაკობ ნიკოლაძის სკულპტურული შედეგები უნდობლივად აღარსაყენ ოსტატოროული პარალელისას ასოლიაციებს. თუ ეპიკტორ პიუგომ პარიზის ლეთისმშობლის ტაძარს „ქვის სიმფონია“ უწოდა, დიდი ფრანგი მწერლის ეს მწვენიერი სიტყვები უნებლიედ მოგაგონდებათ, როცა იაკობ ნიკოლაძის შედეგთა დახასიათება გახერხო. ქანდაკება მართლაც „ქვის სიმფონია“ა და ქართული ოსტატობაგან დღემდე არავის ისე არ გაუგებრებუბა ეს პოეტური დეფინიცი, როგორც იაკობ ნიკოლაძეს. მისი შედეგები ჩვენ გვაძლევენ სრულ წარმოდგენას, თუ რას ინიშნას განმარტო ქანდაკება, როგორც „ქვის სიმფონია“.

მეცხართით ამ შედეგებს.

იაკობ ნიკოლაძემ ადრინდელ შემოქმედებაშიც ნათლად გაამჟღერა ის მხატვრული პრინციპი, რომელიც გარდაცხმე შინაგანის გამოსატყვას მოითხოვს. ეტიკობ მას არ აკმაყოფილებდა დიდობს მიერ „კანქვეშ ჩახუბდის“ აგრძალვა. „მოხუცი ხუცსური“ (1903 წელი), „შერლინგის პორტრეტი“ (1903), „ჭირი“ (1905), „სალიშვი“ (1905), „ჰალიშვილი ჩრდილოეთიდან“ (1906-1907), ილია ჭავჭავაძის (1909), კორინთილისა (1908), და თოფურისა (1909) პორტრეტები შინაგანი სულის ადვილტურნი გარგვნილი ელვადობით ხასიათდებიან. 1908-1913 წლებში ზოგად იღვავე შექმნილი „მწუხარე საქართველოც“— მთელი ქართული ერის უნაპირო გლოვა ილია ჭავჭავაძის ტრაგიკული აღსასრულის გამო, სულის შინაგანი დრტვიენის ოდნავას წარმოადგენს.

ტრაგიკული შტრისებეს ამოიკითხავთ „ნიონშვილის პორტრეტში“ (1911), კომუნარების ბაღში რომ არის დადგმული. მსგავსებით, შთაგონებითა და შესრულებით, ეს არის ქართული პორტრეტული ქანდაკების ერთერთი ბრწყინვალე ნაწარმოები.

მაგრამ ცალკე უნდა გამოიყოფს აკაკი წერეთლის შთამაგონებელი სახის სკულპტურული გამოძიქრვა.

იაკობ ნიკოლაძის „აკაკი წერეთელი“ (1915), რომელიც თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის

ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სკვერში დგას, ქართული ქანდაკების ოსტატობის დაბრება, როგორც შედეგური. არც ერთ ქართველ მოქანდაკეს დღემდე ისეთი წარმატებისათვის ქანდაკებაში არ მთულწყვია, როგორ ეს იაკობ ნიკოლაძემ თავისი საკრედიტო „აკაკი წერეთელი“ შეძლო. შთაწმინდისაყენ მიქცეული მადგერებელი თვალებითა და შთაშვლი მგზდით პოეტი თიქქოს იმფორებს თავის გრძნულ სიტყვებს მშობლიური მიწისადმი. ჩვენი დიდი ზელოვანი უკვეყვალად აკაკის „შთაწმინდასაც“ აქანდაკებდა, პოეტის სახესთან ერთად, როცა თავის ვენიალურ ნაწარმოებს ქქმნიდა. აკაკი წერეთლის ბიუსტი, იაკობ ნიკოლაძის საოცრად ნატიფი გემონებნითა და გრძნული ხელით გამოძიქრული, ნამდვილად შედეგია, რომელიც ქართული ხელოვნების საგანძურში ყოველთვის საპატიო ადგილს დაიკავებს. უფრო მტკცველი ქვა, აზრათა და გრძნობით აღსავსე მხოლოდ ერთეულები შეიძლება დაიმდინოს ქანდაკების ოსტატობაში.

პირდაპირ ვიტყვი: პორტრეტი ყველაზე ძლიერი სტიკია იყო იაკობ ნიკოლაძისათვის და ამ ფანში მისი საოცარი პლასტურული შესაძლებლობანი სასწაულებს ახდენდნენ. ყოველთვის მკაცრი როდენს ახალგაზრდა ნიკოლაძის მიერ შესრულებულ ერთერთ ბიუსტში არავითარი ცვლილება არ შეუტანია. ფრანგი მწერლის — ზარნე ღორვეილის პორტრეტი, ნიკოლაძემ ისე გამოძიქრწა, რომ როდენს ტრისის გარდა „სახსისათვის ხელი არ უხლია“. თუ ნილსონის და ფოტოგრაფიის ისე კარგად შექმლი ღორვეილის პორტრეტი მოეცა, იაკობ ნიკოლაძეს არ გაუჭირდებოდა ქართული მწერლების მთელი გალერეა შექქმნა ქანდაკებაში.

ჩვენ მიგაზრნია, რომ ძლიერი პლასტურული შტრისებით არის ვადმოქმედილი ილია ჭავჭავაძის სახე იაკობ ნიკოლაძის მიერ შესრულებულ ორივე ბარელიეფში. ვინაც ღრმად შეუყვინა „მარდილისა“ და „კანდეგლის“ ატორი, მას არ შეიძლება აღტაცება არ მოგდაროს ამ ბარელიეფებში. სიამაყით შევიძლია განვაცხადოთ, რომ ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მონოგრაფიული შესწავლის დროს, მუსისიერებიდან არ გემორდებოდა არც ეს ბარელიეფები, არც „მწუხარე საქართველო“ შთაწმინდაზე. ისინი ჩვენთვის შთამაგონებლის როლსაც ასრულებდნენ და შევნიერებ ყველა-ძიებაშიც ხელს გვიწყობდნენ. ჭეშმარიტი ხელოვნება და მყენიერება ხომ ერთი შედლის ორი მხარეა.

მალეი გემონება და მხატვრული ხედა იაკობ ნიკოლაძეს არაბოძებს არ ღალატობდა. საწყაროც მხატვრულ ასპექტში ქაინდა წარმოდგენილი და ყოველწერილობაში ესთეტიკურ ფუნოქციონ ეძებდა. კლასიკურ მავალითად შეიძლება „ჩაბრუხაქე“ დავასახელოთ.

არ დამაფიყვებდა ერთი შემოსხვა:

ჩემში და უწყინარმა იაკობ ნიკოლაძემ საყვედურით მომწმართა: ჩემი ახალი ნაწარმოები „პოეტი ჩახრუხაქე“ ყველამ ნახა, შენ კი დღემდე ვერ მოიცილეო. აღვეუბნე: აუცილებლად მოვალ და ვნახავ-შეიქე.

როცა ატლიევი მივედა, იაკობმა სველი ტილოება

მისხა „ჩახრუხაქს“ და ჩემს წინ გამონდა პოეტის ის სახე, რომელსაც დღეს მივიღი შოკოლიოს ხელოვნების ოსტატები იცნობენ. ნახულით აღტაცება სრულად ბუნებრივი იყო. მაგრამ, აი, იაკობმა სველი ტალის დაეყილი ნაჭერი თავზე დაადო ბიჭუს და გამოიმღვალა მკითხის: რას იტყვი, ასე რამ დარჩეს?

მე დავიბნე, პასუხის გაცემა ვერ შევიძლო... მცირე ხნის დუმილი ისევ ოსტატმა დაარღვია: ნუ მოგეჩივებათ პარდაპირ მითხარით, რა შთაბეჭდილებას ახდენს თქვენზე ამგვარი „ჩახრუხაქს“? როგორი პარადოქსალური არავი არ უნდა გამოთქვას, ჩემთვის მნიშვნელოვანი იქნება, ვინაიდან სხვების მიერ უკვე გამოთქმულ აზრებს შევეჯერებო.

ყოყმანი დაეწყო... ძნელი იყო შევეჯერებოდი იმ აზრს, რომ ასე მშვენიერ, ქართული სილამაზით, სიდაბაასლითა და სათნოებით შთაბეჭდილებულ სახეს სველი ტალის ნაჭერი თავზე უნდა დადებოდა. მაგრამ თვლი შევჩინე, მცირე ხანიც და გაუბედვად წარმომეტყუე შეიძლება მართლა უკეთესი იყოს ეს ტილო, რომელიც გარკვეულ უწყნარობას ჰქნის, ხელს უწყობს თვით პარმონიული წესრიგის მიღწევას: მე-12 საუკუნის სახე ჩვენამდე ვერ მოაღწევდა, სადაღაც დროის ხანდაზმულობა რომ არ დაქარაღებდა და დატყობლობას არ ვგაგრძობინებდეს. როგორც უბედვრს ტაძართა კედლებზე შემორჩენილი ფრესკები შეუძია.

— ეს მინდოდა რომ გეთქვათ. თუ თქვენ ასეთი შთაბეჭდილება მიიღეთ, ზოგიერთმა კი სწორედ ასე ვაგო, მე კმაყოფილი ვარ, მიუხედავად იმისა, რომ ბევრმა სრულიად საწინააღმდეგო აზრი გამოთქვა. „ჩახრუხაქს“ ტილო უნდა დარჩეს თავზე დადებული, მე ეს უკვე რამდენიმე დღეა გადაწყვეტილი მაქვსო. იაკობ ნიკოლაძის მიხედვითა და არჩევანი იმდენად ჭეშმარიტად აღმოჩნდა, რომ დღეს ვერც წარმოვიდგინა „ჩახრუხაქს“ სხვაგვარად ვისილით, იმ საოცარი, გრძნული ტილის გარეშე, რომელიც პოეტის ბუნებრივ თავაპყაულად იქცა.

პორტრეტების გარდა, იაკობ ნიკოლაძემ დიდი ოსტატობით შეასრულა რეგულაციურ თემაზე ბარელიეფები და გორაკიფიები. ჭარბველ მოქანდაკეთაგან არავის შეუტრია ამ თემის მხატვრულ წარმოსახვაში იმდენი სიძაბო, უშუალობა და დიდი ხელოვნების გრძობა, რამდენიც იაკობ ნიკოლაძემ. მას არც შეუძლო სხვაგვარად მოქვეყნო: რა თემისთვისაც ხელი არ უნდა მოეკიდებინა, ყველაფერში უშუალობითა და სილამაზით დაშვებული დიდი ადამიანური სითბო შექონდა.

ძნელია წარმოიდგინო ჭეშმარიტი ხელოვანი, რომელიც აპოლონის მადლს ფანატურული გატაცებით არ ემსახურებოდა. იაკობ ნიკოლაძე მართლაც ფანატურად შიშობდა დადი შემოქმედებითი სიზარულსათვის. მას პქონდა ღრმა შინაგანი, ოპტიმისტური რწმენა, რომ მის მიერ შექმნილი საუკუნეებს გაუძლებდა, ხელს გაუწვდოდა მარადიულს. აღფრთხილად ეს თვითონვე სიტყვა 1945 წელს, როცა ნიკოლოზ ბარამიშვილის გარდაცვალების 100 წლისთავზე, ოფიციალური წვეულების დროს, ერთად ვისხედით და საუბარი ჩამოვარდა მხოლოდ ქანდაკების ისტორიული ეტაპების შესახებ, ჩვენს სახელოვან მოქანდაკეს ასე დაეუკრუნე კითხვა:

— ანტაურები ეპოქადან მოყოლებული, დღემდე გრძელდება კანათი, ხელოვნების რომელი დარგი უფრო შეიძლება უპირატესი იყოს—ფერწერა, თუ ქანდაკება. ძველი ბერძნები, ისევე როგორც ძველი რომაელები, ორივე დარგს მაღალ შეფასებას აძლევდნენ, მაგრამ ბევრი მათგანი ქანდაკებას უპირატესობას ანიჭებდა. რენესანსის ეპოქაში ეს საკითხი, ეს ძველი დავა განახლდა, როცა ლეონარდო და ვინჩი დაწერა თავისი განთქმული „ტრაქტატი ფერწერის შესახებ“.

ხელოვანმა პირდაპირ წამოაყენა თეზისი, ფერწერა უფრო კეთილშობილურია, ვიდრე ქანდაკებაო. ბევრმა ამ თეზისში იმის გამართლება დაიწახა, რომ ლეონარდო თვით იყო ფერწერა ეგნა. მისი უმცროსი თანამედროვე კან პაოლო ლომაცი „ტრაქტატში ფერწერის შესახებ“ საწინააღმდეგო აზრს გამოთქვამდა.

ამ ძველ, ტრადიციულ საკითხს შუქი აგრეთვე რენესანსის ეპოქას ცნობილი ხელოვნებათმეტყველი ბენედეტო ვარკი, რომელმაც გამოისცა „ორი ლექცია“ და გაუწვანა მიქელანჯელოს აზრის გამოსათქვამად. 1549 წელს, მიხუტებულ მიქელანჯელო თავის პანსუნში წერდა ბენედეტო ვარკის: „მე ჩვეულებრივად შეჩვენებოდა, რომ ქანდაკება არის ლამაზი ფერწერისათვის, და რომ მათ შორის იგივე განსხვავებაა, რაც შვესა და მთვარეს შორის. ახლა, როცა მე წაყვიითხე თქვენს წიგნში, სადაც ლაპარაკობთ, მთავრობთ რა ფილოსოფიურად, რომ სახეები, რომლებსაც ერთი და იგივე მიზანი აქვთ, წარმოადგენენ ერთსა და იმავე საგანს, მე ვიცილი ჩემს აზრს და ვამბობ, რომ... ფერწერა და ქანდაკება წარმოადგენენ ერთსა და იმავე საგანს“. მიქელანჯელომ იმავე წერალოში ვარკისადმი დასინანა ლეონარდო და ვინჩის მტკიცებას ფერწერის უპირატესობის შესახებ, კვლავ დაადასტურა ის ჭეშმარიტება, რომ ფერწერა და ქანდაკება ერთი და იგივე საგანია.

— როგორი იქნება თქვენი აზრი?

— იაკობ ნიკოლაძემ პასუხი არ დააყოვნა:

— ახლა მე სიტყვას წარმომეტყვამ და ჩემს შეხედულებას პირდაპირ გამოვხატავო.

მართლაც, სიტყვა აიღო, ჩვეულებრივ შევიდა და იწყო, მაგრამ თანდათან შეზნებარება დაეუღლა მას და მე პირველად ვიხილე ჩემი სახელოვანი მოღვაწე ასე გატაცებით მოლაპარაკე. სამწუხაროა, რომ ეს შესანიშნავი სიტყვა მაშინ არავის ჩაუწერია და აქვამად ვეღარავინ ახადგენს.

იაკობ ნიკოლაძე ლაპარაკობდა, როგორც ქანდაკების მსოფლიო, ისტორიის მშვენიერი მკოდნე, ხელოვნების გამოცდილი თეორეტიკოსი, რომლისთვისაც ელსმოგონის პრობლემატიკა უცხო ხილს არ წარმოკიდეს. სამაჟარი დიდიმეტრიკური განვითარება მის მიერ ისე სათლად იყო გააზრებული, რომ მივხვდი. კანტის თეზისი—ყოველგვარი მოსაზრება ნიშნავს უარყოფით წარმომთხას—შეთვისებული ქონდა. როცა დაბახასიათა ქანდაკების პირველი ძეგლები ნეოლითის დროიდან, შემდეგ ძველი ინდური და ვეგობატური, ბერძნული და რომაული ქანდაკებანი, შეასაუკუ-

წევბისა და რენესანსის შედეგები, მათი სასწაულებრივი ხელახლა, გულსტეკივლით აღნიშნა, რომ ერთ მშვენიერ დღეს დედასაწა გაიყვებდა, ადამიანებც სხვა პლანეტაზე გადასხდებინა, მაგრამ ამქვეყნიურ სიონად დარჩებინა ჰესა და მარმარილოში გამოყვითილი სახეები, რომლებიც მატერიის მარადილი მდინარეებს წვენი სულის მშვენიერებას გადასცემენ. ჰესა-დაკება უკვდავია, მარადისობის საკუთრებას წარმოადგენს.

მთლილი სიტყვა რაღაც ერუანტელის მომყვრელი იყო და საყოველთაო მიწინება დამისახურა. დიდი

2. ლადო გუდიაშვილი

ლადო გუდიაშვილის პალიტრა ისევე ორიგინალურია, როგორც ფაროსმანისა. ძინი თავისუფალი არიან ნორმატივებით შესულდული ფერწერისაგან და მთლიად ერთ ძირითად კანონს ემსახურებანი: მხატვრულად ისე წარმოსახონ ნახული თუ განვიდელი, რორიც შეხატერებს შერმა. მაგრამ იმდენი გულწრფელობა, ისეთი უშუალობა აქვს ერისაც და მეორესაც, რომ სუბექტური პირდაპირ გადადის ობიექტური რეალობის ქვეყანაში, როგორც მისი ბუნებრივი შედეგი. ნაკო ფიროსმანიშვილი რომ არ ყოფილიყო, ალბათ, არც დღევანდელი ლადო გუდიაშვილი იქნებოდა. ფიროსმანიშვილის გენიალური პირობიტივა და გუდიაშვილის აკადემიური უშუალობა ერთი შედღას ორი მხარეა, რომლებსაც უაღრესად თავისებური ტალანტი აერთიბთ.

მაგრამ ეს არ არის იმპრესიონიზმი, არ არის დეკანანი შინა, რენუარის ან პისაროს გზა. მხედველობაში მარტო ის კი არა გვაქვს, რომ იმპრესიონიზმები პლენერზე წერდნენ, ზოლო ფიროსმანი და გუდიაშვილი მას იწვიათად მიმართაოდნენ. გათვალისწინებულია ორივეს ფერწერული ხერხების თავისებურებანი, რომლებიც, მართალია, ზოგჯერ ხედებიან ერთმანეთს, მაგრამ უფრო მზინად უარსყოფენ და გამოირიცხებენ მგალითისათვის საკმარისად დეკანაბელით ის ფაქტი, რომ იმპრესიონიზმის ინდიფერენტულობა საყოველთაოსადღში აქ სულ შეცვლილია მთავრი სოციალურობით, როგორც სიუეტის განდგენას ნაცვლად, ფიროსმანიც და გუდიაშვილიც, უმთავრესად, სწორედ სიუეტის უყრდნობიან. ეს ყველაზე მეტად გამოარჩევს მხატვრულ მანერისთან ერთად მათი ბრწინებულ შემოქმედებითი ნაქის ორიგინალობას. ამ ორიგინალობაში შედარებება დეიდიული მათეანის ესთეტიკური სამყარო, როგორც მხატვრული credo. გუდიაშვილი პლენერზე არ მუშაობს, მაგრამ ხინამდევალეს პლენერისტზე უფრო ძლიერად გადმოცემს. მხატვრული ფანტაზია მას იმდენად დიდი აქვს, რომ სტიქიად არის ქვეული, და ძნელა გაართბო, თუ ხად იწვება პირველი ან ხად თავდება მეორე. უფრო სწორი იქნება პირველს სტიქია ვუწოდოთ, ზოლო მეორეს შემოქმედებითი ფანტაზია. ორივეს კი ერთი სახელი აქვს—განყოფილებელი ტალანტი.

ლადო გუდიაშვილი ნამდვილად დიდი ქემწარბიტად

ხელუენის ღრმა ოპტიმიზმს თან ერთოდა ქანდაკებისადმი ფანტატიკური სიყვარული. მხოლოდ ერთხელ მჭინდა შემთხვევით მხატვრული რეალიზი შემართებით, როგორი ვატყვებით ებრძოდა იაკობ ნიკოლაძე უტყვე მასალას, რომ მისთვის მეტყველების უნარი მიცა. მე მამინ პირველად ვიგრძენი როგორც ერთხელ ვერცხმა ბელიმეის შესახებ სიტყვა, რომ ამ პატარა, დასუსტებულ სხეულში, დიდი შემოქმედის გვერდით, თურმე გლადიატორის სულიც ტრიალებდა.

განუმეორებელი ტალანტია. მაგრამ, როცა მის ნიჭს ან ოსტატობას ვახსიათებთ, უნდა გვახსოვდეს, რომ გუდიაშვილის ფერწერული ტილის ერთი დიდი ღირსებაც თან ახლავს: შეუდაც და შემოკანაუბეს, მივიზიდავს, მოგბნობავს, ათსხვად ფიქრსა თუ გრძნობას აღვირბავს, თითქმის ვილიმის და გიმეობრდება. შესაძლოა აქ შედარებებოდეს ატკორის შინაგანი პირიგნული ხათბო, მისი ადამიანური უშუალობა, რომელიც ასევე უშუალოდ გადასულა შემოქმედებაზე. ეს ზომ ორიგინალური ნიჭია, რომელსაც მუნება ერთოვლება უშუალოდ მიღმე? ეს აკრთავს მლოდირიობას, რომელსაც გუდიაშვილის ფერწერული ტილოზე ადგილი დაუსაკუთრებია. მისი შემოქმედების პატეიისმეცელი ამას უმაღლე გრძნობს, ზოლო პირადად ჩემთვის გუდიაშვილის ფერწერა ყოველთვის დრმა შემოქმედებითი სიხარულისა და ადამიანური უშუალობით მელიდორტი განწყობილების მომგვრელია.

როცა პირველად ვნახე გუდიაშვილის ატელიე, მრავალწერებებითა და შემოქმედებითა ორიგინალობით მან ისეთივე გრძნობები აღმიძრა, როგორც გაიკონტრიგოს სასლ-შეუქვემსა პერპინიანში და ოციბეტ როდნის მუხეუმსა პარიზში. რა თქმა უნდა, როდენსა, როცისა და გუდიაშვილს შორის თაქქის განსხვავება საერთო არ არის, მაგრამ ერთა დამაკავშირებელი დიდი შემოქმედებითი სიხარულის განცდა, რაც ყველა ტემმარტივი ხელუენის პრედიკატად ქვეულია. ეს დიდი შემოქმედებითი სიხარული გუდიაშვილის ყველა ნამუშევარში თან ახლავს, როგორც ფერწერული ლექსია. სხანაირად შეუძლებელი იქნებოდა: გუდიაშვილს იმდენად ორიგინალობით აღებუდილი საკუთარი ხელწერა აქვს, რომ სხვაგვარი ლექსია არც ესაჭიროება. მისი განთქმული ატელიე მდიდარია პრაკომორტიო, რისი მალწევა ყოველთვის შეიძლებოდა, არამედ უნდა შემოქმედებითი ტილოებით. და როცა ამ ფერწერულ ტილოებსა თუ ერთიგულ ნამუშევრებს უცქერიო, რომლებსაც მშვენიერების თავისებური მხატვრული სამყარო შეუქმნიათ, გიყვართ, როგორ დაწერა ერთი ადამიანის ხელმა ამდენი ხილული შედეგარი. თვითოველი მათგანი კი განსახიერება ქართული ერთოველი სილამაზისა და კლორინტისა, სულ ერთა, იხატება ფერწერული ტილო, სრულდება ერთო-

გული ნამუშევარი, საქმე გვაქვს წიგნის გაფორმებასთან, თუ თეატრალურ დეკორაციულ ესკიზებთან.

საოცრად მრავალფერადი ვალშით გუდაიშვილს იდეალიზმი გადააქვს ცოცხალი სახეები, როგორც მხატვრული შთაფრებანი, რომლებსაც ის აძლევს უაღრესად დახვეწილ ფორმასთან ერთად, შინაგანთან ირგანიურად შერწყმულ გარეგნულ სილამაზეს. მისი ფერწერა თუ გრაფიკა, ყოველთვის მშვენიერების იდეალს ემორჩილება, როგორც ერთერთ ძირითად მოთხოვნას ხელოვნებაში. პრემირებული თინივე ფერწერული ტილო — „ფიროსმანის პორტრეტი“, „ჩაის მკერდაცხები“, „ვაზაფხული“, „კლემურნე გოგონები“ ჯიდი ოსტატობითაა აღბეჭდილი და თვითმულ მათგანში განსუფორმებული უშუალოა ჩანს. დაკვირვებით „ფიროსმანის პორტრეტს“, რომელიც გუდაიშვილმა 1964 წელს შექმნა. მაგრამ ჯერ გახსნიერე ტავლიებით უფრო ადრე, 1946 წელს დაწერილი „ფიროსმანის ხავედრული“, სადაც ბოქვამში გადამული ტრაგიკული გენია სამინელი კატასტროფით შთაგრძედა. აქ კი, ასევე პორტრეტში მიღწეულია ჩვენთვის დღემდე ცნობილი ფიროსმანის სახისა და თვით გუდაიშვილის მხატვრული მანერის საოცარი პარონიული შტა. მოგზაო სახე, ღრმად დაფიქრებული ტეკანური თვალები, ტალღისებური ქედი, ზედა მოსახამის წამოხურება, რათა გაშლილი მკერდი თვითი სამოსის ფონზე ვეაგრძნობინოს თავისი შინაგანი გულდაიბობით, სქელი უღვაშები და თხელი წვერები—ყველაფერი მეტყველებს, თუნდაც არ იყოფეთ ვინ არის, რომ თქვენს წინაშე არა ჩვეულებრივი, არამედ ვიღაც განსაკუთრებული ადამიანის სახეა წარმოდგენილი. აკვირდებით მას და თანდათან რწმუნდებით, რომ გენიალური პრიმიტივიზმის ნიკო ფიროსმანიშვილის პორტრეტი აღდგენილია შთამომავლებისთვის პორტრუნი სილამაზით, რასაც თან ასლავს ტრაგიკული შტრახები უფროოდ დაღუპული ქართვლენ ფერწერლისა. ეს არა მარტო გუდაიშვილის, თანამედროვე ქართული პორტრეტული ფერწერის დიდ გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს.

გუდაიშვილი პირადად იცნობდა ფიროსმანს და შეისუფლებით არ არის, რომ მის შემოქმედებაში ამ თემას მრავალი ნამუშევარი ეძღვნება. 1916 წელს გუდაიშვილმა შექმნა ტუშით დაწერილი სამი ნახატ: ფიროსმანი ღვინის სარდაფთან, ფიროსმანის ოცნება, ფიროსმანის საღებავები. მომდევნო წელს განკუთვნიდა ისევე გრაფიკული (ფანქრით შესრულებული) ორი ნამუშევარი: ფიროსმანის მეცხატობა და ფიროსმანის სახელმწიფო. გარდა ამისა, გუდაიშვილის ყალამს ეკუთვნის ტუშით დაწერილი (გრაფიკული) ფიროსმანის შესახებობარი (1940 წელი), აგრეთვე ნიკო ფიროსმანი (1943 წელი, სანეინით შესრულებული). ფერწერული ნამუშევრებია: ნიკო ფიროსმანიშვილი (1928 წელი), ჩვენი ნიკელა (1935 წელი), მე და ფიროსმანი (1949 წელი).

როგორც ვხედავთ, ნიკო ფიროსმანიშვილს იმდენად გრძელი ადგილი უკავია გუდაიშვილის მხატვრულ შემოქმედებაში, რომ ეს მთელი თემა, რომელიც სპეციალურ შესწავლას მოითხოვს. ვიდრე ეს

არ გავითვებულა, შეიძლება წინასწარ ვიცოდეთ, რომ უპასუხო შევლი, რომელიც ფიროსმანის გენიალური პრიმიტივიზმი შეიქმნა, გუდაიშვილმა შემოქმედებაში სრულიად ახალი სახით დასახლება, უფრო გაკვირვებულ-შობილებული და გაღამაზებული, მაგრამ თავის პრიტიტივიზმთან მჭიდროდ ასოცირებული. მას მივამატებ ულამაზესი ყმაწვილი ქალის პარალელი და ფერწერული ტილოების მთელი რკალი შეიქმნა.

რაც შეეხება პრემირებულ სხვა ნამუშევრებს, გრაფიკული სილამაზით გვხვობდნენ ხავედრული ქართული პეიზაჟის ფონზე მშრომელი გოგონები, რომლებსაც იდეალურად წარმოუახსოვო ქალური სილამაზე და სულიერი მწიფობა. გუდაიშვილმა მივლი გაბა შექმნა ყმაწვილი ქალთა მთავარი, ზედ-ნატიკი სახეებისა და შრომის ფონზე, თითქმის სურდა დიპტიხებითა და ტრიპტიხებით გამოეხატა თანამედროვე სოფლის მეურნეული სილამაზე და ხიციქმლისათვის განსაზღვრებული კიშინი ელფრა. ჩვენ მუდგელოზაში გვაქვს საოცრად ძვერთვანი „კლემურნე გოგონები“, აგრეთვე „გოგონები მანდარინებით“ (1964) და „ხილის მკერდაცხები“. თვითმულ მათგანში ხიციქმლისა ჯანაღი ფეოქტა მანს და სილამაზის გახედილი თვალის აღბეჭდილა. უფრო ადრე 1946 წელს, გუდაიშვილს დაწერილი ჰქონდა მშვენიერი ტილო—„საკლემურნეო ბრიგადის დაბრუნება“, რომელსაც სოციალისტური შრომის განსაზღვრული კიშინი შეიძლება ეწოდოს. აქ სილამაზე, მთლიანად დინამიკობაში გადასული სილამაზე, მომდინარე, კმაყოფილი სახეები, თვანავად გროტესკით შერეული—ისე მამოხდევლია, რომ მნახველს შემოქმედებითი სიხარულით აღანთებს.

ამ სერიაში უნდა მოთავსდეს აგრეთვე 1956 წელს გუდაიშვილს შესრულებული ნახატი „ეკონია ყურბანის მტკინით“, რომელიც მთლიანად ზედნიერებისა და სიხარულის ბეჭედს ატარებს.

რაც შეეხება „ვაზაფხულს“, ეს არის სინაზით ბოტანიკოსებური ყალმის მოსმა, მაგრამ მისგან სრულიად განსხვავებული. შვლის ორი ნუკრა და ორი სიყვარული, ორივე პარალელური უმშვენიერესი სახისა, მცხეთასთან კახალის პერსპექტივაში, მტკერის გაღმა-გამომღმა, ხიციქმლის საგალოლოდ გვეკლინება, როგორც ამტყვენიური სილამაზის დამკვიდრება.

საბჭოთა თემატიკა, საბჭოთა ადამიანი ამ პერიოდის ქართულ მწერლობაში ვერ პოვდობდა შესაფერ ასახვას. თითქოს მართებულად შენიშნავს გურამ გვერდწითელი: „20-იანი წლების დამდეგს ქართული მხატვრული პროზის გამოჩენილი ოსტატებისათვის, რომლებიც სხვადასხვა ლიტერატურულ ჯგუფებში იყვნენ გაერთიანებულნი, ძნელი გახდა ახალი, სოციალისტური სინამდვილის მთელი სიდიადის დასახვა და შეგრძნება; ძველის ნგრევისა და ახლის დაბადების ქარცეცხლიანი ეპოქა მათთვის პირველ წლებში ერთელი ამოსაცნობი აღმოჩნა.“

1. შედარებით სრულად დადებითი გმირის პრობლემა განხილულია წიგნებში: შ. ჩიჩუა, „დადებითი გმირის პრობლემა ქართულ საბჭოთა რომანში“, თბ. 1955; ვ. გვერდწითელი, „თანამედროვეთა მხატვრული სახეები“, თბ. „საბჭ. მწ.“ 1962; გიორგი მერკული „თვალთახედვა მხატვრისა“, თბ. „ლიტ. და ხელ.“ 1963.

2. მარტო იმის შენიშვნაც კმარა, რომ მკვლევარები გვერდს უდრიდნენ მიხეილ ჯავახიშვილის „ეკავი ეკავანტირაძეს“, „ჩაყოს ხიზნებს“, „თეთრ საყელოს“, კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისოს ღიმილი“, გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგს“, ღემნა შენგელაიას „სანაჯარდოს“.

3. ფ. მახარაძე, მიმდინარე მომენტით და ქართული მწერლობის ამოცანები — მოხსენება ქართველ მწერალთა კავშირის ყრილობაზე. „ძნათობა“, 1926, № 2, გვ. 246.

და, ხოლო ასახვარდა პროლეტარულ მწერლებს კი, რომლებიც გულწრფელად „ისწრაფოდნენ შეექმნათ ახალი ცხოვრების შესახველი ფართო პროზაული ტილოები, აქვირად არ ყოფნიდნენ გამოცდილება და ოსტატობა. ამიტომაც, ერთგვარად შეყოვნდა ქართული პროზის განვითარება, რამაც თავისთავად განსაზღვრა ისიც, რომ 20-იანი წლების ლიტერატურაში არა გვაქვს ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი მხატვრული სახეები ჩვენი თანამედროვე ადამიანებისა.“⁴ მაგრამ რამდენადაა ნაწარმოებელი აქვე გამოთქმული დებულება: „ქართულმა საბჭოთა პროზამ პირველი მნიშვნელოვანი ნაწარმოებები მხოლოდ 20-იანი წლების მიწურულსა და 30-იანი წლების დამდეგს მოგვცა.“⁵ რომ თითქოს „ერთგვარად შეყოვნდა ქართული პროზის განვითარება.“ მართალია, ოციანი წლების პირველი ნახევრის ქართულ პროზას არ მოუცია საბჭოთა ადამიანის სახე, არ აუსახავს ახალი სინამდვილე, მაგრამ მისი განვითარება ამ შეჩერებულა. ამ პერიოდში საეპოქალ საუფრადლებო ნაწარმოებები შეიქმნა, რომელთა გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა ქართული საბჭოთა ლიტერატურის მთლიანობაში გახარება. მიხეილ ჯავახიშვილის „ეკავი ეკავანტირაძე“ (1924), „ჩაყოს ხიზნები“ (1924), „თეთრ საყელი“ (1926), ღემნა შენგელაიას „სანაჯარდო“ (1924), კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისოს ღიმილი“ (1925), მიხეილ გრევილიშვილის „ინონ“ (1925), გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი“ (1926), ქართული საბჭოთა რომანის ჩამოყალიბება მათ გარეშე წარმოუდგენელია. ყველა ამ ნაწარმოებში საბჭოთა სინამდვილემაც პოვა თავისებური ასახვა, თუმცა, ისიც უნდა შევნიშნათ, რომ მაქსიმ გორკის საყვედური, საბჭოთა მწერლობის მისამართით, ამ პერიოდის ქართულ მწერლობაზეც ვრცელდება: „ლიტერატურის უფრადება უმთავრესად მიმართულია იმისაკენ, რაც ეკვება, და არა იმისაკენ, რამაც დაიწყო ცხოვრება და მოქმედება.“⁶ მაგრამ ესეც ხომ თავისთავად ცხოვრების სიმართლის ასახვა იყო? ვანა ვისშეს მოუვა ახრად მიხეილ შოლოხოვის „წყნარი დონი“, ნაკლებმნიშვნელოვან ნაწარმოებად ჩათვალოს იმტომ, რომ მასში ავტორი, მისივე სიტყვებით რომ ვსთქვათ, „ასახავს თვითების წითლებთან ბრძოლას და არა წითლებისას თეთრებთან.“⁷

1. გურამ გვერდწითელი, თანამედროვეთა მხატვრული სახეები, „საბჭოთა მწერალი“ 1962, გვ. 75.

2. იქვე, გვ. 75.

3. М. Горький. О Литературе. М. 1953. «Творчество М. Шолохова» сб ст. изд. гв. 406.

4. შ. შოლოხოვის საუბარი მეითხველებთან: «На подвеме», 1927, № 6, (ციტირებულია წიგნიდან «Просвещение», М. 1964. გვ. 76).

ამავე წლებში ქართულ პროზაში შემოდიან ახალი გმირები, რომელთა სიმრავლე და ნიარსახეობა ქართული საბჭოთა მწერლობის სხვა პერიოდისას არ ჩამოუვარდება. ჭაყო. თეიმურაზი, მარგო, ელიზბარი, ბონდო ქილაძე, გურამ ბარამიძე, კონსტანტინე სავარსამიძე, არახილდ მექვიძე და სხვანი, დღემდამდე დასტურდათ ახალბატული სასიათები. იხიან და დღემდე გვირგები არ არიან, მაგრამ ვანა მხოლოდ „დადებითობა“ არის გმირის ლიტერატურული ღირებულების კრიტერიუმი? რა თქმა უნდა, არა.

შეოცე საუკუნის ათიანობიან წლებს ისტორიკოსები ალბათ, ქართული ცხოვრების ყველაზე რთულ პერიოდს მიიჩნევენ. ადამიანებმა ნახეს და განიცადეს პირველი მსოფლიო ომი. თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციები, 1918-21 წლების საქართველო, საბჭოთა ხელი-სუფლები დამყარება, კოლექტივიზაცია, ინდუსტრიული მშენებლობა. ეს იყო განცდათა, შთაბეჭდილებათა, ტრევილთა, იმედთა ჩახახვისა, ღირებულებათა გადაფასების მოკლე და, ამავე დროს, თავბრუსმომხვევი პერიოდი. ყოველივე ეს ქართულ მწერლობაში ჭარ კიდევ ელის ღირსეულ მხატვრულ ასახვას, თუმცა ზოგჯერ მანინე შეიქმნა. პირველ ხანებში პათოსი უფრო კრიტიკული იყო და მწერლები წარსულზე, გუმინდელ სინამდვილეზე, იქნებ ზოგჯერ გულისტკენით, მაგრამ შეუფარავად ამბობდნენ სიმართლეს. ეს იყო ძირითადად 1926 წლამდე. შემდეგ წინა პლანზე წამოვიდა ამ წარსულში დღევანდლობის ფსევების დანახვა, ორგანული კემირის ძებნა რევოლუციებზე და თანამედროვეობას შორის. 1927 წელს ქვეყნდება ქაჩელის „სისხლი“, 1928 წელს ნიკო ლორთქიფანიძის „ბილიყებიდან ლიანდაგზე“, შემდეგ სერგო კლდიაშვილის „ფერფლი“, რამდენ კვერტაში „თეთრ“ და „ჭიკოკონია“, ალექსანდრე ქუთათელის „პირისპირ“, მიხეილ ჭავჭავიძელის „ქალის ტვირთი“ — ასე მკვიდრდება ჩვენს მწერლობაში თემა — ადამიანი და რევოლუცია.

წარმავლისაგან განთავისუფლება დაფიქრების, მისი შეფასების ვაჟუშე არ შეიძლება. ოციანი წლების, პირველი პერიოდის მწერლობა, 1921-1926 წლების პროზა ყოველივე წარმავლის ასეთი შეფასება გახლავთ.

პირველმა მსოფლიო ომმა და რევოლუციის ქარტახილმა, ნგრევისა და შენობის ტრევილეებით დაბადა ავანტურისტის ტიპი. ჩვენს პროზაში მან მკვეთრად იხიან თავი კვაჭი კვაჭანტირაძის (მიხეილ ჭავჭავიძელის „კვაჭი კვაჭანტირაძე“), და კონსტანტინე სავარსამიძის (კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისოს ღიმილი“) სახით. მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა — ერთი ვაჭნილი საქმოსანი გახლავთ, მეორე ეგოცენტრიზმით დაავადებული უმიზნო ადამიანი, მაგრამ მათი მოქმედების საფუძველი არსებითად ავანტურაა. კონსტანტინე გამსახურ-

დიამ სხვა, მკვეთრი ელფერიც მისცა თავის გმირს — ესაა მუდმივი სწრაფვა „სამშობლოსკენ“ და მისგან მუდმივი დაშორება. ამ უფაქტურაის ცხოვრება გამსახურდიამ „ზედმეტი ადამიანის“ აქსესუარით, შეამკო, მაგრამ ყველფერი ეს მინიმე ვერ ფარავს მისი საქციელის ავანტურისგან.

„დიონისოს ღიმილი“ მეორე გამოცემის ბოლომდამდეგობაში კონსტანტინე გამსახურდიამ წერდა: „სავარსამიძე ზედმეტი ადამიანის ტიპია.

„ზედმეტი ადამიანი“ ზედმეტია უკუღმართ სოციალურ წრეში. „დიონისოს ღიმილი“ მოცემულია 1914-19 წლების სოციალური ვითარებაში.¹

კონსტანტინე სავარსამიძე არ უპირისპირდება რომელიმე კონკრეტულ საზოგადოებას. იგი ადამიანთაგან განზე დგას, და მისთვის არავითარი საზოგადოებრივი კანონი არ არსებობს, არც შორალური, არც სოციალური. „სწავლობდა იმას, რაც აინტერესებდა; აყვებდა, რაც მოუპირიანებოდა, ადამიანებს ანგარიშს არ უწყვედა, არც ადამიანებს პულიათ იგი სათვალავში“² და ბოლოს იქამდე მივიდა, მისივე სიტყვებით, რომ ეტყვიან, „აქამდის თუ ადამიანებმა მძულდა, ახლა ჩემი თავიც შემპაგდა“³ სავარსამიძის ადამიანები სძულს, არასტრუქტურის კომპლექსი მას ზიზღით ავსებს ყოველი საზოგადოებისა და ყოველი ერის მიმართ. „ჩემი სისხლი და ზორცი მევე მეუტყოვება. ამ ხალხის შე ვერაფერი გავიფიქრე. არც მათ უნდათ ჩემი გაიგონ“... „მონადირეთა საზოგადოებაში შევედი. ადამიანებს ვერაფერი გავაგებინე, ეგებ საქართველოს ნადირებს შევასმინო რამე“. ამ ადამიანმა დავმო ვერობის მანყიერება და ბიწიერება, იგი თავის სულში ზედანს ამ ბაწიერებას და სამშობლოსკენ მონსწრაფის განსაზღვრებად, მაგრამ უკვე დასწრულბულით თავისი განსაკუთრებულობის შეგნებით და ამიტომ უფველი საზოგადოებისათვის ზედმეტი ხდება. ზეით ჩვენ სავარსამიძე კვაჭის დაფუენერ გვირდით, და ამის უღმებდა ჩვენ სიტყვა „ავანტურისტის“ გაგებამ მოვკვია. მაგრამ სავარსამიძე მნიშვნელოვნად განსხვავდება კვაჭისაგან, იგი გაორებული პიროვნებაა და თუმცა მისი მისამართით ყოველივე ზემონათქვამი სიმართლეა, ეს სიმართლე მინც არასტრუქტურა.

სავარსამიძე ტრევიული პიროვნებაა. იგი გაორებულია შინაგანად. მის პიროვნებაში ორი საწყისი ებრძვის ერთმანეთს.

ერთი პერიოდი მაქვს შემჩნეული ჩემს ქვე-

1. კონსტ. გამსახურდიამ, „დიონისოს ღიმილის“ მეორედ გამოცემის გამო, ჩრეული თხზ., ტ. V, „საბჭ. საქართველო“, თბ., 1961, გვ. 954.

2. კონსტ. გამსახურდიამ, „დიონისოს ღიმილი“, ტ. V, გვ. 750.

3. იქვე, გვ. 875.

შეცვლაში: ხანდახან ჩემი სული წმინდა ცხოველური ინსტინქტებითა და ენებებითა ამღვრული. ამ ხანაში მე ლითონის, კამასის, ძილის, და ქალების მეტი არაფერი მიაინტერესებს. არ ვყოფილვარ, არ ვწერ. სიჭკნის კამელაშიც რომ ჩამკვდეთ. არც ერთი სურათი არაფერს ეტყვის ჩემს გულს. კარგად მზინავს, სიზმრები არა მაქვს, ძლიერ ბევრს დავდივარ.

არის მეორე ხანაც, არც ქალი მიაინტერესებს, არც ღვინო. ჩემი სხეული ეთერით მსუბუქი ხდება, ხორცი დანახავად მუხარება, ცუდად მზინავს, სიზმრები მაწუხებენ, ვსაოცრად მივითარდებოდა მეზისერება. დამ-დამე მართო ვსიერობა. ეწერ, ვყოფილვარ და ვოცნებობ. მარტობას ვეძებ. საყვარელი სინათლით ვამტყვებოდა ზოლზე ჩემი გონება, ყველაფერი ისე ნათელია და მარტობა, ასე მგონია უკანასკნელი საგნების მიჯნას გადავსცილი და მართლაც შევითვისებოვს ექვსი ნიშნის გრძელდება.¹

მისი სურვილები და შესაძლებლობანი ერთმანეთს სცილდება. იგი ვერ ეგდება ევროპას და სამშობლოსავე მოისწრაფვის, რათა აღდგეს და სასიცოცხლო ძალით აღივსოს. დიდ თანაგრძნობასა და გულისტკივილს იწყებს მისი ვედრება მშობელი მიწისადმი: „ნუ მომაკლავ სიყვარულს, საქართველოს მიწაჲ კურთხეული, მომიტყევე განდგობა და უმელო ყოფნა, დამბრუნე, შემოიხივ და შემიყვარე ისე, როგორც გიყვარდი, როცა ფეხშიშველა დავარბოდი შენს მეგრულზე და არ შეგონა, თუ შენი ზღვარის გადალახვა შეიძლებოდა, ან შენს იქით თუ იყო სხვა გზა. სხვა მიწა და სხვა საზღვარი.“²

მაგრამ სამშობლოში დაბრუნებული ვერ იგებს თავისი ხალხის ენას და იგი განაპირებული რჩება. ცივილიზაციისაგან თავმოებურებული ტაია შელას ჯოგში ვარბის, მაგრამ ჩვეულები და აღზრდა მას უკან ეწევა („მომენტარა აბსაბოშანის სუფთად გამოწყობილი ქალები“).³

უბედური, ვისაც კი დუკავშირდება, ყველას აუბედურებს და ამქვეყნად მას მხოლოდ ერთი ძლიერი ენება რჩება — შიში უკვალოდ გაქრობისა. იგი წერს თავის ნაგრძნობს და ნაზრევს — „სისხლისათვის“, მაგრამ ემეკება, რომ მას ოდესმე ეიმე ვაიკითხავს. იგი ოცნებობს ძეზე, რომელშიც ვამეორდებოდა, მაგრამ მისტიური შიში უძეოდ გადაგებინა მართლდება და იგი, ცოცხალი აღამაინა, ცარიელდება ყველა აღამაინური გრძნობისაგან, „მას აღარც სიცილი შეუძლია და აღარც ტრილი“ იმ პარტიული ინვალიდის მავკარად, სახით მახინჯა რომ იყო. და მისი სულერი იარები ფიზიკურ

იარებზე უფრო შემადარწუნებელია. შემთხვევით არ დასრულა ავტობიო ტექსტზე მხატვრული სახით, რომლითაც უკვე წყვეტილია შეიქცა.

საერასამიძისთან დაკავშირებული სამი თემა შემდეგ ქართულ საბჭოთა პროზაში კიდევ იჩენს თავს — ესაა თემა ზეუმეტი აღამაინისა, თემა ემიგრანტისა და თემა ცივილიზაციისა და ბუნების უბარწუნლობის და პირისპირებისა, რაც ამ სახის საკმაო სირთულეზე მერყეულებს.

ავანტიურისტიკის სახემ კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში მეტად თავისებური და განუთქმობელი ელფერი მიიღო და იმდენად განსხვავდა ზოგადისაგან, რომ გვეხამუშემა კიდევ მას ავანტიურისტიკი ეუწოდოთ, მაგრამ ნუ დაგვაიწყდება, რომ ეს ფრანგული სიტყვა ქართულად თავდადასავლის მამებარს, უპირისპირი საქმოსანსა და ვივინდარას ნიშნავს, რაც ველირობით, ზედგამოჭრილია საერასამიძისათვის.

სამშობლოსაგან ღტოლვა, წინაპართა სისხლის გარწობა და მისტიური შიში უძეოდ გადაგებინა, სამუდამო გაქრობისა, რაც ასე დამახასიათებელია კონსტანტინე საერასამიძისათვის, ეტყობა, ამ წლებში სხვადასხვა მიზეზთა გამო ქართული საზოგადოების ყურადღებებს იმსახურებდა. უთუოდ ამით უნდა აიხსნას გრიგოლ აბაქიძის 1926 წელს გამოქვეყნებული რომანში „ველის პერანგი“ მთავარი გმირის არჩობილ მეკეშის ქვეშეცნეული სწრაფვა სამშობლოსაგან — საქართველოსაგან და თავისი ფესვების დაუოცებელი ძიება. და აი, მან მონახა თავისი გავრა, თავისი წინაპარი, მან მონახა თავისი თემა და გაუჭირდა სინამდვილესთან შეგუება. მაგრამ სამშობლო მიწა და ხალხი იძლევა ძალას. თუ ტაია შელას ჯოგში მიღებული ენერგია კონსტანტინე საერასამიძისათვის არ იყო სასიცოცხლო ძალის ბადალი, არჩობილ მეკეშს ქართულში მიწამ და ქართველმა ქალმა სიცოცხლე დაუბრუნა. კონსტანტინე საერასამიძის გაქრობა და უძეოდ გადაგება ბევრის მოქმელი იყო — აქ ითქვა სოციალური განაჩენი — აზნაურობა სამუდამოდ მოკვდა.

მაგრამ „ღიონისოს ღამელსა“ და „ველის პერანგიმდე“ ადრე, 1924 წელს, ეფრანდ „მინათობში“ გამოქვეყნდა დღმნა შენგელაიას „სანაეარდო“, „ერთი პირველი რომანთავანი ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში, ერთ-ერთი პირველი სიგნალი მხატვრული პროზისა და, ერთმოდ, რომანის ენარის აღორძინებისა ჩვენს თანამედროვე შერლობაში“¹. „სანაეარდოს“ გმირის, ბონდო ჭილაძის სახით, უკვე იჩინა თავი იმ ტენდენციებმა, რომლებიც შემდეგ უფრო მეკეთრად გამოვლინდა კონსტანტინე სა-

1. კონსტ. გამსახურდი, „ღიონისოს ღამელი“, გვ. 765-766.
2. იქვე, გვ. 897.
3. „ღიონისოს ღამელი“, გვ. 915.

1. ბესარიონ ელენი. დემნა შენგელაია, წიგნში დემნა შენგელაია, თხზულებანი 2 ტომად, საბჭ. საქ., თბ., 1960, ტ. II, გვ. 656.

ვარსამიძესა თუ არჩიზალდ მევემთან. პიროვნების ასე დაახლოებით ერთნაირ დანახვაში კარგად იგრძნობა დროის ჰემოზოტი ხასიათი. ბონდო ჰილამე უნაითი ინდივიდუალისტია იგი თავიდანვე დაღმსმულია „განსაყოფრებულობით“ და „განდეგილობით“, „სოფლის ბიჭებსა და თანატოლებს არ უყვართ იგი, სამაგიეროდ მასაც სძულდა ისინი.

დადიოდა მარტო საკუთარ სამყაროში, სადაც ყველაფერი ცოცხალი იყო.¹

„მას არ უგრძნებია სიბოროტე. იყო მარტო თავის თავთან და ეწინააღმდეგებოდა სხვის სულში ბნელოდა, სხვისი გული კი მისთვის დახურული იყო.

მერე წაიდა პეტერბურგში და იქ მთლად გაიყინა.“²

მე მუდამ მარტო ვცხოვრობდი იქ, გათოშულ პეტერბურგში და სულიც გათოშული მჭონდა. შენ იცნობდი, მამაჩემო, ტატო ბარათაშვილს, ის დიდი კაცი იყო, მამაჩემო, და იმასაც სულით ობლობა აწუხებდა, ძნელი არის მარტოობა სულსა, მას ელტვიან სიამენი სოფლისა.“³

უძველესი გვარის ერთადერთ ნაშვილს უკურნებელი სენი დაეყვება ლანდად. უცნაურია ეს სენი დაეყვებულე სისხლისა, რომელიც უფრო მომავლისად მიწი ელენდება, ვიდრე ფიზიკურ უძლურებაში. ბონდოს მეფის მოყვალე სურდა და ამით თითქმის მომავლის საჭმის გაკეთება, მაგრამ შიში თუ ურწმუნობა ნებისყოფას აცლის და იგი, ახალ იდეებს ნაზიარებო ადამიანი, თავისი კლასის ცოდვათა სიმძიმის ქვეშ იწყობდა. „ჩემი სული დამძიმდა ცოდვებით... ცოდვებით, რომელიც მე არ ჩამიღვინია... რისთვის უნდა უზლო მე, მამაჩემო, ის ცოდვები, რომელიც ოდესღაც ჩემ მამა-პაპას ჩაუღვინია... მე მინდა, მამა, სიცოცხლე და სიციხლე ჩემი გააძლგებულა... მე მინდა, მამა, სიცოცხლე და ნიათი არა მაქვს...“⁴

თუ არჩიზალდ მევემისთვის თავისი გვარის სიძველე, ტიგროსის ნაპირებისა და ქალღუას გაბსენება, ძალის მიმცემა იყო, ბონდო ჰილამისათვის ეს ყველაფერი მხოლოდ საკუთარი სულით დაღმსმულობის ასახსნელი მიზეზია, თავის შესაქცევე ამბავი.

ბონდო ჰილამე ახალი ცხოვრების ზღვრბლთან შეუმფრთხილებელი დგას („თუმცა მე არავითარი დანაშაული არ მიმიძღვის, მაინც დამპარსობენ“⁵), არჩიზალდ მევემი კი ლებულბას ახალ საქართველოს და, სასიცოცხლო ენერგიით სავსე, უძვიოდ არ გადაეგება. უძვიოდ გადაეგების შოტივი პოლიტიკურ-სოციალურ

ელტერს ატარებს ამ დროის ქართულ პროზაში. ის, რომ ბონდო ჰილამეც, კონსტანტინე სავარსამიძეცა და თარამ ემხვარც, სავარსამიძეთა უკანასკნელი ნაშრომი, უკანასკნელ ქართველ, შემოხვევითი მოვლენა არაა.

ბონდო ჰილამე „ზედმეტი ადამიანის“ ის სხესხვაობაა, რომელმაც შემდეგ თარამ ემხვარში მიიღო დასრულებული სახე. და ორივეს ტრაგიზმიც ერთგვარია: სურთ ახალ ცხოვრებას გაუგონ, მაგრამ ვერ ესმით, სურთ ახალ ცხოვრებას რაიმე გაუქვითონ, მაგრამ არ ძალუძთ და ორივემ იცის, რომ ზედმეტი ამ ახალი ცხოვრებისათვის.

„ახალ ცხოვრებას ახალი ხალხი ქნის!... მე კი დანიკეებელი ვარ!... ჩვენ შეგვიძლია წაივლით, მამაჩემო!... ახლა რაინგზა მოდის და ჩვენ უნდა დაეხვროთ მათთან!... ახლა სხეები მოვლენ ჩვენს ადგილას, დახიდულ ძარღვებითა და ახალი სისხლით, — ახალი ხალხი!... ჩვენ წაივლით, მამაჩემო, და ძველი დიდებულები შევიქცით თაბი!“¹. — ეუბნება მამამისს, ყარამანს, ბონდო, როდესაც რუსთა „ხელმწიფის“ მოკვლის უშედეგო განზრახვავა უამბობს.

ბონდო ჰილამე ჰყვინ პროზის „ახალი გმირი“ იყო. „სისხლისაგან დადილი, ყოველგვარ სასიცოცხლო ნიშანწყალსა და ნიადაგს მოკლებული ყარამანი და ბონდო, რომელიც უცნაურითა თბილისისა და პეტერბურგის მღალი არისტოკრატიული წრეების ნებეზრული და გახრწნილი ცხოვრების ყოველი ცდუნება და დაბრუნებულან „მშობლიურ მიწაზე“, გაერთანებულ სანაგარდოში, რათა ამ დასამაჟულ გარემოცვაში უზებენენ მათთვის ისტორიული აუცილებლობით გამზადებულ კატასტროფას. უთვოდ ახალი სახეები იყო, რომლებიც დგმნა შენგელსამ პირველმა გამოაჩინა ქართულს ლიტერატურაში“². აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს „სიახლე“ უფრო ბონდოს ეკუთვნის. ყარამანი ახალი სახეა იმდენად, რამდენადაც ორიგინალურია, მაგრამ „ახალი გმირი“ იგი არაა, რადგან ქართული პროზისთვის ასეთი გმირი მანამდეც ნაენობი იყო.

როგორც ხედავთ, „სანაგარდოს“, „დიონისოს დიონისა“ და „გველის პერანგს“ ბევრი აქვთ საერთო მოტივებსა, თუ ხასიათის ხატვის ესთეტიკურ პრინციპებში, მაგრამ ისინი მნიშვნელოვნადაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. „გველის პერანგი“ პოლემიკური ნაწარმოებია, მისი პათოსის წარსულში საუკეთესოს დანახვა, ახლისა და ძველის შეერთება. სწორედ ამიტომ-მეა, რომ, მოუხედავად ცალკეულ სახეების თანხედრომისა, მისი გმირი პრინციპულად განსხვავდება ბონდო ჰილამის, კონსტანტინე სავარსამიძისა და თარამ ემხვარისაგანაც. იგი ძლიერი პი-

1 დგმნა შენგელისა, თხზ., ტ. II, გვ. 13.

2 იქვე, გვ. 42.

3 დგმნა შენგელისა, თხზ., ტ. II, გვ. 57.

4 იქვე, გვ. 70.

5 იქვე, გვ. 57.

1. დგმნა შენგელისა, თხზ., ტ. II, გვ. 55.

2. ბეს. ელენტის დასახელებული წერილი — დგმნა შენგელისა, გვ. 565.

როვნება, უტეხი ნებისყოფითა და სიცოცხლის უშრეტო სურვილით, რომელსაც არაფერი არა აქვს საერთო „ზედმეტ ადამიანთან“.

კონსტანტინე საეარსამიტესა და არჩბაღლ მეკემა (ხალო შემდეგ თარამ ემზარსაც) ერთობაში აბოლოვებთ — დღე ქალაქთაგან, ცივილიზაციისაგან დაღლილ, მათ შინა და ბუნების პირველყოფილება აძლევს ძალას, სიცოცხლის ნიშანს უღვივებს. ცივილიზაცია ფიტავს ადამიანს, არღვევს პიროვნების მთლიანობას. ეან-ეაე რუსოს ამ აზრს, გტყობა, იზიარებდნენ გამსახრდაცა და რობატივიტე უფრო მეტიც, ეტყობა, ეს პრობლემა ჩვენს საზოგადოებაში ახრთა სხედასხვაობას იწვევდა. ყოველ-შემთხვევაში, მიხეილ ჭავჭავიშვილი „თეთრ საყელსა“ და „მღევარში“ თითქოს ეკამათება ჟღერტრისა და ბუნების ასეთ დამირისპირებას.

„დიონისოს ღმილი“ და „გველის პერანგი“ დაბეჭდა 1925-26 წლებში. 1926 წელსვე დაიბეჭდა მიხეილ ჭავჭავიშვილის „თეთრი საყელი“ და „მღევარი“.

„თეთრი საყელი“ გმირი ელიზბარი დაბიავა და გამოაფიტა ქალაქში. და აი, იგი შემთხვევით დასახლდებდა მთაში, ხეყურებს შორის, რომელიც შენარჩუნებული აქვთ პატრიარქალური წეს-ჩვეულებანი. მათ წარმოდგენა არა აქვთ თანამედროვე ცივილიზაციაზე და ჭანსალი უბრალოების პირობებში ცხოვრობენ. სწორედ ეს გაურკვეველი ყოფა და ბუნება გარდაქმნის ახალგაზრდა კაცს, მასში ახალი სასიცოცხლო ძალები იღვივებენ.

თითქოს ამ შწრალი იზიარებს ეან-ეაე რუსოს ბუნებასთან დაბრუნების შეზღუდლებას, მაგრამ მისთვის ნათელია ისტორიის ლოგიკა: ცივილიზაციას, გარკვეული ნაყლის მიუხედავად, საზოგადოება წინ მიყავს.

მრბეი ნელ-ნელა სულს უხუთავენ მოთბობის გმირს, მეოცე საუკუნის ადამიანი ჰერ სძლებს მეოცე საუკუნის გარეშე და იგი უბრუნდება ისევ ქალაქს, „თეთრ საყელს“.

ახალ ცხოვრებას ვერაფერი შეაჩერებს და რკინის ხარი-მანქანა, სიმბოლო ამ სიბხლისა, ესულფლო, მაგრამ დაუღალავი, ამატყვებს სოფლის თვალს, ჭინკა ბიჭს, რომლის ტრავედაც ისაა, რომ მან ვერ გაავო, თურმე შეუძლებელს ცდილობდა, საუკეთესო გეშინდელდისა დღევანდელს ეკიბებოდა.

ახალ ცხოვრებას ბევრი რამ მოაქვს, კარგიც და ავიც. მას მოყავს ადამიანები, რომლებიც აშენებენ ამ ახალ ცხოვრებას, მაგრამ მოყავს ადამიანებიც — მედროეები, რომლებიც თავიანთი ინტერესებისათვის იყენებენ ახალ სინამდვილეს და საბჭოთა ხელისუფლებას მიტყმანებულები, თითქოსდა „საბჭოთა ხელისუფლე-

ბის წარმომადგენლები“. სახელს უტყვენ მას და ფიტობს უბრალო გლტყ, თეღორე: რომელმაც მხოლოდ მიწის ამგვეყურეყურეყურეყურეის, რომ „სადაღე რაღაცა მოხდა“ და „ვიღაცამ რაღაც თქვა“, დღე საფიტრალს: „ოთხფესტკიბი შეუჩნდება, ფუტკრის წინწალი ჩაუჭდება, ხეს ხავსი და ფიტორი მოყიდება, კლდესაც კი ფთალო ჩაეჭსოვება და ასე ცხოვრობენ სხვისი წვენიტ. ნეტა ადამიანიც ასე ზომ არ არის მოწყობილი“.

ესაა 1928 წელი. ოტრობირზე ადრე კი ჭყყო იყო, ზემდეგ ყვარყვარე თუთაბერი პოლოკარბე კეკაბახისა, დღეს კი კონსტანტინე ლორთქიფანიძის არჩილ ყანაშვილი, რომანში „ნატკრის თვალი“. ასე შეიქმნა ჩვენს ლიტერატურაში სახე ფიტორისა, ადამიანისა, რომელიც არ ეწინააღმდეგება სინამდვილეს, ეგვებოდა და მას თავის სასარგებლოდ იყენებს. ეს ახალი გმირია, რომლის მსგავსიც შეცხრამეტე საუკუნის ქართულმა პროზამ არ იცის და მხოლოდ ჩვენი საუკუნის თემას წარმომადგენს.

მეოცე საუკუნის ქართულ პროზაში, ოცოცდათთარ წლებში, სამი კონცეპტუალური სახე ჩამოყალიბდა: ახალი ცხოვრების შწენებელი ადამიანი, ახალი ცხოვრების მტერი და ახალი ცხოვრების პარაზიტი. როდესაც ჩვენ მათზე ვსაყელობთ რა ტერმინი უნდა ეიხმაროთ, რომელიც მიგვანიშნებდა მათ ორგანულ კავშირს ახალ ცხოვრებასთან? ახალი გმირი? ახალი ადამიანი? და აი, აქ ჩვენ უკვე დავღვივით აუცილებლობის წინაშე, გავარკვიოთ იმ ცნებათა რაობა, რომელიც ჩვენ ვიხმართ, მით უფრო, რომ მათ შინაარსში გარკვევა ნაწილობრივ საყელე პრობლემაშიც გარკვევას ნიშნავს. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ აღნიშნული ცნებები ზოგჯერ მტრად სუბიექტურად არის გაგებული.

„ახალი გმირი“. ჩვენ ზევით უკვე აღნიშნეთ, რომ ლიტერატურაში ახალი მხატვრული რეალობის გამოჩენა ადამიანის სახით ახალ

1. ასეთი ტიპები რუსულმა ლიტერატურამაც იცის. მაგალითად, შოლოხოვის „წყნარი დონის“ მალკინიც კეზია (შევექსე ნაწილში), რომლის შესახებაც რომანის აეტორი მაქსიმ გოკიცის სწერდა: „მევექსე ნაწილში მე შემოვიყვანე მთელი რიგი გმირებისა, „გაღამხრელები“ და დავუბიარისპირე კომევიოს, შტოკმანს, ივან ალექსევიჩის იმბტომ, რომ მეჩვენებინა ყველა ასეთი „გაღამხრელი“ რაღაცა და რომ თვით „გაღამხრელები“ ამხინეებდნენ საბჭოთა ხელისუფლების იღვას“ (И. Г. Лежнев, «Путь Шолохова», 1958, стр. 230).

2 მიხ.ჭავჭავიშვილი, „დამბატრე“, რ. თხ. ტ. II. „საბ. საქ.“ თბ., 1959, გვ. 166.

3 „ჭყაყოს ხიზნები“ პირველად გამოქვეყნდა „მნათობში“, 1924, № 7-8; 1925, № 1.

გმირს ნიშნავს. ამ თვალსაზრისით ყავო ახალი გმირია, ისევე როგორც ახალი გმირია არენა არლან, ან შევი ეაშაქიძე. მაგრამ მათ გვერდით ახალი გმირებია არსაქიძე, ვიორჯი რუსიკა და დავით აღმაშენებელი. მსგავსი გმირები, თავისი კონცეპციით, ხასიათის შექმნის პრინციპებით, მნიშვნელობით ჩვენს ლიტერატურას მინამდვილ არ აუსაბავს. „ახალი გმირი“ მხოლოდ ლიტერატურაში გამოჩენის პირველადობაზე მიუთითებს და მასში ერთიანდება გმირები ისტორიულ თუ, თანამედროვე თემებზე დაწერილი რომანებისა, დეტექტიური თუ ფანტასტიკური მოთხრობებისა. ასე რომ, ეს სინტაქსი ახალ ცხოვრებასთან ორგანულ კავშირზე ვერ მიგვანიშნებს.

„ახალი ადამიანი“, ბოლო ხანებში პრობლემა „ახალი ადამიანისა“, ლიტერატურაში საკმაოდ ინტენსიური შესწავლის საგანი გახდა, რაც გამოიხატა კიდეც ი. მ. გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ 1963 წელს გამოცემულ კრებულში «Литература и новый человек». ამ კრებულს შესავალ წერაში, ლიტერატურის მკვლევარ ი. ენსბერგის თქმით, გარკვეული აზრით ეს ცნება („ახალი ადამიანი“) იმდენად ფართოა, რომ მისი კვლევა შეიძლება უხავანდად მოგვეჩვენოს. მართლაც, ყოველ ეპოქაში თითქმის ყოველი და განსაკუთრებით ის სოციალური ჯგუფი, რომელიც ყალიბდება, წინ წამოსწევს ხოლმე თავის „ახალ ადამიანს“¹.

„იმ თხზულებებში, რომელთაც შეადგინეს ეს კრებული, უპირველეს ყოვლისა ის „ახალი ადამიანი“ იგულისხმება, რომელიც დაქვემდებარებულია თავისი დროის საზოგადოების განვითარების მოწინავე, პროგრესულ ტენდენციებთან და ამა თუ იმ თვისებით მომავალ თაობათა სიმპტომებსა და ინტერესს იწვევს“².

მაგრამ, ეს განსაზღვრა არსებითად „დადებითი გმირის“ განსაზღვრას თანხვედბა, ამასთანავე, თუ ყოველი სოციალური ჯგუფი წამოაყენებს „ახალ ადამიანს“, არ შეიძლება ის ყოველთვის საზოგადოების განვითარების პროგრესული ტენდენციების გამოხატველი იყოს, ეტყობა. ავტორი თვითვე გრძნობს ამ წინააღმდეგობას, როდესაც დამძენს: „მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ის „ახალი ადამიანი“, რომელიც ჩვენ გვანტერესებს, ყოველთვის იყო რევოლუციონერი, სოციალისტი და საერთოდ მოწინავე აზრის მატარებელი“³ (ხაზი ჩენი — ე. ი.)

თუ ეს გმირი ყოველთვის არ იყო „საერთოდ მოწინავე აზრის მატარებელი“, მაშინ იგი ყო-

ველთვის ვერც იქნებოდა დაქვემდებარებული „თავისი დროის საზოგადოების განვითარების“ მოწინავე, პროგრესულ ტენდენციებთან“⁴ (საქმობაში, შეიძლება „მომავალ თაობათა სიმპტომი“ ვერ დაემატებინა).

როგორც ვხედავთ, განსაზღვრება წინააღმდეგობაშია, ე. ი. მცდარიც.

ახალი ცხოვრება სოციალურ ძალთა დიდ წინააღმდეგობებით ხასიათდება და მისი განვითარების ტენდენციებიც საკმაოდ წინააღმდეგობრივია. სწორად ამ ტენდენციების გამოხატველად ხდებოდა ის „ახალი ადამიანები“, რომელთაც ესა თუ ის სოციალური წრე დაბადებს. უფრო სწორად, იქნებოდა ჯერ ადამიანის კონცეპცია თვით საზოგადოების ამა თუ იმ ნაწილში, ხოლო შემდეგ უკვე ლიტერატურა ქმნის „ახალი ადამიანის“ სახეს. და რადგან „ახალი ადამიანი“ ცხოვრებაში ახლად წარმოჩენილი ტენდენციების გამოხატველია, ეს ტენდენციები კი თავის მხრივ დადებითიცაა და უარყოფითიც. „ახალი ადამიანიც“ შეიძლება დადებითი იყოს ან უარყოფითი, პროგრესული ან რეგრესული. რუსულ ლიტერატურაში ახალი ადამიანია რახმეტოვი, მის გვერდით ახალი ადამიანია რახნოჩინელიც. XIX საუკუნის ქართული პროზა „ახალ ადამიანად“ შეიძლება მივიჩნიოთ სიმონა ძალაძეც, არჩილიც, ილიას „ოთარაანთ ჭერვიდიან“ და არდაზანის სოლომონ ისაკიჩ შევდიანოვიც.

„ახალი ადამიანი“ ლიტერატურაში ცხოვრების ახალი ტენდენციების გამოხატველია. იგი შეიძლება იყოს დადებითიც და უარყოფითიც. „ახალი ადამიანი“ ყოველთვის „ახალი გმირია“, ახალი გმირი კი შეიძლება არც იყოს „ახალი ადამიანი“. „ახალი ადამიანი“—საზოგადოებაში ადამიანზე ახალი კონცეპციის ჩამოყალიბების შედეგად იქმნება, მაგრამ რადგან ახალი კონცეპცია შეიძლება იყოს დადებითიცა და უარყოფითიც, ამდენად, ლიტერატურაში შეიძლება არსებობდეს „ახალი ადამიანის“ დადებითი და უარყოფითი ტიპები.

ჩვენი ლიტერატურისმკვლევითა, ბოლო ხანებში დიდ ყურადღებას უთმობს „ახალი ადამიანის“ შესწავლას, დადებითი და უარყოფითი გმირის პრობლემა კი თითქმის მივიწყებს. თუმცა თავის დროზე იგი ლიტერატურული გმირის კვლევის თითქმის ერთადერთი ასპექტი იყო. ცდილობდნენ დადებითი გმირი საბჭოთა ლიტერატურის ერთადერთ გმირად გამოეცხადებოდა, ცდილობდნენ გამოეჭრათ თარგი, რომელსაც დადებითი გმირი ეჭმეოდა, მაგრამ გასწვდებოდა ჩვენი ლიტერატურის მდიდარ გამოცდილებას. გურამ გვერდნითელი ვრცელ გამოკვლევაში დადებით გმირზე იძლევა ზოგად სურათს: „ერთნი ყოფნენ მათ (ლიტერატურის გმირებს ე. ი.) უზარალოდ დადებითად, სრულ დადებითად. მიახლოებით იდეალუ-

¹ Я. Эльсберг. Введение «Проблема «нового человека» в литературе». Крებ. «Литература и новый человек». М. 1963. გვ. 7.

² იქვე, გვ. 8.

³ იქვე, გვ. 8.

რებად და იდეალურებად¹, მეორენი—დადებით პერსონაჟებად და დადებით გმირებად² სხვანი ანსხვავებენ იდეალურ, ნახევრად იდეალურ და ყოფით გმირებს.მ. ზოგმა „მადალი რანგის დადებითი გმირის“ ცნების შემოკრანაც კი განიზრახა.³ 4⁵

„დადებითი გმირის“ გაფერტიშებამ ვერ გაუწია კარგი სამსახური ჩვენს ლიტერატურას და „დადებითი გმირის“ მიმართ იმ სევდისის მიზეზი გახდა, რომელიც იტრძნობოდა საბჭოთა მწერლების მე-2 ყრილობის წინ გამართულ დისკუსიაზე. თუ ჩვენს ლიტერატურისმცოდნეობაში „დადებითი გმირის“ პრობლემა კარგა ხანს წამყვანი იყო, ახლა ჩვენ მკვეთრად ვიბრუნეთ ზურგი და მასზე მსჯელბა თითქოს კარგი ტონის მანქანებლად არ ითვლება. „ახლა არავის არ მოუვია თავი აზრად ლიტერატურას მოსთხოვოს ერთიანი, საყოველთაოდ გამოსადეგი ეტალონი დადებითი გმირისა. დრომ გააბათილა ცდები შეექმნათ ასეთი ინდივიდუუმის განმსხვავებულ თვისებათა წესსა და ავრეთვე მისთვის განსხვავებულ აზროვნებას თუ უოფაქციებს წესები. მართალია, ახლაც გვხვდება ხოლმე რეციდივები ასეთი მოვლენებისა, მაგრამ მთლიანად ლიტერატურას უკვე აღარ ძალღს დაშინიანი ღიმილით არ შეხედეს წარმოდგენებს იმის შესახებ, თუ როგორ იუნდა იყოს დადებითი გმირი“.⁶

მაგრამ თუ „დადებითი გმირს“ არ ვაქცევთ აბსოლუტურ კატეგორიად, თუ შევთანხმდებით, რომ იგი შეფასებითი ტერმინია და აღნიშნავს ჩვენს დადებით დამოკიდებულებას ამა თუ იმ ლიტერატურულ პერსონაჟთან, მაშინ იგი კვლავ დაიკავებს თავის კანონიერ ადგილს ლიტერატურულ ტერმინთა შორის.

რა დისკვენები შეგვიძლია ვაგაყეთოთ ამ თეორიული წიაღსელიდან? თუ ჩვენი მსჯელობა მტკაღრი არ იყო, მაშინ, უნდა შევთანხმდეთ, რომ „ახალი გმირი“ — ამა თუ იმ ლიტერატურაში პირველად გამოჩენილი სახეა (პერსონაჟი), რომლის მსგავსაც ამ ლიტერატურამ არ იცის.

„ახალი ადამიანი“ — ცხოვრებაში შექმნილი (ან უფრო იშვიათად მწერლის მიერ ჩამოყალი-

ბებულო) ადამიანის ახალი კონცეპციის ლიტერატურული განსახიერებაა, ცხოვრების ახალი ტენდენციების გამოხატულება ცხოვრებაში ან რეაგრესულს.

„დადებითი გმირი“ — ლიტერატურული პერსონაჟის შეფასება ამა თუ იმ სოციალური თუ მორალური პოზიციებიდან.¹

„ახალი გმირი“, ისევე როგორც „ახალი ადამიანი“ ფაქტის კონსტატირებაა, „დადებითი გმირი“ — ფაქტის შეფასება.

1926 წელს სიმონ ჩიქოვანი ჟურნალში „ქართული მწერლობა“ წერდა: „ჩვენს პროზაში ადამიანის ძიება ჩანს“. სიმონ ჩიქოვანი აქ ახალი ცხოვრებას მშენებელი ადამიანის სახეს ვუღლისსმობს გაცვრით რომ გამოხენდა „წყლის ხიზნებში“ (წინას). დ. შენგელიას „კაც-შა“ (თბაგვარი) და ასევე მკრთალად რომ იჩენდა ხოლმე თავს ჩვენს პროზაში 1927 წლამდე. ამ დროისათვის ქართულმა მწერლობამ თითქოს, მოიხდდა წარსულის ვალი, კრიტიკულმა რეალიზმმა თქვა თავისი სიმართლე ახალი ცხოვრების ჩრდილოვან მხარეებზე და იგი უკვე ცდილობდა ამ ცხოვრების სიუეტებზე უფკვაევიანი სიტყვა ახალგაზრდა პარალეტარული მწერლები უფრო და უფრო დაეინებით ცდილობენ ახალი ცხოვრების მაღალმხატვრულად ასახვას.

1927 წელს ახალგაზრდა პოეტი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე ბუკვადს მოთხრობას „ხასი“, რომელშიც ცდილობს ახალგაზრდა ადამიანის, კოჰკემირულის სახე დაგვიხატოს. მაგრამ მისი გმირი, გუგა როგავა თავისი დამოკიდებულებით ვარე სამყაროსთან უფრო ჩავახშვილის თეიმურაზ ბევისთავის მიაგავს, ვიდრე კოჰკემირის ენერგიული შემყას და საგანგებო კომისიის თანამშრომელს. მართებულად შენიშნავდა ლავროსი კალანდაძე ამ გმირზე: „მისი რომანტიკული პოზა, მისი ვითომდა მონაზროვნება აზრებითად ევოკენტრიზმით მოღლილი და ვიძარცული სულის საბურველი“. გუგა როგავა მართლაც მტკად მკრთალი სახეა.

ასეთივე შედეგით თავდება იმავე მწერლის ცდა ახალგაზრდა ადამიანის სახის დახატვისა მოთხრობაში „პირველი დედა“, მაგრამ ეს მოთხრობა საყურადღებოა იმ პრობლემების გამო, რომელიც ამ ადამიანს უკვემარდება. ახა-

1 ასე იქცევა, მაგ., შ. ჩინუა თავის წიგნში „დადებითი გმირის პრობლემა ქართულ საბჭოთა რომანში“, თბ., 1955.

2 ა. ჩაილხოვილი, „ლიტერატურის თეორიის საკითხები“, ბათუმი, 1955.

3 თნფრისევის სტატია კრებულში «Ученые записки ИМЛИ», № 1, 1952 г.

4 შ. ჩინუა, ზემოთ მითითებული წიგნი.

5 გ. გვერდწითელი. თანამედროვეთა მხატვრული სახეები, გვ. 53, აღნიშნული სქოლორი 1-4 ამ წიგნის იმავე გვერდებზეა.

6 Арк. Ельяшевич. Герои истинные и мнимые. «Сов. пис.» М.-л. 1963. В. 35—36.

1. ევოქრობთ, მართებულად აქვს ჩამოყალიბებული ეს მოთხოვნები გურამ გვერდწითელს თავის დასახელებულ წიგნში, მაგრამ იგი ცნებასა და შეფასების კრიტერიუმს აიგივებს: „დადებითი გმირის ცნებაში ევლსსმობთ პროგრესული ლიტერატურის იმ მხატვრულ სახეებს, რომლებიც წარმოადგენენ ტიპურ, განუთვადებულ განსახიერებას, როგორც ეპოქის მოწინავე ტენდენციების, ასევე ხალხის საუკეთესო თვისებების, ჩვეულებისა და ხასიათის მატარებელი ადამიანებისა“, გვ. 54.

ლი ადამიანის დადებითა ტაპმა ახალი საზოგადოების ნორმებით უნდა იცხოვროს, მაგრამ როგორია ეს ნორმები? ავტორი ეძებს ახალ მორალურ კოდებს, რომელიც მოაწესრიგებდა ადამიანთა ურთიერთობას ახალ ცხოვრებაში. ეს მართო ლიტერატურული პრობლემა აღარ არის, ეს ცხოვრების მიერ დასმული ამოცანაა.

1929 წელს ჭვეყნდება პანტელეიმონ ჩიკვაძის „სართულები“, შემდეგ მისივე „ამბანავი ბუთხიზი“, ბ. ჩხიძის „ფერო“. მართალია, ამ ნაწარმოებთა დონე არ იყო მაღალი, მაგრამ სწორედ ისინია პირველი ცდა ჩვენს პროზაში ახალი გმირის შემოყვანისა—ახალი ცხოვრების მშენებელი ადამიანისა, ახალი მორალით, ახალი ბოგრაფიით, ახალი ინტერესებით.

ეს „ახალი გმირი“ უპირატესად ახალგაზრდა კაცია—სეთი კანონზომიერება არაა შემთხვევითი, ეტყობა, აქ თავი იჩინა ამ სახის სოციალურმა არსმა, რაც, სამწუხაროდ, ყვერ არაა შესწავლილი.

ახალგაზრდა ადამიანის სახეს ლიტერატურაში საკმაოდ ძველი და მდიდარი ტრადიციები აქვს. უმცროსი მძის მოტივი ფოლკლორში, შუალისა და მამის დაპირისპირება მითოლოგიაში და შვილის გამარჯვება, ამ სახის საკმაოდ დიდ ისტორიაზე მივითითებ, ფოლკლორისტიკაში საკმაოდ ბევრ მოსაზრებას ვხვდებით ამ სახის რაობისა და წარმოშობის შესახებ, დაწვებულს „ოლიმპოსს კომპლექსითა“ (რანცი) და გათავებულს პატრიარქალური ოჯახის რღვევითა და კლასობრივი წინააღმდეგობის წარმოშობით (მელეტენსკი).¹ მაგრამ რომელი ახსნაც არ უნდა იყოს მართებული,² ერთი რამ ფოლკლორში კანონიზებულია: ახალგაზრდა გმირი უპირისპირდება უფროს თაობას (ძმებს ან მამას), სკობნის მათ ჰკუთხ და იმარჯვებს, ჩვენ მოწმენი ვხვდებით თაბათაა ბრძოლის შორეული გამოძახილისა, ამ პერიოდიდანაც კი, როდესაც კლასობრივი წინააღმდეგობანი ყვერ არ ასეუბობდნენ.

როგორც ვხვდებით, არსებული უკაყოფილება და ძალთა თანაფარდობის შეცვლის სურვილი ამ გმირმა ყვერ კიდევ ფოლკლორიდან მიიღო. ფოლკლორიდანვე მიიღო მან იარაღე ეტყობა, ზღაპრის გმირი ან არაჩვეულებრივად ჭკვიანი ან არაჩვეულებრივად სელული, ან არაჩვეულებრივად მართალი და

ეთილი, ან არაჩვეულებრივად ლამაზი, ან არაჩვეულებრივად ძლიერი და ეს არაჩვეულებრივობა მისთვის გამარჯვების მეთეაბი, მეთეაბი იქცევა, ეს საში თვისება: არსებული უკაყოფილება, ძალთა თანაფარდობის შეცვლის სურვილი და არაჩვეულებრივობა ამ გმირის ლიტერატურაშიც გადაიყვანა და საუკუნეთა განმავლობაში ირუნდა თავს, მაგრამ ყველაზე მეტად მეტრამეტე საუკუნის გმირს—ახალგაზრდა კაცს სახეში გამოვლინდა. თუმცა ამას სოციალურმა და ლიტერატურულმა ფაქტორებმავე შეუწვეეს ხელი. ფაქტი უკი ერთია—ეს გმირი იქცა იმ კონკრეტულ ლიტერატურულ სახეზე, რომელიც თითქმის მთელი ასორმოცდაათი წლის განმავლობაში ლიტერატურისა და საზოგადოების ყურადღებებს ცენტრში იდგა. არ დარჩენილა რუსეთისა და ევროპის თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი მწერალი, რომ იგი არ აესახა.

მეოცე საუკუნის ცხრამათანი და ათათნი წლების პროზა უფრო მრავალფეროვანია ადამიანისა და საზოგადოების ურთიერთობის ასპექტთა ჩვენებით, მაგრამ მთელი სიმწკვავით, პიროვნებისა და საზოგადოების დამოკიდებულება, ადამიანი და მოვალეობა, ადამიანი და სოციალური, ადამიანი და ოჯახი რევოლუციის შემდეგ დგება.

ამ ფაქტს აქვს თავისი ყველაზე დიდი მიზეზი—რევოლუციები, რომელთაც გამოიწვეეს შეხედულებათა თუ ჩვენებათა გადასარჩევა ადამიანურ ურთიერთობათა ყველა სფეროში. ახალი საზოგადოება ახალ მორალს ქმნიდა, ახალ ეთიკას, ლიტერატურა ვაჩვენებს დარჩებულა და ეს ძიება ლიტერატურისაც ეტყობა. და როდესაც ჩვენ დღეს ვლაპარაკობთ თანამედროვე ჭართული ლიტერატურაში მორალური პრობლემების ახლებურად დაყენებაზე, უნდა გავიხსენოთ ჭართული საბჭოთა ლიტერატურის გამოცდილება, უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ ეს ძიება—ამ საუკუნის ოც-ოცდაათნი წლებში არანაკლები ინტენსივობითა და იქნებ უფრო მეტი მოქალაქეობრიობით ხსითადებოდა. მაგრამ საბჭოთა ლიტერატურის უღიდესი მონამოვარი მაინც ისაა, რომ მან ადამიანს ახალი თვალთ შეხვდა, მჭიდროდ დაეკავშირა იგი სოციალურ ჭერებს, საბჭოთა ლიტერატურისათვის პიროვნება საზოგადოებრივი ადამიანია, რომელიც იბრძვის ახალი ცხოვრებისათვის.

სანამ ჩვენი მწერლობა ამ აღმორჩენამდე მივიღოდა, მას წარსულის მეტად თავისებური ხარკი უნდა გადაეხადა, „საბჭოთა რომანისათვის დამახასიათებელი იყო თავისებური დამწვიდობება დასავლეთის ლიტერატურაში ასე ნათ-

¹ Мелетинский Е. М. Герой волшебной сказки (об. თავი Происхождение сказок о младшем брате и их роль в формировании сказочного эпоса). Изд. Вост. лит. М., 1958. გვ. 64-160.

² ალბათ ამ მოვლენას მიზეზთა კომპლექსი განსაზღვრავს სოციალურიც და ფსიქოლოგიურიც.

ყვარულეა უმოქმედო, რეველესიაში ჩაფლულ გმირთანა.¹

1921-26 წლების ქართული პროზისათვის სწორედ ეს დამწველობებმა დამახასიათებელი და თვითმარაბი, ბონდო ქილიაე, კონსტანტინე საყარასმიძე, ელიზბარე იმიტომ შემოიყვანა ჩვენმა მწერლობამ ლიტერატურაში, რომ დამწველობებშია მათ. თუმცა ეს გამოთხოვება იქნებ არც იყო საბოლოო, რადგან უკვლავ სრულყოფილი სხე ასეთი გმირისა—თარამ ემხვარა, უფრო მოგვიანებით შეიქმნა და იქცა უმოქმედობის ტრაგედიად. იმ კონკრეტულ ვაჟთაგანთა შსტერლის ტრაგედიად, რომელთაც დაუკავშირდა გმირის ბედი.

1927-32 წლებში უკვე არის ცდები შეიქმნას ახალი ადამიანის, —ახალი ცხოვრების მშენებლის სხე. მაგრამ იგი ხშირად ცალმხრივია, რისა მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ნიჟერების ხარისხში უნდა ვეძებოთ, შეიძლება პროზონებისა და საზოგადოების ურთიერთდამოკლებულების მდარ გავებაში, ან თვით ცხოვრებაში ამ მშენებლის სხის ჩამოყალიბების რთულ პროცესში. შეიძლება ამ ვითარებას მიზეზთა ბევრად უფრო რთული კომპლექსიც განსაზღვრავდა, რადგან რუსულ ლიტერატურაშიც ამ ეტაპზე მტად თავისებური მდგომარეობა შეინიშნება.

ოცდაათან წლებში საბჭოთა სინამდვილეში რამდენიმე რომანი შეიქმნა, რომელთაც ასახეს საბჭოთა სინამდვილე—სოციალისტური მშენებლობა. პირველ რომანებში ჩანდა პროცესი ამ მშენებლობისა და, სამწუხაროდ, ავტორთა სტრეულს ახალი ადამიანის ჩამოყალიბება ეჩვენებინათ, გამარჯვება არ მოპოვოლა. ასეთებია ამ დროის საუკეთესო რომანები: პირიეტა შავინაძის «Гидроцентраля», ლ. ლეონოვიან «Соть», ვ. კატაივის «Время, вперед», ფ. გლადკოვის «Энергия».

ოცდაათანი წლების მეორე ნახევრის რომანებში უკვე ჩანს, როგორ ვარდაქმნის ახალი ცხოვრება ადამიანს, და ლიტერატურაში შემოღობა ვმირება, რომელნიც ახალი ცხოვრების ვარემე არაბობანი იქნებოდნენ, ჩვენ ვართ მოწმე მათი ადამიანად ვახდომისა. ასეთია ა. მალიშკინის «Люди из захолустья» და ვ. პანფეროვის «Бруски». მართალი და ძლიერი ნაწარმოებები; მაგრამ მათში მთელი სიმძლიერე მინიჭ არ ჩანდა ახალი ადამიანი, ახალი ცხოვრება შეიქმნა. ძიებათა ამ გზაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ი. კრიშოვის «Тайкер „Дербент“», ხოლო მწვერვალი ამ ძიებისა მ. შოლოხოვის «Поднятая целина» ვახდლათ.

¹ М. Кузнецов. Личность, общество и современный роман. კრებულში Социалистический реализм и художественное развитие человечества. изд. «Наука», М., 1966. В. 539.

ახე ჩანს ზოგად ხაზებში ის ევოლუცია, რომელიც ვითარ ოცდაათანი წლების საბჭოთა რომანში, რომლის ცენტრშიც თავსდამხიურად წარმოების ისტორია იდგა, მჭერე კი პირიეტების ისტორია დადგა.

1927-32 წლები ქართული პროზისა სწორედ იმ გზების ინტენსიური ძიებაა, გმირის ჩამოყალიბების ეს პროცესი, რომელზეც ზემოთ იყო ლაპარაკი. არც „სართულებში“, არც „ახანავ ბეთებში“, არც „რომანტიკულ ამბებში“ (მ. ჩხიკვაძე), არც „პირველ დედაში“ (ე. ლორთქიფანიძე), არც „ფეროში“ (ბ. ჩხეიძე) არ ასახა მალაქმატერულად ახალი ცხოვრების მშენებელი ადამიანის სხე, პირველი ნაწარმოები, რომლის ცენტრში დგას მალაქმატერულად დაბრტული ცხოვრების ვარდაქმნელი გმირი, კონსტანტინე ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“ იყო, მისი ბეჭედა 1933 წელს დაიწყო ეტრინალმა „მნათობმა“. სწორედ ამიტომ, გმირის ევოლუციის ვათვალისწინებით, 1926-32 წლებს იმამდელი ქართული პროზის განვითარებაში ჩვენ ცალკე გამოვიყოფთ.

1935 წელს კონსტანტინე გამაბერდია აქვეყნებს რომანს „შთვარის მოტაკება“. ამ რომანში ქართული მწერლობა უმშვიდობება კლიმ სიმინის მაგვარ, მაგრამ მნიშვნელოვანად განსხვავებულ გმირს, — თარამ ემხვარს, რომელიც არ შეზღუდობინა თავის ხალხს, პირიეტა, სურდა რაიმე სიკეთე მოეტანა მისთვის, მაგრამ ვერ შესძლო.

თარამი ზედმეტი ადამიანია. ზედმეტი იმიტომ კი არა, რომ ადრე მოვიდა და დრომ ვერ გაუფო მას, არამედ იმიტომ, რომ მან მოსულა დააგვიანა და მას თვით აღარ ესმის დროისა. თარამი ანაქრონიზმია საბჭოთა საქართველოში, ეს ქმნის მისი ტრაგიკის საფუძველს, იგი შესანიშნავად იცნობს თავის სულს, იცნობს გარე სინამდვილესაც მაგრამ არ ესმის მისი. და ეს გუბეობა, ამ ინტელექტუალური ადამიანის ნების პარალიზების იწვევა. იგი იმიტომ კი არ არის უმოქმედო, რომ მას ენერჯია არა აქვს, არამედ იმიტომ, რომ არ იცნა რა უნდა გააკეთოს და როგორ. ეს მას ლეპავს კიდევ და მისი დაღუპვა ბევრად უფრო ვულსატყენია, ვიდრე კონსტანტინე საყარასმიძის სულიერი კრახი.

თარამი არაა კონკრეტულად საბჭოთა ხელი-სუფლებების წინააღმდეგე. იგი სავრთოდ იმ დროის წინააღმდეგეა, რომელმაც ტყენია მოიტანა და ხალხს —ველური ენერჯიის მარაკი— გამოყოფა. დღეს შეიძლება თარამის მსჯელობა, მისი მოქმედება უცნაურობად გვეჩვენებოდეს და არ იწვევდეს დაგმობის სურვილს, მაგრამ, არზაყანის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეტყობა მამინ სხვა დრო იყო.

თარამის გვერდით არის მისი ძმეძმეტი, „წი-რული მეთაური“ არზაყანი. თარამი თავადია, არზაყანი გლეხი და სოციალური ლოგიკით ისე-

ნი ერთმანეთს უნდა დაუპირისპირდნენ. მაგრამ თარაში მხოლოდ წარმომართა თვალი და, სავარაუდოდ, ამ პერიოდის საქართველოში, თავადობა, როგორც სოციალური ძალა არ არსებობდა. ალბათ, ესაა მიზეზი, რომ ავტორმა მეტად ორიგინალური გზა აირჩია თავის გმირთა დისპირისპირებლად. ისინი ამა თუ იმ სოციალურ პრობლემაზე კი არ შეაჯახა, არამედ სამყაროს აღქმის, აზროვნებისა და განცდის სხვადასხვა ხარისხით დაუპირისპირა ერთმანეთს. თანაც მათს ურთიერთობას ტრავმაში რომ გაყოლოდა, ისინი ერთი დედის რძით დააკავშირა, უნაზუსტო სიყვარულით შეაყვარა ერთი მეორე და სტრატეგიულ ორივეს ერთი ქალი მიუჩინა. ავტორის სურს ობიექტური იყოს და იქ, სადაც თარაში უნდა სჯობნიდეს არზაყანს, გაუნათლებელი „წითელი მეთაური“, თითქმის, არაფერში ჩამორჩება თარაშს, მაგრამ თუ დაუფიქრებდა, არზაყანი მაინც დაბლა დგას თარაშზე ინტელექტით, ავტორით, ტაქტით. მათი შეტაკებობა, თითქმის, მეტად რაინდული და ლამაზია, მაგრამ ფაქტიურად ეს დღეული თარაშის იარაღით ხდება—ცოდნით, განათლებით. არზაყანს არ ეძლევა საშუალება თავისი უპირატესობა გამოავლინოს, მას არა აქვს აქტიური მოქმედების, მტერთან უშუალო შეხამოლებანი, ახალი ცხოვრების შენების საშუალება. თუმცა თავისი მზრითაც არზაყანს ამ დღეული სხვა ეხმარება — ცხოვრება, თავისი რჩენის ლოგოკით და თარაშს ამარცხებს არა არზაყანი, არამედ ახალი ცხოვრება.

და მიუხედავად ამისა, „მთავრის მოტაცება“ მაინც თარაშ ემხარება დაწერილი, ზედმეტ აღამაინზე და არა არზაყან ზემოთაზე. ამ რამინით ქართულ საბჭოთა პროზა, თითქმის, გამოეთხოვა ზედმეტი აღამაინის კონცეპტუალურ სახეს.

„კოლხეთის ცისკარში“ გმირთა დამპირისპირება უფრო მეტად გამოხატული სოციალური ხასიათისაა, თუმცა არა ყოველთვის. რომანის ლერძად ორი ხასიათის ჭიდილი იქცა, მექონსა და ზაფიმიასი, მაგრამ ისინი ყოველთვის არ გამოხატავენ ამ ბრძოლაში თავისი კლასის სახეს, ზოგჯერ მათი ბრძოლა პიროვნულ მეტოქეობაში გადადის. „ხრიკენია“ არაა ზაფიმიას ღირსიერი მეტოქე, ისევე, როგორც ზაფიმიას არაა მექონს ღირსიერი მოწინააღმდეგე. მექონს ჩვენს თვალწინ იზრდება და მალდება კლასობრივ შეგნებაში. ზაფიმიას უფრო და უფრო დაბლა ეშვება. თავისი ინსტინქტების ტყვე, ოჯი მექონს, როგორც კლასობრივ მტერს კი არ ებრძვის, არამედ როგორც მისთვის არასასურველ პიროვნებას. ამიტომ მექონს გამარჯვება ხაყაშიაზე, ეს უკვე აღარაა დიდი გამარჯვება, თალიკოზე გამარჯვება კი ტრიუმფია. მექონსა და ზაფიმიას მეტოქეობასთან ერთად რომანს სიმწვავეს მატებს ბარნაბა საგანელიძისა და ტარასი ხაზა-

რამის ბრძოლა. ეს ბრძოლა ზოგჯერ შენიღბული, ზოგჯერ აშკარა, მაგრამ დაუქრებელი მკვეთრად გამოხატული კლასობრივი ხასიათისაა. ტარასის გამარჯვება მექონს გამარჯვება და ბარნაბას გამარჯვება კი ზაფიმიას გამარჯვებაა, სწორედ ამიტომ ეს ორი ხაზი რომანისა ორგანულად ერწყმის ერთმანეთს და მძაფრი კონფლიქტებით აღსავსე ფაბულას ქმნის, რომლის პერსპექტივი რომანის სიუჟეტურ ქარგად იქცევა.

მექონსა და ტარასის გვერდით რომანში ყურადღებას იპყრობს ასლან მარგველიძის, საშუალო გლეხის სახე. „სამპოთა სინამდვილის რევოლუციური განვითარებისა და გამარჯვების თვალსაზრისით არის ვადამწვეტილი რომანში ქართული მხატვრული ლიტერატურის სრულიად ახალი ტიპის — საშუალო გლეხის ტიპის შექმნის პრობლემა. ასეთი ტიპის შექმნის მოთხოვნილება უკვე მომწიფებული იყო სოფლად დიდი გარდაცვლის პერიოდში.“¹

ვლადიმერ ილიას ძე ლენინი წერდა, რომ უნდა განესაზგავოთ ერთმანეთისაგან შრომული გლეხი და მესაქუთრე გლეხი, მაგრამ ეს ძალზე ძნელიაო, რადგან ცხოვრებაში ყველა თვისება გლეხისა, რა განსხვავებული და წინააღმდეგობრივნიც არ უნდა იყვნენ ისინი, ერთ მთლიანობად არის შეკრული.

კოსტანტინე ლორთქიფანიძემ მაღალმხატვრულად შესძლო ამ წინააღმდეგობრივი ბუნების ამოხსნა. ასლან მარგველიძის შემდეგ შემოიღწა ჩვენს პროზაში კაც ზემამია და გიორგი სოლონიძე (გველეხი ბიჭა) — საშუალო გლეხები. მათშიც ინდივიდუალურად და მაღალმხატვრულად აისახა ამ გლეხის მეტად რთული ბუნება.

მაგრამ მთავარი მიღწევა „კოლხეთის ცისკარის“ ავტორმა მაინც მექონს ვაჟიძე იყო. მართალია, მექონს ბიოგრაფია არის ილუსტრაციის ახალი ცხოვრების კანონისა — „უკანანი წინ და წინანი უკან“, მაგრამ მექონს არ ყოფილა ჩვეულებრივი მოქაზავი, მის სულში სხვათაგან განსხვავებული ბევრ აზრებულბრივ თვისებას ქმნა, ახალმა ცხოვრებამ გამოაღვიძა, უფრო სწორედ გააცოცლა მექონს და მისი სულის პოტენცია რეალბად აქცია.

მექონს ვიზიარა თავისი ხალხის ბუდი და წაწილობრივ ამ ბუდის გამოხატულებადაც კი იქცა. რამაც უნდა ვეძებოთ მისი ცხოველყოფილობის უზარებელსი მიზეზი, მაგრამ ნერვ იმას დაავიწყებულ, რომ სურდა თუ არ სურდა ავტორს, მან ჩვეულებრივი კი არა, არა ჩვეულებრივი აღამაინი დაგვიხატა. ეტყობა, ამ თავი იზინა იმ ტენდენციამ, რომელზედაც ზე-

¹ გიორგი მერკვილიძე, „თვალთახედვა მხატვრისა“, „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბ., 1963, გვ. 137.

მთ ზღაპრის გმირთან დაეკვირვებით გვექნდა საუბარი და კიდევ იმან, რომ, გოეთეს სიტყვით რომ ეთქვათ, „სანამ ჩვენ ავსახავთ საერთოს, ყველას შეუძლია მოგვებაჲს. მაგრამ განსაკუთრებული არავის არ შეუძლია წაგვართვას. რატომ? იმიტომ, რომ სხვის არ ვანუცდია იგა.“

შექმს გარდაქმნა ახალი ცხოვრებისათვის, აღნებსწორედ ამ არაჩვეულებრივობის გამო არ იყო ძნელი, მაგრამ აი, მწერლობაში შემოდის თითქმის „ჩვეულებრივი გლეხი“, ყოველშემთხვევაში, უკვე დასრულებული პიროვნება, რომლის სულშიც არ დევის ისეთი ლამაზი გრძნობანი და სურვილები, შექმს რომ ჰქონდა (გარდა ერთისა — გვედი ბიგვას ებრალება თავისი ხუთი შვილი) და ახალი ცხოვრება თითქმის სასწაულს ახდენდეს, შეუძლებელს შესძლებს — ქურდბაცავი, ზარბაცი და მატყურა გვიდის საკეთარი პიროვნების მნიშვნელობის შეგნებით იავსებს და ადამიანად იქცევა.

ჩვენ ვხედვით მოწვე სოციალური ბრძოლისა არა ადამიანებს შორის, არამედ ბრძოლისა თვით ადამიანში, როდესაც ახალი მშარტებს ძველს, დამაჩერებელი და ამბლეშეულია ეს გამარჯვება ახლისა.

ღერ ქაბელის „გვადი ბიგვაში“ ჩვენ ისტორიის სიმართლეს ვგრძნობთ და, მწერლის დიდი ისტორიის წყალობით, გვეჭრა ადამიანის ისეთი უცარი ფერაცვლება.

„გვადი ბიგვა“ დაიწერა 1936 წელს. ფაქტიურად ეს იყო უკანასკნელი ნაწარმოები ომამდელ ქართულ პროზაში, რომელშიც დავინახეთ თუ ახალი ცხოვრება როგორ ცვლის ადამიანებს.

აქვე გვიჩნდა ერთი საყურადღებო მომენტიც აღვნიშნათ.

ოცდაათიანი წლების ჩვენს პროზაში დამკვიდრებული სახე გარდაქმნილი ადამიანისა, ერთფეროვანია, იმ თვალსაზრისით, რომ იგი სოფელ კაცს ასახავს. არც ერთ რომანში არ არის მაღალმატერულად გაანალიზებული ქალაქელი ადამიანის სახე, ის ძვრები, რაც ქალაქში მოხდა. ეს კი მიუთითებს ჩვენი ლიტერატურის ნაკლებზე.

ის ურბანისტული ტენდენციები, რომელნიც მიხვილ ჭავჭავიძის პროზაში იჩენს თავს, შემდეგ მხოლოდ რაედენ გვეტაძის შემოქმედებაში ნახულობს განვითარებას და ჩვენი

პროზა ფაქტიურად ისევ აგრძელებს მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობის წახსოფელი და სოფელი ადამიანი მასტრისკაგა ხანს პირველ პლანზე ჩიება.

„კოლხეთის ცისკრისა“ და „გვადი ბიგვის“ გამოჩენა ჩვენს მწერლობაში მიუთითებდა სოციალიტური რეალიზმის ვაბატონებზე. მაგრამ ამ ნაწარმოებთა გვერდით იქმნება „მთვარის მოტაცება“, რომლის მთავარი გმირის, თარამ ეშხვარის ანალიზი გვიძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ იგი უფრო რომანტიული პლანის ნაწარმოებია.

1936 წელს მიხვილ ჭავჭავიძის წერს „ქალის ტვირთს“, რომის რეკლუციანზე.

ოცდაათიანი წლებში მეტად ვაფართოვდა ქართული მწერლობის პირობონტი, ჩვენი პროზაიკოსები ქმნიან ისტორიულ რომანებს არა მარტო რევოლუციური (ნ. ლორთქიფანიძე — „ბილიკებიდან ლიანდაგზე“, მის. ჭავჭავიძე — „ქალის ტვირთი“, რაედენ გვეტაძე — „კლიკიონა“, ს. კლდიაშვილი — „ფერფლი“, ა. ქუთათელი — „პირისპირა“), არამედ შორეული წარსულიდანაც (მის. ჭავჭავიძის „არსენა მარაბდელი“, კონსტ. გამსახურდია „დიდოსტატის მარჯვენა“.)

ოცდაჩვიდმეტი წლის შემდეგ ცხოვრების ჩვეულ რიტმში ზოგი რამ დაირღვა. ეტყობა საჭირო იყო გარკვეული დროის გასვლაც, რომ მწერლობის წინაშე დასმულიყო ახალი პრობლემა, ცხოვრებაში ჩამოყალიბებულიყო ახალი ადამიანის კონცეპცია... უნდა გაუღლიყო დრო... მაგრამ დრო სულ სხვა პრობლემები და სხვა სატყეობი მოიტანა, რომელიც არც დაყოვნებას ითმენდა და არც უოყმანს. მოვიდა 1941 წელი და ლიტერატურაში კარგა ხნით დამკვიდრდა ორი სახე ახალი ადამიანისა — საშობლოს დამცველისა და უცხო დამპყრობის სახეები. ჩვენი კვლევის ფარგლებიც მხოლოდ ამ წლამდე წვდება.

ასეთია ჩვენი დავიკრებებით ომამდელი ქართული საბჭოთა პროზის გმირის ევოლუცია. ფაქტიურად, ეს არის მხოლოდ მიმოხილვა და საკითხთა დასმა, რადგან, ჩვენი აზრით, სანამ არ შეისწავლება გარკვეულ საკითხთა წყება, კითხვებზე, როგორია ომამდელი ქართული საბჭოთა პროზის გმირი, ამომწურავ პასუხს ვერ გავცემთ.



ქართული საბავშვო ლიტერატურის კრიტიკის ძირითადი პრობლემები

ქართული საბავშვო ლიტერატურის წარმოშობასთან ორგანულად არის დაკავშირებული მისი კრიტიკის წარმოშობა და განვითარება. ეს საკითხი ცალკე, საპედაგოგიური მეცნიერული კვლევის საგნად ჯერ არ გამხდარა. ქართული საბავშვო ლიტერატურის ესთეტიკური კონცეფციის ჩამოყალიბებული, მეცნიერულად არგუმენტირებული სრული კურსი ჯერჯერობით დაწერილი არ არის, ხოლო ასეთის შექმნის ოცნებებშია უკვე იგრძნობა; სხვაგვარად არც შეიძლება იყოს, რადგან საბავშვო ლიტერატურის თეორიისა და კრიტიკის შესწავლის გარეშე საბავშვო ლიტერატურის ისტორიის დაწერაც არ შეიძლება.

საბავშვო პერიოდული გამოცემათა და ცალკეული საბავშვო მწერლის შემოქმედების ანალიზისას გამოჩენილი ქართული კრიტიკოსები გამოსთქვამდნენ და გამოსთქვამენ ფრიალ სერაოზულ მოსახრებებს საბავშვო ლიტერატურის მიერ რაც პრობლემებზე, მაგრამ ეს მხოლოდ ეპიზოდურ ხასიათს ატარებს. არ მომხდარა უკვე ამათი ისტორიულ ასპექტში განხილვა, მათი კლასიფიკაცია გარკვეული პრინციპის მიხედვით და შედეგების განზოგადება.

დღემდე არ არის შესწავლილი, როგორც საპედაგოგიური საკითხი, ქართული საბავშვო ლიტერატურის ესთეტიკური კონცეფციის ფორმირება-ჩამოყალიბება მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, რაც ქართული საბავშვო ლიტერატურის თეორიისა და კრიტიკის ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემათაგანია.

საბავშვო მწერლისა და კრიტიკოსის წინაშე, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, იმაზე დიდი პრობლემა არ იდგა, როგორც იყო ერთდროულად საბავშვო ლიტერატურის, საბავშვო მწერლობის ჩამოყალიბება და განვითარება.

ამ ისტორიულ საქმეში მწერალთა და კრი-

ტიკოსთა ერთიერთდამოკიდებულება, ბრძოლა საერთო ინტერესების საფუძველზე, კრიტიკის მიერ საბავშვო ლიტერატურის სპეციფიკაზე შეხედულებათა ჩამოყალიბება გარკვეული სისტემის სახით, საბავშვო ლიტერატურის განვითარების გზების ჩვენება პედაგოგიურ მეცნიერებაში ახალი თაობის აღზრდის საკითხთან დაკავშირებით წამოჭრილ ეპოქისეული მოთხოვნილებების გათვალისწინებით, ქვეშაირიტად იყო უღიღესი ისტორიული ვალდებულება.

საბავშვო მწერლობაში მხატვრული სახის პრობლემა კრიტიკის ცენტრალური ყურადღების საგანი უნდა ყოფილიყო, რადგან მხატვრული სახე არის ცხოვრების ასახვის თავისებური ფორმა, რომელსაც აქვს დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა. მისი შექმნაში ბავშვი იღებს გარკვეულ ცოდნას, გარკვეულ წარმოდგენას. ეს უკანასკნელი კონკრეტულად ვლინდება იმ გრძნობაში, რომელსაც ეს სახე იწვევს ბავშვში, როდესაც ნაწარმოებში ასახული სურათი, გმირის ხასიათი, მოქმედება, ქცევა, მიზანწრაფვა იწვევს მასში თანაგრძობას ან მის უარყოფას. მაგრამ მხოლოდ ეს არაა საქმარისი. ამ შემთხვევაში მთავარია ბავშვი მისწავლეს, შეგნებულად გაიგოს ნაწარმოების დედაში და ესთეტიკურად გაიზიაროს ამ ნაწარმოებში ასახული სინამდვილე. ამას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა იმიტომ, რომ მწერალი სინამდვილეს შეიყვაროს და გადმოსცემს მხატვრული გამომსახველობითი საშუალებებით საზოგადოებრივი იდეალებისა ან კიდევ მისი საწინააღმდეგო პოზიციებიდან; საბავშვო ნაწარმოებში ან კიდევ ბავშვთათვის, მოზარდლთათვის საპედაგოგიურად დაწერილ ნაწარმოებში ისე როგორც ზოგად მხატვრულ ლიტერატურაში, უდაოდ ირკვევა როგორც ესმის მწერალს ცხოვრება, როგორც დამოკიდებულებაშია იგი საზოგადოებრივ ძალებთან და როგორ აფასებს მას, რაც თავის მხრივ იმ ისტორიულ პირობებზეა დამოკიდებული, რომელშიც ის იმ-

ყოფნა, ცხოვრობს, აზროვნებს. საბავშვო მწერლის ვიწროები და აზრები, რასაც იტყუა, მტკიცედ იმაში, თუ რაზე და როგორ ამბობს თავის მხატვრულ ნაწარმოებში. სწორედ ამ პოზიციიდან არჩევს იგი მის ირგვლივ მყოფ ცხოვრების უამრავ მასალიდან მისთვის საინტერესო მოვლენას და ამაშიც კი უმთავრესს. არსებობს, რაც საბოლოოდ ექსპოზება საბავშვო მწერლის იდეურ პოზიციას.

ახალგაზრდობის სახალხო ინტერესების მიხედვით აღზრდის ამოცანა კი მოითხოვს ბავშვებს წასაბუთებელ მხოლოდ შერჩევით მიეცეს ისეთი ნაწარმოებები, რომლებშიც მაღალი ოსტატობით არის გადმოცემული საზოგადოებრივი იდეები, სახალხო ინტერესები.

ამიტომ ბავშვებისათვის დაწერილ მხატვრულ ნაწარმოებში საბავშვო მწერლობამ კონკრეტული ვიწროის მოქმედების მიხედვით უნდა უზრუნველყოს ის გზა, რომელსაც მოხუცება ადამიანი ბედნიერებისათვის ძიებაში, ცხოვრების სიღამაზით დატკობისათვის და გააგებინოს აგრეთვე ის საშუალებები, რითაც უნდა მიღწიოს ამ საოცნებო მიზანს.

უდაოა, რომ ლიტერატურულ კრიტიკას უნდა ეწინააღმდეგოს კონკრეტულ ფორმებში, ამით უნდა საბავშვო მწერლის ნაწარმოებში მოცემული სახეობა სისტემაში თუ რამდენად სწორად არის გახსნილი ადამიანთა სულიერი სამყარო, ობიექტურია სიხამდელი, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მოვლენებზე შეხედულებანი, მოსაზრებანი და როგორაა გადმოცემული მწერლის ოსტატობის რთული პრობლემა.

საკითხი იმის შესახებ, რომ საბავშვო მწერლობა თავის ნაწარმოებში აუცილებლად ბავშვთა სახეები, ადამიანთა ურთიერთობა ასახოს სიმართლით, შეუფერავად, ცხოვრების განვითარების კანონზომიერი ტენდენციებისა და პერსპექტივის ტიპურ გარემოში ჩვენებით, იყო უაღრესად დიდმნიშვნელოვანი; ბუნებრივია, რომ ეს მოთხოვნანი არა მარტო თეორიულ ასპექტში უნდა ყოფილიყო განხილული, არამედ კონკრეტული პრაქტიკული ღირებულების მქონეც უნდა ყოფილიყო, რამდენადაც ყველა ეს საკითხი მეტად მტკიცებულად იყენიდა თავს საბავშვო მწერლის მსოფლმხედველობისა და ოსტატობის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემებთან.

და ეს მაშინ, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც ახლად ყალიბდებოდა ეროვნული საბავშვო ლიტერატურა. ასეთ ვითარებაში საბავშვო ლიტერატურის კრიტიკის ბუნებრივად მიკეთებულად უნდა იქნებოდა ოსტატობის როლი, რადგან „კრიტიკა არის განხილვა, განსჩერება, გარკვევა, გარჩევა და დაფასება ერთად, რაცა რომელსაში საგანს ფასსა

სდებს ეაცი, ჭერ იმის ღირსებას იტყუა (თუ აქვს ღირსება) და დაამტკიცებს, მერე... შინა-ქანს შეინდამ და გარკვამს სხვადასხვა სახის თვისებასა, არსებობს ექვსა და ერთგან და მერე სწინაეს მართალ საქორხედა“¹.

ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა ერთი მნიშვნელოვანი გარემოების აღნიშვნაც, რომელსაც არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს, როდესაც ეროვნულ საბავშვო ლიტერატურის კრიტიკის წარმომოხა-ვანეთაგანაზე შევჩერდებით; დიდი ილია ვასული საუკუნის ოთხმოციან წლებში გულისტკივილით აღნიშნავდა ჩვენში კრიტიკის უქონლობას, მაგრამ ამის მიზეზად არ მიაჩნდა ჩვენი ლიტერატურის თითქოს უშინაარსობა, როგორც ამას ზოგიერთები ფიქრობდნენ. აქაც ამასვე აღნიშნავდა ხახვასიანი და იქვე მიუთითებდა ქართული ლიტერატურის სიამაყეთა რუსთაველის, ბარათაშვილისა და ქავჭავაძის შემოქმედებაზე, რითაც აქარწყლებდა მცდარ აზრს კრიტიკის უქონლობის მიზეზის შესახებ; ამასთან დაკავშირებით აქაც წერდა: „ჩვენი ქართული მწერლობის ნაკლი ის არის საზოგადოთ, რომ კრიტიკისები არ გვყავს და კრიტიკა არ გვაქვს. ყველა ის მიანიჩა საყოველთაოდ ქარვად, რაც თვითონ მოსწონს და იმას სდებს წუნს, რაც არ ეკეშმარტება“².

ყოველივე ეს თანაბრად შეიძლება გაეაგრესოთ იმ დროისათვის ახლად ფეხამდგარ ქართული ეროვნული საბავშვო ლიტერატურაზედაც.

მაგრამ ქართულ სამოციანელთა ესთეტიკური კრიტიკა იყო საბავშვო ლიტერატურისათვის წარმმართველი ინტელექტუალური ძალა, რომლის სულისჩამდგმელნი იყენენ ილია, აკაკი, ვიქო, აკაკობი, ვიოროგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე და სხვ.

კლასიკოსთა შეხედულებანი მხატვრული ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის, ტიპური სახეების, ენისა და სხვა უმნიშვნელოვანეს ლიტერატურულ პრობლემებზე იყო ის ცხოველმყოფელი წყარო, საიდანაც სათავეს იღებდა ქართული საბავშვო მწერლობის კრიტიკა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში და რომელიც შემდგომ პერიოდში განვითარების მაღალ დონის მისაღწევად მკვიდრ საფუძველს წარმოადგენს.

შემთხვევით არ უთქვამს აკაკის, რომ მწერალი იგივე მუდამოგია: ასაზოგადოდ მწერალს ისე ვუყურებ, როგორც პედაგოგს, სხვების გამზრდელსა და გამწერთელს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მწერლის საბავშვო უფრო

¹ ილია ქავჭავაძე, თხზ., სრული კრებული, 1953, ტ. 3, გვ. 34.

² აკაკის თეორიული კრებული, 1897, № 1.

დიდა. მასწავლებელი რამდენსამე მოწაფესა წერათნის და მწერალი კი მოელ ხალხს, და არა მარტო აქმუშაო, — მომავალშია.¹

მხატვრული რეალიზმის პრინციპები და პროგრესული პედაგოგიური მოძღვრება წარმოადგენს საბავშვო ლიტერატურის, მისი კრიტიკის წარმოშობისა და განვითარების საფუძველსა საფუძველს. ამას აღასტურებს ილია ქაქვიძის კრიტიკული რეალიზმის პრინციპებისა და იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური მოძღვრების პარაზონული ერთიანობის კეთილსაქურველი შედეგები ქართული საბავშვო მწერლობის წარმოშობისა და განვითარების ისტორიაში.

დიდი პედაგოგი მოითხოვდა საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის ყოველმხრივ მომზადებული „ახალი ტიპის“ აღმზიანის, „ახალი ტიპის ქართველს“ აღზრდას; იგი უნდა უფილიყო ფიზიკურად, გონებრივად, ზნეობრივად და ესთეტიკურად სრულყოფილად განვითარებული. მაღალი მორალით, შრომისმოყვარეობით, შეგობრობით, პატროსნებით, სიყვითით აღტურებულ, ამავე დროს ჰუმანიზმის, პატრიოტიზმის, ინტერნაციონალიზმის კეთილმოზობილი გრძნობით სავსე. ყოველივე ეს შეიძლებოდა განხორციელებულიყო იაკობ გოგებაშვილის დიდაქტიკის პრინციპების საფუძველზე დედანის საშუალებით. ერთი მხრივ ილია ქაქვიძის ქართული მხატვრული სიტყვისა და კრიტიკული აზრის სიდადე. მეორე მხრივ იაკობ გოგებაშვილის პროგრესული პედაგოგიური მოძღვრება ჰქმნიდა ეროვნული საბავშვო ლიტერატურის, მისი თეორიისა და კრიტიკის სათავეს.

ცალკეული საბავშვო ნაწარმოებების გამოჩენა, საბავშვო პერიოდული გამოცემათა დაარსება, მსოფლიო საბავშვო ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებების გადმოთარგმანა ქართულ ენაზე, პრესისა და ეურნალების ფურცლებზე კრიტიკული წერილების ბეჭდვა საყმაწვილო მოთხოვნების, საბავშვო მწერლობის შესახებ, უკვე ჰქმნიდა იმ შემოქმედებით ატმოსფეროს, რომელშიც, მიუხედავად დიდი დაბრკოლებებისა და შეზღუდვისა, განვითარებას პოულობდა ქართული საბავშვო ლიტერატურის რეალისტური მიმართულება, მისი კრიტიკაც.

ყოველივე ეს მოითხოვს იმ მნიშვნელოვანედა ფაქტორების საფუძველზე, შესაძლებლობის ფარგლებში, ჩამოყვალბობით ქართული საბავშვო ლიტერატურის კრიტიკის ძველითადი პრინციპები, მისი არსი, ის ძირითადი მოთხოვნანი, რომლის საფუძველზე შეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში უნდა განმტკიცებულიყო და შემდგომი განვითარებისათვის მიეღწია ქართულ

საბავშვო ლიტერატურას და კერძოდ კი სიტყვაჯამულ საბავშვო მწერლობას.

იაკობ გოგებაშვილი არა მარტო ფუძემდებელია ქართული საბავშვო სიტყვაჯამული მწერლობისა, არამედ მისი თეორეტიკოსი და კრიტიკოსიც.

მართალია, იაკობ გოგებაშვილს საბავშვო ლიტერატურის თეორიისა და კრიტიკის პრობლემებზე საკითხებზე ცალკე საკვალური შრომა არ დაუწერია, მაგრამ მისი ყოველდღიური მზუნველობისა და საგანგებო ყურადღების არეში ყოველთვის იყო მოქცეული ყველა ის მოვლენა, ყველა ის საკვიბრობოტი საკითხი, რომელიც კი წამოიჭრებოდა ეროვნული საბავშვო ლიტერატურის შექმნასთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, ამ საქმეში უმნიშვნელოვანესო პრობლემების გადაწყვეტი თვითონ იყო.

იაკობ გოგებაშვილის მიერ სასწავლო-სამეცადინო საბავშვო წიგნების შექმნასთან დაკავშირებით ან კიდევ ცალკე (მხატვრული ნაწარმოების, ლიტერატურული ზღაპრის, იგავ-არაკების, საბავშვო პოეზიისა და პროზის, მეცნიერულ-ფანტასტიკური ლიტერატურის, გეოგრაფიული ნარკვევებისა, მოგზაურთა წერილებისა თუ გამოცანების ფორმისა და შინაარსის), საბავშვო ნაწარმოების ენის ბიეგტურად განსჯასა და შეფასებაში მოცემული უაღრესად პრინციპული, მნიშვნელოვანი მისასახრებანი და თეორიული დებულებანი, უკველად წარმოადგენს იმ მდიდარ მემკვიდრეობას, რომელზედაც არის დაფუძნებული ქართული საბავშვო ლიტერატურის კრიტიკა.

საბავშვო ლიტერატურის შესახებ იაკობ გოგებაშვილის თეორიისა და კრიტიკის სისტემის ძირითად წყაროს წარმოადგენს: 1. პედაგოგიური მოძღვრება და 2. ლიტერატურული შეხედულებანი. შათი დიდაქტიკური ერთიანობა ემშველდა ჰქმნის ი. გოგებაშვილის თეორიულ შეხედულებათა საფუძველს, მის ესთეტიკურ კონცეფციას, რაც კონკრეტულად მისივე მხატვრულ შემოქმედებაში ბრწყინვალედ არის ხორკშესხმული. ამგვარად იაკობ გოგებაშვილის როგორც ქართული საბავშვო ლიტერატურის, საბავშვო მწერლობის ფუძემდებლის, როგორც მისი თეორეტიკოსისა და კრიტიკოსის განმსაზღვრელი ვახდა: 1) სამი წყარო: ა) პედაგოგიური მოძღვრება; ბ) ესთეტიკური კონცეფცია; გ) მხატვრული შემოქმედება და 11) სამი სინამდვილე: ა) წარსული, ბ) აწმყო, გ) მომავალი.

შეიძლება ითქვას, რომ საბავშვო ლიტერატურაზე ი. გოგებაშვილის შეხედულებათა სისტემის თეორიულად ჩამოყალიბება დაიწყო „დე-

¹ აკატის თეორი კრებული, 1898, № 6, გვ. 9.

და ენის“ და „უნების კარის“ შექმნითა და პირველი საბავშვო ეტრნალის „ნობათის“ გამოსვლასთან დაკავშირებით; საბავშვო ეტრნალის შინაარსისა და ხასიათის განსაზღვრა, ეტრნალში მოთავსებული მასალების კრიტიკული შეფასება, ახალი თაობის აღზრდის შესაბამისად მხატვრული სიტყვის ფუნქციის განსაზღვრა და საერთოდ საბავშვო ლიტერატურის პრინციპობაზე მისი შეხედულებანი კიდევ უფრო მტკიცედ ჩამოყალიბდა იმ პაექრობაში, რომელიც განსაკუთრებით დაიწყო მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებიდან ამ პაექრობაში თავიანთი ლიტერატურულ-კრიტიკული მოსაზრებანი გამოთქმული აქვთ ილიას, აკისის, ჯ. აბაშიძის, სტ. ჭრელიშვილის, ივ. გომართელის, ლ. ბოცვაძის, ალ. შირიანაშვილის, თ. ხუციყვაძის, მ. ნასიძის, ნ. ნიკოლაძის და სხვ.

ახრთა პრინციპიალური სხვადასხვაობა, შეხედულებათა მორთილებელი, მწვევე შეკახება ქართული საბავშვო ლიტერატურის კრიტიკის ისტორიისათვის მეტად საყურადღებო მოვლენას წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, რომ ზოგ შემთხვევაში შეინიშნება უზუსტობა, შეხედულებათა მცდარობა თუ არა ობიექტურობა, მაგრამ ამ ლიტერატურულ პაექრობაში ჩამჭულია გაცხარება თუ შვილი განსჯა უშეალოდ გამომდინარეობდა ქართული ეროვნული საბავშვო ლიტერატურის შექმნის, განვითარების, მისი სრულყოფის სასიცოცხლო ინტერესებიდან.

ახლა როდესაც ჩვენ ამ პაექრობიდან დიდი დრო გვაშორებს, ცივი გონებით შევკვილია განვიხილოთ მათი მოსაზრებანი და კმაყოფილებით აღენიშნოთ თვითნებელი მათეობის დიდი ღვაწლი ქართული საბავშვო ლიტერატურის კრიტიკის პრინციპების დადგენის საქმეში, საბავშვო ლიტერატურის მიზნისა და ამოცანის ცხადად გამოკვეთაში, ჩამოყალიბებაში.

ეტრნალი „ნობათის“ გამოსვლა იაკობ გოგებაშვილს მოაჩნდა ჩვენი ლიტერატურის მიერ წინ ვადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯად¹, რადგან ეს იყო ახალი ნაბიჯი „ჩვენს ნიადაგზედ, ჩვენს შორის ვადადგმულ“, რაც უპირველეს ყოვლისა ეროვნული საბავშვო ლიტერატურის წარმატების მანქანებელი უნდა ყოფილიყო. ამგვარად, სიტყვები „ჩვენს ნიადაგზედ, ჩვენს შორის ვადადგმული“ ნაბიჯი, ის აუცილებელი და საამაყო გრძნობის შემცველი მოვლენა იყო, რომელსაც მყარი ნიადაგი უნდა შეექმნა ეროვნული საბავშვო ლიტერატურის შექმნისა და განვითარებისათვის.

ეს დიდი ვალდებულება ი. გოგებაშვილს ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი და ზუსტად განსაზღვრავდა ეტრნალის ისტორიულ როლსაც.

საყმაწვილო ლიტერატურაში თვალსაჩინო

ადგილი უჭირავთ პერიოდულს გამოცემათა, საბავშვო ეტრნალი, რომელშიაც აღგზნდა მსგავსი მხოლოდ ნიჭიერ ნაწარმოებთა, ანუ მსგავსებით საესეთა, ბევრს სიკეთეს დასთესავს მონარდ თაობაში, ბევრს მაღალ აზრს ჩანერგავს მის გონებაში, ბევრს ღრმა გრძნობას ჩაუსახავს და აღზრდის მის გულში, ბევრი კეთილშობილური, მუმანიერის მისწრაფებით შეამკობს და სხვა ფაქტორებთან ერთად სამშობლოს მოუშნადებს ბევრს მხნეს და გულწრფელს მამულის შეილსა².

დიდ პედაგოგს მიაჩნია, რომ საყმაწვილო ეტრნალი თავის უმაღლეს ვალს — სამშობლოს მოუშნადის გულმართალი და გვირული მამულის შეილები — იმ შემთხვევაში შეასრულებს, როდესაც მხატვრული ნაწარმოების მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს ორგანულად დაუკავშირდება პედაგოგიურ მოსაზრებათა ძირითადი პრინციპები: მხატვრული პრინციპებისა და პედაგოგიური მოსაზრებათა პარამონული ერთიანობა არის საბავშვო ეტრნალის წარმატების საფუძველი.

და თუ მანქანი შეხედულება „ნობათის“ მიმართ ვერ გამართლებდა, გოგებაშვილს მტკიცედ სწამს, რომ ასეთ შემთხვევაში, ამ სამყურად მოვლენის მიზეზი „სრულიად არ იქნება საზოგადო მოუშნადებლობა, არამედ იგი უნდა მიეწეროს „კერძო უხეირობას“³ ი. გოგებაშვილს ეს სიტყვები იმისი მინიშნებაც იყო, რომ საბავშვო ეტრნალის შეკვიდრ ნიადაგზე დაყენებისათვის საჭიროა უმაღლესი ვალის შეგნებულად გააზრება, საზოგადო ამოცანების სომალღებზე ინტერესის გაზრდა, ინტელექტუალური ძალთა კომპოლიდაცია, რათა თავიდან ყოფილიყო აშორებელი მოსალოდნელი „კერძო უხეირობა“, რააც შეიძლებოდა ეტრნალის არსებობა კითხვით ნიშნის ქვეშ დაეყენებინა.

ეს ქანსალი ვანწყობილება შედეგი იყო იმ მტკიცე რწმენისა რომ „პერიოდულს ლიტერატურის დედაბოძს ყველგან შეადგენდა და შეადგენს თეიური ეტრნალი“⁴, რომელიც ერის ექტურების საუნჯის ვამიდრებას ხელწუწყობს: „საშვილოშვილო შენობის მნიშვნელობა იქნს მხოლოდ ეტრნალსა, რომლის ყოველი ნომერი ისევე ხანგრძლივად არსებობს, როგორც წიგნი. ყოველთეიური ეტრნალი ყოველ-წლივ ამიდრებას ლიტერატურას თორმეტობ ახალი წიგნით, რომელიც ას წლობის სეოცტლობის და გონებრივის საზრდის აძლევს ერსა დიდი ხნობით“⁴.

საბავშვო ლიტერატურისათვის ასეთი ისტორიული როლის მიუთოვნება ეპოქის ვითარებით

¹ გაზ. „დროება“, 1884, № 7, გვ. 1

² იქვე გვ. 2.

³ გაზ. „ივერია“, 1896, № 67, გვ. 2.

⁴ იქვე.

ყო გაპროტესტებულა: იაკობ გოგებაშვილი ვაჭრთ „დროებაში“ 1884 წ. № 7 წერდა: „საყმაწვილო ლიტერატურას დიდი მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებაში, მის წარმატებაში, ეს არის საძირკველი, რომელზედაც შენდება მთელი ლიტერატურა, მთელი მეცნიერება ხალხისა. გონებით მოპარობა ერისა ქეიზარეა აწეწებულა, თუ იგი ღარიბია საერთო ნაწარმოებებით, საყმაწვილო ლიტერატურით. იგი მავრად აღგავს ნაბიჯ წინ, მკვიდრს წარმატებაში შედის მხოლოდ მაშინ, როდესაც მისს მოზარდობას უხვად ეძლევა გონებით საზრდო, როდესაც მისნი ყრმანი გარემოცულნი არიან მრავალი ნიჭიერი ნაწარმოებებით“¹.

საკითხის ასე რადიკალურად და ღრმად გადაწყვეტა ამავე დროს მხატვრული სიტყვის რიტატივებისადმი, საზოგადო მოღვაწეობაში გამოჩენილ პირებისადმი თავისებურად მძლავრი მოწოდების მინიშნებად იყო ქართული ხალხის შეილთა აღზრდის უკეთ წარმართვისათვის, საზოგადო ლიტერატურის განვითარებისათვის ხელისშეწყობისა და სათანადო დახმარების გადაწყვეტისათვის.

„დიდმა პოეტმა ვერმანისამ, გოეტემ თქვა: „არაჲს არ შეუძლიან განთავისუფლდეს პატარაობის დროს ჩაბეჭდილებათაგანათ“. დიად, სწორედ ეს ჩაბეჭდილებანი აძლევენ ადამიანს განსაზღვრულს მიმართულებას. ამ აღრიან ჩაბეჭდილებათა ზედა ბევრად არიან დამოკიდებულნი კაცის მისწრაფებანი, სასიათი, ჩაბეჭდილებანი.

თუ თქვენს შვილს პატარაობისასვე მარჯვეთ დამერილი საზოგადო ნაწარმოებნი მიიზიდავენ თავისკენ, აგრძნობინებენ სიამოვნებას, გულს სამართად უღელავენ, გონებას უფარჩომშევენ და კითხვის მოთხოვნილებებს უფერძებენ და უმტყციებენ, იცოვდით, რომ თქვენ გეზრდებათ ყრმა, რომელიც დიდობაში აღმოაჩენს დაუღალავს გონებითს მოჭმედებას, რომლისთვისაც გონების მოძრაობა, ვარჯიშობა, წიგნების კითხვა, აზროვნება, მსჯელობა იქნება ისეთივე მძლავრებელი ყოველ დღეში საჭიროება, როგორც არის წყალი თევზისათვის, პერი ფილტვებისათვის, მავრამ თუ, თქვენი შვილი მოკლებულია ხეირიანს საკითხავ ნაწარმოებსა, თუ თქვენს სამშობლო ლიტერატურაში საყმაწვილო განყოფილება ცარელია, ან საესეა უნიჭო და უმარტო ნაწარმოებითა, მაშინ თქვენ უნდა უთუოდ მოელოდეთ, რომ თქვენს ყრმას გონების ჰადა არ ვაეხსნება, აზროვნება, მსჯელობა და საუკეთესო ნაწარმოების კითხვა და შეძენა მისთვის საჭიროებად არ შეიქმნება და იგი გამოვა იმისთანა არება, რომელიც ბევრად არადრით განსხვავდება პირუტყვისაგან“².

იმ მიზნით, რომ კონკრეტულად წარმოიღვანათ, გარკვეულ სისტემაში შექმნიეს საზოგადო ლიტერატურის შექმნის უწყვეტობის თეორიისა და კრიტიკის ძირითადი პრინციპები, პირველ რიგში უფრადლება უნდა მიეცათ იაკობ გოგებაშვილის ცნობილ პედაგოგიური მოძღვრების ძირითად დებულებებს, რომლებიც საფუძველი გახდა მრავალფეროვანი და მრავალფეროვანი ქართული საზოგადო ლიტერატურის შესაქმნელად. ამასთან ერთად, რასაკვირველია, აუცილებელია კონკრეტულად ჩამოვსაყლოთ თუ როგორ არის ახსნილი და გამოყენებული ი. გოგებაშვილის შემოქმედებაში მხატვრული რეალიზმის პრინციპების აღმოჩენილობითი ფუნქციის საფუძველი, საზოგადო ლიტერატურის (ფართო გაგებით) სხვადასხვა განარს იდენტურ-მხატვრული ღირებულების ძირითადი პრინციპები.

ეს საკითხები ჩვენ მიგვანჩია მეტად საგულისხმო ისტორიული მნიშვნელობის მქონე საკითხებად, იმდრო, რომ იაკობ გოგებაშვილის მიერ ამ საკითხების მხატვრულად გადაწყვეტამ განაპირობა თვით ქართული საზოგადო ლიტერატურის ფორმირება.

მეორე მხრივ იაკობ გოგებაშვილი ზემოაღნიშნული საკითხების პრაქტიკულად გადაწყვეტით გვევლინება, როგორც პედაგოგი და ამავე დროს როგორც საზოგადო მწერალი, ისეთ პიროვნებად, რომელმაც ქართული პედაგოგიური აზროვნებისა და ქართული საზოგადო ლიტერატურის ისტორიაში პირველმა სასიციცხლო კონტაქტი დაამყარა რუსულ პროგრესულ პედაგოგიური მოძღვრების, პედაგოგიური იდეებისა და რუსული პროგრესული საზოგადო ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლებთან.

იაკობ გოგებაშვილი „ღედა ენა“ და განსაკუთრებით „ბუნების კარი“ საუკეთესო მარჯვენებელია ქართული და რუსული პედაგოგიური და ლიტერატურული ურთიერთობის საუკეთესო შედეგებისა, რომელსაც ისტორიული მნიშვნელობის მარავანდელო მისწავთ.

ახალ ისტორიული ვითარებაში განათლების კლასიკური სისტემას უკვე არ შეეძლო ახალი თაობის აღზრდის პრაქტიკა, მისი მინარჩი ახალი მოთხოვნის სიმალეზედ აყვანა, იგი კვლავაც ბერძნული და ლათინური ენების შესწავლის მკაცრი მოთხოვნის არტაბეში დაფუძნდა სულ და საბუნებისმეტყველო ცოდნისადმი დამსახურებულ უფრადლებას არ იჩენდა.

საბუნებისმეტყველო ცოდნის შეძენის გოგებაშვილის აზრით ქონდა არა მარტო თეორიული მნიშვნელობა, არამედ პრაქტიკულიც; საბუნებისმეტყველო ცოდნის პრაქტიკული მნიშვნელობა უკავშირდებოდა ბუნების დამორჩილებას თვით ბუნების კანონების საფუძველიანად ცოდნის შედეგად; ბუნების ცოდნა, მის ძალით დამორჩილება ი. გოგებაშვილის აზრით შეად-

¹ „დროება“, 1884, №7, გვ. 1.

² „დროება“ 1884, №7, გვ. 1.

გენს ერთს „უმთავრეს ბერეს აღმზანისა, ერთსა და კაცობრიობის ბუნებრივებათის“.

მაშასადამე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, რომელიც ახალი თაობის აღზრდის პროცესსა და მის წინააღმდეგ ორგანიზაციულ დაფუძვლაშია პედაგოგმა არის ბუნების საყვარლზე, მისი კანონებზე მტკიცე, მეცნიერული (ბავშვთათვის მისაწვლად ფორმებში) ცოდნის მიქცევა; უამისოდ არ შეიძლება აღმზანმა მდიდარი ბუნება გამოიყენოს! „უმეცარი კაცი შეიძლება შემშლილთ მოკვდეს თვით უმდიდრეს ბუნებაში“.

ამ სახელმძღვანელო პედაგოგიურ და მეცნიერულ შეხედულებიდან გამომდინარე, სათანადო მეცნიერული პრინციპებით შეადგინა მან „დედა ენის“ საერთოები ტექსტები, მხატვრული რეალიზმის პრინციპების გამოყენებით შექმნა თვითონ და ამავე დროს შეარჩია ჭარბად მწერლების შემოქმედებიდან ნაწარმოებები საქვეყნოდ ცნობილი წიგნისათვის, როგორცაა „ბუნების კარი“.

დიდი პედაგოგის აზრი იმის შესახებ, რომ ბუნების კანონების სრულად ცოდნა არის აუცილებელი ამამდღევანდელი იარაღი აღმზანისათვის, ორგანიზაციულ უკავშირდება იმდროინდელ რუსული მოწინავე პედაგოგიური აზროვნების კრიტიკების იმ მოთხოვნას, რომელიც ეპოქის შესაბამისად კანონზომიერ პრინციპულ მოთხოვნას წარმოადგენდა „მთავროვნე რეალისტის“ აღზრდის იდეასთან დაკავშირებით.

იაკობ გოგებაშვილის კონცეფციის სრულიად იმამო მდგომარეობა, რომ იგი არა ორატორულად აღიარებს რა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა უაღრესად დიდ მნიშვნელობას, სერს ბუნების კანონების ცოდნა საზოგადოებრივი მეცნიერებასთან კავშირში უპირველეს ყოვლისა ახალი ტიპის „სრული აღმზანის“ აღზრდის მიზნებს დაუქვემდებაროს.

იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოები, კრებულები, მხატვრული შემოქმედება, შობილური ენა, ლიტერატურის, ისტორიის, მეცნიერებათა სხვა სფეროდან დაწერილი შესანიშნავი წერილები, თავისი მოსაზრებათა თეორიული დასაბუთებანი და პრაქტიკული მოღვაწეობა ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ გოგებაშვილი ყველაზე მაღლა ყოველთვის აყენებდა აღმზანს, მისი აზრისა და ნებისყოფის, მისი კეთილშობილური, მაღალი ზნეობის გამარჯვების ამოცანას.

მაშასადამე, ამ შემთხვევაში იაკობ გოგებაშვილის მოსაზრებათა სრული პარმონიულობა იმდროინდელი რუსული პედაგოგიური და ლიტერატურული აზროვნების პროგრესულ მხარესთან, არის ის ერთ-ერთი უაღრესად მრავალმნიშვნელოვანი მოვლენა, რომელმაც განაპირობა დროის ფაქტორთან დაკავშირებული მისი პედაგოგიური იდეების ცხოველყოფილობა.

თუ რა დიდ ადგილს უთმობდა იაკობ გოგებაშვილი „დედა ენასა“ და „ბუნებისმეტყველო“ საბუნებისმეტყველო ხასიათის მხატვრულ კარგად ადასტურებს ამ წიგნში მოცემული მასალები რაოდენობრივი ხასიათის ანალიზი და მოთხოვნების კრებულის „კონანის“ შექმნისათვის გაწეული დიდი შრომაც.

ახალი თაობის სწავლა-აღზრდის წარმატებისათვის ი. გოგებაშვილი დიდაქტიკის ცნობილი დებულებებს — ნაცნობიდან უცნობისკენ, აბოლობოლიდან შორეულზე და ა. შ. გამოყენებით ცდილობდა ამ ერთდღესი პრობლემის ეფექტურად გადაწყვეტას.

ის წერდა, რომ „თქვენ ყმაწვილს თავისი სამშობლო ქვეყანა კარგად გააცანით. ეს მით უფრო ადვილია, რომ ეს ცოდნა ყმაწვილებს გაეციებოთ სერს, ვინ არ იცის, რომ მშობლებს მოსვენება არ აქვთ ამ გვარი ბავშვების კითხვებისაგან. ზენს იქით რა ქვეყანაა, ვინა ცხოვრობს იქა, როგორი ადგილია? ვინ არ იცის ის ფაქტი, რომ ყმაწვილებს მგზავრობა ვარჯიშის სოფლებში და ქალაქებში საშიშრად სერთ და მოგზავრობის ამბუს ერთგულად უფრო უმატებენ ხოლმე. თუ დედამა ყმაწვილს ამ სერვილს დაუკმაყოფილებს და თავის სამშობლოს ქვეყანას გააცნობს, დაწმინდებული უნდა იყოს, რომ საზოგადო ვეოგრაფიის შესწავლა იმისათვის შეტად ადვილი საქმე იქნება“.

და ეს პედაგოგიური მოსაზრება მან თავის მხატვრულ შემოქმედებაში სათანადო ნაწარმოებების შექმნის ხორკმესსმული გახადა, რითაც საბავშვო მწერლობაში პედაგოგიკისა და მხატვრული რეალიზმის პარმონიულ მთლიანობის პრინციპს ატარებდა.

იაკობ გოგებაშვილი ერთ-ერთი ერთდღესი პრობლემად მიიჩნევდა „მალა და წმინდა ზნეობის“ მქონე ახლავაზრდების აღზრდას; „მალა და წმინდა ზნეობის“ კეთილშობილურ მიზნებსა და ამოცანებს ამ შემთხვევაში შეიძლება ახალი თაობის აღზრდამ უბასხოს თუ ეს ადგილი ექნა იმის შევრებულად გააზრდეს, რომ უმწიკვლოდ ემსახურება „მოყუასათა სამშობლოსა და კაცობრიობას“ და თუ საქირი იქნეს საკეთარი სიცოცხლეც კი შესწიროს ამ მაღალ ზნეობრივ ვალდებულებას.

და მართლაც, იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოები „დედა ენა“, „ბუნების კარი“, კრებულები: „ქუნწული“, „ხომლი“, „აკილი“, „კოკორი“, და მისავე მხატვრული ნაწარმოებები ზემოაღნიშნული პრობლემების მხატვრული გადაწყვეტის საუკეთესო მაგალითებს წარმოადგენს.

იაკობ გოგებაშვილი თავისი მხატვრული შემოქმედებით ერთდღეს კიდევ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ საბავშვო ლიტერატურაში სრულ-

ყოფილა, კარგი ნაწარმოები იმ შემთხვევაში შეიქმნება, როდესაც დიდაქტივის ზემოაღნიშნული პრინციპები დაქვემდებარებული იქნება მხატვრულობის პრინციპებს.

ამგვარად, იაკობ გოგებაშვილმა თავისი პედაგოგიური პრინციპები მტკიცედ დაუდგა საფუძვლად თავისივე შესანიშნავ სახელმძღვანელოებს, სახელმძღვანელოებში შეტანილ მხატვრულ ნაწარმოებს და იგივე პრინციპები შეიქმნა საბოლოოდ ქართული საბავშვო სიტყვა-კაზმული მწერლობისა, საერთოდ ეროვნული საბავშვო ლიტერატურის (ფართო გაგებით) ფორმირებისა და შემდგომი განვითარების ურყევი საფუძველიც. ამასთან, ეს შეხედულებანი დაეფუძვლა საფუძვლად ქართულ საბავშვო ლიტერატურის თეორიასა და კრიტიკასაც, რომლის მამამთავრად, როგორც აღვნიშნეთ, იაკობ გოგებაშვილი ითვლება.

იაკობ გოგებაშვილი საბავშვო ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის ერთიანობის პრინციპზე მითითებდა, ფორმისა და შინაარსის დიდიკტივურ მთლიანობაში საბავშვო მწერლის მიერ ნაჩვენებ ცხოვრების რეალური სურათები, ამ სურათებში, მხატვრულ სახეებში ისტატიკად ჩაქოვილი იღუპის მიზანსწრაფვა, რომელიც უნდა ემსახურებოდეს ბავშვის ირგვლივ არსებული სამყაროს გაცნობას, მის გონებრივ განვითარებასა და ზეგარდასტრად, მხოლოდ მხატვრული სიტყვით შეიძლება ძლიერი შემოქმედების ძალად იქცეს.

ეს შეხედულება უფრო ცხადად, გარკვევით და პრინციპულად იაკობ გოგებაშვილს გამოთქმული აქვს შემდეგი სიტყვებით: „სიტყვა-წყობილი ხელოვნების ყოველგვარი ნაწარმოები, უნდა დაფუძნდეს ორის მხრივ: შესახებ გარეგანის სიმშვენიერის გამოხატვისა და თვით შინაარსის ანუ დედა-აზრის გამოთქმით: რამდენადაც ეს ორი მხარე უფრო ეთანხმება ერთმეორეს იმდენად ხელოვნური ქმნილება უფრო მაღალი ღირსებისაა“.¹

ამგვარად, იაკობ გოგებაშვილი საბავშვო ნაწარმოებში შინაარსისა და ფორმის პარმონიული მთლიანობა მიაჩნევს მისი ღირსების საზომად.

საკვირია აქვე აღვნიშნოთ, თუ როგორ ესმოდა იაკობ გოგებაშვილს მხატვრული რეალისმის აღმზრდელი იდეა და სავანაშენიანი ფუნქციები, საბავშვო ლიტერატურის სხვადასხვა ფართის იდეურ-მხატვრული ღირებულებას

ძირითადი პრინციპები, ბავშვთათვის მათთვისვე წიგნების სფეროს გაფართოების მიზანით და ლანისძიებანი.

ბავშვებში წიგნის შეგნებულად, დამოუკიდებლად კითხვის ჩვევის გამტკიცებას საფუძვლად უდევს წიგნით დაინტერესება; დაინტერესებისათვის მნიშვნელოვანია არა მარტო ის, რომ წიგნი იყოს საერთოდ საინტერესოდ დაწერილი, ამავე ვითარებოდეს დინამიურად, არამედ იგი ბავშვის თავის შესაბამისი იყოს მისთვის მისაწვდომი, გასაგები; ეს საუბრელო ლიტერატურის, საბავშვო სიტყვა-კაზმული მწერლობის პირდაპირი მოვალეობაა, რომელიც საბავშვო წიგნის სპეციფიკას ორგანულად უკავშირდება.

საბავშვო მწერლობამ ხელი უნდა შეუწყო ბავშვთა კითხვის ინტერესთა არეს გაფართოებას, მის აძლიერებას ასაკობრივ ზრდისთან ერთად; მათ თანდათან პედაგოგიური პრინციპების მიხედვით, როგორც უროვნული, ისე სახლგარეგანეთელ გამოჩენილ მხატვრული სიტყვის ისტატიკების შემოქმედებიდან შერჩეული ნაწარმოებში უნდა მოეცეს.

პედაგოგიური კრიტიკის, პედაგოგიური მომთხოვნულობის მკაცრი, მაგრამ სამართლიანი წესის დაცვით ყოველმხრივ გამოარსებული ტექსტების კითხვა ბავშვთა გონებრივი პირობების გაფართოებისათვის აუცილებელია და მოწინავე პედაგოგიურ აზრს არ შეეძლო ამისათვის სათანადო ყურადღება არ მიეცია. ეს პედაგოგიური პრინციპი დღესაც ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას.

იაკობ გოგებაშვილი გულსტკეივლით აღნიშნავს, რომ „პატარაობაში ჩვენებურს ბავშვებს ესმით ყოველს ნაბიჯზე მხოლოდ აუარებელი არაკები ცხრა თავიან დევებზე, კუდიანებზე, კინებზე და სხვა მახინჯს, უმსგავს არსებებზე. იგინი ავარჯიშებენ მხოლოდ ფანტაზიის და ისიც იმ გვარი საზრდოთი რომელიც მხამავს მათ გონებას“.¹

გოგებაშვილი ყოველწარად ცდილობდა ეს პრიმიტიული ზღუდეები მათი გონებრივი საზრდოს, როგორც შეეცალა, ბავშვებს მისცემოდა როგორც თვალსაჩინო ახსნანი ბუნების მოვლენებისა, ისე ხალხის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე.

ამ ინტერესებიდან გამომდინარე არის შედგენილი ი. გოგებაშვილის „ბუნების კარი“ და საკითხავი კრებულები, რომლებმაც თაობათა აღზრდაში ისტორიული როლი ითამაშეს.

¹ „ივერია“, 1894, №60.

¹ „ქოკორი“, 1900, 1.



ილია ჭავჭავაძემ და სიკვდილით დასჯის საკითხი

1906 წლიდან რუსეთის საიმპერიო სახელმწიფო საბჭო უმაღლეს საკანონმდებლო პალატად იქცა, იგი იხილავდა და ამტკიცებდა სახელმწიფო სათათბიროში მსჯელობის საგნად ქცეულ კანონპროექტებს. პირველმა სახელმწიფო სათათბირომ, სხვა საკითხებს შორის, იმსჯელა სიკვდილით დასჯის გაუქმების კანონპროექტის შესახებ, რის შემდეგაც იგი გადაეცა სახელმწიფო საბჭოს, რომლის სესიებიც სათათბიროს მუშაობის პარალელურად მიმდინარეობდა პეტერბურგში.

სახელმწიფო საბჭოში კანონპროექტის შესახებ მსჯელობა მიმდინარეობდა 1906 წლის 27 ივნისს. მსჯელობის შემდეგ კანონპროექტი წინასწარი განხილვისათვის გადაეცა ამისათვის გამოყოფილ კომისიას, რომელმაც ვედარ მოასწრო მოხსენების წარდგენა საერთო კრებისათვის, რადგან მანამდე პირველი სათათბირო დაიშალა (1906 წლის 8 ივლისს) და სახელმწიფო საბჭომაც სესიები შეწყვიტა (1906 წლის 12 ივლისს). სახელმწიფო საბჭოს შემდეგ სესიაზე კი, 1907 წლის 20 თებერვლიდან 5 ივნისამდე, იმის გამო, რომ პირველი სათათბირო უკვე დაშლილი იყო, მის მიერ განხილული კანონპროექტი სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ განხილვის საკითხთა დღის წესრიგიდან ამოღებულ იქნა 1907 წლის 14 მარტს. მეორე სახელმწიფო სათათბირომ (1907 წ. 20 თებერვალი — 2 ივნისი) კვლავ იმსჯელა კანონპროექტის იმავე რედაქციაზე, მაგრამ მისი განხილვა-გა-

დაცემა სახელმწიფო საბჭოში აღარ მომხდარა.

ილია ჭავჭავაძის შესახებ დაწერილ ბიოგრაფიულ ნარკვევებსა და მისი აზროვნების მიმოხილვებში დგას საკითხი, რომ ილია ჭავჭავაძე გამოვიდა სახელმწიფო საბჭოს სესიაზე სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ.

საინტერესოა, გამოვიდა თუ არა ილია ჭავჭავაძე სახელმწიფო საბჭოს სესიაზე, იყო თუ არა იგი ინიციატორი ამ საკითხის დაყენებისა და იკისრა თუ არა მან დაწერა მოხსენებისა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ!

ილია ჭავჭავაძის საქმიანობაზე სახელმწიფო საბჭოს მუშაობისას ცნობებს იძლევა მალაქია ბოლქვაძე, რომელმაც 1908 წლის „განათლებაში“ (№ 3-4) დაბეჭდა წერილი სათაურით „ახლო წარსულიდან“. შემდეგ, დაწყებული ვრიგოლ ყიფშიძიდან, რომელსაც ეკუთვნის ვრცელი ბიოგრაფიული ნარკვევი ილია ჭავჭავაძეზე, თვით ჩვენი დროის უკანასკნელი გამოკვლევების ავტორებამდე, ყველა ეყრდნობა ვ. ბოლქვაძის ხსენებულ წერილს.

მ. ბოლქვაძე აღნიშნავს, რომ სიკვდილით დასჯის შესახებ ვრცელი მოხსენების შედგენა ილიამ იკისრა, ეს მოხსენება სახელმწიფო საბჭოში უნდა წაეკითხათ. მ. ბოლქვაძის ამ მოსაზრებამ (იკისრა... უნდა წაეკითხა...) შემდეგი დროის მკვლევარების ნაშრომებში სხვა სახე მიიღო, კერძოდ, რომ ილია ჭავჭავაძე საბჭოს მეორე სესიაზე (1907 წ. 20 თებერვალი—7 ივნისი) სიკვდი-

ლით დასჯის მოსპობის მოთხოვნით გამოვიდა, მისი სიტყვის ტექსტი მთავრობისაგან აკრძალვის გამო აღარ დაიბეჭდა, ინიციატორი სახელმწიფო საბჭოში საკითხის დასმისა ილია ჭავჭავაძე იყო.

რასაკვირველია, ილია ჭავჭავაძე მომხრე იყო სიკვდილის დასჯის კანონის მოშლისა და მხარსაც უჭერდა მისი მოსპობის საკითხს. მხატვრული შემოქმედების დასაწყისშივე იგი ადამიანის პიროვნების განთავისუფლების მოპლერალი იყო. 1863 წელს „საქართველოს მოამბეში“ მან დაბეჭდა ვიქტორ ჰიუგოს წერილი სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. 1879 წელს გამოაქვეყნა „სარჩობელაზედ“. ილია ჭავჭავაძის პირად ბიბლიოთეკაში ინახება 1906 წელს მოსკოვში დაბეჭდილი წიგნი რუსულ ენაზე „სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ“ და სხვ. რასაკვირველია, 1906 წელს იგი სიამოვნებით მიემხრობოდა მათ, ვინც სახელმწიფო საბჭოში ამ კანონის წინააღმდეგ გამოვიდოდა. ეს ჩანს პროფ. მაქსიმე კოვალევსკის სიტყვიდანაც, რომ „პროფ. ტაგანცევიან ერთად... ჭავჭავაძემ აზრი გამოთქვა (высказался). სიკვდილით დასჯის შეცლაზე“. დასასრულ, ჩვენამდე მოაღწია თვით ილიას ჩანაწერმა, რომელშიც იგი სიკვდილით სასჯელს მიიჩნევს ბუნებრივი გრძნობის დაზღუდვებამ და ადამიანის ზნეობის შერყევამ.

მაგრამ, სახელმწიფო საბჭო და მისი წევრები ვერ დააყენებდნენ რაიმე საკითხს, თუ იგი არ იქნებოდა განხილული სათათბიროში და შემდეგ საბჭოს არ გადაეცემოდა განსახილველად, რადგან თვით საბჭოს ფუნქცია იმაში მდგომარეობდა, რომ სათათბიროსაგან განხილული პროექტები, ვიდრე იგი შეფესთან მივიდოდა კანონის სახის მისაღებად, მას უნდა განეხილა. ასეთი იყო მექანიკა ამ ორი პალატისა—სათათბიროსი და საბჭოსი. მამასადავამ, ინიციატორი სიკვდილით დასჯის კანონის გაუქმებისა ვერ იქნებოდა ვერც საბჭოს რომელიმე წევრი და ვერც თვით საბჭო.

თავისი მოქალაქეობრივი შემართებით ილია ჭავჭავაძე წინააღმდეგ იყო სიკვდილით დასჯისა, მაგრამ იგი არ ყოფილა სახელმწიფო საბჭოში ამ პროექტის წარმდგენი, არც სიტყვით გამოსულა და, ცხადია, არც მისი გამოსვლის ტექსტი იქნებოდა სადმე ფიქსირებული.

ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის 1906-7 წლების პერიოდის მკვლევარებს, როცა ისინი ეხებოდნენ მის მუშაობას სახელმწიფო საბჭოში, ხელთ არ ჰქონიათ ცნობილი იტრასტის, კრიზინალისტის, პეტერბურგის უნივერსიტეტის დოქტორ-პროფესორის, სენატორის, სენატის სისხლისსამართლის დეპარტამენტის თავჯდომარის, სახელმწიფო საბჭოს წევრის ნიკოლოზ სტეფანესძე ტაგანცევის (1843-1923) ნაშრომები, რომლის სამართლებრივი შეხედულებანი ხასიათდებოდა ზომიერი ლიბერალიზმით და რომელიც მომხრე იყო სიკვდილით დასჯის კანონის გაუქმებისა. ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე ნ. ტაგანცევი ბევრი რამ დაუწერია სამართლის სხვადასხვა დარგში, კერძოდ კი სიკვდილით დასჯაზე, რომელთაგანაც მან ამოკრიფა სხვადასხვა დროს დაწერილი თხულებები და 1912 წელს პეტერბურგში დაბეჭდა წიგნი „სიკვდილით დასჯა“. ამ ნ. ტაგანცევის ეკლუთენის სახელმწიფო საბჭოში გამოსვლა იმ კანონპროექტის შესახებ, რომელიც 1906 წელს სათათბიროდან მიიღო საბჭომ. ნ. ტაგანცევა ამ კანონპროექტზე წარმოსთქვა სიტყვა 1906 წლის 27 ივნისს. ამ სიტყვას საბჭოს სესიაზე ისმენდა ილია ჭავჭავაძეც, მომხსენებელი კი ამბობდა, რომ „40 წლის განმავლობაში უნივერსიტეტის კათედრიდან ახალგაზრდობას ვუწერავდი აზრს, რომ სიკვდილით დასჯა არა მხოლოდ მიზანშეუწონელია, არამედ მავნეც არის, რადგან, რაც არ შეესაბამება სახელმწიფოს ცხოვრებას, იგი გარკვეულ პირობებში უსამართლობაცაა. ასეთია სიკვდილით დასჯა“. ნ. ტაგანცევი თავის მოსაზრებებს ასაბუთებდა პოლიტიკური, საზოგადოებრივი, მორალური,

ფსიქოლოგიური და ისტორიული შეხედულებებით. დასასრულ იგი პათეტიკურად მიმართავდა მამენელთ: „მე მჭერა, რომ, მიუხედავად ყველა მცდელობისა, რუსი ხალხი აღაგზნონ სისხლისა და ბოროტებისადმი, იგი არ წამოეგება ცხვრის ტყავში გახვეულ მგელთა ანკესს... რუსი ხალხი არ გააყვება მათ, ვინც მას მოუწოდებს რბევისა და განადგურებისაკენ“. და თუ ჩემი რწმენა გაცრუვდება, მაშინ უმაღლეს განჩინებას (ე. ი. ღმერთს, ს. ხ.) მივმართავ და ვთხოვ მომაცილოს მიწიერი სიძულვილისა და მტრობის ქირვარაჲსო.

ნ. ტაგანცევის ამ გამოხვლის შემდეგ ველარ მოუწერია გამოეთქვა აზრი კანონპროექტზე, კერძოდ საკითხის დაყენებისა, საკითხის ისტორიისა, სიკვდილით დასჯის დაშინებულობისა, სიკვდილით დასჯისა და პოლიტიკურ დანაშაულისა, სამხედრო კანონმდებლობასა და მასზე ხალხის შეხედულებებისა და სიკვდილით დასჯისა და რელიგიის ურთიერთობათა შესახებ. ყველა ამ საკითხზე თავისი შეხედულებები გამოუქვეყნებია ეჟრნალ „ვესტნიკ ევროპის“ 1906 წლის ნოემბრის ნომერში.

1907 წ. სახელმწიფო საბჭოს სესიაზე კი სიკვდილით დასჯის გაუქმების კანონპროექტი განხილული აღარ ყოფილა. მაშასადამე, ამ სესიაზე აღარაინ გამოხვლა ამ საკითხზე და არც ილია ჭავჭავაძე, რასაცვირველია.

1906 წლის 27 ივნისის ნ. ტაგანცევის სიტყვა კარგი ნიმუშია სამოსამართლო მჭევრმეტყველებისა, მაგრამ მთავარი მასში არის იდეა, აზრი, რომ სიკვდილით დასჯა ეწინააღმდეგება სახელმწიფოს პირდაპირ ფუნქციას—საზოგადოებაში პიროვნების გრძნობის აღზრდას. გამოხვლა აზრიანი და შთაბეჭდილებების მომხდენი იქნებოდა თავის დროზე.

ნ. ტაგანცევის სიტყვის წაკითხვის შემდეგ ყურადღებას აღძრავს ის აზრობრივი შეხვედრები, რომელნიც მოიპოვება ილია ჭავჭავაძის ჩანაწერებსა („კონსპექტი სიტყვისა სიკვდილით დას-

ჯის მოსაზრების შესახებ“, თხზულებანი, ტ. 10, გვ. 461-467) და ნ. ტაგანცევის მიერ წარმოთქმულ სიტყვას შორის, რაც, ცხადია, იმას უნდა აჩვენებდეს, რომ ე. წ. აკადემიურ ჯგუფში, რომელშიც ილია ჭავჭავაძე და ნიკოლოზ ტაგანცევი იყვნენ გაერთიანებულნი სხვებთან ერთად (ეს იყო უმცირესობა სახელმწიფო საბჭოს წევრთა შორის აღნიშნული საკითხის გარჩევასთან დაკავშირებით), საბჭოს სხდომებზეც და კულუარებში საკითხის შესახებ მსჯელობისას ერთგვარი შეხედულება გამოითქმოდა.

ილია ჭავჭავაძისათვის სახელმწიფო საბჭოში დაყენებული საკითხი სისხლბორცული იყო. როგორც ითქვა, იგი თავისი შეგნებული ცხოვრების დაწყებიდან სიკვდილით დასჯის, პიროვნების თავისუფლების საკითხებზე მსჯელობდა. ილია ჭავჭავაძემ ჭერ კიდეც 1879 წელს მოთხრობაში „სარჩობელაზედ“ დააყენა საკითხი საზოგადოების მორალური პასუხისმგებლობისა და მოვალეობის შესახებ პიროვნების მიმართ და საოცარი მხატვრული ძალით ამხილა ამ „წყევლი“ და მოუწესრიგებელი ეპოქის უდიერი ხასიათი—შეუგნებელი, გულჭვა საზოგადოება, გარემო, წრე ღუპავს პიროვნებას, უხლართავს გზას და მიჰყავს სარჩობელამდე.

1906 წელს ილია ჭავჭავაძემ, ცხადია, იცოდა, რომ სახელმწიფო სათათბიროში მზადდებოდა კანონპროექტი სიკვდილით დასჯის გაუქმებისა. როგორც მ. ბოლქვაძე გადმოგვცემს, ილია ჭავჭავაძე თავისუფალ დროს სახელმწიფო სათათბიროშიც დადიოდა, ესწრებოდა სხდომებს და ერთხელ მთელი შენობაც კი დაუვლია მ. ბოლქვაძესთან ერთად. „მასსოვს ისეთი კრებები, როდესაც საბჭოს წევრთა ვრცელ ლოჯაში მარტო ილია იყო“— წერდა მ. ბოლქვაძე, როცა იგონებდა ილია ჭავჭავაძის ყოფნას სათათბიროს სხდომებზე, სადაც სახელმწიფო საბჭოს წევრებისათვის სპეციალური ლოჯა ყოფილა გამოყოფილი. „აქ იყო ილიაც, განაგრძობს მ. ბოლქვა-

ძე.—...ჩამოუარა ჩვენს ლოყას და ნე-
ლის ფეხის ნაბიჯით გასწია კულუარე-
ბისაკენ. მაშინდელი მისი სახის გამომე-
ტყველება არასდროს არ დამავიწყდე-
ბა. აქ ინატებოდა უსაზღვრო კმაყო-
ფილება, სიამოვნება, ნეტარება, მტრის
დამარცხებაზე აშენებული, ილიას სუ-
ლი და გული ღელავდა, მთელ სახეს
ალმური მოსდებოდა, ზღვა-თვალნი
ბრწყინავდნენ“ იმიტომ, რომ ვიღაც
ორატორს თავისუფალი სიტყვა წარმო-
ეტქვა.

რასაკვირველია, ილია ჭავჭავაძე მოუ-
მზადებლად არ შეხვედრია სახელმწი-
ფო სათათბიროდან სახელმწიფო საბ-
ჭოში გადატანილ კანონპროექტს სიკვ-
დილით დასჯის გაუქმებაზე და, ეტყო-
ბა, ამისათვის სამხადისს უნდა წარმოა-
დგენდეს ის კონსპექტი, რომელიც უს-
რული სახით არის მოსული ჩვენამდე
და დაწერილია ილია ჭავჭავაძის ხე-
ლით. ეს კონსპექტია იმ სიტყვისა, რომ-
ლითაც აპირებდა ილია ჭავჭავაძე გამო-
სვლას და მხარის დაჭერას იმათთვის,
ვინც სახელმწიფო საბჭოში ამ საკითხზე
მსჯელობასთან დაკავშირებით უმცირე-
სობას შეადგენდა. ილია ჭავჭავაძე წინ-
დაწინ მომზადებულიც კი ყოფილა, რო-
გორც ამას მისი კონსპექტის ერთი რუ-
სული მიწაწერი აჩვენებს, თუ რა უნდა
ქნა მას და უმცირესობის ჯგუფს, რო-

ცა მათი მოთხოვნა-წინადადებანი ვაზი-
რებული არ იქნებოდნენ სახელმწიფო
საბჭოს იმ უმრავლესობის მიერ, რომე-
ლიც მაღალი ჩინოსანი ბიუროკრატიის
ბობოლა წარმომადგენლებსაგან შედ-
გებოდა, ილია ჭავჭავაძე და უმცირე-
სობის ჯგუფი სხდომის დემონსტრაცი-
ულად დატოვებას აპირებდნენ.

P. S

ა. პროფ. ნ. ტავანცევის თავის წიგნში
მოპყაეს ილია ჭავჭავაძის მეუღლის—
—ოლღას არზა კავკასიის მეფისნაც-
ლის სახელზე, რომ სიკვდილით არ დაე-
საჯათ ი. ჭავჭავაძის მკვლელები, რად-
გან ეს მისი შეხედულებების წინააღმ-
დეგიაო. ნ. ტავანცევი ოლღას წერილში
გამოთქმულ აზრებს უწოდებს «Пре-
красные мысли», რომელიც გამოთქმუ-
ლიაო «вдовой нашего покойного со-
товарища, члена государственного
совета Чавчавадзе» (გვ. 169). ოლღა
ჭავჭავაძის არზა მას გამოყენებული აქვს
ადამიანურობისა და სიკვდილით დასჯის
საწინააღმდეგოდ გამოთქმული „მშვე-
ნიერი აზრის“ საილუსტრაციოდ.

ბ. მაღაქია ბოლქვაძეს თავის წერილ-
ში შეეძლო მხოლოდ სახელმწიფო სა-
თათბიროში მომხდარი ამბები აღეწე-
რა, რადგან სახელმწიფო საბჭოს სხდო-
მებზე მას არავინ შეუშვებდა.

ქიანელის ფსევდონიმის საკითხისათვის

მკითხველთა ფართო საზოგადოებრიობამ დღემდე არ იცის ისეთი პოპულარული მწერლის ფსევდონიმის გენეზისი, როგორც აწ განსვენებულ ლეო ქიანელი. სიცოცხლეში მისთვის არა ერთხელ მიუძღრათაც როგორც პირადი საუბრის, ისე მწერალთა კავშირში საჯარო თავშეყრის დროს — გაცხნა ფსევდონიმის საიდუმლოება. მაგრამ მწერალი ყოველთვის გვერდს უვლდა პირდაპირ პასუხს ამ კითხვაზე. რით იყო გამოწვეული მწერლის ასეთი თავშეკავებულობა? საიდან არის წარმოშობილი მისი ფსევდონიმი და რა აზრია მასში ჩაქსოვილი?

ფსევდონიმი ზოგჯერ მწერლის ცხოვრების ადამიანური ბუნების, შრწამსის ისეთ იდუმალ მხარეს გვიხსნის, რომელსაც პირდაპირი და უშუალო კავშირი აქვს მის შემოქმედებასთან, საზოგადოებრივ ინტერესებთან, მსოფლმხედველობასთან. მაქსიმ გორკისა (ა. მ. პეშკოვი) და დემიან ბედნი (ე. ა. პრიდელოვი) ფსევდონიმები (გორკი, ბედნი) გარდა იმისა, რომ მათ სოციალურ წარმოშობაზე, განვლილ მწარე ცხოვრებაზე მართითობას, ამავე დროს იმთავითვე მოწმობდა მათ განუყოფელ კავშირს პროლეტარული კლასისა და პარტიის ინტერესებთან, მათი კალმის მძაფრ სიმბოლურს, უღმობელობასა და დაუნდობლობას სინამდვილის ბნელი ძალების გამოსახვასა და მათ წინააღმდეგ ბრძოლასთან.

ე. ინგოროყვასა და ი. ხოსიტაშვილის ფსევდონიმებს (ნიინოშვილი, ევლოშვილი) თავისთავად მინიჭებული აქვთ დიდი აღზრდელაობითი ფუნქცია იმ უბრალო საფუძვლით, რომ მედამ აღბრუნენ ჩვენში მშობლებისადმი, გამზრდელისადმი უღრმესი პატრიარქალის გრძნობებს. ასეთ და სხვა ხასიათის „ელ“ სუფიქსით წარმოებულ ფსევდონიმებს თვითონ მკითხველი ადვილად არკვევს. ყველა იცის, მაგალითად, საიდან არის წარმოშობილი ლეო რაზვიაშვილის ფსევდონიმი ეაქა-ფშაველა. შიო დედაბრძვილისა — არაგვისპირელი, ვიორგი ქიანუკიძისა — ქალაქიდელი, დავით ჩხეიძისა — თურ-

ღოსპირელი, ალექსანდრე ჩოჩიასი — აბაშელი და სხვ.

თუ „ელ“ სუფიქსის ადაპტაციის მანქანებულ ენათმეცნიერულ განსაზღვრებიდან ამოვალთ, მაშინ სიტყვა „ქიანი“, როგორც ეს ბევრს ჰგონია, მიჩნეულ უნდა იქნას იმ ადგილის საბელწოდებად, საიდანაც მწერალი წარმოშობილი. მაგრამ ეს სრულიად გამორიცხებულია, რადგან როგორც ვიცით, ლეო მხებულს ძე შენგველია წალენჯიხის რაიონის სოფელ ობუჯეთა დაბადებული და, მამასადაც, „ელ“ სუფიქსით ახალი სიტყვის წარმოების წესის მიხედვით მისი ფსევდონიმი ბუნებრივად ობუჯელი უნდა ყოფილიყო და არა ქიანელი. ამ კონკრეტულ შემთხვევაში „ელ“ სუფიქსი კარგავს თავის პირდაპირ დანიშნულებს და გეზის ამხნვე, მაცდურებელ ნაწილაკად გვევლინება. რომ ეს ცხადყოფთ, საჭიროა გავაყვითოთ ერთგვარი ისტორიული ექსკურსი.

სახელწოდება „ქიანი“ სამეგრელოს მთიან მხარეში, კერძოდ, ზუგდიდი, წალენჯიხის, ჩხოროწყუს და მის გარშემო მდებარე სოფლებს მოსახლეობაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ძველთაგანვე ცნობილი იყო. იგი ერქვა სალოცავ ხატს, რომელიც ესვენა სწორედ ლეო ქიანელის 'ოფლის მონასტერში. ობუჯის მონასტერი მთელ იმ მხარეში რელიგიური დღესაწაუღების, რიტუალებისა და წირვა-ლოცვის ცენტრს წარმოადგენდა.

ამ ეუბთის ხალხის ცრუ რწმენით თუ მასში გავრცელებული ლეგენდით, ქიანია ხატს სასწაულთმოქმედი ძალა ჰქონდა. მის წინაშე შიშით, რიღითა და თავყანისცემით კრთოდნენ რელიგიური ფანატრზმით შეპყრობილი ადამიანები. ამ ხატზე ვადაცემა სიყვდილს უღრიდა, მისით დალოცვა, მისი მოხმობა, მისდამი შევედრება კი უბედურებისაგან ხსნას, ცდუნებისა და ბოროტების დათრგუნვას, ცოდვებისაგან განწმენდას, სიყეთისა და სასოების განფხნას. ამიტომ მისი სახელი ეკრპად იყო ვადაქცეუ-

ლი ამ მხარის თათქმის ყოველ, მით უფრო არიატორატურულ წრის ოჯახში.

მაგრამ ქიანის ხატისადმი ინტერესს არანაკლებ ბაღებდა თვით მისი ნაკეთობა, ვარჯიშული იერი და სილამაზე, იგი როგორც ძვირფასი ნივთი და სამკაული, წარმოადგენდა ხელოვნების ნივთის ნიმუშს, რომელიც თავისი ელვარებითა და ფერადოვნებით ერთბაშად ხიბლავდა მხსველს.

1913 წელს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დაჯილდებით მონასტრებსა და ეკლესიებში შემონახული ძველი ფრესკების, სიგელ-გუჯრების, ხელოვნების ნიმუშებისა და სხვ. აღსაწერად სამეცნიეროში სპეციალურად იმოგზაურა ქართული კულტურის ცნობილმა მოღვაწემ ექვთიმე თაყაიშვილმა. მომდევნო 1914 წელს მან გამოაქვეყნა თავისი კაპიტალური ნაშრომის „არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნების“ მეორე წიგნი, რომელშიაც ქართულ ენაზე პირველად არის აღწერილი ქიანის ხატი, მისი წარწერები და მოხატულობა (ადრე ფრანგულ ენაზე ხატის წარწერები გამაფრთხილო ჰქონდა მარი ბროსის).

„როცა ჩვენ ჩვედით წილენჯიხას, — წერს ე. თაყაიშვილი, — იქ მყოფმა გამომძიებელმა... გეუწყა, რომ მომპოვებულ მოსამართლესთან მოწმეების დასაფიცებლად მოსვენებულია სოფელ ობუქიდან ძველი ხატი, რომელსაც დიდი სახელი და პატივი აქვს სამეგრელოში. ეს ძლიერ ხატად არის მიჩნეული და საყურადღებო საქმეების გარჩევის დროს მოწმეებს მასზე აფიცებენ. ხატის გასინჯვამ დაჯვარწმენა, რომ ეს სამწერობელი (ე. ი. ხატი ა. თ.) ვერცხლისა, ნაჭედი, ოქროთი დაფერილი, არის ლამაზი ხელობისა, 35 X 35 ანტ. პირველ გვერდზე გამოხატული განწყვილილი წმინდა რაფიელ... მეორე პირზე აქვს ფრთიანი სერაპიმო ლამის თავებით აქეთ-იქით, ხოლო მართებულ ზემოთ ტრული, მარჯვნივ და მარცხნივ ემხლეები მზისა და მთვარისა კაცის სახედ... სამწერობელი ჩასვენებულია საგანგებოდ გაეთხებულ ვერცხლის კუბოში (36,5 X 35 ანტ.). ზემო პირი ამ ჩასვენებულისა ორ ფრთიანია, შუაში იხსნება და ზედ ცალკე ვერცხლის ფირფიტებზე ნაქედია 12 წმინდარის სახე, წველი-წყვილად, ესენი უნდა იყვნენ 12 მოციქული... სტილი ხელობისა XIII-XIV საუკუნის მოგვაგონება“ (ე. თაყაიშვილი, „არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები“, წიგნი II, 1914, გვ. 239).

საკითხის ისტორიისათვის, საინტერესოა პროფ. ს. კავთაძის ერთი წერილი სათაურით „საბუთი შერგელისათვის ქიანის ხატის კლასის ვიდეკომის შესახებ“, რომელიც ავტორის სათანადო კომენტარით მოთავსებულია 1925

წელს დაბეჭდილ „საისტორიო მოამბის“ პირველ წიგნში. ს. კავთაძის დათარგმნებით დაბეჭდილი ვიდეკომის 1680-იან წლებს, ქრისტეშობიდან დადონის სიკვდილის შემდეგ, ოდიშის ფაქტორ გამოგებულ ითვლება და მისი მოუტრავია ჩიქვანი, რომელიც საბუთის ბეჭდის დასაბუთი და ხელისმოწერით ამოწმებს.

ს. კავთაძის მიერ გამოქვეყნებული საბუთიდან და 1921 წელს მის მიერვე ობუქში ჩაწერილი ხალხური ვადმოცემიდან ირკვევა, რომ ქიანის ხატი ენგურის ვალმა მხარეს (აფხაზეთი) ოდესღაც არსებული ეკლესიიდან მოუტრავიან ვინმე კაცთან. შემდეგ ამ კაცთან შთამოხვევის ობუქში გაუქურდაც შერგელისა, კერძოდ მისი რძალი, რომლის დიდალი მზითევი სულ მთლიანად წაეღია. რადგან მიყენებული ზარალის ასანახლავებლად სხვა არაფერი აღმოჩენია, ქუჩადი იძულებული გამხდარა ოჯახში ვიდეკომის ხატი თავისი ვერცხლის სიკვრივითა და კლიტეებით ვადეცა შერგელისათვის, რომლის გვარი 1554 წელს ბავრაც აფხაზ-იმერია ვეთის მიერ ვადეკომის სიგელით ადრე შერგელისად იხსენიებოდა.

კაცია ჩიქვანის ხელმოწერით ვადეკომის საბუთში, რომელშიც განჩინის გამოხატული შორის დასახლებულია თვით აფხაზეთის მფლობელი საუსტან შერგელისად, მოპარული ნივთების ჩამოთვლისა და მომპარვის ნივთიერი ხელმოკლეობის აღნიშვნა შემდეგ, სხვათა შორის, ნათქვამი იყო: „...შემოგვეხვევა კაცია და ამის (ე. ი. მოპარული ნივთების ა. თ.) გარდასახვადი ხატის კლიტე არჩივი დავეიღვა და დაგვენება. ეს კლიტე... მამაში შერგელისათვის მიგვიცემია. სხვა შერგელისა ამაშიდ არა ურეცხირა. მამაში და მის შვილებს ასე მკვიდრით ქონდეს“ („საისტორიო მოამბე“, I, 1925, გვ. 249).

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ამ დოკუმენტის დედანი (პირველი პირი) პირად არქიმეო ჰქონდა შენახული ლეო ქიანელ და მისგან უშუალოდ ვადეკომის ს. კავთაძეს. აი რას წერს იგი მის შესახებ: „ლ. შენგელისთან (ლ. ქიანელთან) ამ ოთხი წლის წინათ (ე. ი. 1921 წელს, როცა ისტორიკოსმა ობუქში იმოგზაურა ა. თ.) ჩვენ შევხვედით ერთს საყურადღებო საბუთის, რომელიც შემდეგ პატრონმა ვერ იპოვა თავის ქალაღებში. რადგან საბუთი ჩვენ მამის ვადეკომის ვეჭონდა, ამიტომ ტექსტის დაუკარგელობისათვის მას აქვე ვათავსებთ. საბუთი წარმოადგენდა მამაში შერგელისა და ვიდეკომის შორის ბრძოლის განჩინს. კაციათს ვადეკომის (ე. ი. ვადეკომის ა. თ.) შერგელისა და ზარალის ასანახლავებლად ხატის კლიტე არჩივი დაუღვიოს. ობუქში ზუგდ. მხარაში, სადაც აქამდის ცხოვრობდნენ შენგელისები (ახნაურები) და

კაქაიები (გლეხები)“ (საისტორიო მოამბე, I, 1925, გვ. 248).

როგორც აქედან ჩანს, შთამომავლობით თაობიდან თაობაში გადასულ საბუთს მწერალი ინახავდა, ერთი მხრივ, თავისი გვარია გენეალოგიისა (შერგლიად — შერგელია — შენგელია) და მეორე მხრივ, ქიანის ხატის შორეული უცნაორო წარსულის, შერგელიათა საგვარეულო კეთონილხად მისი გადაქცევის და გადასტურებულ ისტორიულ ფაქტად. მაგრამ ამავე დროს ქიანელთან ამ დოკუმენტის უშუალოდ მოხვედრა თავითავე იმასაც გვაფიქრებინებს, რომ მამაში შერგელია უნდა იყოს თვით მწერლის არა მხოლოდ გვარობრივი, არამედ პირდაპირი შორეული წინაპარი.

აქედან გამომდინარე, თუ ზემოთ მოტანილი საბუთის წმინდა სამართლებრივი ენით ვიმსჯელებთ, ქიანის ხატის მფლობელობის უფლება ჰქონდა არა შერგელიას მთელ გვარს, არამედ მხოლოდ „მამაის და მის შვილებს“, ე. ი. მათ შთამომავლებს. ბუნებრივია, ეს მემკვიდრეობით პირდაპირი კავშირი უფრო მეტ ფორიდიულ და მორალურ უპირატესობას ანიჭებდა მწერალს რეველუციური გრაფიკების ეპოქაში საგვარეულო კეთონილხადთან თავისი პირადი სარგებლობა ლეჟიერ ჩარჩოში ვადმოტანა სიტყვა „ქიანა“ და გამოეყენებინა იგი საკუთარი სტრუქტურისა და შეზღუდულობისამებრ. მაგრამ ჯერ ისევ ვაყვებით ამ სიტყვის ეტიმოლოგიური ძიების გზას.

თვით ხატის ასოთმთავრული წარწერია ე. თაყაიშვილისეული წყაიბის მიხედვით ცხადი ხდება, რომ „სახელითა ღმერთისათა მე გიორგი მეფემან დაესხენ ეს საწერობელი წმიდას ამას ეკლესიასა ქიანს სალოცავად სულსა ჩემთვის“ (ე. თაყაიშვილი, „არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები“, წიგნი II, 1914, გვ. 239). ე. თაყაიშვილის ვარაუდით ეს გიორგი მეფე უნდა იყოს გიორგი I. მამასადამე, ამ ცნობით სულ პირველად (ე. ი. დაახლოებით მე-14 საუკუნეში, როცა ხატი გიორგი მეფის ბრძანებით პირველად იქნა გაკეთებული) ქიანი ჩემეია რომელიც ეკლესიას.

მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში ქიანი ერთგან მიხსენებული აქვს არქანგლო ლამბერტის სამეგრელოს იმ ექვს მონასტერს შორის (ზოფან, ობუქის, ანაკრისა და სხვ.), რომლებიც წინათ სკებისკომოსო ეკლესიებზე იწოდებოდნენ. ამათგან, — წერს ლამბერტი, — „პირველია ქიანის მონასტერი, მთაზე აშენებული“ (ი. ლამბერტი, „სამეგრელოს აღწერა“, თბილისი, 1938, გვ. 120-121) ეს მონასტერი შემდეგ დანგრეულა და მიწისგან აღვილა. ს. კაქაიანის ზემოთ დასახლებული წერალიდან

კი ვარკვევით ჩანს, რომ ზემოთხსენის (იხსენეთი) ეკლესიიდან ოდესღაც მოპარულნი იყვნენ 1880 წლიდან ჯერ ობუქის მკვიდრნი, შემდეგ იას, ხოლო შემდგომ ამავე სოფლის მონასტრის კეთონილხად გამხდარა.

ამე დაქარგა დროთა ვითარებაში სიტყვა „ქიანა“ თავისი პირველადი აზრი და ვადიქცა იმ სალოცავი ხატის სახელწოდებად, რომელიც ერგვა მის პირველ ადგილსამყოფელს XIV საუკუნეში. ასეთია ამ ხატის გარშემო არსებული ისტორიული წყაროები, ვადმოცემები და ლეგენდები.

დავუბრუნდეთ ახლა საკითხის არსებით მხარეს.

ლეო ქიანელის მშობლიური სახლი იდგა სწორედ ობუქის ცენტრში, იმ მონასტრის გვერდით, სადაც ქიანის ხატი ესვენა. იგი, ჯერ კიდევ სრულიად ბავშვი, ყოველთვის თან ახლდა დედას, როცა ის საკუთარ ეზოდან პირდაპირ ვადადიოდა ხალხე მონასტრის ეზოში სავარა თუ შინაურული, საოჯახო წიგნ-ლოცვის დროს. იმ გზით პატარა ლეოს შემადლებლობა ჰქონდა თითქმის ყოველდღე ექვსთა ქიანის ხატისათვის და დამტკბარიყო მისი ჯერ კიდევ შეუცნობელი მშვენიერებათ.

ისე, როგორც სხვა მხრივ და სხვა მიმართულებით, შვიდ წლამდე სოფლად ვატარებულ დრო ამ მხრივაც აღმოჩნდა ის საუკეთესო, ბუნებრივი პერიოდ, რომელშიც, შეიძლება ითქვას, ერთგვარად კიდევ განსახლება მომავალი მწერლის ლიტერატურულ-ესთეტიკური მიზანსწრაფვის ძირითადი ნიშნები. ამ პერიოდში ქიანის ხატის ვარკვეული მშვენიებით აღჭრული აღრული შთაბეჭდილებები მწერლის არსებაში შემდგომ იქცა ცხოვრების მშვენიერებაში, თვით მშვენიერი ცხოვრების მომთხრობისათვის ბრძოლის დიდი იდელების შეგრძნების ერთ საფუძვლად.

ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლის მთელ პერიოდში, მიუხედავად იმისა, რომ ოჯახი ზღუდილი იყო ვადსახლებული, ლეო ქიანელი მათე ყოველ ზაფხულს მიემგობოდა ობუქში ბავშვობის დროინდელი ადგილების სანახავად. 1905 წლის რეველუციის დროს კი, როცა ხარკიდან სამშობლოში დაბრუნდა და მის მშობლიურ მხარეში რეველუციური მუშაობა ვაჩადა, იგი თვით იყო მოწვენი იმისა, თუ როგორ იყენებდა თვითმკვობლობა და ადგილობრივი რეაქცია ქიანის ხატის ვითომდა ელითორ ძალს მეამბოხე გლეხების შეიარაღებული ჩაშვების დასამინებლად, გლეხობაში რეველუციური სულისკვეთების ჩასატრიალად.

ამე აღიბეჭდა ახალგაზრდა შენგელიას მეხსიერებაში, თითქმის ერთდროულად და თითქმის ერთნაირი სიმტკიცით, ქიანის ხატის ვარკვეული სიმშვენიერე და მისი ძლიერების შეუ-

ვალმაზე ხალხში გავრცელებული მითი. პო-
ლიტიკური მისწრაფებებით იგი შეუროგებელი
იყო ეკლესიასა და ლეთისმსახურებზე იდეო-
ლოგიასთან, ხასიათის შინაგანი ბუნებითა და
მიღრეკალებებით კი ყველგან და ყველადღერში
იმთავითვე ხიზლავდა და იზიდავდა მხოლოდ
ძლიერი, მხოლოდ მშვენიერი, მხოლოდ კეთილ-
ხმოვანი, მხოლოდ ის, რაც ადამიანს სიამოვნება
ანიჭებდა.

ასეთი ფეფვისტური დამოკიდებულება სიტუ-
ვითა, საგანთა თუ სახელთა შერჩევითადაც ერთ-
ერთ ნიშანდობლივ თვისებად დაჰყვა ლეო ქია-
ჩელს საწერლო მოღვაწეობის დაწყების პირველი
დღეებიდანვე. ამიტომ უკუაგდო მან თავისი
პირველი სადებიუტო ფსევდონიმი „მიხასაქ“.

ერთი მხრივ, ობუქის ეკლესიაში დასვენებული
ხატის მეტად კეთილხმოვანი სახელი „ქიაჩი“,
მისი ნაკეთობის ოსტატობა, მისი გარეგნული
იერი და სილამაზე, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ხა-
ტის უძლეველობისა და საკეთარ გვართან კავ-
შირის შესახებ ხალხში არსებული გადმოცემა, ამ
კავშირის დამადასტურებელი ისტორიული სა-
ბუთი. — აი რა დაედო საფუძვლად მწერლის
მტკიცე არჩევანს, რათა მის მუდმივ ლიტერატურ-
ულ ფსევდონიმად ქვეყლიყო მეტად სასია-
მოვნო მეღერი სიტყვა „ქიაჩელი“.

პირდაპირი აზრით ეს სიტყვა ნიშნავდა, იმ
ადგილიდან ვარ, სადაც ასევეა სახელგანთქმულ-
ა ქიაჩის ხატი, რომელშიც ისტორიული წილი
მიღვესო. იურიდიული და მორალური თვალ-
საზრისი ასეთი ვაგებით მეტად ორიგინალურად
მიგნებული სიტყვის ფსევდონიმად მოწოდების
უფლება, როგორც ზემოთ მოტანილი წყაროები-
დან დავინახეთ, მწერალს, რასაკვირველია, ჰქონ-
და. მაგრამ სიმბოლურად იგი უფრო ღრმა შინა-
არსს ატარებდა.

ჩვენთვის საეცებით ნათელი, უუკუო და უმთავ-

რესი არის ის, რომ აღნიშნულ ფსევდონიმის
არჩევით იგი თავის მწერლურ მოწოდებას იმთა-
ვითვე უყენებდა მაღალ საზოგადოებრივ-ესთე-
ტიკურ მოთხოვნებს: ისე ძლიერად, მიმზიდველ-
ად, ოსტატურად და შთაშვებულად გამოესახა
სინამდვილე, თავისუფლებისა და სამართლიანო-
ბისათვის ბრძოლის იდეალები, რომ მკითხველ-
თა ფართო მასის პატივი და დიდება დაემსახუ-
რებინა, გამხდარიყო მთელი ქართველი ხალხის
სასიქადლო სულიერი მოძღვარი, მისი უკეთესი
მერმისისავე მომწოდებელი, გრძნობებისა და
განცდების გამაფაჩებელი და ამამდლებელი
სულიერი ხატი.

როგორც ვხედავთ, ფსევდონიმ „ქიაჩელს“
არავითარი კავშირი არა აქვს რელიგიურ რწმენა-
სა და მსოფლმხედველობასთან, როგორადაც იგი,
ერთი შეხედვით, შეიძლება მოგვეჩვენოს საქმის
ერთარებაში ღრმად ჩახედვისა და განჭვრეტის
გარეშე. სწორედ ასეთი ცალმხრივი ინტერპრე-
ტაციის მოსალოდნელობის გამო ერთდებოდა
რეჟოლუციური წარსულის მქონე ქიაჩელი, რო-
მელიც ქართველ საბჭოთა მწერლებს შორის
ერთ-ერთი პირველი მივიდა სოციალისტური
რეალიზმის პრინციპებთან, სიუცხლეში ფარდა
აეხადა „ელ“ სუფიქსში ჩამარტული საიდუმლო-
ებისათვის. მაგრამ მოვლენების სწორი, ობიექ-
ტური ახსნისა და შეფასების დროს, ცხადია,
მწერლის ამგვარ სუბიექტურ მოტივებს ამ-
ეამდ ანგარიში არ ეწევდა.

ამრიგად, ფსევდონიმი „ქიაჩელი“ მწერლის
სტილური ინდივიდუალობის, მისა ესთეტიკურა
გემოვნებისა და ლიტერატურული იდეალების
დიდ მნიშვნელოვან თეორიულ საკითხებთან არის
დაკავშირებული. ამიტომ, ბუნებრივია, მას გარ-
კვეული მნიშვნელობა ენიჭება ლეო ქიაჩელის
შემოქმედებითი ბიოგრაფიის, მისი ცხოვრებისა
და მოღვაწეობის მეცნიერული შესწავლის საქ-
მეში.



ბაქოჩენილი სახვითა მუხიერი

სახელოვან ქართველ მკვლევარს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, აკადემიკოს გიორგი სარიდანის ძე ახვლედიანს დაბადების 80 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 55 წელი შეუსრულდა.

გ. ახვლედიანი ერთი იმათგანია, ვინც აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით სათავეში ჩაუდგა თბილისის უნივერსიტეტის დაარსებას და დაუშრომლად იღვაწა ქართველთმეტყველების სამეცნიერო დარგების ჩამოყალიბება-განვითარებისა და ახალი კადრების აღზრდისათვის. მრავალმხრივი და მრავალფეროვანია მეცნიერის ფუძემდებელი შრომების თემატიკა: პირველ რიგში აღსანიშნავია მისი გამოკვლევები კავკასიური და ქართველური ენების შესწავლისა და ზოგადი ფონეტიკის დარგში, რომლებმაც სათავე დაუდეს ამ ენათა ბგერითი სისტემების ისტორიულ-შედარებითსა და ექსპერიმენტულ კვლევაში. გ. ახვლედიანის ნაშრომები „ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკა“, „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები“, „ქართული ენის ფონეტიკის ზოგიერთი საკითხი“, „ზოგადი ფონეტიკის შესავალი“ და სხვა სამაგიდო წიგნებს წარმოადგენენ როგორც ფილოლოგ სტუდენტებისა, ისე სპეციალისტებისათვის.

ღვაწლმოსილი მეცნიერის განსაკუთრებულ დამსახურებას შეადგენს ღრმად ჩაწვდომა იბერიულ-კავკასიურ ენათა ბგერითს სამყაროში, მისი სპე-

ციფიკის გარკვევა და ამასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხების წამოყენება-გადაჭრა. მან პირველმა მოგვცა ქართული ენის ბგერათა სისტემატური ფიზიოლოგიურ-აქუსტიკური დახასიათება, მოახდინა მათი კლასიფიკაცია და, სხვა მრავალ ფაქტთან ერთად, დაადგინა ერთი რიგის თანხმოვანთა სამეულეობრივი წყება, გამოყო სპეციფიკურ-კავკასიური ე. წ. ყელსშულები ანუ აბრუპტივები (პ, ტ, კ, წ, ჭ, ყ.). ამის პარალელურად დააჯგუფა დანარჩენი თანხმონელები (წყვილეულები, ცალეულები) და ჩამოაყალიბა ხმოვანთა ცნობილი სამეულეობა.

გ. ახვლედიანმა საგანგებო ყურადღება მიაქცია ცალკეულ ბგერათა შესწავლას ბუნებრივ გარემომცველ პირობებში (კოარტიკულაცია) და ამის საფუძველზე მოუნახა ახსნა ბგერათცვალებადობის პროცესებს, მანვე განახა ბგერითი სისტემის სოციალური დანიშნულება, აღნიშნა მათი ფონემურობა და გაარკვია ფონოლოგიის მნიშვნელოვანი პრობლემები (ფონემების პოზიცია, პოზიციათა სახესხვაობანი, პოზიციური განაწილება და მათი სახეცვალება).

მშობლიური ენის ფონეტიკურ-სტრუქტურული სურათის დასახუსტებლად მან ქართული ბგერები შეუდარა რუსულს, ფრანგულს, ინგლისურს და ზედმიწევნით დაადგინა მათი მსგავსება-განსხვავებანი. ლაბორატორიულმა კვლევამ, რასაც გ. ახვლედიანი, თავის მოწაფეებთან ერთად, ინტენსი-

ურად აწარმოებს, იგი ბევრ საგულისხმო აღმოჩენამდე მიიყვანა. მის გამოკვლევებში ჩამოყალიბებულია მრავალი ფონეტიკური კანონზომიერება, პრინციპულად წარმართველი ბევრი დებულება, რომლებიც მომდევნო თაობების მკვლევართა სამუშაო პრობლემებად ისახება.

— გიჟია ეს ოხერნი! — დაასვენა ბეგიმ, ვითომ რამე გაუგო მის ნათქვამს, მე კი გუცას მსჯელობა საინტერესოდ მსჯენა და კვითხე:

— როგორია მაინც ეს „ფიქრების მხატვრობა“, ხომ არ აცეხსნით?

— სიამოვნებით, თუ ბატონი ოფიცრები ინებებენ, ორიოდე სიტყვით შემიძლია ეს ავიხსნათ, — თქვა მან და სულ ვნად გადაიქცა: უნდა ყველაფერი ერთად ეთქვა, ყველაფერი მოესწრო, თავისი „დიდი ერუდიოციკა“ ვერცხობანა და განმარტებაც სწორი მოეცა. გატაცებით ლაპარაკობდა, სხაპასუებით, თან თითებს იმტერვდა, ყველას სახეზე გვაკვირდებოდა, ვახდენ შთამბეჭდილებებს თუ არაო, მაგრამ ბეგიმ მოღმულ თვალებს რომ წააყვდებოდა, განზე მიიზრდებოდა ან სხვა ვინმეს ჩააცვიდებოდა. რომ ლაპარაკობდა, ეტყობოდა, სულ იმის ემინოდა, არ შემწყვეტიანო. ვინმე თუ

დინოსაფრა?!“ — ჩაიწერა მამინვე გუცამ. მისი ნახატაც დინოსაფრს უფრო ჰგავდა, ვიდრე ადამიანს.

— ყრუ კომპოზიტორი, მაგრამ არა ზეთოვანი! — წამოიძახა უცებ მან და ისეთი ვანზე დახატა, მართლაც ყრუს ჰგავდა და თან ხელეუბნის ასეთი მოძრაობით, რომ მამინვე გაფიქრებინებდათ, ეს ნამდვილად უნიჭო კომპოზიტორიათ.

მერე კოპია გოგონამ ჩამოიტანა კიბეებზე. ცალცალ ფეხზე მტრუნით დაეშვა, ჩვენ რაღაც გაბუტულივით შემოგებდა და ისევ სკუპ-სკუპით წავიდა...

— „ქალიშვილო, მოგაწოდეთ თქვენი ტურები!“

— ჩაწერა და ჩახატა გუცამ.

ჩვენ წინ რომ ცეცხლივით მწითურმა და აღისფრთმანმა ჭალმა ჩაიარა, გუცამ წამოიძახა:

— ვვუვის კრატერიდან ამოფრქვეული ანგელოზი! მერე ვიღაც აწოწილი, გამბდარი და საოცრად გაფითრებული ჭალიშვილი გამოჩნდა:

— შელლი! — იყვარა გუცამ, — ჰერსი ბიმი შელლი, ინტლისელი პოეტის! ... ან ქვიშაში ამოსული ზამბახი!

ზამბახი კიდევ პო, მაგრამ შელლი საიდან მოუვიდა თავში, ვერ მივხვდი, ესე იგი, ვერ გავიარე ის ბეწვის ხიდი, და ვკითხე:

— რატომ, შელლი?

— დაახ, შელლი! — წამოიძახა მან — წყალში დაშრჩვალი პოეტის სახე...

მერე წამდაუწუმ გვესმოდა მისი „დეკანოზები“:

„მივეწალეები ჩემს უკანასკნელ დღეს!“

„მე ფლეიტა ვარ, შევძლიათ დაუკრათ!“

„მინდა შორიდან შევხედო ჩემს თავს!“

„ასტრონომი ან ღალაქი!“

„ქალბატონო, გყავთ თუ არა ბაყაყები ტუფლებში?“

„მამაკაცი, რომელიც არ მოკვდება სიფეარულით!“

„პორნოგრაფიული მშვენიერება!“

ბოლოს მე იდაყვა გაკვარი და შევახედე—ჩვენი ტრანინი მოდიოდა დამაინტერესა, ამას რა დევებს მოუტეზნის-მეთქი. შესედა და დახატა:

— „თბის ებრაული პროფილი!“

ისეთი მახვილი თვალი ჰქონდა, რომ ვველაფერში რაღაც უცნაურს აღმოაჩენდა. მერე ეს აღმოჩენა მას წარმოსახვაში ისევ უცნაურ საღატოს აკეთებდა და სრულიად მოულოდნელ ფორმას ქმნიდა, რაც მას საკანთა არსის „ღვთაებრივ გამოსახულებად“ და „შთაგონების სურნელებად“ მიაჩნდა....

გოეთეს ერთი გავების შესახებ

გოეთეს შესახებ ახლებულ მდიდარ ლიტერატურას შეემატა ო. ჟინორიას წიგნი — „გოეთეს შემოქმედებითი გზა.“ ამ წიგნში საბოლოო სახით მოცემულია გოეთეს ის გავება, რომელსაც ავტორი ანეითარებდა სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ წერილებში და გამოცემილად ჩანს ავტორის ტენდენცია — აირიოს გოეთეს შესწავლის თავისებური, იმისაგან არსებითად განსხვავებული გზა, რასაც აქამდე ჰქონდა იდეალი ჩვენს მეცნიერებაში. შემთხვევით როდია, რომ ო. ჟინორია ერთგან თავის წიგნიში არა უბრალოდ გადმოცემს, არამედ ფაქტურად სახელმძღვანელო იხილს ი. ბეხერის დებულებას, რომ გოეთეს შესახებ „ტრადიციული და უნაყოფო შეცვლილი ლაპარაკი შეწყდეს და არსებითად შეცვლილი მიმართულებით ხელახლად იყოს დიწყებული“, რომ „ხელახლა იქნეს აღმოჩენილი სამყარო, რომელსაც გოეთე ეწოდება“ („მნათობი“, 1953, № 4, გვ. 104).

იღებს რა ბეხერის ამ დებულებას, ო. ჟინორია გაინიშნებს, რომ მის სწორედ ამ ხაზით იქნეს განზრახული იველის გოეთეს შემოქმედება. იგი, ეკვი არ არის, იზარტებს იმ აზრს, რომ გოეთეს შემოქმედების კვლევა საერთოდ ჩინში მოემწყვედა და რომ ამიტომ საჭირო ხდება ყველაფრის თავიდან დაწყება და თავიდან არსებითად შეცვლილი მიმართულებით. განა შეიძლება ითქვას, რომ გოეთეს კვლევა საერთოდ ასეთ საეალლო მდგომარეობაში იმყოფება? რასაკვირველია, არა. მართალია, ბურჟუაზიული გოეთელოგია დიდ ხანია დაქინიების გზას ადგას, მაგრამ ეს არ გვაძლევს საფუძველს ელამბაკიოთ გოეთელოგიის დაქინიებაზე საერთოდ. არ გვაძლევს საფუძველს იმეტიმ, რომ არსებობს საბჭოთა გოეთელოგია, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გოეთელოგია, რომელთაც ხატიარეს და დღესაც ატარებენ დიდ მუშაობას გოეთეს მეცნიერული შესწავლის საქმეში.

ო. ჟინორია არ უარყოფს საბჭოთა გოეთელოგიის მიღწევებს, იმასაც აღნიშნავს, რომ „საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობამ აღად-

გინა გოეთეს ნამდვილი, ისტორიულად ჭეშმარიტი სახეო“ (იქვე, 103), მაგრამ საბჭოთა გოეთელოგიის მიღწევათა რაღა დაფასება გამოდის, როცა იმის აღნიშნისას, რომ მან აღადგინა გოეთეს ნამდვილი სახე, ხაზი ესმება იმის აუცილებლობას, რომ გოეთე ხელახლად უნდა იქნას აღმოჩენილი, მისი კვლევა არსებითად შეცვლილი მიმართულებით უნდა წარიმართოს? განა ცხადი არ არის, რომ საქმეს თავიდან და არსებითად შეცვლილი მიმართულებით მაშინ იწყებენ, როცა მანამდელი მუშაობა უნაყოფოდაა მიჩნეული?

უნდა აღინიშნოს, რომ ო. ჟინორია იზარტებს არა მხოლოდ გოეთეს ე. წ. ხელახლა აღმოჩენის თეორიას, არამედ იმ თეორიასაც, რომელიც გოეთეს წინააღმდეგობრიობის სათავეებს ეძებს შერტლის მსოფლმხედველობის მიღმა, არსებითად უპირისპირებს ერთიმეორეს მობროუნე-შატივარ გოეთესა და პიროვნება გოეთეს. როგორც მობროუნე-შატივარი, გოეთე, ო. ჟინორიას აზრით, სრულყოფილი გენიოსია, როგორც პიროვნება კი — ფილისტერია, ანგარებითი ბუნების აღმინანი. „ამრავად, საუ დაუთმო თანმიმდევრულად თავისი პოზიციები: გენიოსმა პოეტმა ფილისტერს, კითხულობს ო. ჟინორია, რა სფეროში უნდა ვეძიოთ ამ უკანასკნელის გაელენა? ეს სფეროა გოეთეს პიროვნება“ (იქვე, 108). გოეთე-პიროვნებას ო. ჟინორია უწოდებს „მოცემული სინამდვილისათვის დამთხოვ ფილისტერს“, რომელსაც თურმე „ამ დამთხოვთა ფასად საიდუმლო მჩველობისა და ორდენებისათვის მიეღწია“ (თბილისი. საბ. უნივერს. შრომები, ტ. XXXIX, გვ. 127). „ფილისტერი, წერს ო. ჟინორია, უპირატესად გოეთეს ეტძმო... პიროვნების მიმართ აელენს ხოლმე თავის ძალასო“ (ო. ჟინორია — „გოეთეს შემოქმ. გზა“, გვ. 14); „ფილისტერი თანმიმდევრულად იზრდება და ჩაგრავს გენიოსს გოეთეს პიროვნებაში“ (24); „პირიქით, აზროვნებისა და წარმოსახვის, მეცნიერება-ფილოსოფიისა და ხელოვნების სფეროებში... ვითარდება და იზრდება გოეთეს გენილობა“ (იქვე).

როგორც ეხედავთ, ამისაგალი ბუნქტი, რომელსაც ემყარება ო. ჟინორიას მიერ მოცემული გოეთეს გავება, მინაგანად წინააღმდეგობრივია. პოეტს გოეთეს და პიროვნება გოეთეს

ოთარ ჟინორია, „გოეთეს შემოქმედებითი გზა“ „საბჭოთა საქართველო“, 1966.

ერთმეორისაგან გამოვიყენა წარმოადგენს გოეთეში იმ ერთიანობის უარყოფას, ორი გოეთეს აღიარებას, სასაყდრე ჩვენი ავტორის წინადაც და ახლაც სხვის სასუველტრობის (გვ. 13—16). იგი წარმოადგენს აწერა დამტოვებას გოეთეს როგორც პოეტის, ისე პიროვნებისა, პირველისა იმიტომ, რომ მას დიადიდ და გენიალურად თვლის მხოლოდ მანამ, ვიდრე იგი თავისი იდეალებისა და პრინციპების პრაქტიკულ განხორციელებას დაიწყებდას, ე. ი. მანამ, ვიდრე იგი, ე. წ. წმინდა თეორიის სფეროთი იფარგლება; მეორისა კი იმდენად, რამდენადაც დიდ გერმანულ მწერალს, როგორც პიროვნებას, თვლის უპრინციპო, წარინებებას და რანგებს დახარბებულ ეგოისტად. მტიკებებს არ საჭიროებს, რომ გოეთე დიადია არა მხოლოდ როგორც მოაზრობე და პოეტი, არამედ როგორც პიროვნება, საზოგადოების წევრი.

ახლა შევუდგეთ იმის განხილვას, თუ როგორ ესმის ო. ჭინორიას გოეთეს შემოქმედებითა განვითარება. არ შეიძლება ითქვას, რომ იგი ამ მხრით მხოლოდ სხვათა შეხედულების ნეგაციით იფარგლება, ან ცდილობს თავისი შეხედულებების გამოთქმასაც, რომლებიც რიც შემთხვევაში არ არის მოკლებული მეცნიერულ ინტერესს, ზოგჯერ საკითხის სწორ გაგებასაც უახლოვდება. ყველაფერი გვემოწმება, რომ ო. ჭინორიას ამ მხრითაც თვალახირი მუშაობა ჩატარებია. მიუხედავად ამისა, გადაჭრით უნდა ითქვას, რომ გოეთეს ევოლუციის ის გაგება, რომელსაც იგი გვათავაზობს, სერიოზულ კრიტიკას იმსახურებს.

ეს პირველ რიგში ითქმის გოეთეს განვითარების მის მიერ მოწოდებული პერიოდიზაციის შესახებ. ამ საკითხში ო. ჭინორიას არა თუ რაიმე პრინციპულად ახალი შეაქვს, არამედ რიც შემთხვევაში დგება იმათ თვალახირისზე, ვისაც აკრიტიკებს, თვითონვე გამოყოფს, მაგალითად, წინააღმართულ და ვიამარულ საფეხტრის, გამოყოფს ამის შესაბამისად სათანადო თავებს — „პაბუცი მეამბოხე“ და „ვიამარული ბრძენი“. მთავარი მნიშვნელობა, ცხადია, იმას ენიჭება, თუ როგორია გაგებული არსი გოეთეს შემოქმედებისა მწერლის განვითარების ცალკე საფეხტრებზე, კონკრეტულად იმას, თუ როგორია გაგებული ჩვენი ავტორის მტრის წინააღმართელი და ვიამარული გოეთე.

თუ საკითხს ამ მხრით შევხედავთ, უნდა ითქვას, რომ ო. ჭინორიას ბევრი თავისი ორიგინალური შეხედულება აქვს გამოთქმული. სხვა საკითხია, ცხადია, თუ რამდენად სწორი, ვიამარული, კერძოდ, საფანჯავთის რეკლუციის ეპოქის გოეთეს შეფასებაში იგი, როგორც ეს ქვევით იქნება ნაჩვენები, არა უბრალოდ დგას იმათ თვალახირისზე, ვისაც სასუველტრობს გოეთეში ფილისტერის დანახვას, არამედ მათთან შედარებით გაცილებით უფრო მარჯნად

წასულად რეაქციონერადაც წარმოადგენს მწერალს.

რაც შეეხება ე. წ. „ქარიშხლის“ და „შეტვის“ ეპოქის გოეთეს შეფასებას, აქ ო. ჭინორიას უდავოდ ორიგინალურია. ამდროინდელი გოეთეს გაგებას იგი ავაქშირებს და, მართებულად, შტურმერული ლიტერატურის ბუნების გაკვევასთან. იგი ცდილობს უუფადოს ჩვენს მეცნიერებაში მიღებული გაგება ამ ლიტერატურისა, რომლის თანახმადაც იგი, არსებითი ნაკლოვანებების მიუხედავად, წარმოადგენს პირველად მოძრაობას, ლიტერატურაში ფართო მასების ანტიტირანული განწყობილებების გამოხატულებას. ო. ჭინორიაც ვერ თვლის შესაძლებლად მთლიანად ყვარი დანუსებას ამ ლიტერატურის პროგრესულ მნიშვნელობას, მაგრამ პროგრესულობის შესახებ მისი ეს მსჯელობა არამედარაიმე არ ეგუება მთლიანად ამ ლიტერატურისთვის მის მიერ მიცემულ შეფასებას. ო. ჭინორიას წიგნს მთავარ ზოლად გასდევს „ქარიშხლისა და შეტვის“ ლიტერატურის არსებობად ნეგატიური შეფასება, ლამარაკობს რა „ქარიშხლისა და შეტვის“ ლიტერატურაში პროგრესული და რეაქციული ელემენტების თუ ტენდენციების მოკეფლობაზე, ო. ჭინორია ასევენი, რომ პროგრესული ელემენტი თუ ტენდენცია, როგორც წესი, თავის წინააღმდეგობად გადაიქცევა. „გადაჭრებულ“, „უტიდურეს“ ხასიათს იძენს და ამირეაქციულ მოვლენად გადაგვარდება ხოლმეო“ (137—ხაზი ჩვენია—გ. ხ.)

რა არის ის, რის გამოც ჩვენს ავტორს გამოაქვს ასეთი მკაცრი განაჩენი დასახელებული ლიტერატურისათვის? ეს არის ინდივიდუალიზმის მომენტი, რომელიც, ო. ჭინორიას აზრით, ყველა შტურმერის, მათ შორის, გოეთეს „მსოფლმხედველობასა და შემოქმედებაში იჩენდა თავს, როგორც არსებითად უარყოფითი, რეაქციული ფაქტორი“ (141—ხაზი ავტორისაა—გ. ხ.). ავტორი ვერ ითვალისწინებს, რომ ინდივიდუალიზმის მომენტი იმდროინდელ გერმანულ ლიტერატურაში წარმოადგენდა სოციალურ ბოკილებისაგან პიროვნების განთავისუფლების მოთხოვნის თავისებურ ფორმას. იგი ვერ ითვალისწინებს აგრეთვე იმასაც, რომ იგი, ინდივიდუალიზმი, არამედარაიმე არ შეიძლება ჩაითვალოს ადრინდელი გოეთეს შემოქმედების ძირითად ფაქტორად. ო. ჭინორია კი ამ ახალ ლიტერატურაში ისე, როგორც ადრინდელი გოეთეს შემოქმედებაში, ამ ნეგატიური, მის მიერ რეაქციულად მიხნეული ფაქტორის გაბატონებას ხედავს. „ხოლო ამდენად, წერს ჭინორია, საკითხი ისე კი არ ტრიალდება, თითქოს „ვენისისთა“ კულტის რაობისა და დირებულების „გადაწყვეტი“ ფაქტორად მისი პოზიტიური არსი გვეცინება და არა ნეგატიური „გადაჭრებანი“, არამედ იმ ასპექტში

დგება, რომ ამ პოზიტიურ არსს ისე ორგანიზაციულად ვნებენ ეს ნაკლოვანებანი, რომ მანკიერ-უარყოფითი ხასიათსაც კი სძენენ მას, სწორედ ძალსა და შემოქმედებით უნარს ართმევენ. ღია, უნაყოფოს ხლან მის „გმირს“ (141—142) ხაზი ავტორისა — გ. ხ.).

და წინააღმდეგ ყოველივე იმისა, რასაც „ქარიშხლიან და შეტევის“ ლიტერატურის პროვრესტობის შესახებ ამბობს, ო. ჯინორია ასკენის, რომ „ინდივიდუალობის ამბობება“, ამ ლიტერატურაში. „მართო ტეკოლუციერობას კი არ არის მოკლებული, არამედ საერთოდ უნიადაგო და უნაყოფო, ხელაც მავნე, ყოვლად ასოციალურ ბუნებრივად იქცევა“ (141—142) ჩვენა — გ. ხ.). საყურადღებოა, რომ ასეთივე მანკიერი და უნაყოფო ბუნებრივობა დინახა ო. ჯინორიამ **შლორის ვარლ მოთორ-შიც**, გამოთქანა რა შილერი თავისი გმირის ამ ეთიოპია მანკიერი მემბობეობის მამბილუბლი (იქვე).

„ქარიშხლიან და შეტევის“ ლიტერატურის ამგვარი ნეგატიური შეფასება ო. ჯინორიას ნაშრომში ერთ მიზანს ემსახურება: გამართლება მოუძებნოს იმას, რომ იგი გოეთეს ამ პერიოდის ნაწერებშიც ხელდას მანკიერი მემბობეობის ნიადაგზე დგომას, „რეაქციული ფაქტორის“ ნოქარბებას. თუმცა ავტორი ირწმუნება, გოეთე „ყველაზე წარმატებით“ შეგბრძოლა შტიურამერული ლიტერატურის ამ მიმართ, მაგ-რამ არაეთიარი ეკვი არ რჩება, რომ ო. ჯინორიას აზრით, აღრინდელი გოეთე სწორედ ამ მანკიერი მემბობეობის ნიადაგზე დგას. ერთგან ო. ჯინორია წერს, რომ გოეთე მხოლოდ „გოციში“ დგას „საკესებთან შტიურამერულ თელსაზრისზე“ (153), წერს, რომ გოეთე „შეცვლილად და თანაც სიმპათიით წარმოგვიდგენს მის (გოციის — გ. ხ.) მთავარ, ობიექტურ მანკს“ (154), სიდანაც მხოლოდ და მხოლოდ ის გამომდინარეობს, რომ გოეთეც ამ მანკიერი მემბობეობის ნიადაგზე დგას.

რამდენიმე გვერდის შემდეგ რჩევაა, რომ „გოცი“ არაეთიარ გამოწაკლისს არ წარმოადგენს, რომ მანკიერი მემბობეობის ნიადაგზე დგას თურმე გოეთე ამ დროის სხვა დიდ ნაწარმოებებშიც. — „პრომეთეს“ და „ვერთერის შიცი“. „პრომეთეს“ შესახებ, მაგალითად, ო. ჯინორია ასკენის, რომ აქ „ეგს ჰემარბიტად აღამიანური შინარის... მოჭყეულია უცხო ნაქუქში, რომელიც საბოლოოდ მას, ამ შინარისს, პოზიტიურ ღირებულებასა და ძალას აცლის“ (161). იგივე ითქმის „ვერთერის“ განხილვის შესახებაც. უსამართლობის წინააღმდეგ ვერთერის ამხედრების შესახებაც ო. ჯინორიას წიგნში იგივეა ნათქვამი, რაც გოციისა და პრომეთეს შესახებ, აღნიშნულია, რომ ვერთერისეული მხილება „ჰკარავს პოზიტიურ ღირებულებას“. „ყოვლად ასოციალური და აპო-

ლიტიკური პოზიციებიდან სწარმოვებს“ (167).

ასეთია ო. ჯინორიას გაება გოეთეს განვითარების პირელი ეტაპისა, განვითარების გარკვეულად ჩრდილს დენსა მწერობის მწერის შემოქმედების დიდ პროგრესულ მნიშვნელობას. ო. ჯინორიას მსჯელობებში დაეას იწვევს, ცხადია, არა ის, რომ გოეთემ დაღლია შტიურამერობა და განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა. არამედ ის, რომ მან **ცალმხრივად** შეაფასა ეს მომართობა, დაინახა მასში ნეგატიური მხარის ვაბატონება, მანკიერება და უნაყოფობად მიიჩნია შტიურამერული მემბობეობა, რითაც ფაქტიურად უარყო მისი დადებითი მნიშვნელობა გოეთეს შემდგომი პოზიტიური განვითარებისათვის. საკულიტეოა, რომ გოეთეს თავის ამგვარ გაებას ო. ჯინორია გოეთეს შესახებ **ინგელსის** მიერ გამოთქმული შეხედულებების შემოქმედებითად წაკითხვის უწოდებს. აღვლი მისხვედრია, თუ რა შემოქმედებითად წაკითხვასთან ევაქვს ამ საქმე, როცა ავტორი მანკიერი მემბობეობად მიიჩნევს გოციის, პრომეთეს ამხედრებას ფეოდალური საზოგადოების წინააღმდეგ იმ დროს, როდესაც ინგელსი ამ ფაქტში ხელდავა გოეთეს შემოქმედების პროგრესულ მხარეს და მასთან ავაშორებდა გოეთეს გენიალობას.

(K. Маркс и Ф. Энгельс т. V, 1929. გვ. 142).

ახლა განვიხილოთ, თუ რთვარ წარმოადგინა ო. ჯინორიამ შემდეგი ეტაპი გოეთეს განვითარებისა, როგორი მიმართება უჩვენა „ქაბუე მემბობე“ გოეთესა და „ვაიმარელ ბრძენ“ გოეთეს შორის. უნდა აღინიშნოს, რომ ო. ჯინორია ეერ აცდა წინაგამარელი და ვაიმარელი გოეთეს იმ დაზირისპირებას, რასაც ზმირად ეხედეთ ტრადიციულ გოეთეოგიაში. ო. ჯინორიაც იმას იმეორებს, რომ ვაიმარელი გოეთე დგება „თეთრშულდენისა“ და „ზომიერების“ თელსაზრისზე (189), თუმცა დასძენს, რომ დგება იმტლებითო. იმეორებს რა ამ შეხედულებას, ჩვენს ავტორს მხედულობიდან ეპარება, რომ ე. წ. „თეთრშულდენისა“ და „ზომიერების“ თეორია, რომლის ავტორებადაც გუნდოლფი, კრონე და სხვები გვევლინებიან, მიზნად ისახავს უარყოფით ხაზებში წარმოადგინოს ის გოეთე, რომელიც უმხედრდებოდა სოციალურ უბადრუკობას, განადიდოს და ჰემარბიტო გოეთე დაინახოს იქ, სადაც მწერალი იმტლებულია ზავი ჩამოავდოს, თუ დაიცვას ეს უბადრუკობა. ო. ჯინორიას ნაშრომი ეკვს არ ტოვებს, რომ ვაიმარელ გოეთესთან იგი ხელდას ვარემომცველ უბადრუკობასადმი მწერლის მხოლოდ კომპრომისზე წასვლას (185—189). განსაკუთრებით ისაა საყურადღებო, რომ ო. ჯინორია ამ კომპრომისში ხელდას დადებითი მნიშვნელობის ფაქტს მწერლის განვითარებისათვის: „გერმანულ უბადრუკობასთან იმტლებით კომპრომისის, წერს იგი, გოეთეს იდეურ-

ლო ყველაზე ძლიერად და სახიფათოდ ეს ეტომისტურ-რეაქციული ტენდენცია მის სწორედ აღმოჩენად. — უშუალოდ 93-ე წლის მომდევნო, — შემოქმედებაში იჩენს თავსა“ (37).

კომენტარები ზედმეტია: ო. ჭინორია, რომელიც სხვას საყვედურობს გოეთეს ღირსების შეღავათს და რომელიც ამ პერიოდის მწერალს მაღალი ხარისხის მემამოხედ აცხადებდა, არათუ უჩვენებს კონკრეტულ მასალაზე ამ მაღალი ხარისხის მემამოხეობას, არამედ წარმოადგენს რევოლუციისადმი მწერლის დამოკიდებულებას ისე ნეგატიურად, როგორც ეს გოეთეს არც ერთ კრიტიკოსს არ მოუშოქმედნია, მწერალს ბოლომდე რეაქციული ტენდენციით შეზღუდვად, რევოლუციის მტრად ხატავს. უფრო მეტი: იგი ამ პერიოდის გოეთეში არამხოლოდ რევოლუციის მეთოდების უარყოფას ხედავს, არამედ რევოლუციის იდეალებისა და პრინციპების უარყოფასაც. გოეთესა და შილერის შესახებ იგი წერს, რომ ისინი „რევოლუციის განუღვანენ, არა მხოლოდ მის მეთოდებს უარყოფდნენ, არამედ მის იდეალთა რეალობასაც ახდენდნენ“ (თბილისის სახ. უნივერსიტ. შრომები, ტ. 39, 1950, გვ. 125). კომედია „მოქალაქე გენერლის“ გმირის, შნაბსის დახასიათებისას, ჭინორია წერს, რომ „წყებულა“, რომელიც პეტრმა ამ ფსევდო-იაკობინელებს ვადებულია, იმდენად ვრძელი აღმოჩნდა, რომ ნამდვილ რევოლუციონერებსაც, საეროთოდ რევოლუციასაც და კერძოდ მის იდეებსა და პრინციპებსაც ვადწყვდაო“. (35-36).

ავტორი გრძნობს, რომ რევოლუციისადმი მწერლის დამოკიდებულების ასეთი ნეგატიური შეფასებით იგი ეწინააღმდეგება თავის თავს, იმის მტკიცებას, რომ აღმოჩენილი გოეთე შეამზოხეობის მაღალ ეტაპზე დგას: იგი გრძნობს, რომ თვითონვე აკეთებს იმას, რასაც სხვას საყვედურობს, თვითონვე წარმოადგენს გოეთეს განვითარებას როგორც აშკარად **დაღმავალ პროცესს**. ავტორი გრძნობს, რომ ისე გოეთეს ევოლუციის ის სტემა არ გამართება, რომელსაც იგი აყენებს, ბუნებრივი და კანონზომიერი არ გამოჩნდება ის, რისა დამტკიცებაც მას ვაწუხობავს; სახელდობრ ის, რომ გვიანდელი გოეთე აღწევს რევოლუციურობას, ისეთ მდგომარეობას, როცა მისი „ფაუსტი“ „ერთიანად ანტიფილისტურული სულით“ (42) იმსჯელება. მას ამიტომ სჭირდება ვაღოს ხილი გოეთეს მის მიერ ანტირევოლუციურად მანერულ ნაწარმოებებსა და რევოლუციურად მიჩნეულ „ფაუსტს“ შორის, სჭირდება შეუღვანეს იმის მტკიცებას, რომ გოეთე არსებითად მაშინაც რევოლუციონერია, როცა გერმანულ უბადრუტობასთან კომპრომისზე მიდის.

სადგოა, ცხადია, არა ის, რომ ავტორს სურს

რევოლუციისადმი გოეთეს მიმართებაში მოქმედნის პოზიტურობის მომენტები, არამედ ის, რომ იგი საოცარ **არათანმშებდერობს** იჩენს, ერთი უკიდურესობიდან მეორეში ვარდება, რევოლუციის თემანზე დაწერილ გოეთეს ნაწარმოებებს თელის ერთსადამივე დროს ანტირევოლუციურ ნაწარმოებებად და არავითად რევოლუციისადმი მწერლის პოზიტუური დამოკიდებულების მაღალი ხარისხის მემამოხეობის გამომატველ ნაწარმოებებადაც. ის კი, რაც ნამდვილად პოზიტუურია რევოლუციისადმი გოეთეს დამოკიდებულებაში, ერთობ მერთალადაა წარმოდგენილი ო. ჭინორიას წიგნში, ანდა პოზიტურობა იმაშია დანახული, რაც მწერლის სისუსტეს წარმოადგენს და არა სიძლიერეს.

ო. ჭინორია არაფერს ამბობს რევოლუციისადმი მწერლის პოზიტუური დამოკიდებულების ისეთი უმნიშვნელოვანესი ფაქტების შესახებ, როგორცაა რევოლუციის დაკავშირება და ახსნა ხალხთა სასიცოცხლო ინტერესებთან, რევოლუციის აუცილებლობის დასაბუთება: კონკრეტული ისტორიული პირობების მიხედვით, ხალხის უფლების აღიარება და დასაბუთება რევოლუციისადმი და მრავალი სხვ. უფრო მეტი: ავტორი არც კი იხილავს გოეთეს იმ ნაწარმოებებს („აქაყებულნი“, „წულწულის ობზიდრონი“ და სხვა), რომლებშიც რევოლუციისადმი გოეთეს ეს პოზიტუური დამოკიდებულება განსაკუთრებით ცხადად ჩანს.

გოეთეს ო. ჭინორიასეული გაგების არსი მთელი სიცხადით ჩანს ავტორის მიერ „**ფაუსტი**“ განხილვის მაგალითზე, რომ „ფაუსტი“ ჩვენს ავტორს მაინცა უმადრეს საფეხურად გოეთეს განვითარებაში, ეს არაერთად დავს არ იწვევს, ისე, როგორც დავს არ იწვევს „ფაუსტთან“ დაკავშირებული სხვა საკითხის გაგება, რომელსაც ო. ჭინორია იძლევა. დავს არ იწვევს ავრთვე ის, რომ ფაუსტის განვითარებაში აისახება თვით გოეთეს განვითარება, რომ „ფაუსტი“ ახალი, რევოლუციის ეპოქის უღიღის შევლს წარმოადგენს, რომ გოეთე ამ ახალი ეპოქის შვილია, მისი მოწინავე იდეებით იკვებება. ეს, დიდი ხანია, ცნობილი ჭეშმარიტებაა.

სადგოის წარმოდგენს ის, რომ ო. ჭინორია, ფაუსტური ეტაპის განხილვისასაც, იმევე უპირისპირებს ერთიმეორეს აღმოჩენულსა და გვიანდელ გოეთეს, როგორც სხვა შემთხვევებში, რის შესახებაც ზევით იყო ლაპარაკი. იგი „ფაუსტში“ იმავე სურათს ხედავს, რასაც საერთოდ გოეთეს ევოლუციისადმი, — ერთბაშად გადასულს დაბნეულობიდან, მნიჭიერებიდან აბსოლუტურ სრულყოფაში. ჩვენს ავტორის ძირითად წანამძღვარს შეადგენს „ფაუსტის“ I და II ნაწილების **დამირისპირება**, თვითველ მათგანში ერთიმეორისაგან სრულიად განსხვა-

ვეული ხაზის დანახვა. „ფაუსტის“ პირველი ნაწილის განხილვას ო. ჭინორია ამთავრებს იმის განცხადებით, რომ ფაუსტის მიერ არჩეულ გზას „მხოლოდ არაფრისაკენ... დაცილობს და განადგურებისაკენ, მეფისტოფელის ცარიული ბუნებისაკენ მივყავართ და რომ იმან, ვასაც რაიმეს მიღწევა სურს... სხვა, საწინააღმდეგო შიშარტულეობით უნდა იაროს“ (326—ხაზის ავტორისა — გ. ხ.).

ძნელი არ არის შევნიშნოთ, რომ ამგვარი მტკიცებით ო. ჭინორიას გამოაქვს მეტად შრისხანე, ამასთანავე ყოველად უმართებულო განაჩენი ტრაგედიის პირველი ნაწილის ფაუსტისა და ვისი, მიანია, რომ იგიც ისეთივე მანკიერი გზით მიდის, რომლითაც მიდიოდნენ თურმე შტიურმერი გოეთესა და შილრის გამოჩენი. რაში ხედავს კონკრეტულად ო. ჭინორია ფაუსტის ამგვარ მანკიერებას? იმაში, რომ იგი, მისი აზრით, არის მოქცეული „ინდივიდუალიზმის შარწობებში“ (326), „საკუთარ თავზე აღმატებისაკენ მსწრაფია“ (261—268), რომ იგი „შეუძლებლის სფეროში“ ეჭრება (261-264). შეცნობებისადმი რწმენადაკარგული და გამადგარია (284, 285, 289, 296).

საკვირველია, რომ ჩვენი ავტორი კვლავ აცოცხლებს ამგვარ მცდარ შეხედულებას ფაუსტზე, შეხედულებას, რომელიც ამიტორისა მხატვრული სახის დიდ შემეცნებით-კულტურულ ღირებულებას. ფაუსტის მხატვრული სახის ამ აშკარა დამცირების გზით მიდის ავტორი, როცა იხილავს ფაუსტის დამოკიდებულებას გარემომცველი ყოფისადმი, შრომისადმი გამოყვანილი ღმერთისადმი, ო. ჭინორია ფიქრობს და, მართებულადაც, რომ ფაუსტი აქ ამხედრებულია ღმერთის წინააღმდეგ, არ მიდის მისი გზით. მაგრამ, ნაცულოდ იმისა, რომ ეს ფაქტი ფაუსტს აქტივში ჩაუთვალოს, იგი მას პასივად უთვლის. ღმერთთან ფაუსტის კონფლიქტის გაგებაში ო. ჭინორია ილაშქრებს ამ სტრუქტურების ავტორის წინააღმდეგ, რომელიც ამ ფაქტში ფაუსტის პლიუსს ხედავს. ო. ჭინორიას აზრით კი, ფაუსტს ღმერთის წინააღმდეგ ეს ვალაშქრება არა პლიუსად, არამედ მინუსად უნდა ჩაეთვალოს, რადგან ამგვარი სიპტივლი ფაუსტისა, მისი აზრით, თურმე „ადამიანის ბუნებისაგან დაცილებას, მკურნალ გზით სვლას ნიშნავს“ („ლიტერატ. ვახეთი“, 1953 წელი, 20 მარტის ნომერი) იმ დროს, როცა ფაუსტის შერბევა ღმერთთან ტრაგედიის II ნაწილში თურმე „ადამიანის მიერ კეშმარტების წყდომას, ბუნებასთან გაერთიანებას გამოხატავს“ (იქვე).

ამგვარად, ტრაგედიის პირველ ნაწილში ფაუსტი თურმე თავისი ადამიანური ბუნებისაგან დაშორებულია და ამ ბუნებას იგი იბრუნებს ტრაგედიის II ნაწილში — აი ო. ჭინორიას შიკრ „ფაუსტის“ პრიბლუმის მოწყობებულ გა-

გების დედაარსი, ამ გაგებას ავითარებს ავტორი თავის ამ ახალ შრომაში. ვაქც ფაუსტის განვითარებას იგი წარმოადგენს, თურმე გზას ღმერთის წინააღმდეგ ამხედრებულად ღმერთთან დაბრუნებისაკენ. შინ დაბრუნებისაკენ (273), ო. ჭინორიას მიანია, რომ ფაუსტი ან ღმერთის გზით უნდა წავიდეს, ან ეშმაკის; მესამე შესაძლებლობა, რომ იგი თავისი საკუთარი გზით მიდიოდეს, მას გამოირიცხებულ მიანია (272), და ყოველივე ამას ჩვენი ავტორი აცხადებს, წინააღმდეგ ფაქტებისა, წინააღმდეგ იმისა, რასაც გოეთეს „ფაუსტი“ წარმოადგენს. სწორედ ამ „წაწარმოების სიუვეტურ-იდეური ფაქტების“ უბუღუბელყოფას წარმოადგენს მტკიცება, რომ ტრაგედიის პირველი ნაწილის ფაუსტის არის ადამიანური ბუნებისაგან დაცილებული, მეცნიერებისაგან გამდგარი ინდივიდუალიზტი, რომელიც ეშმაკის გზით მიდის და აღწევს ისეთ ზღვრებს, რომლის იქით მხოლოდ აბრაობაა.

ამგვარი მტკიცებაში უბუღუბელყოფილის, რაც ფაუსტის მხატვრული სახის სიახლესა და პოზიტიურობას წარმოადგენს, ის, რაც მას შესაბუენებები იგი აზროვნებისაგან ჰყოფს და ახალი დროის დიდი მოაზროვნის მხატვრულ სახედ აქცევს, უბუღუბელყოფილია, რომ ფაუსტი გამდგარია არა საერთოდ მეცნიერებისაგან, არამედ შესაბუენებები მეცნიერებისაგან, რომ იგი ახალი, კეშმარტიც ცოდნისაკენ ისწრაფვის, გაბედულად უპიბისპირდება იმას, რაც კეშმარტი აზრს ახშობს. ო. ჭინორიას მტკიცება, რომ ფაუსტი ტრაგედიის I ნაწილში მეფისტოს გზით მიდის, წარმოადგენს ფაუსტის და მეფისტოფელის ურთიერთობის აშკარად მცდარ ვაშქებებს, იმის ავტორის ავლას, თუ რას შოვლის პოზიტიურობა თავისთვის მეფისტოფელისაგან ფაუსტი, აგრეთვე გვერდის ავლას იმ ფრიალ მნიშვნელოვანი გარემოებისთვისაც, რომ ფაუსტისა და მეფისტოფელის გზები ტრაგედიის პირველ ნაწილშივე აშკარად გამოჩნდილია, რომ ფაუსტი ამ შემთხვევაშიც თავისი საკუთარი გზით მიდის.

ასევე ბრძოლვე ეწინააღმდეგება ფაქტებს ო. ჭინორიას მტკიცება, რომ ტრაგედიის II ნაწილში ფაუსტს „შინ ბუნდება“, ღმერთს უეროდება. მთელ თავის მსჯელობას ფაუსტის ამ „შინ დაბრუნებაზე“ ო. ჭინორია იმაზე ავებს, რომ ღმერთი აქ წარმოდგენილია არა როგორც ქრისტიანული ღმერთი, არამედ როგორც პანთეისტური, ანდა, რაც ო. ჭინორიასთვის თურმე ერთად და იგივეა, ეკრეტისთანა ღმერთი (278) ასეთად თვლის იგი პროლოგში გამოყენებულ ღმერთს, წინააღმდეგ ამ სტრუქტურების ავტორისა, რომელიც მის შეხედულებას არ იბრუნებს. ამგვარად გაგებულ ღმერთთან დაბრუნება ფაუსტს, ო. ჭინორიას აზრით, ცხადია, პლიუსად ჩაეთვლება და არა მინუსად. ფორმალუ-

რად ჩვენი ავტორი თითქოს მართალია და ფაქტის განვითარების მის მიერ მოცემულ სქემა — ადამიანის ბუნებისაგან დაიღვება და შემდეგ ამასთან დაბრუნება თითქოს დავს არ უნდა იწყვედეს. მაგრამ იგი მართალია სწორედ რომ ფორმალურად. არსებითად ეთიკაზე გაცალკებით უფრო რთულია, ვიდრე ეს ო. ჯინორიას სურს წარმოადგინოს.

ჯერ ერთი, იმის გარკვევა თუ რას წარმოადგენს პროლოგის ღმერთი, უცილობლად არ ნიშნავს, რომ ვაიძრება, თუ როგორია ღმერთის ცნების ფაუსტისებური, თვით გოეთესებური გაცემა. უნდა ამასთან ერთად გაიჩვენოს, გამოხატავს თუ არა ეს ღმერთი თვით ფაუსტისა და გოეთეს კრედოს. ო. ჯინორიას წინაშე, როგორც ჩანს, ეს საკითხი არ ისმება. მას მიაჩნია, რომ პროლოგის ღმერთის ბუნების გარკვევით თვით ფაუსტისა და გოეთეს კრედოც გაიჩვენება. იგი მხედველობიდან უშვებს, რომ ღმერთი ტრაგედიაში ერთერთი პერსონაჟთაგანია და დასამტკიცებელია ჯერ ის, აკისრებს თუ არა გოეთე მას თავისი თვალსაზრისის გამოთქმის მყოფობის საკითხებზე. ჩვენი ავტორს, როგორც ჩანს, ეს თავისთავად დამტკიცებულად მიაჩნია. უფრო მეტი: იგი ფიქრობს და ისევ ფაქტების საძიარსპიროდ, რომ ეს ღმერთი ნაწარმოებში „გადაწყვეტე იდეურ-სიუჟეტურ ფაქტორსა წარმოადგენს“ (276), საიდანაც ის დასკვნა გამოდის, რომ ფაუსტის განვითარების ზამბარა ღმერთს უპყრია ხელთ, რომ თვითონ ფაუსტი, რომელიც აქამდე მეფისტოფელის თოჯინა ყოფილა, შემდეგში ღმერთის თოჯინა ხდება.

მთავარი მნიშვნელობა მაინც იმას აქვს, რომ ო. ჯინორიამ ვერ მოიტანა რაიმე ანგარიშგასაწყვი არგუმენტი იმის დასამტკიცებლად, რომ პროლოგის ღმერთი პანთეისტური თუ ერეტიკოსთა ღმერთია, ვერა და ვერ დააჩღვია ის არგუმენტები, რომლებსაც საწინააღმდეგო შეხედულებების დამცველები აყენებენ. ამ არგუმენტების მომეტებული ნაწილი მან არა თუ ვერ დააჩღვია, არამედ არც კი უღიბა, რომ ღმერთი კერძოდ, მან გვერდი აუარა იმ არგუმენტს, რომ პროლოგის ღმერთი გამოდის როგორც პირველი მიხეზი, როგორც სამყაროს შემქმნელი, გვერდი აუარა იმას, რომ ნაწარმოებში ლაბანაკია სამყაროს არა მხოლოდ შემქმნელის, არამედ მისი შექმნის დასაწყისის, „პირველი ღმერთი“ შესახებ.

ო. ჯინორია იმ აზრის დამცველად გამოდის, რომ ფაუსტი თავის უმადლეს იდეალს გარდაცვალების შემდეგ ეზიარა. იგი აცხადებს, რომ ფაუსტის „სულიერი ამაღლების სიმბოლურ გამოხატულებად“ გვესახება მეფისტოფელისაგან დახსნილი ვიწროს ცად აღუღწია და იდეალთან „ღრუბლების მიღმა“ ერთქმნაო“ (391). ამგვარად, ფაუსტის მიერ თავისი ცხოვრების წარ-

მატებით დაგვირგვინება, ჩვენი ავტორის აზრით, ხორციელდება თერაპიულური ცდის სახით. „შედეგად. მაგრამ რეკონსტრუქციურად“ ფაუსტის ეს „ცად აღუღწია“, არის თუ არა იგი რელიგიურობის ბეჭდის მატარებელი? ო. ჯინორია, როგორც ჩანს, ამ საკითხზე უარყოფითი შეხედულებიანია. იგი იმ აზრისაა, რომ „ცად აღუღწილი“ ფაუსტი იმყოფება არა ღმერთისა და ანგელოსების სამყაროში, არამედ ბუნებასთან გაერთიანებულად. ამიტომ ილაშქრებს იგი იმით წინააღმდეგ, ვისაც ეს სცენა არ მიაჩნია „ფაუსტის“ ტრაგედიის ორგანულ ნაწილად, ვინც ფიქრობს, რომ ფაუსტის ისტორია მთავრდება მის გარდაცვალებასთან ერთად, მომდევნო სცენა კი წარმოადგენს გოეთეს მიერ ოფიციალური რელიგიისადმი გაღმერთებულ გარკვეულ ხარკის შანგებულს.

ო. ჯინორია ფიქრობს, რომ ფაუსტის სულის დახსნის სცენა ორგანული ნაწილია ტრაგედიისა იმიტომ, რომ იგი არ არის რელიგიურობის ნიშნის მატარებელი. ნაწარმოების ეს ადგილი კი არავითარ ბეჭდს არ ტოვებს, რომ იგი მოფიქრებულია სწორედ ქრისტიანულ-რელიგიურ პლანში. ამას თვითონ გოეთე გვიდასტურებს. მოჰყავს რა ევერმანთან საუბარში ადგილი ანგელოსების სიტყვიდან, რომლებშიც ფაუსტის სულის დახსნაზეა ლაბანაკი, გოეთე აღნიშნავს, რომ „ეს საცხებო პარონიაშია ჩვენს რელიგიურ წარმოდგენებთან, რომლის მიხედვით ჩვენ სწორედვე ვცითომობილდებთან არა მარტო საკუთარი ძალით, არამედ ღვთაებრივი ძალის მეოხებითაც“.

მაშასადამე, თვით გოეთე აუდასტურებს, რომ ფაუსტის სულის დახსნის სცენა შეესაბამება რელიგიურ წარმოდგენებს, რომ ეს დახსნა ხორციელდება არა მხოლოდ ფაუსტის საკუთარ ძალით, არამედ ღვთაებრივი ძალის წყალობითაც. თვითონ გოეთე გვიდასტურებს აგრეთვე, რომ ამ დახსნის სცენაში გამოყვანილი ფიგურები არიან ქრისტიანულ-საეკლესიო ფიგურები („christlich-kirchliche Figuren“) ვის უნდა დაეჭროს, თუ როგორაა წარმოდგენილი „ფაუსტში“ ღმერთი და მისი ამაღა, ფაუსტის სულის დახსნა. — ო. ჯინორიას თუ „ფაუსტის“ ავტორს?

ტრაგედიის პირველი ნაწილის ფაუსტის ამ გაგების ფონზე, რომელსაც ო. ჯინორია იძლევა, ბუნებრივია ეკითხვით, თუ ამ გმირის განვითარების როგორ სურათს ზედავს იგი ტრაგედიის მეორე ნაწილში, გააჩნია თუ არა მის მიერ მოცემულ გაგებას, გოეთესი, ევერმანი, „ფაუსტის“ პროლოგის გაგებას, შინაგანი სიმწყობრე და თანამიმდევრობა, ამტკიცებს თუ არა იგი ერთ რაიმეს გარკვეულად და ბოლომდე. თუ საკითხს ამ ასპექტში დაეყენებთ, უნდა ითქვას, რომ ო. ჯინორიას ნაშრომს აქ ავლია განსაკუთრებით ის, რაც მის ავტორს სა-

ფუძველს მისცემდა გაცხადებინა, გოთეს ვაგების გარკვეულ კონცეფციას ვიძლეო.

ო. ჭინორიას წიგნიდან მეთხველი მოელის იმის ცხადყოფას, რომ ანატორისაგან მიმავალ იმ ვხას, რომელსაც მისი აზრით, ტრაგედიის I ნაწილის ფაუსტი დადგომა, ტრაგედიის II ნაწილში დაუპირისპირდება პარინაუალად ხაწინააღმდეგო ხაწი; მეთხველი მოელის იმის ჩვენებას, თუ ტრაგედიის II ნაწილში როგორ თანდათანობით დაძლია ფაუსტმა თავისი აღმარდელი „ორი მსოფლმხედველობრივი მანკი“, როგორ დაძლია მან, კერძოდ „თავისი მეორე-მსოფლმხედველობრივი მანკი“ (339), თავისი „ასტრაქტულ-მეტაფიზიკური მსოფლაღქმა, რომელიც ერთგვარ შედღის მეორე მხარესაგვით ახლავს მის ინდივიდუალიზმს“ (იქვე). დაბ, მეთხველი მოელის, უპირველეს ყოვლისა, იმის ჩვენებას, თუ ტრაგედიის II ნაწილში ფაუსტი თანდათანობით როგორ დგება ჰუმანიზმის მემორიული მსოფლმხედველობის ნიდაღზე, ასევე მოელის მეთხველი იმის ჩვენებას, თუ „ინდივიდუალიზმის მარწუხებში მოქცეული“, „ადამიანური ბუნებისაგან დამორბეული“ ფაუსტი როგორ თანდათანობით დგება ტრაგედიის მეორე ნაწილში „ერთიანად ანტიფილისტურულ“ პოზიციანზე? მართლდება თუ არა მეთხველის ეს მოლოდინი? ვადაპრით უნდა ითქვას, რომ არა, ო. ჭინორია არა თუ არ უჩვენებს, არამედ არც ცდილობს უჩვენოს კონკრეტულ მასალაზე ფაუსტის ეს თანდათანობითი გარდაქმნა.

პირიქით, იგი, „ფაუსტის“ II ნაწილის განხილვისას, გვიჩვენებს იმის სრულიად საწინააღმდეგოს, რაც უნდა იჩვენებინა, ვაჩვენებს ფაუსტის არა თანდათანობით გათავისუფლებას მის მიერ ამ გმირისათვის მიწერილი მსოფლმხედველობრივი და მორალური მანკიერებისაგან, არამედ კიდევ უფრო გაძლიერებას ამ მანკიერებისა. ამგვარი დასკვნის წინააღმდეგ თითქოს ლაპარაკობს ის, რომ ტრაგედიის მეორე ნაწილის პირველი სცენის განხილვისას ო. ჭინორია აცხადებს, რომ ფაუსტს „ღრმა შინაგანი ცვალილებაც განუცდია, კერძოდ მსოფლაღქმაც ისე განახლებია, რომ ძველი გზით მისი შემდგომი სევა უკვე გამორცხული რჩება“ (333). თუ ფაუსტი ტრაგედიის II ნაწილში „დააწყისწივე მსოფლმხედველობრივად ასე განახლებულია, ბუნებრივია, რომ იგი ასეთი განახლებული მსოფლაღქმის მქონე იქნება მომდევნო მოქმედებებშიც, ო. ჭინორიას ნაშრომიდან კი ვხედავთ ამის სრულიად საწინააღმდეგოს, სახელდობრ, იმის მტკიცებას, რომ ფაუსტი ტრაგედიის II ნაწილის დასაწყისშია მსოფლმხედველობრივად განახლებული, მომდევნო მოქმედებებში კი ისევ ძველი, ო. ჭინორიას მიერ მანკიერად მიჩნეული მსოფლმხედველობის, ასტრაქტულ-მეტაფიზიკური მსოფ-

ლაღქმის, ინდივიდუალიზმის, უკეთ, გეოცენტრიზმის ნიდაღზე დგას.

ასე, მაგალითად, მომდევნო სცენის განხილვისას ო. ჭინორია ასკვნის, რომ „ამ ფაუსტი კვლავ ამდღანებს თავის მთავარ ეთიკურ ნაყსს, აშკარა სუბიექტივისტად, გეოცენტრიკოსად გვევლინება“ (337). ფაუსტის ზოციალურ შეხედულებებში ახლა ავტორი ხედავს არსებობდა უკან გადადგმულ ნაბიჯს ტრაგედიის I ნაწილის ფაუსტთან შედარებით, სახელდობრ იმას, რომ ტრაგედიის I ნაწილში ფაუსტი „ხალხის ღიღ მეგობრად ვეცნაება“ (338), ახლა კი იგი „ავლანობილად ევიდობა როგორც ხალხის ვასპირს, ისე „მალა“ საზოგადოებაში გამეფებულ უზნეობას“ (იქვე), ისე იქცევა, რომ გრძობეც „აშკარად გვაგრძნობინებს“ თავისი გმირის „ქცევის საძრახის ხასიათს“ (იქვე).

ასეთივე უკანგადადგმულ ნაბიჯს ხედავს ო. ჭინორია ფაუსტის განვითარებაში მომდევნო სცენებში, განსაკუთრებით, ელინეს სცენის განხილვისას. იგი აღნიშნავს, რომ ფაუსტის ელენეთი ვატაცებაში „მისი ინდივიდუალიზმიც აღწევს თავის მწვერვალს“ (357), აღნიშნავს, რომ ფაუსტი ამ სცენაში „მეტად თუ არა, ნაელებად როლია გამსჭვალული გეოცენტრიზმით“ (358), როგორც ვხედავთ, ტრაგედიის II ნაწილის ფაუსტი ავტორს გამოჰყავს არა პროგრესის, არამედ აშკარად რეგრესის გზაზე დამღვარ გმირად, ვინც ხალხს ზურგს აქცევს, უკიდურესი ინდივიდუალიზმით ხასიათდება. ეს გმირი, ო. ჭინორიას აზრით, სიცოცხლის უკანასკნელ მომენტამდე ვერ განთავისუფლებულა მისი მსოფლმხედველობის მანკიერებისაგან.

უწრადღებას იქცევს ამ მხრით ო. ჭინორიას წინააღმდეგობრივი შეჭრობა ელენესა და ფაუსტის შუხვედრის სცენის შესახებ: ერთი მხრით ო. ჭინორია აცხადებს, რომ ელენეს ტრაგედიას ისეთივე ვადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს II ნაწილისათვის, როგორც პირველი-სათვის გრეთხვის ტრაგედიას ქონდაო (339—340); მეორე მხრით კი ამბობს, რომ „ელენესთან ფაუსტის შეუღლება საბრძოლველ მათეც ცდუნებას წანმოადგენს, რომელსაც პრაქტიკული შედეგის სახით არაფერი მოჰყვება დაღებითიო“ (352). ამ სცენის რა ვადაწყვეტი მნიშვნელობაზე შეიძლება ლაპარაკი, თუ მას პრაქტიკულად არავითარი დაღებითი შედეგი არ მოჰყოლია?

ერთი მხრით ავტორი ამტკიცებს, რომ ელენეთი ვატაცება „შემშარბიტებისაგან ფაუსტის სწრაფვის შემდგომ საფეხურს, უფრო მაღალ ხარისხს მოასწავებს“ (348), რომ მან „ამავე დროს მსოფლაღქმაც ვარდაუქმნა ფაუსტს, ის ცალმხრივად დააძლიერა, რომელიც მას აღრეც ახასიათებდაო“ (351); მეორე მხრით კი ამტკიცებს, რომ ამ სცენაში იყრის თავს და სიტუ-

ზურაბ ჩინგაძე ფაუსტის ამ კლასიციზტურ ცოლიდებში მისი მსოფლმხედველობა და ძალის ორივე მთავარი მანქა — ინდივიდუალიზმი და მერტაფიციერობაო* (359), რომ „ეღუწეთი ფაუსტის ვიკაცებმა ინდივიდუალიზტური ხასიათი მართო პრაქტიკულ-ესთეტიკურ ასპექტში, მხოლოდ ჯგოცენტრიზმის სახით როდი ჩნდება, არამედ მსოფლმხედველობრივ-თეორიულ პლანში მკლავდება, **სუბიექტივიზმის** ნიშნითაცაა აღბეჭდილი“ (358). ჭეშმარიტებისაკენ სწრაფვის რა მალად ხარახს უნდა წარმოადგენდეს ფაუსტისათვის ეს სცენა, თუ მის შედეგად გმირი ისევ და რავე თავისი მსოფლმხედველობრივი მანკიერების ტყვეობაში ჩნება? ცალმხრივობათა რა დამღევაზე შეიძლება ამ შემთხვევაში ლაპარაკი, თუ ფაუსტს თავისი მსოფლმხედველობის ძირითადი მანკიერებანი არა თუ დიუქლევია, არამედ ამ მხრივ წინანდელთან შედარებით უფრო უარეს მდგომარეობაში ჩაეარდნია?

როგორც ვხედავთ, ტრაგედიის II ნაწილის პირველ სამ აქტში ფაუსტის განვითარება ო. ჭინორიას წიგნში წარმოდგენილია არა როგორც აღმავალი, არამედ როგორც დაღმავალი პროცესი; ფაუსტი აქ წარმოდგენილია არა როგორც მეცნიერული მსოფლმხედველობის ნიადაგზე მდგომი, არამედ როგორც აბსტრაქტულად მოაზროვნე მეტაფიციური სუბიექტივისტი, საერთოდ, როგორც სინამდვილიდან გამდგარი გმირი. როგორც აღმანი კი, ფაუსტი ამ სამ აქტში ჩვენი ავტორის მიერ წარმოდგენილია როგორც ევოცენტრალისტი, „ფილისტერულ ცრუ არსებობის ნიჭი“ რომ იცავდა (358). რაღა რჩება პროგრესული ფაუსტის მხატვრულ სახეში მთელი ამ სამი აქტის მანძილზე? ცხადია, არაფერა. არაფერა რჩება იმისგან, რაც ფაუსტის ძირითად ნიშანს წარმოადგენს.

როგორ ვთავაზობს ხედავს ო. ჭინორია ორ დანარჩენ აქტში? სხლად ხომ უნდა იქნეს ნაჩვენები აღმავალი ხაზი ფაუსტისა, თვით გეოგოგის განვითარებაში? ასეთი გარდატეხა ო. ჭინორიას სურს დაიანახოს მეოთხე აქტში. ეს აქტი, აღნიშნავს ის, „იმით იწყება, რომ ფაუსტის სულში არსებითი გარდატეხა მომხდარი“ (361); ფაუსტი აქ „თავისუფლდება იმ ორივე უმთავრესი მანკისაგან, რომელიც მის ჭეშმარიტების გზას აკლდინა“ (იქვე). თუ ეს ასეა, მეოთხე-მეხუთე აქტებში უნდა წარმოდგენილი იქნეს ჭეშმარიტი მეცნიერული მსოფლმხედველობის ნიადაგზე დამდგარი გმირი. წარმოადგენს თუ არა ასე ო. ჭინორია ფაუსტს დასახლებულ აქტებში? თითქმის ამ კითხვაზე დადებითი პასუხი უნდა გვაქვს, რადგან ო. ჭინორია წერს მეოთხე აქტში გამოყვანილი ფაუსტის შესახებ, რომ „უწინარეს ყოვლისა მასში ინდივიდუალისტი გამტყდარაო“ (362), იგი უკვე „დიადი საქმიანობის“ გრძნობს თავს მოწოდებულად. და არს-

ებით მხოლოდ აქედან იწყებს მკვარ ნიადაგზე... ნამდვილ რეალიზაციის მესამე ფაუსტური არსოა“ (362). ავტორის ამ მსოფლმხედველობა არა ის, რომ ფაუსტი მეოთხე აქტში გრძნობს თავს მოწოდებულად „დიადი საქმიანობისთვის“, რომ ეს მისწრაფება „ფაუსტურის არსს“ წარმოადგენს, არამედ ის, რომ ფაუსტურის არსს ეს გამოვლენს და მკვარ ნიადაგზე დადგომა ავტორმა მხოლოდ მეოთხე აქტში დაიანახა და ვერ დაიანახა წინა აქტებშიც, ტრაგედიის პირველ ნაწილშიც.

მაგრამ მთელი უბედურება ისაა, რომ ო. ჭინორია მეოთხე-მეხუთე აქტებშიც ფაუსტს არსებითად ისევე მსოფლმხედველობრივი მანკიერებით შეუპრობილად წარმოადგენს, როგორც აღაქ წინა აქტებში. ამიტომ მისი მსყვლობაც მეოთხე აქტში ფაუსტის „პრინციპულად ახალი ორიენტაციის“ შესახებ (364), ჭკარავს ყოველგვარ დამყარებლობას, რადგან ყოველივე ამის გასწვრივ ფაუსტის ხასიათში კვლავ ისეთი მსოფლმხედველობრივი მანკიერებების ხაზგასმა ხდება, რომლებიც არაორობამდ დაყვით გმირის ზეითი მოხსენებელი პროგრესული მომენტები. მისალოდნელი იყო, რომ ო. ჭინორია მეოთხე აქტში უჩვენებდა კონკრეტულ მასალზე ფაუსტის დაბრუნებას ფაუსტურთან, მაგრამ სამწუხაროდ, ეს მოლოდინიც არ მართლდება. მეოთხე აქტში, მავალითად, ნიშნად იმისა, რომ ფაუსტმა ვადაღა „პირველი ნაბიჯი“ „საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობის სახითღებ“ (367), ო. ჭინორია იმას ასახელებს, რომ ფაუსტი „მეფისტოფელის დახმარებით... აჯანყებას აქრთს და წესრიგს აღადგენს“ (367). მაგრამ ამ საქმეში მონაწილეობა ფაუსტს მიუხედავად ჩაეთულება და არა პლუსად, რასაც, თავისდა უნებურად ვერც ო. ჭინორია უთავყფის, რამდენადღე აღიარებს, რომ „ამ აჯანყებას ქვეყნის „რჩეული“ და „მართალი“ კაცები ჩუღდგენენ სათავეში“ (367). ფაუსტის პროგრესულობის, მის ხასიათში მომხდარი გარდატეხის შესახებ ლაპარაკი ამიტომ სრულად დაუსახუთებელი რჩება.

რჩება უკანასკნელი, მეხუთე აქტი, რომელიც, ო. ჭინორიას აზრით, ფაუსტის „გარდაქმნასა და საბოლოო ზეიმს წარმოვიდგენს“ (369). მეოთხეელი მოვლის, რომ ამის შემდეგ მინც აღარ იქნება ლაპარაკი ფაუსტის მსოფლმხედველობრივ თუ სხვა სახის მანკიერებაზე. სამწუხაროდ ავტორი, ამ მოლოდინსაც არ ამართლებს. მას, როგორც ჩანს, დაავიწყდა, რომ ფაუსტმა მეოთხე აქტის დასაწყისშივე არსებით გარდატეხას, მსოფლმხედველობრივი მანკისაგან გათავისუფლებას ხედავდა და მეხუთე აქტში გამოყვანილ ფაუსტს ისევ მსოფლმხედველობრივი მანკიერება მიაწერა. იგი ამ სამ წლის ფაუსტსაც ვერ თვლის „ვერც ფსიქო-ფორალურად და ვერც მსოფლმხედველობრივად, საიმიხოდ მზად, რომ

ნაესრი ტვირთი ბოლომდე ზილოს" (371). ირკვევა, რომ წინა აქტებთან შედარებით, მე-ხუთე აქტში ვითარება არა თუ გაუმჯობესებულია, არამედ კიდევ უფრო გაუარესებულია, რომ სწორედ ახლა დაიშვა: „ფაუსტის ცნობიერებაში ახალი კრიზისი" (372), რომ „ფაუსტს ჯერ კიდევ არც ფსიქოლოგიურ-მორალური სიმტკიცე და არც მსოფლმხედველობრივი სიღრმე მყოფნის იმისათვის, რათა თავისი ფაუსტური იდეალის განხორციელებისათვის აუცილებელ გადაწყვეტად, რადიკალურ ზომითა მიღება, ნამდვილ კმედიმ მებრძოლად უოფნა შესძლოს" (372-373).

ირკვევა, რომ ფაუსტს ახლა თურმე ხელი ურევია ბოროტმოქმედებაში (373), რაც „მთელი მისი ფაუსტური სწრაფვის ამაოვანა უსასოო შეგონებებით ავსებს" (373). ირკვევა, რომ ფაუსტს ახლა თურმე იმაზე მეტად გულგატეხილი და სასოწარკვეთილია, ვიდრე მაშინ იყო, როცა „პირველად გაეცანით მის ძველ კაბინეტში" (იქვე). ირკვევა, რომ ჩადენილი ძალდატანება მას „ახლა სულაც სტებს და ლაქმისის ჭაღლიდით ამტკიცებს ნამდვილი, მკაცრი ბრძოლისათვის მის სელურ, პირველ რაგში, ფსიქოლოგიურ-ეთიკურ მოქმედილობას". (373-374).

ო. ჭინორია სულ უფროდაუფრო მეტ ფერებში წარმოადგენს ღრმად, მოხუცებულ ფაუსტს, წარმოადგენს როგორც სასოწარკვეთილ მეტაფიზიკოს-მორალისტს, ფილისტრინობაში ღრმად ჩადღულს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მხრით ზრუნვასთან მისი შეხედრის სცენის შეფასება. ნაცულად იმისა, რომ აქ მიიწვევენებინა ფაუსტის დადგომა მატერიალისტური მსოფლმხედველობის წინააღმდეგ, მისი მადლი ბუმბინური იდეალები, ო. ჭინორია სწორედ აქ ხელდას ფაუსტის დამორბევის ფაუსტურისაგან, წერს, რომ „ზრუნვის პირისპირ დაშვებით ფაუსტა სწორედ ანტიფაუსტურ, ღია, არსებითად ნე-ფაუსტურ-ფილისტრულ აზრს აქოსვს." (377). ფაუსტს ამ სცენაში ო. ჭინორია წარმოადგენს ისეთ ადამიანად, რომელსაც „ეკარგება არა მხოლოდ თავისი „ღიალი საქმის", არამედ მასთან ერთად მთელი თავისი, ფაუსტური სწრაფვის მართებულობის რწმენა" (379), რომელიც თურმე „ჯერ კიდევ, არც მსოფლმხედველობრივად საამისოდ მომწიფებულია, რომ ცხოვრების სიმძიმის ტვირთზე შესძლოს. მასში ფილისტრთან ერთად... მეტაფიზიკისი მორალისტიც ბუღობს" (378).

ჯერ კიდევ არაა მომწიფებული. მაგრამ როდისღა უნდა მომწიფდეს, როცა მისი სიცოცხლე უკვე იწურება? ეს ხდება თურმე ო. ჭინორიას აზრით, უკანასკნელ სცენაში, როცა ფაუსტი თავნება უკანასკნელ მონოლოგს წარმოსთქვამს, თქმა არ უნდა, ეს სცენა არის გვირგვინი მთელი ნაწარმოებისა, აქ ჩანს მთელი სიღიად და

პროგრესულობა ფაუსტისა, მაგრამ მთელი უხედურება ისაა, რომ ო. ჭინორიამ ექსპლემ, წინა მოვეცივინა არა როგორც კანონზომიერ შედეგს გამართ პროგრესული განვითარებაში, არამედ როგორც შემთხვევითი და არაკანონზომიერ მოვლენა. ეს იმით, რომ მთელი მეცადინეობა ავტორისა იქითკენ იყო მიმართული, რომ დაეხატა ფაუსტი ცხოვრების სულ უკანასკნელ მომენტამდე როგორც მანკიერ გზაზე დამდგარი. როგორც მეტაფიზიკოს-მორალისტი და ეგოცენტრიკოსი, როგორც უსასოვანა და სასოწარკვეთიანი ჩავარდნილი ფაუსტის განვითარების ამგვარი ვაგებიდან ახამცდაარამც ბუნებრივად არ ჩათვლება ის, რომ მას, ო. ჭინორიას აზრით, უკანასკნელ წუთში ეხსნება თვლი და უკანასკნელ წუთში ხდება მასში ის მსოფლმხედველობრივი გარდატეხა, რაც მთელი მისი ცხოვრების მანძილზე უნდა შეეზადებულყო.

ასეთ შემთხვევაში თითქმის მხოლოდ ის დარჩენილა ვერწმუნოთ, რომ მოხდა ფაუსტის განვითარებაში რაღაც სასწაული, სულ ბოლო სცენამდე ანტიფაუსტური გზით მთელი გამართობისაზე და დავა ფაუსტურ გზას და მთლიან განვითარების შუქვრავს. ო. ჭინორიამ სწორედ იმ აზრისაა, რომ ფაუსტის ფაუსტად გახდომა ასე ერთნაშად მოხდა, აცხადებს, რომ მას ახლა „თითქმის ხელის ერთი მოსმით" უჭრება იქვეულობა და მერყეობა (382). დამრბინებლობისთანავე, ენიჭება ნებისყოფის ის ფოლადისებური სიმტკიცე, რომელიც აქამდე ესოდენ აკლდა" (382). ენიჭება „მიზნისაკენ შეუხრელი სწრაფვის უნარი" (383).

ო. ჭინორიას ამ მტკიცებაში დავს იწვევს არა ის, რომ ფაუსტს უკანასკნელ სცენაში განვითარების მთელი საფეხებზე დავს, არამედ ის, რომ გამართ ამგვარ მეტამორფოზის იგი არ წარმოადგენს, როგორც მთელი მისი მანამდელი განვითარების ბუნებრივ შედეგს. არანაკლებ დავს იწვევს ისიც, რომ ავტორი ერთობ ავარბებს ფაუსტისა და თვით გოეთეს პროტურობის ჩვენებისას, გამოკავს ფაუსტს, ისევე გოეთე ნამდვილ რეალუციონერებად, სოციალიზმის იდეებისა და პრინციპების მქადაგებლად. რომელი სოციალიზმის, უტოპიურის თუ მეცნიერულის? თითქმის ექვს არ უნდა იწვევდეს, რომ ავტორი გოეთეს და მის ფაუსტის უტოპიური სოციალიზმის მიმდევრად თვლის. ამას ვეგმომშება თითქმის მისი განცხადება, რომ „ვიღებელმ მისტერში" დახატული „შედაგოგოური პროტინცია წარმოადგენს თონასწორთა თემის ანალოგიურ უტოპიის" (255). ნამდვილად კი ო. ჭინორია სოციალიზმისადმი გოეთეს დამოკიდებულებას იმგვარად წარმოადგენს, რომ აშკარა ხდება, რომ გოეთეს იგი მეცნიერული სოციალიზმის იდეამდე მკაღლებულ წყურად მიიხრევს. ამაში გვარწმუნებს „ფაუსტის" განხილვა ო. ჭინორიას მიერ

თუ „ვიღებლმე მაისტრის“ განხილვისას იგი აცხადებდა, რომ კაპიტალიზმის კომუნისტით შეცვლის „დასკენის გამოსატანად საჭირო საღრმე და სითამამე ვაშარულ ბრძენს დიასაც, რომ არ ჰკლებიაო“ (255). რომ ამ რომანში „კაპიტალიზმიდან კომუნისტისკენ, გარდამავალი პერიოდის ცნება იქნა წამოყენებული“ (466). „ფაუსტში“, იგი ხედავს არა უბრალოდ კაცობრიობის ბედნიერი მომავლის იდეალის წარმტაც ფერებში დიასაც, (იველისხმება, ცხადია, იდეალი სოციალისტური საზოგადოების) არამედ ხედავს უფრო შორს წასვლას, აცხადებს, რომ აქ მწერალი ამ „გარდამავალი პერიოდის ტრავმული შინაარსის კონკრეტულ დინამიკას წარმოვიდგენსო“, უჩვენებს „მეფისტოფელურ-კაპიტალისტური სინამდვილის წინააღმდეგობიდან თუ როგორ ამოცნდება მათი იდეური დამლევისა და მოხსნის სახით ფაუსტურ-სოციალისტური პეზანიზმი“ (466).

როგორ ვსახება ო. ჯინორიას „ფაუსტში“ კაპიტალისტური სინამდვილის წინააღმდეგობათა ეს დამლევა და მოხსნა? ვსახება, როგორც მათი რევოლუციური დაძლევა და მოხსნა. ამას ერთხელ კიდევ გვიხატებურებს მის მიერ გაცემებული დასკვნა, რომ „ფაუსტის“ ავტორი არა მხოლოდ ნათესა ჰქონს კაცობრიობის ბედნიერი მომავლის იდეალს (იველისხმება, როგორც აღნიშნული გვექონდა, იდეალი სოციალისტური საზოგადოებისა), არამედ „მისთვის ქმედითად, დიას, რევოლუციურად ბრძოლის საიდუმლოებასაც ვგზავნავსო“ (184). როგორც ვხედავთ, გოეთე ჰქონს ავტორს გამოჰყავს არა მხოლოდ კაპიტალიზმიდან კომუნისტურად გარდამავალი პერიოდის აცილებლობის მადიარებელ მწერლად, არა მხოლოდ თითქმის მწერლად, რომელიც სოციალისტური საზოგადოების იდეალს აყენებს და შერტყვის, არამედ ისეთად, რომელსაც შეუგნია, რომ ეს იდეალი განხორციელდება კაპიტალისტური საზოგადოების წინააღმდეგობათა რევოლუციური დაძლევისა და მოხსნის გზით. თუ ეს ასეა, მაშინ გოეთეს უტოპიური სოციალიზმის მიმდევრობაზე ლამაზაყო კარგავს ყოველგვარ საფუძველს, რადგან უტოპისტ სოციალისტებისათვის უცხო იყო კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა ის რევოლუციური დაძლევა, რომელსაც ო. ჯინორია გოეთესთან ხედავს.

ყველაფერი გვემოწმება, რომ ო. ჯინორიას მიზნად დაუსახავს წარმოადგინოს გოეთე სწორედ მეცნიერული სოციალიზმის იდეამდე აშორებულად, ნამდვილ რევოლუციონერად, და ეს იმ დროს, როცა იგი სხვა მრავალ შემთხვევაში გოეთეს სახით ბურჟუაზიულ რევოლუციონრებში აშორებულ მწერალსად ვერ ხედავდა, მის როგორც ბურჟუაზიული, ისე დემოკრატიული რევოლუციური პრაქტიკის მტრად მიიჩნევდა. ასე, მაგალითად, ის ვარჯ-

ნობა, რომ „ფაუსტში“ გოეთემ არ გვიჩვენა დემოკრატიული რევოლუციური მემკვიდრეობის მონაწილეობა, ო. ჯინორიას აქვეყნებს, მწერლის „პოლიტიკურ შეზღუდულობას და, კერძოდ, რევოლუციური პრაქტიკისადმი მის მტრულ დამოკიდებულებას მოწმობს“ (368).

მაგრამ საიდან მტკიცდება, რომ გოეთე კაპიტალისტური სინამდვილის წინააღმდეგობათა რევოლუციური დაძლევისა და მოხსნის აღიარებს? სად არის საიმისო საბუთები? ასეთებზე გოეთეს ნაწარმოებიდან ო. ჯინორიას არ მოაქვს და არც შეუძლია მოიტანოს, რადგან ისინი არ არსებობენ. „ფაუსტის“ ავტორმა გენიალურად შენიშნა, რომ ბურჟუაზიულ საზოგადოებას არ მოაქვს აღამიანთათვის მათი სასურველი ოცნების განხორციელება, შენიშნა, რომ აღამიანთა ნამდვილი განთავისუფლება მომავლის საქმეა. მისი ფაუსტიც ამ მომავლის შერტყვის, მაგრამ, მიუხედავად დიდი პოეტისა, იგი მაინც წინააღმდეგობრივი გზითა, თავისი ეპოქის ფარგლებში რჩება. ვადაპირბეზული და ცალმხრივია ჰქონს ავტორს ცდა, ჩამოაცილოს ფაუსტი თავის სოციალურ გარემო, როგორც თითქმის იტყვის კაპიტალისტურ ფაქტურას, რათა დაამტკიცოს, რომ მისი პრაქტიკის „კაპიტალისტური ფაქტურიდან“ სოციალიზმის იდეა გამოსჰყავის“ (465).

ო. ჯინორია ვრძნობს, რომ ფაუსტის სოციალისტად გამოცხადებისათვის დაბრკოლებას წარმოადგენს ის, რასაც იგი ფაუსტის მსოფლმხედველობრივი და მორალური მანერების შესახებ ამბობდა, დაბრკოლებას წარმოადგენს ის, რომ ფაუსტი, მისი მცდარი გაგებით, სულ უქანასკნელ მომენტადვე არის ევოლუციონისა, მოძალადე-ბოროტმოქმედი, მეფისტოს მყობრული საქმეების სანქციის მიმცემი. მიუხედავად ამისა, იგი მაინც აცხადებს, რომ ფაუსტის პრაქტიკაში თავს იჩენს უზენაესი სოციალურ-ეთიკური, იველისხმება სოციალისტური, მიზანი, რომელსაც „ყველაფერი, ყველად, მეფისტოს მეკობრული საქმეებიც ექვემდებარება“ (465). მტკიცებას არ საჭიროებს, რომ ამგვარად ვაგებულ ფაუსტისა და მისი ავტორის სოციალისტობის, ნამდვილი რევოლუციონრების შესახებ ლამაზაყო მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.

არა ნაკლებად მნიშვნელოვანია, თუ როგორც ესმის ო. ჯინორიას ფაუსტის მიერ კაპიტალისტურ წინააღმდეგობათა იდეური დაძლევა და მოხსნა. ბუნებრივი იქნებოდა, რომ ამგვარი მოხსნის შედეგად მაინც, ფაუსტში მას დაენახა კეშმარტიად. მეცნიერული მსოფლმხედველობის ნიადაგზე მდგომარე გზით, რომლის იდეური კაცობრიობის მომავლისა მტკიცე საფუძველებს ემყარება. სინამდვილეში კი ო. ჯინორიას ნაშრომში ეს „თითქმის ხელის ვრთი მოსმით“ გამოფხიზლებული ფაუსტიც წარმოადგე-

ნილია მხოლოდ და მხოლოდ როგორც მეოცნებე (467-472), თანაც როგორც იდეურად განწირული ადამიანი. თუმცა ო. ჭინორია აცხადებს, რომ ფაუსტის ოცნება არ წარმოადგენს „უსაფუძვლო და უნაყოფო ზმანებას“ (467), რომ ფაუსტის ილუზია სრულადაც არ გვანიშნებს „გმირის რაღაცა პრინციპულსა და საბოლოო შარცისა“ (იქვე), მაგრამ ამ განცხადებას უოვედგვარ საფუძველს აცლის თვითონ ავტორი, როცა წერს, რომ ფაუსტის „ამ ოცნებას უმაღლეს ხანში ისევ ელის გარდაუვალი მარცხი, როგორც იაკობინელ მეოცნებეებს თერმოდორიანელთა ბერეუაზიულმა რეაქციამ გაუთხარა საფლავით“. (467-ხაზი ავტორისაა გ. ხ).

რადა რჩება ამის შემდეგ, ფაუსტსა და მის ავტორთან პოზიტორი, პროგრესული, თუ ყველაფერი, რასაც ისინი შეგხარბიან, უცალობლად უნდა დაიდუმოს? ეს საკითხი მთელი სიმწვალით ისმება გოეთეს შემოქმედებითი განვითარების იმ ცალმხრივ და წინააღმდეგობრივ გვებიდან, რომელსაც ო. ჭინორია გვთავაზობს: მან, რომელმაც ადრინდელი გოეთე მანკიერი და უნაყოფო შეამბობგობის მჭადავებლად, საფრანგეთის რევოლუციის ეპოქის გოეთე ე რევოლუციის მტრად, უტოპისტურ-აკაქეაულა

ტენდენციით ბოლომდე შებოკილ მწერლად დაგვიხატა: მხოლოდ „ფაუსტის“ შემოქმედის სიცილის განხილვისას მოახდინა შეცვლა-ბრუნება, ფაუსტა და მისი ავტორი ნამდვილ რევოლუციონერებად. მეცნიერული სოციალიზმის იდეებისა და პრინციპების დამცველებად გამოაცხადა. ვერ უჩვენა რა კონკრეტულ მასალაზე ამგვარი რადიკალური შემობრუნება, ო. ჭინორია დაადგა მის მიერვე დაგმობილ გზას — ფაუსტი მომავალზე მეოცნებედ გამოაცხადა. ამისთვის ჩვენს ავტორს საუვედურო როლი ეთქმის, საუვედურო მის ეთქმის იმისათვის, რომ ფაუსტის ეს მშვენიერი ოცნებაც განწირულ მოვლენად გამოაცხადა.

ასეთ პირობებში პოზიტორი და პროგრესული გოეთესთან თითქოს აღარაფერი უნდა რსებოდეს, მაგრამ ავტორის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ იგი ასეთ პირობებშიც ახერხებს გამოაგლინოს გოეთეს მსოფლმხედველობისა და შემოქმედების, თვით მოხუცი ფაუსტის მხატვრული სახის რიგი დადებითი მომენტი, ხაზი გაუსვას, რომ გოეთე იმით გვეუთენის, ვინც პროგრესისა და სამართლიანობისთვის იბრძვის და არა იმით, ვინც ისტორიის ჩარხის უკან დაბრუნებას ცდილობს.



3360 80 333.

И Н Д Е К С
76128



«М Н А Т О Б И»

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

ИЗДАТЕЛЬСТВО «ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА»